საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
12 - 18 ოქტომბერი, 2011
№36 (127)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

13 მიშამ უკრაინის პატრიარქიც მოატყუა

6 სარკოზიმ დაგვიბარა, ანუ ლობოტომია ისე არ მოდის...

17 ყვარყვარე ბობოხიძის სალტო-მორტალე

მიხეილ დელიაგინი:

21 ბიძინა ივანიშვილი ის ფიგურაა, რომელიც უდიდეს პატივისცემას იმსახურებს

ბიძინა ივანიშვილი:

# «შეჩერდი, მიშა, შენ უფსკრულის პირას დგახარ და შეჩერდი!.. ...შენი ინტერესებიდან გამომდინარე გეუბნები ამას — გადადექი!..»



ღია წერილი საქართველოს ხელისუფლებას, პოლიტიკოსებს და პოლიტიკურ პარტიებს, მასმედიის წარმომადგენლებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს 2

## ჭაბუა ამირეჯიბის მიმართვა ბიძინა ივანიშვილს



ბატონო ბიძინა! ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ბიზნის მფარველი!
ჭაბუა ამირეჯიბი — ბერი დავითი
თბილისი
10.10.2011

8

## ბიძინა ივანიშვილის ყრმობის უცნობი დეტალები 12



„ისეთი მშობლები ჰყავდა, იმ ოჯახიდან უწესო კაცი არ გამოვიდოდა. ბიძინას 4 და-ძმა ჰყავს, 2 და და 2 ძმა. ერთმანეთზე წესიერი და განათლებული ხალხია. მამამისი — გრიშა ივანაშვილი პატიოსანი და მშრომელი კაცი იყო, დედა — ქალბატონი ციცინო, უზადო დიასახლისი, შვილების კარგად გამზრდელი“

ედუარდ შევარდნაძე: 10

## ბიძინა ივანიშვილი გაბედული კაცია, რისკიანი, მაგრამ... ბადრის მაგალითზე განსაკუთრებით უნდა იფიქროს



„ბიძინა ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, ჯერაც აშენებული არ იქნებოდა სამების ტაძარი. ბიძინა ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი სახელმოხვეჭილი მეცნიერები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები — მწერლები, მსახიობები და ა.შ. უდროოდ დაგვაკლდებოდნენ“

## ტურისტული ოაზისი თუ დასაკარგად განწირული ტერიტორია?! 14

## პრეზიდენტი, დაცვის უფროსი, თურქი ბიზნესმენი და სიყვარული «ინტურისტში» 16

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მე ყოველთვის ვასრულებ ჩემს დანაპირებს, ყოველთვის ვასრულებ ჩემს სიტყვას და ნაკისრ ვალდებულებას. რადგან ქართველ ხალხს სიტყვას ვაძლევ, რომ მოვალ ხელისუფლებაში, ე.ი. აუცილებლად მოვალ!**

## ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი საქართველოს ხელისუფლებას, პოლიტიკოსებს და პოლიტიკურ პარტიებს, მასმედიის წარმომადგენლებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს



# «შეჩერდი, მიშა, შენ უფსკრულის პირას დგახარ და შეჩერდი!..»

# «...შენი ინტერესებიდან გამომდინარე გეუბნები ამას – გადადექი!..»

სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდეთ, მინდა ორიოდე სიტყვა საკუთარ თავზეც გითხრათ.

ჩემი, როგორც ბიზნესმენის წარმატების მთავარი საიდუმლო შემდეგში მდგომარეობს: მე შემიძლია სწრაფად შევაფასო სიტუაცია, მივიღო სწორი გადაწყვეტილება, სწორად შევარჩიო კადრები და კარგი მენეჯმენტის საშუალებით სწრაფად მივაღწიო დასახულ მიზანს.

გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ ნებისმიერი საქმე სუფთა ხელებით, ადამიანებთან გულწრფელი და გახსნილი ურთიერთობების საფუძველზე უნდა კეთდებოდეს.

ასე ვიცხოვრე, ასე მოვედი აქამდე და ასე მიცნობენ როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ამის დასამტკიცებლად მე გავიხსენებ რამდენიმე დეტალს ჩემი ერთადერთი ინტერვიუდან, რომელიც რუსულ გაზეთ „ვედომოსტს" მივეცი 2005 წელს (იმასაც მინდა გავუსვა ხაზი, რომ ვერაფერს გადაჭარბებულს ინტერვიუში ვერ ვიტყოდი, რადგან ელემენტარულ ცდომილებასაც არავინ მაპატიებდა).

ინტერვიუში კარგად ჩანს ჟურნალისტის გამძაფრებული მცდელობა როგორმე მამხილოს რაიმე არაკანონიერებაში, თუმცა ისიც კარგად ჩანს, რომ მან ვერაფერს მიაღწია; პირიქით, ამ ინტერვიუში თქვენ შეგიძლიათ ნახოთ რუსეთისა და არამარტო რუსეთის ბიზნესისთვის უპრეცენდენტო რამდენიმე მაგალითი, რომლებსაც დღესაც სიამაყით ვიხსენებ. აი, ერთ-ერთი მათგანი:

**1998 წელს, როცა რუსეთის სახელმწიფომ დეფოლტი გამოაცხადა, ჩემი ბანკი ერთადერთი იყო იმ უმსხვილესი ბანკებიდან (სხვადასხვა ტიპის საბანკო რეიტინგებში მე-2—მე-5 ადგილზე იმყოფებოდა, ხოლო ფილიალების რაოდენობით მე-2 იყო „სბერბანკის" შემდეგ), რომელმაც პირნათლად შეასრულა მეანაბრეებთან და ბიზნესპარტნიორებთან ნაკისრი ყველა ვალდებულება.**

იმავე ინტერვიუში მე ვიხსენებ, რუსეთის მაშინდელი ფინანსთა მინისტრის სიტყვებს ევროპისა და ამერიკის განზილებულ ბიზნესელიტასთან შეხვედრისას, სადაც ის ამბობდა, თუ როგორ ზეწოლას განიცდიდა მათგან, რომ ასე უხეშად გადააგდეს ისინი, რის შედეგადაც უამრავი ფული დაკარგეს რუსეთში და რომ მის მძიმე პოზიციას როგორ ამსუბუქებდა ერთადერთი პრეცენდენტით, რომელიც ჩემი ბანკის საქმიანობით შეიქმნა.

**ამ პრეცედენტით და არამარტო ამით, მე უმწიკვლო სახელი მაქვს, როგორც რუსეთის, ისე ევროპის და ამერიკის ბიზნესელიტაში. ამიტომაც, როდესაც სააკაშვილის აბსოლუტურად არადიპლომატიური, შეურაცხმყოფელი განცხადების შედეგად რუსეთის მთავრობის მისამართით, რუსეთის მთავრობა ისე გაღიზიანდა, რომ ქართველების საერთაშორისო სამართლისთვის მიუღებელი და გაუაზრებელი დეპორტაცია დაიწყო, მაშინაც კი ვერავინ გაბედა ჩემი ბიზნესისთვის ხელის ხლება.**

**ვფიქრობ, ის გამოცდილება და ის თვისებები, რაც ბიზნესში მრავალწლიანმა მოღვაწეობამ შემძინა, ხელს შემიწყობს სწორად წარვმართო ჩემი საქმიანობა პოლიტიკაშიც.**

როგორი მენეჯერი ვარ მე, ამის დასამტკიცებლად თუნდაც ის ფაქტი კმარა, რომ ცხრა წელია რუსეთში არ ჩავსულვარ, მაგრამ ჩემს მიერ აწყობილი ბიზნესსტრუქტურები აბსოლუტურად გამართულად მუშაობენ.

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება და მის მიერ მართული საინფორმაციო საშუალებები ჯიუტად ცდილობენ რუსულ პოლიტიკასთან მიმაბან და ლამის რუსეთის აგენტად გამომაცხადონ, ვერავინ დამისახელებს ამის დამადასტურებელ თუნდაც ერთ ფაქტს, რადგან ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს.**

როგორც ვთქვი, ცხრა წელი რუსეთში არ ვყოფილვარ და ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი ზარი ჩემს ტელეფონზე რუსეთის პოლიტიკური წრეებიდან, არ მქონია არც ერთი შეხვედრა რუს პოლიტიკოსებთან.

საქართველოს ხელისუფლებას ამის გადამოწმება არ გაუჭირდება, თუმცა მათ ამის გადამოწმებაც არ სჭირდებათ — მათ ისედაც შესანიშნავად იციან, რომ არანაირი კავშირი არ მქონია და არ მაქვს რუსულ პოლიტიკასთან.

ხელისუფლების მიერ შეთითხნილ ბინძურ ჭორებზე და აბსურდულ ბრალდებებზე თავის მართლებას არ ვაპირებ, ვიტყვი მხოლოდ ერთს — საქმე, რომელსაც მე წლების განმავლობაში ვაკეთებ საქართველოში, თუ სინდისის ნატამალი აქვს, როგორ შეიძლება რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებს დაუკავშიროს ვინმემ?

სად არის აქ ელემენტარული ლოგიკა?

საქმემან შენმან გამოგაჩინოსო, ნათქვამია.

**2008 წლის შემდეგ, როცა საქართველოს ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა, რის გამოც ამ ხელისუფლებასთან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე, ჩემს წინააღმდეგ სახელმწიფო მანქანა მთელი სიმძლავრით ამუშავდა; წამოვიდა სიბინძურის ნიაღვარი ტელეეკრანებიდან, გაზეთებიდან; დაიწყო მუქარები, შანტაჟი, მაგრამ ვერაფერს გახდნენ — ჩემს საქმიანობაში შავი ლაქები და ხარვეზები ვერ იპოვეს — ვერც იპოვნიან მას, რაც ბუნებაში არ არსებობს.**

სხვათაშორის, ამ უსაფუძვლო ბრალდებების გასაბათილებლად გამოიცა საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნი, სადაც ამომწურავი პასუხია გაცემული ცილისმწამებლურ და თითიდან გამოწოვილ ბრალდებებზე.

**აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და ჟურნალისტებს ვთხოვ, ხელახლა ნუ დაიწყებენ საუბარს იმ თემებზე და ხელახლა ნუ მომთხოვენ პასუხს იმ კითხვებზე, რომელზეც პასუხი უკვე გაცემულია.**

და ბოლოს, **რადგან გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა, მე აუცილებლად მოვალ ხელისუფლებაში.**

როგორც ზემოთ ვთქვი, **მე ყოველთვის ვასრულებ ჩემს დანაპირებს, ყოველთვის ვასრულებ ჩემს სიტყვას და ნაკისრ ვალდებულებას.**

**რადგან ქართველ ხალხს სიტყვას ვაძლევ, რომ მოვალ ხელისუფლებაში, ე.ი. აუცილებლად მოვალ!**

ხოლო როცა ეს მოხდება, იმასაც გპირდებით, რომ მთელს ჩემს გამოცდილებას, ჩემს ყველა რესურსს საქართველოს აღორძინებას და აყვავებას, საქართველოს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას მოვახმარ.

ამასთან ერთად იმასაც გპირდებით, რომ ვიქნები სამართლიანი, ობიექტური, ლმობიერი, ჰუმანური და ამავე დროს უკიდურესად პრინციპული, მკაცრი და მომთხოვნი თითოეული იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურების ამა თუ იმ უბანზე მოუწევთ მუშაობა.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მე ძალიან ახლობელ ადამიანებსაც არ ვაპატიე, როცა მათ კანონით დაწესებულ ნორმებს და მორალურ-ზნეობრივ პრინციპებს გადაუხვიეს.

**შეცდომების გამოსწორების შანსი ყველას მიეცემა, მაგრამ არავის არ მიეცემა იმის უფლება, რომ საქვეყნო საქმეები თავის პირად ინტერსებს მოარგოს და სხვის ხარჯზე, ხალხის ხარჯზე საკუთარი კეთილდღეობა მოიწყოს.**

**ვიმეორებ, მე აუცილებლად მოვალ ხელისუფლებაში, რადგან სიტყვა მოგეცით, აუცილებლად მოვალ!**

### რატომ მოვედი პოლიტიკაში

**ბევრი სვამს კითხვას და ბევრს უკვირს, მე, წარმატებულმა ბიზნესმენმა, ყოველმხრივ უზრუნველყოფილმა ადამიანმა, რატომ შევაგდე ყველაფერი სასწორზე და რატომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა?**

**ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია. იმიტომ, რომ ვხედავ სამშობლო მეკარგება, ხოლო როდესაც სამშობლო გეკარგება, არაფერს არ აქვს ფასი, არც ქონებას, არც ფულს, არც პრივილეგირებულ მდგომარეობას.**

ეს სიტყვები ჩვენს კონფორმიზმით დაავადებულ საზოგადოებაში შეიძლება ვინმეს ხმამაღლა ნათქვამად მოეჩვენოს და სწორედ ამაშია ჩვენი ყოფის უბედურება. არ დავმალავ, სანამ პოლიტიკაში მოსვლას გადავწყვეტდი, ორჯერ დავაპირე საქართველოდან წასვლა. ▶

პოლიტიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერის გიორგი თარგამაძის პოლიტიკური საქმიანობა უამრავ საეჭვო მომენტს შეიცავს, დაწყებული ასლან აბაშიძესთან მისი თანამშრომლობით, გაგრძელებული ბადრი პატარკაციშვილის მიმართ მის მიერ ჩადენილი ღალატით და დამთავრებული იმით, რომ ღალატის საფასურად ხელისუფლებამ თარგამაძეს პარტია შეუქმნა, დაუფინანსა და გაყალბების გზით პარლამენტში შეიყვანა.**

ვისაც არ სჯერა შეუძლია გადაამოწმოს და ნახოს, როგორც დავაბრუნე უკან შეკვეთილი თვითმფრინავები. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ოჯახის წევრებმა, ჩემმა მეუღლემ და ჩემმა ვაჟებმა მითხრეს — შენ შეგიძლია წახვიდე, ეს შენი ნებაა, მაგრამ ჩვენ აქ ვრჩებითო.

**ჩემმა უფროსმა ვაჟმა, უტამ მითხრა, თუ შენ არ წახვალ პოლიტიკაში, მაშინ მე წავალო.**

**მე და ჩემმა მეუღლემ იმას მივაღწიეთ, რომ ჩვენი შვილები, რომლებიც საფრანგეთში გაიზარდნენ, ჩვენზე უფრო დიდი პატრიოტები და ჩვენზე უფრო კარგი ქართველები არიან. უტას სიტყვები ბოლო წვეთი იყო, რამაც ყველაფერი გადასწონა და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.**

მე შევძელი მეჯობნა საკუთარი თავისთვის, დამეძლია ჩემს თავში შიში, ეჭვი, სკეპტიციზმი, ახლა კი ჯერი თქვენზეა.

ახლა თითოეულმა თქვენგანმა, ამ ქვეყნის თითეულმა მოქალაქემ, უნდა შესძლოს საკუთარ თავზე გამარჯვება და საერთო საქვეყნო საქმის გარშემო დარაზმვა.

**ამ ბრძოლაში ჩვენ ყველანი თანაბარნი და თანასწორუფლებიანი ვართ და ყველას თანაბრად გვაწევს პასუხისმგებლობა ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე.**

პოლიტიკაში იმიტომ მოვდივარ, რომ მივხვდი, მხოლოდ ქველმოქმედებით, ფინანსური დახმარებით და სპონსორობით, ცალკეულ სფეროებში ინვესტიციების ჩადებით და ლოკალური ღონისძიებებით, ქვეყანაში არსებულ საერთო ვითარებას და საერთო მდგომარეობას ვერ შეცვლი, თუ ყოველივე ამას ქვეყნის ხელისუფალთა პოლიტიკური ნება და მხარდაჭერა არ უმაგრებს ზურგს.

მე მივხვდი ჩემს შეცდომებს და მივედი იმ დასკვნამდე, რომ საჭირო და აუცილებელია პირველყოვლისა შეიცვალოს პოლიტიკური გარემო ქვეყანაში, შეიცვალოს ზოგადად პოლიტიკოსის და პოლიტიკის არსის და დანიშნულების გაგება ჩვენს ცნობიერებაში.

**მე მოვდივარ პოლიტიკაში არა ვინმეს დასამარცხებლად, არა ვინმეზე შურის საძიებლად, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქის გასამარჯვებლად.**

საქართველოს დასაკარგი კაცი არ ჰყავს, თითოეული ადამიანის პოტენციალი უნდა იქნეს სათანადოდ გამოყენებული და დაფასებული; ჩვენ ყველანი უნდა გავერთიანდეთ, მე ყველას ვუწვდი ხელს სათანამშრომლოდ, მათ შორის ჩემს ოპონენტებსაც; ჩვენ ყველანი უნდა გავერთიანდეთ, მაგრამ სანამ გავერთიანდებოდეთ, ყველას და ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი უნდა დაერქვას, ყველა უნდა წარვდგეთ ერთმანეთის წინაშე არა ნიღბით, არამედ ჩვენი ნამდვილი სახით; ყველა უნდა გავთავისუფლდეთ ნებსით თუ უნებლიეთ წამოკიდული ტვირთისაგან.

**მე მზად ვარ საზოგადოებისგან წამოსულ ნებისმიერ კითხვას გავცე ამომწურავი პასუხი და ამასვე მოვითხოვ სხვებისგანაც.**

არც მე ვარ უშეცდომო და ჩემს შეცდომებს არ ვმალავ. ვფიქრობ, ასევე უნდა მოიქცნენ სხვებიც და რალაცეებზე უარი უნდა თქვან. აი, ამის შემდეგ მე მზად ვარ ნებისმიერ მათგანთან ვითანამშრომლო; სხვანაირად და სხვაგვარად ჩვენი ურთიერთობა არ შედგება.

ჩემი აზრით, ჯერ უნდა გაივლოს სადემარკაციო ხაზი, უნდა შეიქმნას ორი პოლუსი და ნათლად უნდა ითქვას, მიზეზთა და მიზეზთა გამო ვის გვერდით ვერ დავდგები და ვისთან ვერ ვითანამშრომლებ.

## ვისთან ვერ ვითანამშრომლებ?

**ვერ ვითანამშრომლებ ფსევდოოპოზიციურ პარტიებთან, რომლებიც ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებასა და კავშირში არიან და მისი ინსტრუქციებით და მითითებებით მოქმედებენ.**

ჩემი აზრით, სწორედ ფსევდოოპოზიციური პარტიებია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის ყველაზე დამაბრკოლებელი და ხელისშემშლელი ძალა, რომელიც გადამწყვეტ მომენტში ხელისუფლების ყველაზე საიმედო მოკავშირედ და პარტნიორად გვევლინება.

სინამდვილეში სააკაშვილის ხელისუფლება ამ ფსევდოოპოზიციური ძალების მხრებზე დგას – ეს ძალები უქმნიან სააკაშვილის რეჟიმს დემოკრატიულობის ფონს დანარჩენი მსოფლიოს წინაშე და ფაქტობრივად ერთპარტიულ ქართულ პარლამენტს თავიანთი ფსევდოოპოზიციური მოღვაწეობით მრავალპარტიული პარლამენტის იმიჯს უქმნიან.

სწორედ მათ შეაქვთ განხეთქილება და არეულობა ჭეშმარიტად ოპოზიციური ძალების ნებისმიერ წამოწყებაში; ისინი ახშობენ, ანეიტრალებენ და კალაპოტს უცვლიან ხალხის საპროტესტო განწყობას.

**მე არ მოვერიდები მათ დასახელებას და ღიად ვაცხადებ: ვერ ვითანამშრომლებ „ქრისტიან-დემოკრატებთან“, „ლეიბორისტებთან“, „ახალ მემარჯვენეებთან“, „ედპ“-სთან, „ქართულ პარტიასთან“, თორთლაძის, დავითაიას პარტიებთან.**

„ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერის გიორგი თარგამაძის პოლიტიკური საქმიანობა უამრავ საეჭვო მომენტს შეიცავს, დაწყებული ასლან აბაშიძესთან მისი თანამშრომლობით, გაგრძელებული ბადრი პატარკაციშვილის მიმართ მის მიერ ჩადენილი ღალატით და დამთავრებული იმით, რომ ღალატის საფასურად ხელისუფლებამ თარგამაძეს პარტია შეუქმნა, დაუფინანსა და გაყალბების გზით პარლამენტში შეიყვანა.

**ხელისუფლების დაკვეთას ასრულებენ ზემოთნახსენები პარტიების ლიდერები შალვა ნათელაშვილი, დავით გამყრელიძე, ეროსი კიწმარიშვილი, ბაჩუკი ქარდავა.**

დიახ, მე ვერ ვითანამშრომლებ ამ ადამიანებთან, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ამ ფსევდოოპოზიციური პარტიების ზოგიერთ წევრთან ურთიერთობაზე დავთანხმდე, თუ ისინი საკუთარი პოლიტიკური წარსულის რევიზიას შეძლებენ.

არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა სოზარ სუბარზე, ადამიანზე, რომელსაც ომბუდსმენის საპასუხისმგებლო პოსტზე ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული და რომელსაც არაერთხელ დაუფიქსირებია მტკიცე პოზიცია ხელისუფლების თავნებობის წინააღმდეგ.

**დიდი გულისტკივილით და სინანულით ვამბობ, რომ სოზარ სუბარი აღმოჩნდა იქ, სადაც მისი ადგილი არ იყო.**

**თუ ბატონ სოზარს სურვილი ექნება ჩვენს პოლიტიკურ ორგანიზაციას შემოუერთდეს, მე ამას მხოლოდ მივესალმები.**

კიდევ ვიმეორებ, თანამშრომლობაზე უარს ვაცხადებ ზემოთ დასახელებულ ოპოზიციურ პარტიებთან და არა ამ პარტიების ცალკეულ კეთილსინდისიერ წევრებთან.

## მასმედია

**გამომდინარე იქედან, რომ ქართულ მედიასთან მიმართებაში ჩემს მიერ გაკეთებულმა განცხადებამ განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია, საჭიროდ ჩავთვალე აღნიშნულ საკითხზე რამდენიმე განმარტების გაკეთება.**

**სიმართლე მწარეა, მაგრამ თუ ჩვენ არ მივეჩვიეთ მისთვის თვალის გასწორებას, ეს ქვეყანა განწირულია მუდმივ შიშსა და სიცრუეში არსებობისთვის.**

მე ვეკითხები „მაესტროს“ ჟურნალისტებს და თუნდაც მის ადმინისტრაციასა თუ დამფუძნებლებს — როდესაც ტელევიზიას მართავს ფსევდოოპოზიციონერის ეროსი კიწმარიშვილის კომპანია, ადამიანის, რომელმაც სხვას რომ თავი დავანებოთ, მისივე აღიარებით 2008 წელს დღევანდელ ხელისუფლებასთან ერთად დაასამარა ხალხის რეალური არჩევანი, შეიძლება თუ არა რომ ვიღაცას ჰქონდეს ილუზია, რომ ასეთი ტიპის ადამიანი გახდება თავისუფალი სიტყვის გარანტი?

**მე კიდევ ერთხელ ვთავაზობ მათ:**

**მზად ვარ თქვენს წინაშე ავიღო ყველა ის ფინანსური ვალდებულება, რომელსაც ზემოთ აღნიშნული პირი, კაცმა არ იცის საიდან მოტანილი დაფინანსებით, ასრულებს (ან არ ასრულებს) თქვენს წინაშე;**

**გავაფორმო სარედაქციო დამოუკიდებლობის საგარანტიო ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ჟურნალისტის თავისუფლება, თუნდაც კრიტიკული დამოკიდებულება ჩემს პირად მოღვაწეობასთან დაკავშირებით;**

**დასაქმებული იქნება ყველა ქართველი ჟურნალისტი, რომლისთვისაც ძვირფასია თავისუფალი სიტყვა და პროფესიული ღირსება. ჩვენ ერთად შევუქმნათ მათ საშუალება, გათავისუფლდნენ ფსევდო-კეთილდღეობის მარწუხებიდან;**

**ერთად უნდა დავუბრუნოთ ხელისუფლება ხალხს და დავიწყოთ ეს მეოთხე ხელისუფლებით, ანუ თქვენით.**

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო „მაესტროს“ წამყვან ჟურნალისტს შალვა რამიშვილს.

შალვა, შენ როდესაც „დარდუბალას“ აკეთებდი, მე ჩემი ოჯახით პარიზში ვცხოვრობდი.

„დარდუბალას“ ყოველი გასვლა ეკრანზე ჩვენთვის იყო ნამდვილი დღესასწაული, ნიჭიერების, ტალანტის ნამდვილი ფეიერვერკი. შენ, მაშინ როგორც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის, ასევე მთელი საქართველოსთვის კუმირი იყავი, რომელმაც გასაოცარი ნიჭიერებით წარმოაჩინე ქვეყანაში არსებული დამყაყებულ-დაჭაობებული გარემო და ადამიანებს პირდაპირ უთხარი, რომ ამ ჭაობში ცხოვრება შეურაცხმყოფელია ადამიანის ღირსებისთვის.

**დღეს რა მოგივიდა, დღეს რა დაგემართა, შალვა? შენ, ასეთი ელვარე ნიჭით დაჯილდოვებული კაცი უნიჭოს როგორ ემსახურები? ნიჭი ღვთისაგან ბოძებული მადლია და შენ ამ მადლს უღირსთა და უკეთურთა სამსახურში როგორ ფლანგავ?**

შალვა, როგორ ვერ ხვდები, რომ შენს მიერ შექმნილი „დარდუბალას“ პერსონაჟებს დაემსგავსე თანდათან?

შენ ახლა ახალ „დარდუბალას“ უნდა ქმნიდე და ამ დროს სააკაშვილთან გარიგებული „მაესტროს“ მეპატრონეები დაგარბენინებენ აღმა-დაღმა ხელისბიჭივით.

**წამოდი შალვა და ახალი „დარდუბალას“ გადაღება დაიწყე, რომლის გამზადებული სიუჟეტი, ძველი „დარდუბალას“ სიუჟეტზე გაცილებით მძაფრი სიუჟეტი, ახალი ოდიოზური პერსონაჟებით, ცხოვრებამ მაგიდაზე დაგიდო, შენ კი მისი აღება გეზარება.**

**სახალხოდ გაძლევ სიტყვას, შენ დაიწყე ახალი „დარდუბალას“ გადაღება და მე დავაფინანსებ!**

და ბოლოს: ჟურნალისტთა შესანიშნავი კორპუსი მუშაობს „მაესტროში“, შესანიშნავი ახალგაზრდები არიან, ნიჭიერები, ლამაზები, განათლებულნი. მე მათ როგორც საკუთარ შვილებს ისე ვუყურებ და ძალიან განვიცდი იმ მდგომარეობას, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ.

ძალიან განვიცდი, რომ „მაესტროსთვის“ ცდება ეკა ბერიძე, ეს უაღრესად ნიჭიერი და ამასთან ერთად მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერებით გამორჩეული ჟურნალისტი.

**გამოსავალი ერთია: ერთად წამოდით ყველანი ამ ორსახოვანი თუ სამსახოვანი ტელევიზიიდან და თქვენი პროფესიით დასაქმების გარანტიას მე გაძლევთ!**

ახლა კი დავით აქუბარდიას მინდა მივმართო, როგორც მას ქართველი ხალხი სიყვარულით უწოდებს, ბატონ აქუს.

ბატონო დავით, მე მახსოვს თქვენი გადაცემა 30 ივნისს, როცა თქვენ ყური აუწიეთ და პოლიტიკურ ფარისევლობაში ამხილეთ „ქრისტიან-დემოკრატები“ და მამუკა კაციტაძე.

თქვენ მაშინ ბრწყინვალე იყავით, თქვენი არგუმენტები აბსოლუტურად დამაჯერებელი იყო, თქვენი პოზიცია აბსოლუტურად სწორი.

იმავე საღამოს თქვენ ეროსი კიწმარიშვილი გყავდათ სტუმრად და თუ პირველ გადაცემაში თქვენ ნამდვილად მოწოდების სიმაღლეზე იდექით, კიწმარიშვილთან საუბრისას საოცრად დათრგუნული, ყალბი, უნიათო ბრძანდებოდით და აშკარად გეტყობოდათ, რომ დაკვეთას ასრულებდით.

ბატონო დავით, თქვენ ერუდირებული, ანალიზის შესანიშნავი უნარის მქონე ჟურნალისტი ხართ, რომელმაც პროფესიონალურ დონეზე იცით ეკონომიკა, ისტორია, ლიტერატურა, ბრწყინვალედ ერკვევით პოლიტიკური ცხოვრების ლაბირინთებში, მაგრამ ხშირად ღალატობთ საკუთარ თავს, საკუთარ პრინციპებს და სხვადასხვა მოტივით და მიზეზით ფსევდოოპოზიციურ, ფსევდოობიექტურ სუბიექტებს აძლევთ ასპარეზს.

**ბატონო დავით, არ მინდა მე თქვენი „კავკასია“ — ნურც მომყიდით და ნურც მაჩუქებთ, მაგრამ თქვენ იყავით ობიექტური, მართალი და ობიექტური ოღონდ არა დღეგამოშვებით, არა ხანდახან, არამედ მთლიანად, მთელი 24 საათის განმავლობაში.**

ფინანსური პრობლემები გიშლით ხელს? არაფერი არ მინდა თქვენგან, ისე დაგეხმარებით, ოღონდ თქვენს თავისუფლებას და საკუთარ მრწამსს ნაძირლებზე ნუ გაყიდით.

ჩემი ამასწინანდელი განცხადება „კავკასიის“ თუ „მაესტროს“ ყიდვასთან დაკავშირებით ზოგმა არასწორად გაიგო.

**მე ჟურნალისტების ყიდვა კი არა, მათი გათავისუფლება მინდა იმ შეურაცხმყოფელი და შემოქმედებითი დამოუკიდებლობის შემზღუდველი ატმოსფეროსგან, რომელშიც დღეს მათ უწევთ მუშაობა.**

მასმედიის მისამართით გაკეთებული ჩემი განცხადების მიზანი იყო, საზოგადოებისთვის დამემტკიცებინა, რომ ამ ვითომ ოპოზიციურ ტელეარხებს სინამდვილეში სააკაშვილი აკონტროლებს და მისი დასტურის და ნებართვის გარეშე, ამ ტელეკომპანიის მესვეურებს რაიმე გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლიათ.

მე მიზანს მივაღწიე — ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა თავიანთი კომენტარებით ფაქტობრივად დაადასტურეს, რომ მათი ორგანიზაციების ნამდვილი მეპატრონე სააკაშვილია.

## ფსევდოობიექტურობა

**ფსევდოოპოზიციონერთა კვალდაკვალ უპრიანი იქნება თუ ფსევდოობიექტურობის იმ მავნე ზემოქმედებაზეც ვისაუბრებთ, რომელსაც ფსევდოობიექტურები ახდენენ საზოგადოებას ცხოვრებაზე.**

დღეს, როდესაც სიცრუის მანქანა მთელი ძალით მუშაობს ადამიანთა ტვინების გამორეცხვაზე და მოდელირებული ვირტუალური ფსევდორეალობის რეალობად და სინამდვილედ წარმოჩენაზე, ძნელია გაარჩიო ვინ ტყუის და ვინ ამბობს სიმართლეს!

**ხელისუფლების ძალისხმევით ეგრეთწოდებულ ექსპერტთა, პოლიტოლოგთა, ანალიტიკოსთა, სოციოლოგთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მობილური ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელიც ხელისუფლების მიერ დაწერილ სცენარს ახმოვანებს და უტიფრად ასაღებს შავს თეთრად და პირიქით.**

ჩვენ ამ ადამიანებს ყოველდღე ვუსმენთ ტელეეკრანებზე, ვკითხულობთ მათ წერილებს, ინტერვიუებს, რომელიც სიმართლის წარმოჩენას კი არა, სიმართლის მიჩქმალვას ემსახურება და ცხადია, ადამიანებს სწორი არჩევანის და სწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას უხშობს.

იმდენად მრავალრიცხოვანია ფსევდოობიექტურთა ჭრელი გუნდი, ყველა მათგანის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, თუმცა თავისი ნიჭიერებით გამორჩეულ რამდენიმე პიროვნებაზე მაინც შევჩერდები.

**პირველ რიგში მინდა დავასახელო ია ანთაძე, გამორჩეულად ნიჭიერი ქალბატონი, კარგი ანალიტიკოსი, რომელიც ეჭვი მაქვს რომ ზოგჯერ ძალიან ოსტატურად და შენიღბულად ემსახურება ხელისუფლების ინტერესებს.**

ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება, თუმცა ამჯერად მხოლოდ ერთზე შევჩერდები.

ია ანთაძემ ამას წინათ ყოველგვარი არგუმენტების გარეშე მე პრორუსულ ძალად, სააკაშვილი კი პროდასავლური ლიბერალური ღირებულებების აპოლოგეტად გამოაცხადა.

კი, ბატონო, ია ანთაძემ რაც უნდა ის მიწოდოს, არ მეწყინება, მაგრამ როგორ შეიძლება სააკაშვილში, რომელმაც ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა საქართველოში, ლიბერალობა და პროდასავლურობა დაინახო?

როცა გაქვს ავტორიტეტი, როცა საზოგადოება გიცნობს, როგორც კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ ჟურნალისტს და ასეთ დასკვნებს აკეთებ, ეს უკვე დანაშაულის ტოლფასი ქმედებაა.

**ნაკლები საფრთხის შემცველია, ვთქვათ, სოსო ცინცაძის პრიმიტიული და აბდაუბდა მოსაზრებები, რომლებსაც შეგიძლია ყურადღებაც კი არ მიაქციო, იმდენად სუსტი და ცალმხრივია მისი მსჯელობა, მაგრამ როცა ისეთი გონიერი და ანალიტიკური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, როგორიც რამაზ საყვარელიძეა, ზოგჯერ ორმაგი სტანდარტებით თამაშისკენ მიდრეკილებას ამჟღავნებს, ეს უკვე საგანგაშოა.**

ამასწინათ რამაზ საყვარელიძის და პაატა ზაქარეიშვილის პაექრობას ვუსმინე. პაატა ზაქარეიშვილი უდაოდ ინტელექტუალური და გონებაგამჭრიახი პოლიტიკოსი, ემოციური პიროვნებაა და თავის მოსაზრებებს ამ გადაცემის დროსაც ემოციურად გამოხატავდა, საყვარელიძე კი „ამშვიდებდა“: — ნუ ნერვიულობ, ნუ გეშინია, შენ ექიმთან ხარ“. ორჯერ გაუმეორა მან ზაქარეიშვილს ეს ფრაზა, რაც ხულიგნობას უფრო ჰგავს, ვიდრე ინტილიგენტის საქციელს.

ექსტაზში შესულმა რამაზმა ისიც კი თქვა, რომ ოპოზიციას იმდენივე მოეთხოვება, რამდენიც ხელისუფლებასო, რაზეც ზაქარეიშვილმა საკადრისი პასუხი გასცა.

ამდენი სიცრუისგან, ამდენი ტყუილისგან, ამდენი ფსიქოლოგიური ზეწოლის და ზემოქმედებისგან ჩვენი საზოგადოება შეიძლება მართლაც არის დაავადებული, მაგრამ მისი განკურნება მხოლოდ სიმართლით არის შესაძლებელი და არა ცინიზმით და ლამაზად შეფუთული სიცრუით.

დღეს დიდი სიმართლის თქმის დროა!

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მიშა, შენ ის მიშა ხარ, ხელისუფლებაში რომ მოხვედი და აღმაშენებლის საფლავზე დაიფიცე, რითაც საქართველოს მიანიშნე, რომ აღმაშენებლობას აპირებდი, მაგრამ დრო გავიდა და აღმაშენებლის ნაცვლად ბრეჟნევს დაემსგავსე, ბრეჟნევის ეპოქას მიუახლოვდი.

# «თქვენმა აგენტმა ჯერ არ იცის, რომ გაშიფრულია. ის ამას დღეს გაზეთებიდან გაიგებს. ის კარგი ფინანსისტია, წაიყვანეთ, გამოგადგებათ»

**◀ თუ გვინდა რომ ქვეყანა ამ ნახევრად მკვდრული მდგომარეობიდან, ამ შოკიდან გამოვიდეს, პირველ რიგში სიმართლე უნდა ვილაპარაკოთ და ვინც არ არის კახაბერი, კახაბერად არ უნდა გამოვაცხადოთ.**

### სახელისუფლო გუნდი

პირდაპირ მინდა განვაცხადო, სახელისუფლო გუნდთან და მის იდეოლოგებთან, ვინც სააკაშვილს ემსახურება, არანაირი პრეტენზია არ მაქვს, რადგან მათთან ყველაფერი გარკვეულია და აქედან გამომდინარე, ფსევდოპოზიციისგან განსხვავებით, მათი არჩევანი, მათი პოზიცია ღია და გამჭირვალეა.

**ყველას აქვს უფლება, უერთგულოს და მხარი დაუჭიროს მას, ვინც მოსწონს როგორც პოლიტიკოსი და როგორც ლიდერი. ამ ადამიანებს სააკაშვილი მოსწონთ, ის მათ პოლიტიკურ გემოვნებას ყოველმხრივ აკმაყოფილებს, გემოვნებაზე კი, როგორც იტყვიან, არ დავობენ. თუმცა ჩემი პირადი აზრით, სწორედ რომ გემოვნებაა მთავარი სადაო და საკამათო... დავით დარჩიაშვილი, ნუგზარ წიკლაური, აკაკი მინაშვილი, ხათუნა ოჩიაური, ზურაბ მელიქიშვილი, პალიკო კუბლაშვილი ამ ხელისუფლების გამოკვეთილი იდეოლოგები არიან.**

მართალია, ეს იდეოლოგია ხშირად დემაგოგიაში გადადის და პირადად ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, მაგრამ, როგორც ვთქვი, ეს მათი არჩევანია.

თავის დროზე სააკაშვილს ბევრი უჭერდა მხარს, მათგან ზოგმა კრიტიკულად გადახედა თავის პოზიციას და დროზე წამოვიდა მისი გუნდიდან, ზოგი კი დარჩა და დღემდე მასთანაა.

**მე მესმის ამ ადამიანების მდგომარეობისა. შეიძლება ზოგს გულით უნდოდეს სახელისუფლო გუნდის დატოვება, მაგრამ ეს არც ისე იოლად მისაღები გადაწყვეტილებაა.**

**ისინი ერთხელ გაკეთებული მცდარი არჩევანის მძევლები არიან და მე მათ უფრო თანაგრძნობით ვუყურებ. მე არ მაქვს მათ მიმართ აგრესიული განწყობა; ის კი არა რომელიმე მათგანმა თავისი პოლიტიკური მრწამსი და პოზიცია რომ შეიცვალოს, არ გამოვრიცხავ, მათთან თანამშრომლობის შესაძლებლობასაც... მე ხელისუფლებასთან ვაიგივებ სამ ტელეკომპანიას: „საზოგადოებრივ მაუწყებელს", „რუსთავი-2"-ს, „იმედს" და, რაც ზემოთ აღვნიშნე, ეს ამ ტელევიზიების თანამშრომლებსაც ეხებათ.**

ჩემთვის არ არის პიროვნების შეფასების კრიტერიუმები, ვინ მუშაობდა და ვინ მუშაობს სააკაშვილთან, ვინ მუშაობდა და ვინ მუშაობს სახელმწიფო სტრუქტურებში. გადამწყვეტი ეს არ არის, მთავარია, ადამიანი დროზე მიხვდეს ჩადენილ შეცდომებს და სიკეთისკენ გადადგას ნაბიჯი.

როგორც უკვე ვთქვი, საქართველოს დასაკარგი და მოსაკვეთი ადამიანები არ ჰყავს.

**რადგან სახელისუფლო გუნდზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე მინდა მივმართო მერაბიშვილს, რომელსაც ვიცნობ, როგორც კარგ მენეჯერს, კარგ ორგანიზატორს და ბევრი დადებითი თვისებების მქონე პიროვნებას.**

მერაბიშვილმა დიდი შრომის შედეგად მოახერხა და შექმნა გამართული სისტემა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახით. საპატრულო პოლიცია თუ სხვა ძალოვანი სტრუქტურული დანაყოფები, რომლებსაც ის სადამსჯელო, ჯალათური ფუნქცია რომ მოვაშოროთ, შეიძლება საზოგადოებისთვის ძალზე სასარგებლო როლი ითამაშონ.

მერაბიშვილი ხშირად მაოცებდა ხოლმე ეკონომიკის სფეროში საკმაოდ სერიოზული კომპეტენტურობით, თუმცა მეც ბევრჯერ გამიოცებია იგი ჩემი პროფესიიდან შორს მდგარი ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას.

საკმაოდ ბევრი ფაქტიდან მხოლოდ ერთს შევახსენებ ვანო მერაბიშვილს.

**გახსოვს ვანო, სააკაშვილმა დიდი ხვეწნის შემდეგ რომ დამიყოლია, ბოკერიასთან მივსულიყავი, რომ მისთვის გადამეფიქრებინა ქვეყნისთვის ერთი ძალიან სარისკო და საბედისწერო გადაწყვეტილების მიღება.**

ეს ხდებოდა 2008 წლის აგვისტომდე წელიწადნახევრით ადრე. მაშინაც იგივე სცენარი განიხილებოდა, რაც თქვენ 2008 წლის აგვისტოში განახორციელეთ.

ბოკერია დაჟინებით ითხოვდა ქართული ჯარების შეყვანას სამაჩაბლოში და იმედი ჰქონდა, რომ რუსი სამხედროები გაიწეოდნენ და ქართულ ჯარს ცხინვალში უომრად შეუშვებდნენ.

მე მაშინ შევძელი ბოკერია დამერწმუნებინა, რომ არ შეიძლებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა.

სააკაშვილთან ერთად შენც ესწრებოდი ამ შეხვედრას და მე მახსოვს შენი აღფრთოვანება, რომელსაც შენ გამოხატავდი ჩემი მისამართით. ორმოც წუთში ბოკერიას დავუმტკიცე, რომ ის, რის გაკეთებასაც ის გეგმავდა, წმინდა წყლის პროვოკაცია და ავანტიურა იყო. ბოკერიამ უკან დაიხია და დასახულ გეგმაზე უარი თქვა, მაგრამ უცებ სააკაშვილმა თქვა: — ხომ შეიძლება თვითონ რუსებმა შემოგვთავაზონ ამის გაკეთება, მაშინ რა ვქნათო?

— სანამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას არ გააკეთებს, რომც გაჩუქოთ ეს ტერიტორია, ხელი არ ახლოთ არაფერს მეთქი, — გავაფრთხილე.

**მაშინ კი შევძელი დროებით შემეჩერებინა ის საბედისწერო გადაწყვეტილება, მაგრამ მოგვიანებით მაინც იგივე სცენარით იმოქმედეთ და რა შედეგიც მივიღეთ 2008 წლის აგვისტოში, სახეზეა.**

ჩემო ვანო, ერთი ამბავიც მინდა გაგახსენო და ამით დავამთავრებ.

ვარდების რევოლუციიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, სააკაშვილი სპეციალურად ჩამოფრინდა ბობოყვათში ჩემთან შესახვედრად (მე იმ დროს ურეკში ვიყავი) და მითხრა, მერაბიშვილი უნდა გავუშვაო.

მე მაშინ ყველაფერი გავაკეთე, რომ სააკაშვილს შენი გაშვება გადაეფიქრებინა. მე ის დავარწმუნე, რომ შენ ბუნებით ერთგული კაცი ხარ, გონიერი ორგანიზატორი და წინდახედული მენეჯერი.

სააკაშვილმა მაშინ დამიჯერა და არც უნანია, რაც უდაოდ შენი დამსახურებაა. მე მისთვის არასოდეს არ მიმიცია ცუდი რჩევა; არც მისთვის, არც შენთვის.

ახლა კი კიდევ ერთი რჩევა მინდა მოგცე — **ურჩიე სააკაშვილს, რომ დროზე გადადგეს!**

**სააკაშვილი დაიღალა, გამოიფიტა და ქვეყანასაც და საკუთარ თავსაც უფსკრულისკენ მიაქანებს, შენ და შენი მასწავლებელი ადეიშვილი კი მას დათვურ სამსახურს უწევთ და ძალაუფლებას უნარჩუნებთ.**

ეს არ არის გამოსავალი, ეს არ შეიძლება მარადიულად გაგრძელდეს და ასე, ძალისმიერი მეთოდებით ძალაუფლების შენარჩუნების მცდელობა ერთ საბედისწერო დღეს შეიძლება დიდი კატასტროფით დამთავრდეს.

**ურჩიე სააკაშვილს, რომ გადადგეს! ეს არის ერთადერთი შანსი, რომ მას საკუთარ ქვეყანაში ცხოვრების საშუალება მისცეს.**

**თუ სააკაშვილი შენს რჩევას ყურად არ იღებს, მაშინ შენ თვითონ გადადექი, რადგან შენთვისაც ეს ყველაზე საუკეთესო გამოსავალია და ამით შენ დარჩები საქართველოში საპატივცემულო და ღირსეულ ადამიანად.**

მანამდე კი ერთ საიდუმლოს გაგიმხელ, ვანო!

**ვიცი, მთელი მთავრობა, მთელი სახელისუფლო გუნდი გაოგნებული ხართ, თუ რატომ გაიგეთ ასე დაგვიანებით ინფორმაცია ჩემი პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილების შესახებ.**

საქმე ის არის, მე ვისარგებლე ჩემს ორგანიზაციაში თქვენს მიერ დავერბოვკებული თქვენი აგენტის უფასო „მომსახურებით", რომელსაც პერიოდულად ვარწმუნებდი, რომ პოლიტიკაში არასოდეს არ მოვიდოდი, რომ ეს სფერო საერთოდ არ მაინტერესებდა და მალე საქართველოსაც დავტოვებდი. თქვენი აგენტიც იჯერებდა ჩემს ნათქვამს და მერე თქვენც გარწმუნებდათ, რომ ჩემი მხრიდან პოლიტიკაში მოსვლა გამორიცხულია. თქვენც მშვიდად და არხეინად ბრძანდებოდით. ამიტომაც იყო შოკის მომგვრელი და თავზარდამცემი ჩემი განცხადება თქვენთვის.

თქვენ ეს ადამიანი ახლა კი არა, სამი წლის წინათ გადაიბირეთ, ანუ მაშინ, როცა ჩვენს შორის ჯერ კიდევ ნორმალური ურთიერთობა იყო.

ასეთები ხართ თქვენ. ასეთი ზნე გაქვთ — დანდობა და სიყვარული არ იცით!

თქვენმა აგენტმა ჯერ არ იცის, რომ გაშიფრულია.

ის ამას დღეს, გაზეთებიდან გაიგებს.

ის კარგი ფინანსისტია, წაიყვანეთ, გამოგადგებათ.

„ქართუ ჯგუფის" პრეზიდენტზე, გიგა ჩრდილელზე, ვლაპარაკობდი...

თქვენთვის ამის გაგება დიდი დარტყმა იქნება, მაგრამ გაფრთხილებთ, ყველა თქვენი მცდელობა ჩვენს გარშემო ჯაშუშური ქსელის ხლართვისა, ზუსტად ისეთი კრახით დამთავრდება, როგორც ეს დამთავრდა.

**2008 წლის წაგებული ომიდან ორი-სამი თვის შემდეგ შემდეგ, როცა ქვეყანას დიდი არეულობა და ქაოსი ემუქრებოდა, მე თვითონ გავუგზავნე წერილი მიხეილ სააკაშვილს და ვურჩიე გადამდგარიყო.**

ქართველი ხალხი სულგრძელი, მიმტევებელი ხალხია და გაპატიებს, რაც შეგეშალა. გადადგომა შენ საშუალებას მოგცემს არა მარტო გააგრძელო შენს ქვეყანაში ცხოვრება, არამედ გააგრძელო პოლიტიკური საქმიანობაც, — ვწერდი სააკაშვილს.

**მიშა, შენ ის მიშა ხარ, ხელისუფლებაში რომ მოხვედი და აღმაშენებლის საფლავზე დაიფიცე, რითაც საქართველოს მიანიშნე, რომ აღმაშენებლობას აპირებდი, მაგრამ დრო გავიდა და აღმაშენებლის ნაცვლად ბრეჟნევს დაემსგავსე, ბრეჟნევის ეპოქას მიუახლოვდი.**

ამის დასტურია თუნდაც შენი ბოლო შეხვედრა თელაველებთან, სადაც დაქირავებული ტაშის დამკვრელები კახელების სახელით გიკრავდნენ ტაშს და — „მიშა! მიშას!" გაყვიროდნენ.

შენ და შენი გუნდი ქართველი კაცისთვის წმინდათაწმინდას, ეკლესიასაც კი შეეხეთ და მხცოვანი პატრიარქი, ეს ბრძენი ადამიანი უკიდურესად მძიმე სიტუაციაში ჩააყენეთ.

**იმის ნაცვლად, რომ დახმარებოდით პატრიარქს, ეკლესიის შიგნით სულმოკლე ადამიანების ძებნა და მათი მოქრთამვა და მოსყიდვა დაიწყეთ.**

**შეჩერდი, მიშა, შენ უფსკრულის პირას დგახარ და შეჩერდი!**

**მე შენთვის არასოდეს მომიცია ჩემი პირადი ინტერესებით ნაკარნახევი რჩევა და ახლაც ჩემი კი არა, შენი ინტერესებიდან გამომდინარე გეუბნები ამას – გადადექი!**

### რომელ პოლიტიკურ ძალებთან ვაპირებ თანამშრომლობას?

პირველ რიგში მინდა ვახსენო **„რესპუბლიკური პარტია"**, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და მრავალ ბატალიებში გამობრძმედილი პარტია, პოლიტიკური ბიოგრაფიის დიდი სტაჟით, შესაშური ინტელექტუალური რესურსით და ნათლად გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერებით.

**თანამედროვე ყაიდის საინტერესო და იმედისმომცემ პოლიტიკურ ორგანიზაციად ვთვლი პარტია „თავისუფალ დემოკრატებს", ხოლო მისი ლიდერი ირაკლი ალასანია ქართულ სინამდვილეში ერთ-ერთი წონადი და ანგარიშგასაწევი ფიგურაა. „რესპუბლიკელებისგან" განსხვავებით ირაკლი ალასანიასთან და მის პარტიასთან შეკითხვები არ მაქვს.**

ცხადია, ამ მიმართვაში ყველა იმ პოლიტიკოსს და პოლიტიკურ ორგანიზაციას ვერ ჩამოვთვლი, ვისთანაც თანამშრომლობას ვაპირებ.

უახლოეს ხანებში დრო ყველაფერს თავის ადგილას დაალაგებს და ჩვენი მომავალი პარტნიორების სიაც უფრო დაზუსტდება და დაკონკრეტდება.

**„რესპუბლიკურ პარტიასთან"** მართლაც დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებდი, მაგრამ ჩემდა გასაკვირად ჩემი განცხადების შემდეგ, „რესპუბლიკური პარტიის" რამდენიმე წევრმა ჩემს მიმართ ძალზე აგრესიული კომენტარები გააკეთა.

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ლევან ბერძენიშვილს მინდა ვკითხო:

იმ დროს, როდესაც ხელისუფლებამ „ალია-ჰოლდინგის" საშუალებით შემოგვიტია და ლაფის სროლა დაგვიწყო, ლევან ბერძენიშვილმა ორჭოფული პოზიცია დაიკავა და მრავალმნიშვნელოვანი ტონით განაცხადა, მე ვიცი, საიდან იშოვა ფული ივანიშვილმა და არ ამალაპარაკოთ ახლაო.

ჩვენ ამას მაშინვე გამოვეხმაურეთ და განმარტება მოგთხოვეთ, მაგრამ პასუხს თავი აარიდეთ.

თუ თქვენ მართლაც იცით კონკრეტული რამ, კეთილი ინებეთ და ღიად, საჯაროდ მითხარით, თუ არადა ამ არაფრისმთქმელ ნართაულებს თავი დაანებეთ, ბატონო ლევან!

**დიდ ბოდიშს ვიხდი, სამგზის ვიხდი ბოდიშს, მაგრამ აქვე მინდა ყველა ოპოზიციურ პარტიას დავუსვა ერთი საერთო და ყველასათვის სავალდებულო კითხვა: — რით არსებობთ თქვენ და საიდან იღებთ პარტიის შესანახ თანხებს, თუ ეს თანხები გაგაჩნიათ?**

**გულუხვ მეგობრებზე აქცენტის გაკეთება არ იკმარებს — ამ „არგუმენტს" ვერ მივიღებ!**

**ამ კითხვაზე პასუხი ჩემთვის უპირველესად მნიშვნელოვანია და სანამ ზუსტ ინფორმაციას არ მქნება, თანამშრომლობაც ვერ შედგება.**

### და ბოლოს, ისევ ჩემს შესახებ...

**არ მინდა ამ მიმართვის წაკითხვის შემდეგ საზოგადოებას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ, აი, მოვედი მე, ვიღაც უცოდველი კრავი და სხვებს განვიკითხავ და მორალს ვუკითხავ.**

არა, ეს ასე არ არის, მეც ბევრი შეცდომა დამიშვია და ბევრჯერ შემშლია, რაც ხმამაღლა მიღიარებია და საკუთარი თავი გამიკიცხავს.

**ჩვენ ყველანი თანაბარუფლებიანი და თანასწორი მოქალაქეები ვართ ამ ქვეყნისა და მე არასოდეს, ვიმეორებ, არასოდეს მიფიქრია, რომ მე ჩემი სიმდიდრით ვინმეზე, მატერიალურად თუნდაც ხელმოკლე ადამიანზე რაიმეთი მეტი ვარ.**

**არც ის მიფიქრია ოდესმე, რომ მე უფრო მეტ საქმეს ვაკეთებ ამ ქვეყნისთვის, ვიდრე უბრალო გლეხი, რომელიც ვაზს უვლის, კალატოზი, რომელიც აგურს აგურზე აწყობს, პოეტი, რომელიც ლექსს წერს, სპორტსმენი, რომელიც სპორტში მოღვაწეობს.**

მთავარია ყველამ ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოვავლინოთ და ბოლომდე დავიხარჯოთ საქვეყნო საქმისათვის.

მიმართვის დასაწყისში ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, **წასვლა მინდოდა აქედან და ჩემს გადაწყვეტილებას იმით ვხსნიდი, რომ პოლიტიკაში მოსვლით მე თვითონვე უარვყოფდი ჩემს მიერვე სავალდებულოდ მიჩნეულ ნორმას, რომ მე არასოდეს მოვალ პოლიტიკაში. და მეორე, ქართულ პრესაში გამოქვეყნდა „ვედომოსტში" დაბეჭდილი ინტერვიუს გაგრძელება, სადაც მე ჩამოვაყალიბე ჩემი დამოკიდებულება ქველმოქმედებასთან, რომელშიც ჩემი მსოფლმხედველობა იყო ასახული, პოლიტიკაში მოსვლით კი ამ მსოფლმხედველობას მთლიანად ვანგრევდი.**

მაგრამ დიდი სულიერი ჭიდილის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ვცდებოდი, აქედან კი ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი იმის აღიარებამდე, რომ რასაც აქამდე ვაკეთებდი, ზოგი რამ შეცდომა იყო.

მე ვაპირებ გამოვასწორო ეს შეცდომა და სრულიად ახლებური მიდგომით და პერსპექტივაზე ორიენტირებული გათვლებით ცხოვრება გავუადვილო საქართველოს თითოეულ მოქალაქეს.

შეცდომა იყო, მე ვიტყოდი, ღალატის ტოლფასი შეცდომა იყო, საქართველოდან წასვლა რომ დავაპირე. წასვლა ერთია, მაგრამ მერე რა პირით უნდა დაბრუნდე უკან, როცა შენს ქვეყანას იმ დროს მიატოვებ, როცა ძალიან უჭირს. როცა დაბრუნდები, დაგხვდება კი აქ ქვეყანა?

როგორც გითხარით, ჩემმა უახლოესმა ადამიანებმა დამარწმუნეს, რომ ვცდებოდი, თუმცა არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ ჩემი ოჯახიც, სხვა ქართული ოჯახებივით, ორი წლის განმავლობაში ჩურჩულით ველაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთის იმედით და თანადგომით შიში ვძლიეთ.

შიშის და ჩურჩულის დრო დამთავრდა – ახლა ხმამაღლა, მთელი ხმით, მთელი საქართველოს და მთელი მსოფლიოს გასაგონად ლაპარაკის დროა, რომ მთელ საქართველოს, მთელ მსოფლიოს მივაწვდინოთ ჩვენი სიმართლე.

**ჩვენ ერთად უნდა ავიხდინოთ „ქართული ოცნება" — ეს არის ერთიანი, მთლიანი, ძლიერი, სამართლიანი საქართველო!**

**მმართველი პარტიის გეგმები საპარლამენტო არჩევნებთან და ზოგადად მომავალთან დაკავშირებით სასწრაფო შეცვლას საჭიროებს, იგივე მის პარტნიორ ოპოზიციონერებს ეხება. ათიოდე დღის წინ ეს ადამიანები მშვიდად თვლემდნენ უღრუბლო ცის ქვეშ, ანაკლიის „ერთდღიანი ხიდის“ ეპიკურ ნანგრევებთან და უცაბედად ჰალსტუხების ლეჭვის ჟამი დაუდგათ.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილის «ტიტანიკი» ივანიშვილის აისბერგს შეეჯახა



**გასულ კვირას ქართული პოლიტიკური სივრცე ერთდროულად მოაგონებდა კარლ ბრიულოვის ტილოს „პომპეის უკანასკნელი დღე“, მხატვრულ ფილმ „ტიტანიკს“ მის დასკვნით ნაწილში, ლევ ტოლსტოის მიერ აღწერილ ობლონსკების სახლს, რომელშიც არა მხოლოდ ყველაფერი აირია, არამედ ცეცხლი წაუკიდეს და გასასვლელიც ჩარაზეს, ჰიროსიმასა და ფუკუსიმას ერთ ფლაკონში და ყოველივე ეს ბიძინა ივანიშვილის ერთადერთმა განცხადებამ გამოიწვია. ხომ წარმოგიდგენიათ, რა შედეგები მოჰყვება მის მომდევნო ნაბიჯებს? ფაქტია, ქართულ პოლიტიკაში კაი გვარიანი აპოკალიფსი დაიწყო.**

დროებით თავი დავანებოთ „ნაციონალური მოძრაობის“ რეაქციას, მის საპარლამენტო პუდელებს და არასაპარლამენტო პეკინესებს და შევეცადოთ, დავადგინოთ, რამდენად მოსალოდნელი იყო ივანიშვილის ნაბიჯი, შეიძლებოდა თუ არა მისი წინასწარ განჭვრეტა? საერთოდ, შეიძლება თუ არა რაიმე მოვლენა ერთდროულად მოსალოდნელიც იყოს და მოულოდნელიც?

ერთი შეხედვით, ეს აბსურდია, თუმცა „საქართველო და მსოფლიოს“ 29 ივნისის ნომერში ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ ლიბანელი მათემატიკოსის — ნასიმ თალების „შავი გედის“ თეორია; თალები თავის წიგნს შემდეგი ისტორიით იწყებს: ავსტრალიის აღმოჩენამდე მეცნიერები თვლიდნენ, რომ დედამიწაზე მხოლოდ თეთრი გედები არსებობდნენ, ამ აზრს ბუნებაზე დაკვირვება ამყარებდა. ავსტრალიური შავი გედის გამოჩენა მათთვის დიდი სიურპრიზი გახდა. თალები წერს, რომ ჩვენი ცოდნა და მასზე დაფუძნებული ვარაუდები უაღრესად მყიფე რამ არის და ერთ წამში შეიძლება განადგურდეს. ის გვთავაზობს, „შავი გედი“ ისეთ მოვლენას ვუწოდოთ, რომელსაც შემდეგი სამი ატრიბუტი გააჩნია: **ა) ის უჩვეულოა და მოლოდინების ზღვარს მიღმა მდებარეობს; ბ) მის მიერ გამოწვეული შედეგები ძალზე მასშტაბურია; გ) მსგავსი მოულოდნელი მოვლენებისთვის „უკანა რიცხვით“ ისეთ ახსნას ვეძებთ (და ვპოულობთ), რომელიც მას სავსებით ბუნებრივად და ლოგიკურად წარმოაჩენს.**

ივანიშვილის ნაბიჯის განხილვას სამივე პუნქტთან მიმართებაში მეტად საინტერესო დასკვნებამდე მივყავართ. ბევრი ომი, რევოლუცია, ფინანსური კატასტროფა თუ ტექნოლოგიური გარღვევა, რომელიც დღეს მოვლენთა განვითარების ლოგიკით განპირობებული გვგონია, იმ დროს, როდესაც ის მოხდა, სწორედ ასეთ, მოულოდნელად შემოფრენილ „შავ გედს“ წარმოადგენდა.

ერთი ციტატა იმ, 29 ივნისს გამოქვეყნებული, წერილიდან: **„ქართული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში, სავარაუდოდ, ჩამოყალიბდა უპრეცედენტო განწყობა, რომელსაც პირობითად შეიძლება „შავი გედის მოლოდინი“ ან სულაც „მოულოდნელის მოლოდინი“ ვუწოდოთ. ძველი იმედები, პოლიტიკური გათვლები, გაცვეთილ სტერეოტიპებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანწილად წარსულს ჩაბარდა, თუმცა იმის განცდა, რომ შექმნილი არანორმალური (თითქოსდა გამოუვალი) სიტუაცია არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, დარჩა.**

**ბევრი ადამიანი ელოდება იმას, რომ „მოხდება რაღაც“, რაც სიტუაციას საქართველოში ძირფესვიანად შეცვლის, თუმცა ვერ აყალიბებს, რა ფორმა ექნება ამ „რაღაცას“. გამორიცხული არაა, ამ მშფოთვარე მოლოდინმა ახლო მომავალში მართლაც შვას „შავი გედი“, რომელიც ძველ დოგმებზე დაფუძნებულ პროგნოზებსა და გათვლებს ნაცარტუტად აქცევს.**

ნებისმიერ შემთხვევაში, გამოცდილება, რომელიც ახლო წარსულში დავაგროვეთ, მომავალთან დაკავშირებით უნივერსალური დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას (და უფლებას) არ გვაძლევს. ხოლო ის, რომ დღეს სააკაშვილის ხელისუფლება საკუთარ მომავალს ოპტიმისტურად უყურებს, სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ ხსენებულ მომავალს ერთი მოზრდილი შავი გედი ძალიან სწრაფად უახლოვდება“. ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ გასულ კვირას ეს, ერთი შეხედვით უცნაური, პროგნოზი ახდა.

კიდევ კარგი, რომ ამ „ნავარაუდევმა მოულოდნელობამ“ ბიძინა ივანიშვილის სავსებით ცივილური განცხადების სახე მიიღო. ისეთი არანორმალური პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც საქართველოში გვაქვს, ბევრ სხვა ქვეყანაში შობდა ნაგიჟარ კომანდანტეს თავისი შეიარაღებული მომხრეებით და დეგრადირებული რეჟიმის შეცვლის პროცესი უაღრესად მტკივნეულ, სისხლიან სახეს შეიძენდა. **საქართველო, როგორც ჩანს, მეტად იღბლიანი ქვეყანაა, მას ყველაზე კრიტიკულ მომენტში, მშვიდობიანი რევოლუციის, თავგასული რეჟიმის უსისხლო შეცვლის შესაძლებლობა გაუჩნდა. მაგრამ ამ ფაქტის კონსტატაცია სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილი სკამის შენარჩუნებისთვის ყველაზე ველურ, ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს არ მიმართავს.** დაახლოებით ისეთი საჭადრაკო პარტია იქნება, კარპოვსა და კასპაროვს რომ ჰქონდათ ხოლმე, ოღონდაც — სკამების სროლით. **სულ მალე ქართული საზოგადოება იხილავს სააკაშვილის ხელისუფლებას ყოველგვარი ნიღბის გარეშე და, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რვა წლის განმავლობაში ბევრი რამ ნახა, ეს სურათი, სავარაუდოდ, შეძრავს მას.**

კონსპიროლოგიურ ვერსიებს იმის თაობაზე, რომ ივანიშვილი სააკაშვილს შეუთანხმდა, სერიოზულად რამდენიმე მიზეზის გამო ვერ განვიხილავთ: ა) არ ჩანს მოტივი, რომლის გამოც ივანიშვილი ამას გააკეთებდა; ბ) არ არსებობს ფაქტები, რომლებიც ამაზე მიუთითებს; გ) ის, რაც ივანიშვილის შესახებ საზოგადოებამ იცის, არანაირად არ მიანიშნებს იმაზე, რომ ის შეიძლება მსგავსი ტიპის გარიგებაზე წავიდეს. ამას შეგვიძლია კიდევ ერთი გარემოება მივუმატოთ: **ისტერია, რომელიც ბოლო დღეებში „ნაციონალური მოძრაობის“ რიგებში სუფევს, სავსებით გულწრფელი ჩანს და ერთობ მოაგონებს ქვითინს ლეონიდ გაიდაის ცნობილი კომედიიდან: „Все, что нажито непосильным трудом — все пропало. Пиджак замшевый — три штуки, магнитофон заграничный — три, портсигар золотой, отечественный... три портсигара“.** ხოლო მთავარი, რაც მათ დაკარგეს, სიმშვიდეა. **მმართველი პარტიის გეგმები საპარლამენტო არჩევნებთან და ზოგადად მომავალთან დაკავშირებით სასწრაფო შეცვლას საჭიროებს, იგივე მის პარტნიორ ოპოზიციონერებს ეხება. ათიოდე დღის წინ ეს ადამიანები მშვიდად თვლემდნენ უღრუბლო ცის ქვეშ, ანაკლიის „ერთდღიანი ხიდის“ ეპიკურ ნანგრევებთან და უცაბედად ჰალსტუხების ლეჭვის ჟამი დაუდგათ.**

ახლო მომავალში ჩვენ, ალბათ, ვიხილავთ სწრაფ გადაწყობას ბიპოლარულ მოდელზე, რადგან ოპოზიცია (აქ, ალბათ, უნდა ვიხმაროთ ძნელად გამოსათქმელი კონსტრუქცია „ივანიშვილამდელი ოპოზიცია“) **ძალზე სუსტია იმისთვის, რომ დამოუკიდებელი „მესამე პოლუსის“ როლი იტვირთოს. ის სცილასა და ქარიბდას შორის მოექცევა, თანაც ისე, რომ ხომალდის ბორტზე ოდისევსი არ ეყოლება. ზოგი ჩაიძირება, ზოგი კი ამოყვინთავს... მოკლედ, ხსოვნა-არდავიწყება იყოს, უფრო სწორად კი, ბედნიერი მგზავრობა ვუსურვოთ.**

დავუბრუნდეთ ეჭვნარევ კითხვებს, კერძოდ შემდეგს: **„სად იყო ივანიშვილი აქამდე, უფრო ადრე რატომ არ გამოჩნდა?“**. ეს, სავარაუდოდ, შემდეგი მიზეზების გამო მოხდა: **ა) ადრე ვაშინგტონი სააკაშვილის რეალურ კონკურენტს მთელი თავისი ძლიერებით დაუპირისპირდებოდა, დღეს კი სიტუაცია შეიცვალა; ბ) ხელისუფლებაში მოსვლის, უფრო ფართოდ კი, სისტემური ცვლილებების დაგეგმვას, დიდი დრო და შრომა სჭირდება. ეს არ არის ქუჩაში ჩაქუჩით სირბილი და ღრიალი „მიშა, მოვდივართ“; თავისი სირთულით მსგავსი გათვლები შეიძლება სამხედრო კამპანიის გეგმას შევადაროთ; გ) თუ სიტუაციას ემოციების გარეშე განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ივანიშვილმა პირველი (ხილული) ნაბიჯი პოლიტიკურ ასპარეზზე კარგად შერჩეულ მომენტში გადადგა, არც ნაადრევად და არც დაგვიანებით საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით; დ) გარკვეული დრო წაიღო მოსამზადებელმა სამუშაომ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და საინფორმაციო სივრცეში, მაგრამ ის თვალშისაცემი არ იყო. საერთოდ, როდესაც ივანიშვილის პროექტზე ვსაუბრობთ, აჯობებს, რომ აისბერგის ცნობილი მეტაფორა მოვიშველიოთ, მისი ნაწილი ზედაპირზე კი ჩანს, თუმცა ცხრა იმდენი დამკვირვებლის თვალისთვის დაფარულია.**

გასულ კვირას სოციოლოგებთან და პოლიტოლოგებთან საუბრებში საკმაოდ ბევრი დრო გავატარე. გამოითქვა უამრავი ვარაუდი იმაზე, თუ როგორ წარმართავენ მხარეები თავთავიანთ კამპანიებს, რა მანევრებს მიმართავენ და ა. შ. საბოლოოდ, ყველა ეს დისკუსია შემდეგი ვარაუდით დაგვირგვინდა: **თუ ბიძინა ივანიშვილი ფატალურ შეცდომებს არ დაუშვებს, ხოლო ხელისუფლება ტოტალურ გაყალბებას არ მიმართავს, „ივანიშვილის პარტიას“** (პირობითად ასე ვუწოდოთ) **არჩევნების მოგების ძალიან დიდი შანსი ექნება.** ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ სააკაშვილი ხელისუფლებას ავტომატურად დათმობს და, ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ივანიშვილის გეგმა“ ხელისუფლების შესაძლო „არაკონვენციურ“ მოქმედებებსაც ითვალისწინებს; სხვა შემთხვევაში, წარმატების მიღწევა მეტად სათუო გახდება. არადა, **ივანიშვილის მარცხი ხელისუფლების შეცვლის პერსპექტივას, სავარაუდოდ, ხანგრძლივი დროით მოსპობს; მომავალი ბიპოლარული მოდელის ნეგატიური მხარე სწორედ ეს არის, თუმცა რეალობას ვერ გავექცევით; წინასაარჩევნო გადაწყობა ორპოლუსიან მოდელზე, პრაქტიკულად, გარდაუვალი ჩანს. ეს ტრანსფორმაცია, პრინციპში, საპროტესტო ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილის სურვილსაც შეესაბამება.**

სამწუხაროდ, პოლიტიკური პროცესი საქართველოში იმ სტადიამდე მივიდა, როდესაც ბევრი ამომრჩეველი იძულებულია, ომის ლოგიკით იხელმძღვანელოს: „თეთრი და შავი“, „ჩვენიანი და მტერი“, „ან ჩვენ, ან ისინი“ და ა. შ. ამ კონტექსტში მცირე ნიუანსები და კითხვები „ივანიშვილმა ასე რატომ თქვა და არა ისე?“ ან „ქუდი რატომ არ ახურავს?“ ნაკლებად ადეკვატური ხდება; ბრძოლის ველზე რევერანსებით საუბრების დრო და საშუალება არ არის. ზოგადად, ეს სიტუაცია არანორმალურია, თუმცა სააკაშვილის წასვლამდე ამას, სავარაუდოდ, არაფერი ეშველება. თუ ივანიშვილი დაარწმუნებს საზოგადოებას, რომ ის სააკაშვილის შეურიგებელი მოწინააღმდეგეა, ალბათ, საპროტესტო ელექტორატის აბსოლუტურ უმრავლესობას აიყოლიებს. მითუმეტეს, რომ უნდობლობამ სხვა ოპოზიციური ძალების მიმართ პიკს მიაღწია (2008 წლის არჩევნებზე ასე არ იყო). მთავარი ამ ადამიანებისთვის რეჟიმის დასამარების მოულოდნელად გაჩენილი შესაძლებლობა იქნება, გამარჯვება, რომელიც ივანიშვილის გეგმამ და რესურსებმა შეიძლება მოუტანოთ.

**ივანიშვილის პირველი მიმართვა, სავარაუდოდ, ცოტა უფრო შორსმიმავალ მიზნებს ისახავდა, ვიდრე სააკაშვილის წინააღმდეგ ბანალური „სიძულვილის მობილიზაცია“ გახლავთ. ის შეიცავდა არცთუ ურიგოდ შეფუთულ გზავნილებს რამდენიმე მიზნობრივი ჯგუფის მიმართ. წარმოჩენილი იყო პოზიტიური პერსპექტივა (სოფლის მეურნეობის განვითარება, სამუშაო ადგილები, ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და ა. შ.), მოკლედ, რეალისტური, თუმცა დღემდე აუხდენელი „ქართული ოცნება“, სააკაშვილი კი ამ კონტექსტში განიხილებოდა როგორც დაბრკოლება, რომელიც ამომრჩეველსა და მის ოცნებას შორის დგას.** ეს, სტილისტურად ერთობ გაუმართავი, მიმართვა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, საკმაოდ კარგად იყო გააზრებული და მან, მარტივად რომ ვთქვათ, „იმუშავა“. ცხადია, ყოვლისმომცველი დასკვნების გაკეთება ჯერჯერობით ნაადრევია; ივანიშვილის კამპანიის ანალიზს გაცილებით მეტი დრო და ფაქტი დასჭირდება, თუმცა აქვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს პერიოდი მეტად საინტერესო, მოვლენები კი ფრიად მოულოდნელი იქნება.

იქამდე კი, ალბათ, ურიგო არ იქნება, ერთი ამოუცნობი ფენომენი გავშიფროთ და გავარკვიოთ, თუ რატომ მოაგონებს ბოლო დროს სააკაშვილის ავლაბრის რეზიდენცია საღამოს საათებში „ტიტანიკის“ დაუვიწყარ სილუეტს.



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეს იყო უამრავი ადამიანის ხანმოკლე, თუმცა დასამახსოვრებელი შეხება რეალობასთან, ისეთთან, როგორიც ის პარიზიდან ჩანს, და, როგორიც, სავარაუდოდ, სინამდვილეში არის. დაახლოებით ამ დროს ეკრანზე გამოჩნდა მიხეილ სააკაშვილის სახე იმ დაუვიწყარი, ძნელად აღსაწერი გამომეტყველებით.



# სარკოზიმ დაგვიბარა, ანუ ლობოტომია ისე არ მოდის...

**წაშლილი თუ შეშლილი? იმის აღსაწერად, თუ როგორი იყო მიხეილ სააკაშვილის სახე თავისუფლების მოედანზე პრეზიდენტ სარკოზის გამოსვლის დროს, ამ ორიდან, როგორც მინიმუმი, ერთ-ერთი ზედსართავის გამოყენება დაგვჭირდება. 7 ოქტომბერი სააკაშვილისთვის ძალიან მძიმე დღე გამოდგა. დილით უძლიერესი დარტყმა ბიძინა ივანიშვილმა მიაყენა, საღამოს კი ნიკოლა სარკოზიმ ბევრი ისეთი რამ თქვა, რის მოსმენაც სააკაშვილს, სავარაუდოდ, არამც და არამც არ სურდა. ორივე მოვლენა პირდაპირ მიუთითებდა იმაზე, რომ მალე სააკაშვილს რეალობაში დაბრუნება მოუწევს, ამჯერად, როგორც ჩანს, — საბოლოოდ; შესაძლოა, მათ შორის ამ გარემოების გაცნობიერებამ შვა ის უცნაური გამომეტყველება, რომელიც თავისუფლების მოედანზე ვიხილეთ.**

## გამარჯობა, რეალობავ, შენი...

**საერთოდ, ის, რაც საქართველოს ბოლო წლებში თავს დაატყდა, გარკვეული რაკურსით შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მიხეილ სააკაშვილის რეალობისგან გაქცევის ისტორია. ყოველივე ეს ერთობ მოაგონებს მარტინ სკორსეზეს ფსიქოლოგიურ თრილერს „Shutter Island“.** ამ ფილმის მთავარი გმირი ცდილობს, გაშიფროს უცნაური ფაქტები, შემდეგ კი მთელი შეთქმულება, რომელმაც ფესვები ერთ-ერთ კუნძულზე მდებარე ფსიქიატრიულ კლინიკაში გაიდგა. ის დაუცხრომლად იბრძვის და (მისი აზრით) გლობალური მასშტაბის ბოროტებას უპირისპირდება. ბოლოს აღმოჩნდება, რომ ის ხსენებული კლინიკის ერთ-ერთი პაციენტია, რომელიც რეალობას გაურბის და ყველაფერს აკეთებს, რათა სიმართლეს საკუთარი თავის შესახებ თვალი არ გაუსწოროს; ექიმები კი ამაოდ ცდილობენ, დაეხმარონ.

საერთოდ, სკორსეზეს ეს ნამუშევარი ნახვად ნამდვილად ღირს; მასში უამრავი, მათ შორის პოლიტიკური ქვეტექსტის აღმოჩენა შეიძლება. ამ ფილმში იყო ერთი ფსიქიატრი, რომელიც რბილ მეთოდებს ემხრობოდა, მაშინ, როდესაც მისი კოლეგები მიიჩნევდნენ, იმ მძიმე შემთხვევაში, ლობოტომიის გარდა, სხვა გამოსავალი არ არსებობდა. **საფრანგეთის პრეზიდენტის თბილისურ გამოსვლაში ნამდვილად იყო რაღაც ისეთი, რაც იმ ექიმის თერაპიულ საუბრებს მოაგონებდა.**

7 ოქტომბერს რეალობა მიხეილ სააკაშვილს ნიკოლა სარკოზის ხმით ესაუბრებოდა: **„საფრანგეთი რუსეთს თავის მეგობრად მიიჩნევს, მას სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავს, რადგან ჩვენი ბედი ურთიერთდაკავშირებულია. ჩვენ, ევროპელები და რუსები, ერთად უზრუნველვყოფთ ჩვენი ხალხების მზარდ კეთილდღეობას, ჩვენი კონტინენტის სტაბილურობას და გავაგრძელებთ მსოფლიოში გავლენის შენარჩუნებას ისე, რომ სხვებმა თავისი წესი არ მოგვახვიონ თავს. პარტნიორი და მეგობარი, — აი, რა უნდა იყოს ან კვლავაც გახდეს რუსეთი საქართველოსთვის“.**

საბიუჯეტო ორგანიზაციების ათასობით თანამშრომელმა, რომლებიც ხელისუფლებამ აიძულა, იმ დღეს თავისუფლების მოედანზე გამოცხადებულიყვნენ და სარკოზისთან შესახვედრად (ისინი, ფაქტობრივად, იქ მირეკა), საფრანგეთის პრეზიდენტის ეს განცხადება საკუთარი ყურით მოისმინა. **ეს იყო უამრავი ადამიანის ხანმოკლე, თუმცა დასამახსოვრებელი შეხება რეალობასთან, ისეთთან, როგორიც ის პარიზიდან ჩანს, და, როგორიც, სავარაუდოდ, სინამდვილეში არის. დაახლოებით ამ დროს ეკრანზე გამოჩნდა მიხეილ სააკაშვილის სახე იმ დაუვიწყარი, ძნელად აღსაწერი გამომეტყველებით.**

თავის გამოსვლაში, რომელიც სარკოზის მიმართვას წინ უძღოდა, სააკაშვილმა სცადა ურთიერთობები სამკუთხედში **„საქართველო-ევროპა-რუსეთი“** სულ სხვაგვარად წარმოეჩინა. მან საკმაოდ ვრცლად ისაუბრა იმაზე, რომ **„ჩვენი საბოლოო მიზანი ნათელია — ეს არის ევროპა“,** თუმცა არ დაუკონკრეტებია, თუ როგორ ევროპაზე საუბრობდა. ვინაიდან ორიოდე კვირის წინ სააკაშვილმა Fox News-ის ეთერში თქვა: **„ევროპა ამერიკის მიმართულებას გაჰყვება. ევროპას არ შეუძლია დამოუკიდებლად წარმატების მიღწევა“,** ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას აშშ-ის პროტექტორატის ქვეშ მყოფი ევროპა იზიდავს. აქედან გამომდინარე, **მისი სწრაფვა, ევროპულ სტრუქტურებში შეაღწიოს, ალბათ, უნდა განვიხილოთ, როგორც მოწადინება ევროპაში ვაშინგტონის „ტროას ცხენის“ როლი შეასრულოს. ასეთ მიდგომას ჯანსაღად, ცხადია, არავინ ჩათვლის, რაც საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს, სავარაუდოდ, კიდევ უფრო შეაფერხებს.**

შემდეგ სააკაშვილმა ნოე ჟორდანიას სიტყვები მოიყვანა: **„თქვენ იცით, რომ საქართველოსა და რუსეთის გზები ერთმანეთს დაშორდა. ჩვენს გზას ევროპაში მივყავართ, რუსეთის გზას კი — აზიაში. ბოლშევიზმის ჩვენში შემოშვება, აქ მისი გამეფება ნიშნავს თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს დასამარებას, ევროპისგან სამუდამო მოწყვეტას და დღეს ვაცხადებ, კიდევ უფრო მეტი ძალით და ენერგიით ჩვენ ვირჩევთ ევროპას და ევროპის დემოკრატიას“.** ალბათ, ურიგო არ იქნება იმის დადგენა, თუ რა თქვა სინამდვილეში ნოე ჟორდანიამ, რადგან სააკაშვილის პასაჟი მისი სიტყვების მეტად თავისუფალ კომპილაციას წარმოადგენს.



«სააკაშვილის სწრაფვა, ევროპულ სტრუქტურებში შეაღწიოს, ალბათ, უნდა განვიხილოთ, როგორც მოწადინება ევროპაში ვაშინგტონის „ტროას ცხენის“ როლი შეასრულოს. ასეთ მიდგომას ჯანსაღად, ცხადია, არავინ ჩათვლის, რაც საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს, სავარაუდოდ, კიდევ უფრო შეაფერხებს»

## ნოე ჟორდანიაც არ მოასვენა

ჟორდანიას ციტატების ავთენტურობის დადგენა შემდეგი მონაკვეთით დავიწყოთ: **„ბოლშევიზმის აქ შემოშვება, აქ მისი გამეფება ნიშნავს ჩვენს აზერბაიჯანად გახდომას,** — ბრძანებდა ჟორდანია, — **ბოლშევიკურ-ოსმალური იმპერიალიზმის საქართველოში გაბატონებას. აზერბაიჯანის გზაზე ჩვენი შედგომა, მისი პოლიტიკური მრწამსის მიღება, ეს თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს სამუდამო დასამარებაა, ევროპისგან სამუდამოდ მოწყვეტაა და აზიის ფანატიკოსების ბრჭყალებში ჩავარდნაა“.** ამ ციტატიდან, როგორც ჩანს, ჭარბი პოლიტკორექტულობიდან გამომდინარე, ამოვარდა აზერბაიჯანი, ოსმალეთი, აზიელი ფანატიკოსები და იმპერიალიზმი; ცარიელი ბოლშევიზმი და ევროპისგან მოწყვეტა-დასამარებაღა დარჩა.

მეორე მონაკვეთი, ჟორდანიას სხვა გამოსვლიდან კიდევ უფრო საინტერესოა: **„თქვენ იცით, რომ სამოკავშირო კავშირი შეგვთავაზა საბჭოთა რუსეთმა, ჩვენ გადაჭრით უარი ვუთხარით, ჩვენი პასუხი წაკითხული გექნებათ. რას ნიშნავს ეს კავშირი? ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კავშირი გავწყვიტოთ ევროპასთან, როგორც მათ აქვთ ეს კავშირი გაწყვეტილი, და პირი ვიბრუნოთ აღმოსავლეთისკენ, სადაც ისინი ახალ მოკავშირეებს ეძებენ. დასავლეთი თუ აღმოსავლეთი — აი, ეს კითხვაა ჩვენ წინაშე დასმული და აქ ყოყმანი შეუძლებელია;** ▶

---

მოკლედ

## ვენესუელა მოსკოვისგან 4 მილიარდ დოლარს სესხულობს

**რუსეთმა და ვენესუელამ ხელი მოაწერს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც კარაკასი სამხედრო ტექნიკის გასაუმჯობესებლად მომდევნო ორი წლის განმავლობაში 4 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის სესხს მიიღებს.** გავრცელებული ცნობით, ზემოხსენებული საქმის დეტალების დასადგენად, უახლოეს მომავალში მოსკოვს ვენესუელის ფინანსთა მინისტრი ეწვევა.

## რუსულ-ქართული მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა

**მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების შესახებ რუსულ-ქართული მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა.** ძირითადი საკითხი, რაზეც მხარეები ვერ შეთანხმდნენ, იყო ის, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ვაჭრობის შესახებ ინფორმაციის საქართველოსთვის ხელმისაწვდომობას არ დათანხმდა. რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელი მაქსიმ მედვედკოვი აცხადებს, რომ საქართველოს მიერ წამოყენებული მოთხოვნები მსო-ს პასუხისმგებლობის საზღვრებს სცდება. ერთადერთი, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ, ისაა, რომ მოლაპარაკებები 17 ოქტომბერს განახლდება.

## პოლიტიკა

**საფრანგეთის პრეზიდენტი ჩამოვიდა და მოგვიწოდა, რუსეთს შევურიგდეთ. მან მკაფიოდ მიანიშნა, რომ პარიზსა და მოსკოვს შორის არ არსებობს გადაულახავი წინააღმდეგობები, რომელთა გამოყენებას სააკაშვილი შეძლებს. ალბათ, თავისუფლების მოედანზე ბარაკ ობამაც უნდა გამოვიდეს და დაახლოებით იგივე გაიმეოროს, რათა სააკაშვილის ხელისუფლება ბოლოს და ბოლოს მიხვდეს, რომ ფსონი რუსეთ-დასავლეთის დაჯახებაზე ყოვლად უპერსპექტივოა, საშიშია და მას ალტერნატიული სტრატეგიის შემუშავება სჭირდება.**



**«იმ გზის გამეორება, რომელიც საფრანგეთმა და გერმანიამ II მსოფლიო ომიდან დღემდე გაიარეს, საქართველოსა და რუსეთს, სავარაუდოდ, ინტეგრაციის ისეთ სტადიამდე მიიყვანს, როგორიცაა „ერთიანი ეკონომიკური სივრცე“ ან „ევრაზიული კავშირი“, რომლის შექმნას ვლადიმერ პუტინი გეგმავს»**

**◀ ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს და, თუ ბოლშევიკები აღმოსავლეთს ებღაუჭებიან, ეს იმიტომ, რომ დასავლეთმა მათ უარი უთხრა კავშირზე და ცნობაზე. როგორც ხედავთ, საქართველოს და რუსეთის გზები აქაც გაიყარა, ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ, რუსეთის კი — აზიისაკენ. ვიცი, მტრები აყვირდებიან, — იმპერიალისტებს ემხრობითო, ამიტომ გადაჭრით უნდა ვსთქვა: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“** (სტენოგრამის მიხედვით, ჟორდანიას ამ სიტყვებს დამფუძნებელი კრება ხანგრძლივი ტაშით შეხვდა).

**როგორც ვხედავთ, სააკაშვილმა ჟორდანიას სიტყვები არა მხოლოდ ჩაასწორა, არამედ მისი აზრი დაასაჭურისა. რომელი ევროპული დემოკრატია?**

**საუბარია არჩევანზე ცუდსა და უარესს შორის, როდესაც ჟორდანია იძულებულია, „დასავლელ იმპერიალისტებს“ მიემხროს;** მომდევნო ფრაზაშივე ჟორდანია იმპერიალისტებს ირიბად მაინც გადასწვდა და „მუშა-ხალხზე“ საუბრისას თქვა: **„ის სიმდიდრე, რაც მან შექმნა იმპერიალისტების ხელმძღვანელობით, უნდა გადავიდეს მის სრულ განკარგულებაში“.**

თუმცა აქ სხვა რამ არის მთავარი: ჟორდანიას მიხედვით, საბჭოთა რუსეთი მოკავშირეებს აღმოსავლეთში ეძებს, იმიტომ, რომ დასავლეთი მათ „კავშირსა და ცნობაზე“ უარს ეუბნება. **დღეს სხვა სიტუაციაა, დასავლეთი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რუსეთმა პირი აღმოსავლეთისკენ არ იბრუნოს და ჩინეთის მოკავშირე არ გახდეს. სარკოზი თავის გამოსვლაში კიდევ უფრო შორს წავიდა, როდესაც თქვა, რომ ევროპელები და რუსები, კონტინენტზე სტაბილურობას და მსოფლიოში გავლენას შეინარჩუნებენ,** იქვე დაამატა: **„ისე, რომ სხვებმა თავისი წესი არ მოგვახვიონ თავს“.** ალბათ, გლობუსზე დახედვაც კი არ არის საჭირო იმის დასადგენად, თუ ვის გულისხმობდა სარკოზი „სხვებში“; ის, სავარაუდოდ, ჰონდურასსა და ფიჯიზე არ მიანიშნებდა. საერთოდ, სარკოზის გამოსვლის ამ ნაწილის მოკლე შინაარსი შარლ დე გოლის ცნობილ ფრაზაში თავსდება: **„ევროპა ატლანტიკიდან ურალამდე — ეს არის მთელი ევროპა, რომელიც მსოფლიოს ბედს წყვეტს“.**

ჟორდანიას მმართველობის წლებში საბჭოთა რუსეთსა და იმავე საფრანგეთს შორის იდეოლოგიური უფსკრული არსებობდა. დასავლეთი კომუნიზმის გავრცელებას უფრთხოდა და მოსკოვის იზოლაციის ტაქტიკას მიმართავდა. მაგრამ, როგორც კი გერმანიამ გაძლიერება დაიწყო, საფრანგეთმა კრემლთან ჯერ თავდაუსხმელობის, შემდეგ კი ურთიერთდახმარების პაქტი გააფორმა. 1945-ში Daily Mirror-ი წერდა, რომ ამ უკანასკნელ, 1935-ში (ანუ, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტზე ხელმოწერამდე 4 წლით ადრე) ხელმოწერილ პაქტში იყო საიდუმლო მუხლი, რომელიც საბჭოელების — აღმოსავლეთით, ფრანგების კი დასავლეთით მოქმედების თავისუფლებას აღიარებდა. პარიზი და მოსკოვი ამ მუხლის არსებობას კატეგორიულად უარყოფდნენ, თუმცა მთავარი სხვა რამ არის: **ჯერ კიდევ კომუნიზმის აღზევების პერიოდში, საფრანგეთი არ (და ვერ) განიხილავდა ფორმულას „ყველა მინუს რუსეთი“ ან „ევროპა მინუს რუსეთი“, ასეა დღესაც, მითუმეტეს, კრემლში კომუნისტები აღარ სხედან.**

**ცხადია, პარიზი სერიოზულად ვერ მოეკიდება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „რუსეთის გზა აზიაში მიდის“, რომელიც ნოე ჟორდანიას დაჩეხილ, კონტექსტიდან ამოგლეჯილ ციტატებს ეფუძნება. დღეს სარკოზი გვთავაზობს, განვიხილოთ რუსეთი როგორც კონტინენტური უსაფრთხოების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი და მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობები დავამყაროთ; სხვა ვარიანტი პარიზისთვის მიუღებელი ჩანს.**

ნოე ჟორდანია სუსტი პოლიტიკოსი იყო, რომელმაც უამრავი საყვედური დაიმსახურა, თუმცა მისი გამოსვლები სააკაშვილის „რეჩებზე“ უფრო საინტერესოა, მათ უკან გაცილებით მეტი ფიქრი და ღირსება დგას. შევადაროთ სააკაშვილის ინფანტილური კომენტარი სარკოზის ვიზიტის შემდეგ: **„დღეს საფრანგეთმა საქართველო იშვილა ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაციის საკითხში“** და ჟორდანიას შემდეგი სიტყვები: **„ახალი საქართველო წარსდგა ევროპის წინაშე მსჯავრის მისაღებად. წარვსდექით არა მოწყალებისთვის, არამედ უფლებისათვის. და მათ გვკითხეს — რა მოგაქვთ? ჩვენ ვუპასუხეთ: მოგვაქვს ორი ათასი წლის კულტურა, ბუნებით მდიდარი და მშვენიერი ქვეყანა, მოგვაქვს უაღრესი დემოკრატიული წყობილება, დემოკრატიული შემოქმედება და მოვითხოვთ შესაფერ ადგილს აზიის ყურეში. ჩვენ არ ვართ სამანდატო, საოპეკუნო ხალხი, ჩვენ ვართ ჩვენი თავის მანდატორი, ჩვენი ოპეკუნი, თავისი თავის ბატონი“.** ალბათ, აჯობებს, ციტირება შევწყვიტოთ, რადგან „შვილობილი“, ასე ვთქვათ, მზრუნველობამოკლებული სააკაშვილის ხელისუფლების წამომადგენლებისთვის ასეთი პოზიცია, სავარაუდოდ, ყოვლად გაუგებარია.

### ლობოტომია ისე არ მოდის...

**სარკოზის გამოსვლაში ბევრი მონაკვეთი იყო ისეთი, რომლებიც სახელისუფლო პროპაგანდამ „უპრეცედენტო მხარდაჭერად“ შეაფასა, თუმცა სტრატეგიული მნიშვნელობის ერთადერთ გზავნილს, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, ის, პრაქტიკულად, არ შეხებია. ეს მისი მხრიდან, ალბათ, ლოგიკური იყო, რადგან სარკოზის გამოსვლის ჩაძიება მეტად ორაზროვან ქვეტექსტებამდეც მიიყვანდა.**

საფრანგეთის პრეზიდენტმა, მაგალითად, ისაუბრა არჩევანზე, რომელიც **„საფრანგეთმა და გერმანიამ 1945 წელს სამი დამანგრეველი კონფლიქტის შემდეგ გააკეთეს. მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნების მეხსიერებაში ომის მოგონებები ღრმად იყო ჩაბეჭდილი, ორმა შორსმჭვრეტელმა ადამიანმა, შარლ დე გოლმა და კონრად ადენაუერმა, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი კონფლიქტის ნანგრევებზე თავისი ხალხები შერიგების გზაზე დააყენეს. დღეს საფრანგეთისა და გერმანიის მეგობრობა გულწრფელი და მტკიცეა. ეს მეგობრობა სწორედ ევროკავშირის მამოძრავებელი ძალა. საქართველოსა და რუსეთს მოვუწოდებ, დაადგნენ ამავე გზას, რადგან არც კავკასიაში და არც არსად სხვაგან დაპირისპირება ბედისწერა არ არის“.**

**იმ გზის გამეორება, რომელიც საფრანგეთმა და გერმანიამ II მსოფლიო ომიდან დღემდე გაიარეს, საქართველოსა და რუსეთს, სავარაუდოდ, ინტეგრაციის ისეთ სტადიამდე მიიყვანს, როგორიცაა „ერთიანი ეკონომიკური სივრცე“ ან „ევრაზიული კავშირი“, რომლის შექმნას ვლადიმერ პუტინი გეგმავს.** მან კი გასულ კვირას Известия-ში გამოქვეყნებულ წერილში შემდეგი რამ დაწერა: **„ევროპელებს 40 წელი დასჭირდა იმისთვის, რომ „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებიდან“ სრულყოფილ ევროკავშირამდე მისულიყვნენ. საბაჟო კავშირი და ერთიანი ეკონომიკური სივრცე გაცილებით დინამიურად ყალიბდება, რადგან ევროკავშირისა და სხვა გაერთიანებების გამოცდილებას ითვალისწინებს“.** პუტინი, სავარაუდოდ, შეეცდება, ინტეგრაციას პოსტსაბჭოთა სივრცეში ხელი მაქსიმალურად შეუწყოს, რათა მისი მმართველობის დასრულებისთვის პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღოს. ამ დროს თბილისში ჩამოდის ნიკოლა სარკოზი და საქართველოსა და რუსეთს, საფრანგეთ-გერმანიის გზის გამეორებას სთავაზობს; ეს გზა კი არა მხოლოდ შერიგებას, არამედ მიზანმიმართულ, შეგნებულ ინტეგრაციას გულისხმობს.

თუმცა ჩავთვალოთ, რომ მსგავსი ქვეტექსტი სარკოზის გამოსვლაში საერთოდ არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ განხილული პარალელი, ფაქტობრივად, ზედაპირზე დევს და ყოველივე მაქსიმალურად გავამარტივოთ: **საფრანგეთის პრეზიდენტი ჩამოვიდა და მოგვიწოდა, რუსეთს შევურიგდეთ. მან მკაფიოდ მიანიშნა, რომ პარიზსა და მოსკოვს შორის არ არსებობს გადაულახავი წინააღმდეგობები, რომელთა გამოყენებას სააკაშვილი შეძლებს. ალბათ, თავისუფლების მოედანზე ბარაკ ობამაც უნდა გამოვიდეს და დაახლოებით იგივე გაიმეოროს, რათა სააკაშვილის ხელისუფლება ბოლოს და ბოლოს მიხვდეს, რომ ფსონი რუსეთ-დასავლეთის დაჯახებაზე ყოვლად უპერსპექტივოა, საშიშია და მას ალტერნატიული სტრატეგიის შემუშავება სჭირდება.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევე, როგორც მარტინ სკორსეზეს ფილმში „Shutter Island“, შედარებით უწყინარი მეთოდების მომხრე ექიმების ადგილს ლობოტომიის მოყვარული სპეციალისტები დაიკავებენ (განსაკუთრებით დამაჯერებლად ამ როლის შესრულება ამერიკელ პარტნიორებს შეუძლიათ).

ეს, ალბათ, სააკაშვილის ერთ-ერთი ბოლო შესაძლებლობაა, რეალობას თვალი გაუსწოროს, თუმცა, 99%-იანი ალბათობით, ამ შანსს არ ან ვერ გამოიყენებს.

**დიმიტრი მონიავა**



**«დღეს სარკოზი გვთავაზობს, განვიხილოთ რუსეთი როგორც კონტინენტური უსაფრთხოების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი და მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობები დავამყაროთ; სხვა ვარიანტი პარიზისთვის მიუღებელი ჩანს»**

## ნიკოლა სარკოზი: თურქეთმა სომხების გენოციდი უნდა აღიაროს

**საფრანგეთის პრეზიდენტის — ნიკოლა სარკოზის განცხადებით, თურქეთმა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში განხორციელებულ სომხების გენოციდზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს.** ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა სომხეთში ვიზიტისას განაცხადა. მისი თქმით, გენოციდის კოლექტიური უარყოფა მიუღებელია. ეს თურქეთის ისტორიის ნაწილია და მათ ეს უნდა აღიარონ. თურქეთი უარს ამბობს სომხების მასობრივი გენოციდის აღიარებაზე და აცხადებს, რომ ისინი პირველი მსოფლიო ომის მსხვერპლნი გახდნენ.

## ავღანეთში ნატოს თვითმფრინავი ჩამოვარდა

**ავღანეთში ნატოს უპილოტო-მზვერავი თვითმფრინავი ჩამოვარდა. ინციდენტი ავღანეთის პროვინცია კუნდუზში მოხდა.** კატასტროფის მიზეზად ბორტზე გაჩენილი ტექნიკური უწესრიგებობები ცხადდება, თუმცა „თალიბანის“ წარმომადგენლები თვითმფრინავის ჩამოვარდნის სხვა მიზეზს ასახელებენ. მოძრაობის პრესსამსახურის უფროსი ზაბიულა მოჯაჰედი მედიასთან საუბარში აცხადებს, რომ საჰაერო სამიზნე ხმელეთიდან მოძრაობის ბოევიკებმა ჩამოაგდეს.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ნეტარხსენებულმა ბერმა ერთ-ერთ ჩვენს უდაბნოში ფილაქანზე ამოკვეთა — „იდექი მკვიდრად და ურყევლად“.
ჭაბუა ამირეჯიბი



# ჭაბუა ამირეჯიბი: ეს ხელისუფლება მკვლელი მთავრობის სახელს ვერსად გაექცევა

**ჭაბუა ამირეჯიბისადმი მიძღვნილ უამრავ წერილში, ესეში, რეცენზიაში, მისთვის ჩამორთმეულ ინტერვიუებში მთავარი სიტყვა, ჩემი დაკვირვებით, არის გენიოსი, გენიალური. ასეა და იმიტომ. ასე რომაა, იმიტომ ვითრევდი ფეხს და, როცა მეგობრებთან ერთად მივედი, მომიტევეთ-მეთქი, ბატონო ჭაბუა, ჩემი ოკრო-ბოკრო შეკითხვები, ვთხოვე.**

## «გამუდმებულ შიშსა და მონობას გამუდმებული სიფრთხილე გერჩივნოთ»

თბილი, ძალიან თბილი ღიმილი გადაეფინა სახეზე — ჭაბუას ღიმილი.

თეთრი დაფა მოიმარჯვა (ტაბულა რაზა) და მარკერი.

მზად ვარო.

ვერეს ხეობაში, ზედ მდინარის პირას აგებული „ხრუშჩოვკის“ მეცხრე სართულზე ცხოვრობს. ოჯახითურთ.

წიგნები, წიგნები, წიგნები, როგორც კრებული მსოფლიო ლიტერატურის ნაირფეროვნების, და ცენტრში — ბატონი ჭაბუა — ბიბლიური ხატება.

მაღალი სულიერებისა და კომუნალური სიმწირის — თაგვი კუდს ვერ მოიქნევს — შეუთავსებლის შეთავსებული ალოგიკურობა.

ამაოდ შეუთავაზებია სრულიად საქართველოს-პატრიარქს ილია II-ს ბატონ ჭაბუასთვის საპატრიარქოში, შეუდარებლად უკეთეს პირობებში, საცხოვრებლად გადასვლა.

უარი უთქვამს.

**— ამ სივიწროვეში მშვიდ ცხოვრებას როგორ ეგუება გორა მბორგალი?**

— მშვიდი ცხოვრება არასოდეს მქონია. არც ახლა მაქვს. მძაფრი ცხოვრება ღვთივ ბოძებული ჩემი ხვედრია.

**— ღვთივ ბოძებული ეს ხვედრი დღეს თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში აისახება?**



— და ჩემს ინტერვიუებშიც.

**(მიმანიშნა: თქვენი — ჟურნალისტების ხელში მშვიდი ცხოვრება არ მიწერიაო).**

**— გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გამოაქვეყნეთ წერილი „რა ხდება, რა გვსურს“, რომელშიც პუნქტობრივად ჩამოაყალიბეთ თქვენი შეხედულება თანამედროვე სახელმწიფოდ საქართველოს მშენებლობის თაობაზე. ერთგვარი პროგრამა იყო ის პუბლიკაცია: ეკონომიკურად ძლიერი, სულიერად ლაღი, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის პროგრამა ქვეყნისა, სადაც დაცული იქნებოდა ადამიანის ყველა უფლება, სიცოცხლის უფლებიდან დაწყებული.**

**ძალაში ტოვებთ თქვენს იმდროინდელ პოზიციას?**

— იმ დროიდან პოზიცია არ შემიცვლია.

**— აშენებს ისეთ ქვეყანას ხელისუფლება?**

— რაც შეეხება ჩვენს ხელმძღვანელობას, გეტყვით, რომ მომავალში ეს ხელისუფლება მკვლელი მთავრობის სახელს ვერსად გაექცევა.

მისი პოლიტიკა ფასადურია, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. იშლება ყველაფერი, როგორც უნიჭოდ აგებული „პოტიომკინის სოფლები“.

მთავრობა ისეთს ვერაფერს აკეთებს, რაც ნაწილობრივ მაინც გაამართლებდა მას ხალხის თვალში.

**— რა ვიცი, ახლახან პოლიციის მორიგი „ბროლის სასახლის“ საზეიმოდ გახსნისას შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ბავშვები აქ გასართობად მოვლენო... ალბათ, იმიტომ, რომ ქვეყანაში ყველაფერი დალაგებულია.**

**არადა, პრობლემები — პოლიტიკური, ტერიტორიული, სოციალური, ეკონომიკური თავზე საყრელია.**

— ამ საკითხების გადაჭრა, უპირველეს ყოვლისა, მიხეილ სააკაშვილს ეკისრება, როგორც პრეზიდენტს. თუ შეძლებს ამ ამოცანების დაძლევას, უპირველესად კი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ეროვნული გმირის სახელს დაიმკვიდრებს, თუ ვერა — ნაცარქექიას წოდება განაღდებული აქვს, უარესი რამ თუ არ შეარქვა ხალხმა.

ჯერ კიდევ 2008 წელს განვაცხადე: „როგორც არ უნდა ვუტრიალოთ ქართველი ერის წინაშე არსებულ პრობლემატიკას, მისი გადაწყვეტა მიხეილ სააკაშვილის მოვალეობაა. ეს ფუნქცია მან ნებაყოფლობით იდო თავს და პასუხისმგებლობას სხვას ვერავის დააკისრებს“ (გაზეთი „საწუთრო“, №2, 2008 წელი).

**— ადრინდელ ჩანაწერებში მითითებული გაქვთ: „პოლიტიკური ბელადების ორი ტიპი ვიცი. ერთნი — ყოველ უსულო საგანშიც კი მათი ძვირფასი სიცოცხლის საშიშროებას ხედავენ... მეორენი — ვინც თავისი სიცოცხლის მოწოდებად ერისა და სამშობლოსთვის სამსახურს მიიჩნევენ“.**

**ამ ორიდან დღეს რომელს ხედავთ საქართველოს მართვის სათავეში?**

— სათავე მრავალრიცხოვანია და, ამდენად, არავის ძალუძს, კონკრეტულად დაასახელოს, თუ რომელი ნაწილი ან სახელდობრ ვინ მიიჩნევა მოთამაშედ თუ პირუთვნელ მამულიშვილად. ისტორიული ვითარება განაპირობებს, თუ ვინ როგორია ცალკეულად აღებულ მომენტში, მითუმეტეს, რომ პოლიტიკოსი, უმრავლეს შემთხვევაში, იქცევა ისე, როგორც მისი პირადი თუ პარტიული მიზანი მოითხოვს.

**— 70-ზე მეტი წლის წინათ, თქვენ — ჭაბუა ამირეჯიბი მოხალისედ წახვედით დიდ ომში. მალევე დაგაბრუნეს, როგორც რეპრესირებული მშობლების შვილი.**

**გაგასამართლეს ბრალდებით — შეიარაღებული აჯანყების მცდელობა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.**

**„ერთი წუთით რომ დაბრუნდეს ის სიჭაბუკე“, დღევანდელ ვითარებაში წახვიდოდით ომში?**

— დღევანდელი ვითარება მაგ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ვერ ივარგებს. რა თქმა უნდა, ომში მოხალისედ არ წავიდოდი.

**— ამბოხდებოდით?**

— არა მგონია. დავიღალე.

**— თქვენი გვარის — ამირეჯიბის წარმომადგენელს ისტორიულად მანდატურთუხუცესის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა და ევალებოდა სახელმწიფოს სადარაჯოზე დგომა, შეთქმულების, უწესრიგობის ალკვეთა და ა. შ. თქვენ კი, ამ გვარის შვილმა, სახელმწიფოს წინააღმდეგ გაილაშქრეთ.**

**შეუთავსებლის შეთავსებაა დრონი მეფობენის პრინციპით?**

— დრონი და ვითარება მოითხოვს გონიერი და მამულიშვილობით გამსჭვალული კაცის ქმედებას.

**— დღევანდელ საქართველოში შიში საყოველთაოდ რომ არის განფენილი, გრძნობთ?**

— შიში რეალურად არსებობს, მაგრამ მე არ მეხება. თვეზე ცოტა მეტი დამრჩა 90 წლამდე. როგორადაც გინდა, იმძლავროს შიშმა, მე ველარაფერს დამაკლებს.

შიშით დათრგუნულებს კი ჩემ მიერ ერთხელ უკვე გაკეთებული დასკვნით მივმართავდი: გამუდმებულ შიშსა და მონობას გამუდმებული სიფრთხილე გერჩივნოთ.

**— ხომ არ თვლით, რომ ამ შიშისა და სხვა მიზეზთა გამო საქართველოს ინტელიგენცია ჩამოსცილდა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ნეიტრალური გახდა, არ ჩანს ემილ ზოლასებრი შეძახილი — „მე ბრალს ვდებ!“, რაც უპოზიციო პოზიციაა?**

— ეგ ერთ ნაწილს ახასიათებს და არა მთლიანად ინტელიგენციას. ისე კი, მართლაც გამოფიტულს ჰგავს დღევანდელი ქართული საზოგადოება.

**— შეძლებს კი, ბატონო ჭაბუა, ინტელიგენ-**

## «ჯანსუღისა და რეზო ამაშუკელის მეტს, მათი რანგისას, ასეთს ვერავის ვხედავ. ...თუმცა, როგორ არა! მართლაც რომ გმირია და ნაღდი პოეტია ლაშა ნადარეიშვილი»

---

მოკლედ

### სარკოზი და მერკელი კრიზისზე მსჯელობენ

**გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ბერლინში ევროზონაში შექმნილ იმ კრიზისთან დაკავშირებით იმსჯელეს, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას სერიოზულ პრობლემებს უქმნის.** კონკრეტულად საუბარი საბერძნეთში შექმნილ ვითარებას ეხებოდა, მთავარი თემა იყო ასევე ევროპული ბანკების პოზიციების გამყარების საკითხი. 5 ოქტომბერს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ევროზონის ლიდერებს კრიზისის სასწრაფოდ მოგვარებისკენ მოუწოდა. ორგანიზაციის ექსპერტების განცხადებით, ბიუჯეტის რეკორდულ დეფიციტთან ბრძოლა ეკონომიკური ზრდის ხარჯზე არ უნდა განხორციელდეს.



### საბერძნეთს აღარ დაეხმარებიან

**საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის ცენტრალური ბანკი და ევროკომისია მიიჩნევენ, რომ საბერძნეთის ხელისუფლება სათანადო ზომებს არ იღებს საბიუჯეტო ეკონომიის მიზნით.** ამის გამო საბერძნეთს აფრთხილებენ, რომ, შესაძლოა, საერთაშორისო საფინანსო დახმარება ვერ მიიღოს. ამის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პოლ მათიასმა განაცხადა. მისი თქმით, საბერძნეთი მიდის პრინციპით „ორი ნაბიჯი წინ, ერთი — უკან“.

„სიხარულითა და სიამაყით ვუერთდები ბატონ ბიძინა ივანიშვილის გრანდიოზულ წამოწყებას და უწინდელივით ვიბრძოლებ ახლა უკვე თქვენთან ერთად!

ექსკლუზივი

საქართველო და მსოფლიო

# «ეკლესიაში არსებულ მდგომარეობას მე გამყიდველობას დავარქმევდი. არა მგონია, ილია II-ს მტრებს, ფულის გარდა, სხვა რამ ამოძრავებდეთ»

# «ჭკუით, ქართველებო! არ აჰყვეთ ჩვენი ერის მტრების, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ღმრთივ შთაგონებული განზრახვის ხელისშემშლელ პოზიციას!»

◀ ციის აქტიური ნაწილი, მით უფრო, ქართული საზოგადოება, რომელიც „მართლაც გამოფიტულს ჰგავს“, დაამარცხოს დიქტატურა, თუ 600 წელიწადს უნდა ველოდოთ, სანამ დიქტატურა თავის თავს ამოჭამს?**

— „დრონი მეფობენ და არა მეფენი“.

**— ეს რა, გამართლებაა უმოქმედობის?**

— არა, არავითარ შემთხვევაში! დროთა მეფობა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების თვალსაზრისია და არსებულთან დამოკიდებულების ცვალებადობას გულისხმობს.

**— ბატონო ჭაბუა, მართლმადიდებლურმა ეკლესიამ თავის წიაღში მიგიღოთ მაშინ, როცა გაძლიერდა შეტევები მართლმადიდებლობის წინააღმდეგ: ფარულიც და პირდაპირიც. აშკარად ჩანს ხელისუფლების ორპირობაც და რაღაც განხეთქილების მსგავსი თვით ეკლესიაშიც.**

— ეკლესიაში არსებულ მდგომარეობას, რომელზეც მიმანიშნეთ, მე გამყიდველობას დავარქმევდი. არა მგონია, ილია II-ს მტრებს, ფულის გარდა, სხვა რამ ამოძრავებდეთ.

**— მტრებში როგორც ხელისუფლების, ისე მღვდელმსახურთა ორპირობა იგულისხმება?**

— მათი გამყიდველობა!

ადრეც მითქვამს და ახლა, მით უფრო, უნდა ვთქვა, რომ ხელისუფლება არ ითვალისწინებს მართლმადიდებელი მრევლის რაოდენობრივ ზრდას და დედაეკლესიის მზარდ როლს ერის ცხოვრებაში. აუცილებლად მიმაჩნია მართლმადიდებლობის სახელმწიფო რწმენად გამოცხადება და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისათვის უფლების მინიჭება სახელმწიფოს მართვის საქმეში.

**— ჩვენს საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ ოპოზიციას მონახული აქვს საერთო ენა ხელისუფლებასთან, გაყიდულიც კი არისო.**

— მე გაყიდულს ვერ ვიტყვი. უბრალოდ, უმწეონი არიან საკუთარი სწორი პოზიციის მიუგნებლობით.

**— კარგა ხნის წინათ, „ვარდების რევოლუციამდე“ ჯერ კიდევ ე. წ. ხალხის ტელევიზიის „რუსთავი 2“-ის პროექტი (ამერიკიდან გადმოღებული) „60 წუთი“ უარყოფითად შეაფასეთ, „რადგან იგი სრულად უპასუხებს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა ინიციატორებისა და განმახორციელებელთა დაკვეთებს“. დღეს რას იტყვით ნაციონალური ტელეარხების საქმიანობაზე?**

— ძირითადად, ჩვენი ტელეარხები არსებულ ვითარებას არა მარტო ეთანხმებიან, არამედ ემხრობიან კიდეც და თავიანთ ასეთ ხედვას თავს ახვევენ საზოგადოებას.

**— „მაესტროც“?**

— არა. „მაესტრო“ წინააღმდეგია, მაგრამ თავისი პოზიციის გამოსახატავად სწორ ფორმას ყოველთვის ვერ პოულობს. მაგ არხს რომ ვუყურებ და ვუსმენ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თავისი პოზიციის მარტივად, გასაგებად გამოხატვის სურვილის გამო, ზომაზე მეტად გაუბრალოებული ენით ქადაგებს, თითქოს ეშინია, რომ საზოგადოება ვერ გაუგებს.

**— სიტყვამ მოიტანა და გკითხავთ: ხომ არ უდგას ქართულ ენას დიდი გასაჭირი?**

— არა მგონია, ენას რაიმე გასაჭირი ჰქონდეს. გასაჭირი ქართველ ერს ადგას და, ჩვენი ეკლესია რომ არა, მომავალი აღარ გვექნებოდა. მმართველთა პოზიცია ქართველობის მიმართ სრულიად გაუგებარი და მიუღებელია.

**— თქვენ, ალბათ, იცით, რომ განათლების მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლის ძალით უმაღლესი სასწავლებლის ნებისმიერი სპეციალობის კურსდამთავრებული შესაბამის დიპლომს არ მიიღებს, თუ ინგლისურ ენაში ვერ ჩააბარებს სპეციალურ გამოცდას.**

— ეგ პოზიცია განათლებული კაცისა არ არის, გაყიდული კაცისას უფრო ჰგავს. მგონია, უცხო ენა იმისთვის შემოიღეს, რომ ქართული დაგვავიწყონ. თორემ უცხო ენის ცოდნა რამეს თუ არ შეგვმატებს, არაფერს დაგვაკლებს.

**— პოეტებიდან ვის მიიჩნევთ, ბატონო ჭაბუა, ყველაზე მებრძოლ, დღევანდელ რეალობასთან კატეგორიულად დაპირისპირებულ კალმოსნებად, ვინც უმწარესად, პრინციპულად ამბობს სიმართლეს და ვის თავზეც დამოკლეს მახვილი რისკის ძაფზე ჰკიდია?**

— ჯანსუღისა, რომელსაც დიდი სიყვარულით მივულოცე 80 წლის იუბილე, და რეზო ამაშუკელის მეტს, მათი რანგისას, ასეთს ვერავის ვხედავ. ...თუმცა, როგორ არა! მართლაც რომ გმირია და ნაღდი პოეტია ლაშა ნადარეიშვილი.

**— თქვენი, კასეტებზე გაკეთებული ცნობილი ჩანაწერები (მურმან ლებანიძისთვის მიცემულ ინტერვიუში რომ გაქვთ ნახსენები) კლებულობს თუ გამოუყენებელი დევს თაროზე? სხვაგვარად რომ გკითხოთ: რაზე მუშაობთ ამჟამად?**

— ის კასეტები წარსულს ეკუთვნის. ამჟამად, სახელდობრ, ავტობიოგრაფიაზე ვმუშაობ.

**— თქვენი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, ერთ კითხვას დაგისვამთ: 18 ნოემბერს 90 წლის გახდებით. ხელისუფლება უთუოდ სახელმწიფო ჯილდოთი აღნიშნავს ამ თარიღს. აიღებთ?**

— ეს მთავრობა ჯილდოს არ შემომთავაზებს... მაგრამ უარის თქმაც გამიჭირდება. რა უნდა შემომთავაზონ?! არც ერთი ქართული ჯილდო არ დარჩენილა ჩემგან მიუღებელი.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. იმ დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცნობილმა ქართველმა ბიზნესმენმა და მეცენატმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში საკუთარი ძალის მოსინჯვა გადაწყვიტა, ქმნის პარტიას და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას.**

**„საქართველო და მსოფლიომ“ ამასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა სთხოვა ბატონ ჭაბუას. პასუხად მან გაზეთის რედაქციას გადმოსცა წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილისადმი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.**

# ჭაბუა ამირეჯიბის მიმართვა ბიძინა ივანიშვილს



პატივცემულო ბატონო ბიძინა!

უპირველესად ყოვლისა, მსურს ვისარგებლო შემთხვევით და ულრმესი მადლობა მოგახსენოთ იმ სასიცოცხლო და უანგარო დახმარებისთვის, რასაც ყოველთვიურად გვაწვდით ქართული ინტელიგენციის მნიშვნელოვან ნაწილს.

ჩემი მეუღლის, ქ-ნ თამარ ჯავახიშვილის დახმარებით გავეცანი თქვენს განცხადებას. თავად მე საკმარისი თვალთახედვა აღარ გამაჩნია, — უმწეო მოხუცი ვარ, ერთი თვის შემდეგ ოთხმოცდაათისა ვსრულდები. ამდენი ჩემს ახლო და, მგონია, არც შორეული წინაპრებიდან თითქმის არავის უცოცხლია.

თქვენმა განცხადებამ, ბატონო ბიძინა, რეტი დამასხა, გამაოგნა, რადგან თქვენი სახით ქართველ ერს მოევლინა კაცი, რომლის გამოცხადებაზე სიტყვით, კალმით თუ საქმით ბოლო ორმოცდაათი თუ მეტი წლის მანძილზე ვოცნებობდი, როგორც ქართველი ერის ხსნაზე და მომავალი განვითარების ერთადერთ შესაძლებლობაზე.

ვინ ყოფილხართ, რა გონიერებისა, ცხოველმოსილებისა და გამჭრიახობის მქონე ადამიანი და მოღვაწე ბრძანებულხართ!!! ქართველი ერის იმ ნაწილმა, ვინც თქვენს განცხადებას გაეცნო და თქვენი უკვე ნაღვაწი იხილა, — შეიძინა რწმენა, რომ ხვალინდელ დღეს შემდგომი არსებობისა და განვითარების პერსპექტივა გააჩნია.

თქვენი უკეთილესი განზრახვები იხსნის ჩვენს ერს საბოლოო განადგურებისგან და თავს უფლებას ვაძლევ, განვაცხადო, რომ სიხარულითა და სიამაყით ვუერთდები ბატონ ბიძინა ივანიშვილის გრანდიოზულ წამოწყებას და უწინდელივით ვიბრძოლებ ახლა უკვე თქვენთან ერთად!

ვამთავრებ ამ მიმართვას, ჩემი სიცოცხლისა და გამოცდილების ლოზუნგით — ჭკუით, ქართველებო! არ აჰყვეთ ჩვენი ერის მტრების, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ღმრთივ შთაგონებული განზრახვის ხელისშემშლელ პოზიციას!

ბატონო ბიძინა! ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი მიზნის მფარველი!

10.10.2011

## აშშ-ის ელჩმა ბოდიში მოიხადა

**ფილიპინებზე აშშ-ის ელჩმა საკუთარი გამონათქვამის გამო ბოდიში მოიხადა. მისეული განცხადების შინაარსი გარკვეულ უხერხულობას შეიცავდა: მამაკაცი ტურისტების 40% ამ ქვეყანაში სექსის გამო ჩადისო, განაცხადა აშშ-ის ელჩმა.** ელჩის განცხადებამ ფილიპინელების აღშფოთება გამოიწვია. საელჩოს განმარტების გაკეთება მოუწია. განმარტებით განცხადებაში საელჩოს თანამშრომლები მიუთითებენ, რომ 40% ელჩმა პირობითად ახსენა. აშშ-ს არაერთხელ მიუცია რეკომენდაცია ფილიპინების მთავრობისთვის, გაამკაცროს კანონმდებლობა იმ უცხოელთა მიმართ, რომლებიც ბავშვთა პროსტიტუციასთან არიან დაკავშირებულნი.

## ჰარვარდი საუკეთესო აღარაა

**აშშ-ის ჰარვარდის უნივერსიტეტმა პირველად რვა წლის განმავლობაში მსოფლიოს გავლენიან Times Higher Education-ის რეიტინგში ლიდერობა დაკარგა.** რეიტინგის შედგენისას გაზეთი სააგენტო Thomson Reuters-ის მონაცემებს ეყრდნობა. Higher Education-ის ყოველწლიური რეიტინგი ყველაზე წონადი რეიტინგია მსოფლიო რეიტინგებს შორის და 200 საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლის ჩამონათვალს მოიცავს. რეიტინგში ჰარვარდის უნივერსიტეტი კალიფორნიის ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა დაჩრდილა. 375 წლის ჰარვარდის უნივერსიტეტთან შედარებით, ეს ინსტიტუტი ბევრად ახალი, უფრო მცირე ზომისა და უფრო ვიწრო სპეციალიზციის სასწავლებელია.

საქართველო და მსოფლიო
ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბიძინა ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, ჯერაც აშენებული არ იქნებოდა სამების ტაძარი. ბიძინა ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი სახელმოხვეჭილი მეცნიერები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები — მწერლები, მსახიობები და ა.შ. უდროოდ დაგვაკლდებოდნენ“**

**ნაციონალური ტელევიზიებით თავბრუდამხვევად რეკლამირებული 7 ოქტომბრის — საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის თბილისში ვიზიტის „ცხელ კვალზე“ „საქართველო და მსოფლიომ“ კომენტარი სთხოვა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.**

# ედუარდ შევარდნაძე: ივანიშვილი გაბედული კაცია, რისკიანი, მაგრამ... ბადრის მაგალითზე განსაკუთრებით უნდა იფიქროს

**— ბატონო ედუარდ, როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილება?**

— ასეთი დონის ვიზიტების გაანალიზებას დრო სჭირდება. მაგრამ არც პირველი შთაბეჭდილების საჯაროდ გამოტანაა იოლი საქმე.

ვცადოთ.

ყურადღებით მოვისმინე ბატონ სარკოზის გამოსვლა თავისუფლების მოედანზე და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მისი დამოკიდებულება საქართველოსადმი გულწრფელია.

ვიტყვი იმასაც, რომ ეს იყო ძალიან გონიერი, ჭკვიანი კაცის, სერიოზული პოლიტიკოსის მსჯელობა, ყოველმხრივ გაწონასწორებული სიტყვა.

როცა საქართველოს განსაკუთრებით გაუჭირდა, ურთულეს მომენტში მან, პირდაპირ ვიტყვი, გამოიჩინა გმირობა, კონფლიქტის მოგვარების პასუხისმგებლობა იკისრა და შედეგსაც მიაღწია. როცა ადამიანი სიკეთეს გააკეთებს, მის მიმართ სიმპათიაც გაგიჩნდება და პასუხისმგებლობის გრძნობაც.

**— მსოფლიო მასმედიაში გაკეთებული პირველი კომენტარების მიხედვით, ორივე პრეზიდენტის გამოსვლა წინასაარჩევნო მუხტით იყო დატვირთული. სააკაშვილმა საქართველოს მიღწევები ჩამოთვალა (როგორც ყოველთვის) და თავი მოიწონა. სარკოზიმ, ისე ჩანდა, თითქოს მისთვის მიწოდებული „შპარგალკიდან“ ამოიკითხა იგივე, ანუ ის, რასაც ლამის ყოველ დღე ჩაგვჩიჩინებენ.**

— სტუმრად ჩამოსული სხვა ქვეყნის პრეზიდენტი ჩვენს ლანძღვას ხომ არ დაიწყებდა?! თქვა ის, რა ინფორმაციაც ჰქონდა, და ამით დაასაბუთა, თუ რატომ სცემს პატივს ქართველ ხალხს. საერთაშორისო ურთიერთობებს, მით უფრო, უმაღლეს დონეზე, თავისი ჩარჩოები აქვს, დიპლომატიური ეთიკა... ეს ხშირად გვავიწყდება. სააკაშვილი კი... გილიოტინაზე თავს ხომ არ დადებდა?! **(ელიმება).**

**— ექსპერტები და ხელისუფალნი გვარწმუნებდნენ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი ნატოში ჩვენს გაწევრებას დაუჭერდა მხარს. ბატონმა სარკოზიმ გვითხრა, რომ საქართველო თავისუფალია თავის არჩევანში — შეუერთდეს ალიანსს, ეს არისო უნიკალური შანსი. მეტი არაფერი.**

**სააკაშვილმა კი იმავე საღამოს ტელეკომენტარში გვაცნობა — საფრანგეთმა საქართველოს მხარი დაუჭირა და იშვილაო.**

**დაგვიჭერს თუ არა მხარს საფრანგეთი ახლა მაინც? ბუქარესტის სამიტზე, მოგეხსენებათ, გერმანიასთან ერთად წინააღმდეგი იყო.**

— ვფიქრობ, რომ იმის გათვალისწინებით, როგორი დამოკიდებულებაც დღეს აქვს სარკოზის საქართველოს მიმართ, **გამორიცხული არ არის, მხარი დაგვიჭიროს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი საკითხი დადგება ალიანსში. ამაში დარწმუნებული ვარ. მაგრამ ის მოთხოვნები რომ შევასრულოთ, რაც აუცილებელია წევრობისთვის, დიდი დრო გაივლის.**

**— ხოლო ევროკავშირთან ჩვენს ურთიერთობაზე ბატონმა სარკოზიმ განაცხადა შემდეგი: „ევროკავშირთან დაახლოება დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, თქვენს რეფორმებსა და თქვენი დემოკრატიის გაღრმავებაზე“.**

**არც ეს უნდა იყოს დიდად დამაიმედებელი.**

— სარკოზის ეს პოზიცია ჩემს ნათქვამს ემთხვევა: ევროკავშირში რომ შეხვიდეთ, იმ სტანდარტებს უნდა უპასუხო, რომლებიც მას აქვს დაწესებული. საფრანგეთის პრეზიდენტმა მიგვანიშნა, რომ საქართველოში რეფორმები და გარდაქმნები ინტენსიურად უნდა განხორციელდეს, ანუ დღევანდელი დონე ევროალიანსს ვერ დააკმაყოფილებს.

ვინც ყურადღებით უსმენდა სარკოზის სიტყვას, უთუოდ შენიშნავდა ამ გზავნილს: თუ დადგებით ევროპულ მოთხოვნათა დონეზე, ევროკავშირის კარი თქვენთვისაც გაიღებაო. ევროპის ქვეყნების ურთიერთობაზე ლაპარაკისას, მან, გაიხსენეთ, განსაკუთრებით გამოჰყო საფრანგეთ-გერმანიის — ევროკავშირის ორი წამყვანი ქვეყნის დამოკიდებულების საკითხი, რომელიც დაძაბულობიდან, დაპირისპირებიდანაც კი კეთილმეზობლურ და ურთიერთნდობის სახელმწიფოებრივ თანამშრომლობად ტრანსფორმირდა. ორივე მხარემ შექმნა თანამშრომლობისა და დაახლოების საუკეთესი პირობები.

ეს, მე მგონი, ერთგვარი მითითებაც იყო რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის საკითხის შესაძლო მოწესრიგების პერსპექტივაზე: ევროპის უახლესი ისტორიული მაგალითი არის და მისი გათვალისწინება სასარგებლო იქნება ორივე მხარისთვისო.

**— სასარგებლო კი იქნება, მაგრამ არსებული ვითარება ამის საშუალებას რომ არ იძლევა? ჩვენ, ჩვეულებრივმა მოქალაქეებმაც კი, ვისაც სააკაშვილმა გასულ პარასკევს „ჩემო ძვირფასებოთი“ მოგვმართა, აშკარად დავინახეთ, როგორ დაუპირისპირდა რუსეთისადმი სააკაშვილის პოზიცია სარკოზისას, რომელმაც განაცხადა, რომ საფრანგეთი რუსეთს მეგობრად და პარტნიორად მიიჩნევს და ჩვენც ამისკენ მოგვიწოდა.**

— სარკოზის განცხადება, ჩემი აზრით, ერთ-ერთი მთავარი გზავნილი იყო საქართველოსათვის.



**«ფორჩიანი კანფეტების» ცინიზმი სრულიად უადგილოა, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე მინიშნება»**

იგი ჭკვიანი პოლიტიკოსია და კარგად ხედავს, თუ რა საფრთხეები ელოდება საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის დაულაგებლობის შემთხვევაში. მან ეს თქვა, ერთის მხრივ, სააკაშვილის საყურადღებოდ და, მეორე მხრივ, იმ ხალხისთვის, ვინც 7 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე შეიკრიბა.

**— კი თქვა ასე ბატონმა სარკოზიმ, მაგრამ მიხეილ სააკაშვილი თავისაზე დგას და საქვეყნოდ აცხადებს, რომ საქართველოში არის რუსეთის მეხუთე კოლონა (მეხუთე კოლონა ვერ გაფაჩუნდაო, — თქვა მან. ესე იგი, არსებობს. არარსებულის გაფაჩუნება ნონსენსია), ხან გვაიმედებს, რომ პუტინი ამაოდ ცდილობს, საქართველოში იპოვოს დასაყრდენი მეხუთე კოლონის სახით (ესე იგი, არ არსებობს ასეთი კოლონა და პუტინი ამაოდ ცდილობს, იპოვოს).**

**არის? არ არის?**

**თქვენ რას იტყვით?**

— მე არ მჯერა მეხუთე კოლონაზე საუბრის. თუ არის ასეთი ანტისახელმწიფოებრივი ძალა, შენ რომ სახელმწიფო ხარ, ძალაუფლება შენს ხელშია, გყავს პოლიცია, უშიშროების სტრუქტურები, გამოავლინე, ამხილე, მიიღე ამ შემთხვევისთვის კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

თორემ ასე ხომ ბიძინა ივანიშვილსაც შეიძლება დააბრალო მეხუთე კოლონის წევრობა? **(ელიმება).**

**— სააკაშვილის სარკასტული გამონათქვამი, რომ „ფორჩიანი კანფეტებით“ საბჭოთა კავშირში ვერ დაგვაბრუნებენო, ბიძინა ივანიშვილის ბაღჩაში ნასროლი კენჭები ხომ არ იყო, ამ ბიზნესმენისა და მეცენატის პოლიტიკაში მოსვლასთან დაკავშირებით?**

— ბიძინა ივანიშვილს „ფორჩიანი კანფეტებიც“ გადმოუყრია და ცოტა მეტიც. ბიძინა ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, ჯერაც აშენებული არ იქნებოდა სამების ტაძარი. ბიძინა ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი სახელმოხვეჭილი მეცნიერები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები — მწერლები, მსახიობები და ა.შ. უდროოდ დაგვაკლდებოდნენ. ყველა მათგანს ბატონმა ბიძინამ პენსია დაუნიშნა, არა ის მიზერული და სიმბოლური, როგორსაც სახელმწიფო გაიღებს, არამედ საკმაოდ სოლიდური. სიცოცხლეც გაუხანგრძლივა და მუშაობის საშუალებაც მისცა. ბევრი საჭირო საქმე გააკეთა ბიძინამ... იმასაც გეტყვით, რომ პირადად მასთან არც მე დავრჩენილვარ ვალში.

**ყველა სიკეთეს, ყველა დახმარებას ბატონი ბიძინა უშურველად გასცემდა და გასცემს. „ფორჩიანი კანფეტების“ ცინიზმი სრულიად უადგილოა, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე მინიშნება.**

**— პროსახელისუფლო ექსპერტებმა უკვე აუბეს მხარი მიხეილ სააკაშვილს და განაცხადეს, რომ „ივანიშვილი რუსეთის პროექტია“, რომელიც აამოქმედეს ვლადიმერ პუტინის კრემლში მომავალ დაბრუნებასთან დაკავშირებით.**

— ეს ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს. არ გამოვრიცხავ, რომ ექსპერტებს შეიძლება ჰქონდეთ ამის განცხადების საფუძველი. მაგრამ რა არის იმაში ცუდი, თუ რუსეთი ამ გზით ცდილობს საქართველოსთან ურთიერთობის დალაგებას?!

ბატონ ბიძინას შეუძლია რუსეთთან ნორმალური კონტაქტების დამყარება, რაც პერსპექტივაში ბევრი პრობლემის გადაწყვეტას შეუწყობს ხელს, გამორიცხული არ არის კონფლიქტური რეგიონების საკითხის, რაც ყველაზე დიდი სატკივარია ჩვენთვის, მოგვარებისთვის აუცილებელი წინაპირობების შექმნაც. ხოლო მისი პატრიოტიზმი ეჭვგარეშეა. ამაზე, სხვათა შორის, მიგვითითებს ისიც, რომ მან უარი თქვა რუსეთისა და საფრანგეთის მოქალაქეობაზე.

**— მაგრამ ბატონ ბიძინას ბადრი პატარკაციშვილის მაგალითი აქვს წინ.**

— ბიძინა ივანიშვილი გაბედული კაცია, რისკიანი. მაგრამ რახან მან გადაწყვიტა, სერიოზულად შემოვიდეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში — პარლამენტში, მთავრობაში, იმავე ბადრის მაგალითზე განსაკუთრებით უნდა იფიქროს სრულ უსაფრთხოებასა და დაცვის საუკეთესო ორგანიზებაზე. მიმაჩნია, რომ ეს არის მისი უპირველესი ამოცანა.

არანაკლები, თუ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, ვის შემოიკრებს თავის გარშემო, ვინ იქნება თანამოაზრეთა გუნდში. ქართველი ხალხი ამას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს.

**— ბატონო ედუარდ, რამდენიმე წლის წინათ ჩამორთმეულ ინტერვიუში შეკითხვას, თუ ვინ გესახებოდათ საქართველოს შესაძლო ხელმძღვანელად, თქვენ მიპასუხეთ, რომ არის ასეთი პიროვნება, ყოველმხრივ მომზადებული, განათლებული და ღირსეული, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს დასავლეთშიც და რუსეთშიც.**

**ვინ იყო იგი, არ გითქვამთ. ბატონ ბიძინა ივანიშვილს ხომ არ გულისხმობდით?**

— მე კი ვფიქრობდი, მაგრამ ხმამაღლა არ ვსაუბრობდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ის დიდ პოლიტიკაში არ მოვიდოდა.

**«სარკოზი კარგად ხედავს, თუ რა საფრთხეები გველოდება რუსეთთან ურთიერთობის დაულაგებლობის შემთხვევაში»**

**ბოლოთქმის მაგიერ:**

**7 ოქტომბერს, პარასკევს, თავისუფლების მოედანზე ყვითელი ავტობუსებით ნაშუადღევს მოყვანილი ხალხის მასამ საღამოს ოცწუთიან ღონისძიებაზე ცოტა წაუტაშა, ერთი-ორჯერ ულაზათოდ „საქართველო! საქართველო!“ წამოიძახა და იმავე ავტობუსებით დაბრუნდა შინ. არ გამოვიდა საერთო-სახალხო მხარდაჭერისა და აღტკინების უსაზღვროობის დემონსტრაცია. როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილმა ეს იგრძნო და „რუსთავი 2“-ის ეთერით მოგვიყვა, როგორ უნდა გავიგოთ ის, რაც საკუთარი თვალით ვნახეთ და საკუთარი ყურით მოვისმინეთ. ხოლო, ვისაც სურს, სააკაშვილს დაუჯეროს.**

**იყო 7 ოქტომბერი, პარასკევი, როცა, ხალხის აზრით, დიდი მონდომების მიუხედავად, კატა ვერ შესწვდა ძეხვს.**

ესაუბრა **არმაზ სანებლიძე**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ხელისუფლებისთვის მთავარია, ჰყავდეს ბაჩო ახალაია, რომელიც შეიარაღებულ ძალებზე ვიწრო პოლიტიკურ კონტროლს განახორციელებს, და სააკაშვილი მშვიდად დაიძინებს იმ იმედით, რომ ჯარი მის წინააღმდეგ ხმას არ ამოიღებს და არჩევნებზეც ხმების 95%-ს მიიღებს."

# «ავღანეთში გარდაცვლილი ჯარისკაცების ოჯახის წევრებს აშინებენ, ხმა რომ არ ამოიღონ»

**არის თუ არა ევროპელი მაღალჩინოსნების ვიზიტი ჩვენი ქვეყნისთვის ერთგვარი უსაფრთხოების გარანტია, რა ვითარებაა საქართველოს სამხედრო უწყებაში და როგორ აისახება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები ქვეყნის მომავალზე, „საქართველო და მსოფლიოს" უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტი, ასოციაცია „სამართალი და თავისუფლების" ხელმძღვანელი ირაკლი სესიაშვილი ესაუბრება.**



## ირაკლი სესიაშვილი:

# ვიზიტები რომ უსაფრთხოების გარანტია იყოს, ამხელა ჯარის შენახვას სჯობს, პერიოდულად მაღალი რანგის თანამდებობის პირები დავპატიჟოთ ხოლმე

# «სარკოზის საქართველოში დემოკრატიის პრობლემებზე ხმა არ ამოუღია»

**— კვირის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენაა. ამ ფაქტს უკვე მოჰყვა სხვადასხვა შეფასება პოლიტიკოსების მხრიდან, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ინტელექტი და ტონიც დაუწუნეს. თქვენ როგორ შეაფასებთ ივანიშვილის განცხადებას?**

— თუ ხელისუფლება ვინმეს ინტელექტს უწუნებს, თვითკრიტიკით რომ დაეწყო, ყველაზე ადეკვატური იქნებოდა, ვინაიდან ამ ხელისუფლებას, უპირველესად, სწორედ ინტელექტის დეფიციტი აქვს. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ სტრატეგიას ან ტაქტიკას, ამ ეტაპზე მიჭირს, შევაფასო, მაგრამ იმ ნიჰილიზმის ფონზე, რაც საზოგადოებაში იყო დამკვიდრებული, გაჩნდა იმედი, რომ გამოჩნდა ძალა, რომელიც ქართულ პოლიტიკაში არსებულ დეფიციტს შეავსებს.

**მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტებმა საკმაოდ კრიტიკულად შეაფასეს მისი განცხადება, თუ გავაანალიზებთ, კიდევ ერთი რამ აკლია ქართულ პოლიტიკას — ეს არის სიმართლის პირდაპირ თქმა და, თუ ბატონი ბიძინა ამ დეფიციტის შევსებასაც შეძლებს, ვფიქრობ, კარგი იქნება. ვინ ვინ არის, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას. ეს ეხება არამხოლოდ ჟურნალისტებს, არამედ — პოლიტიკოსებს, ექსპერტებს, კულტურის მოღვაწეებს და ა. შ. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, საკუთარი პოზიციის გამოხატვისას ზომიერება დავიცვათ. როგორც ჩანს, ის ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს.**

ბიძინა ივანიშვილის განცხადება იყო ის, რისი ღიად მოსმენაც სურდა არა ელიტას, არამედ — ხალხს. ჩვენ თუ გვინდა, რომ მორიგი ოპოზიციური პოლიტიკური ძალა მოვიდეს, სტანდარტული განცხადებებით, როგორიც არაერთხელ მოგვისმენია ქართველი პოლიტიკოსებისგან, კი, ბატონო, მაგრამ ჩვენ მივიღეთ არაორდინარული წერილი, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ ბატონი ბიძინა და მისი პოლიტიკური ძალა იქნება ერთ-ერთი სერიოზული, გამორჩეული ძალა.

ქართულ პოლიტიკაში რეალური, სერიოზული ძალის მოთხოვნილებაა და, თუ ამ ნიშას ბიძინა ივანიშვილი შეავსებს, კმაყოფილი ვიქნები, რადგან დღეს ეს ქვეყანას სჭირდება. მაგრამ ვფიქრობ, ის ამას მხოლოდ ორ შემთხვევაში შეძლებს, თუ გვერდით წესიერ ადამიანებს, პროფესიონალებს დაიყენებს, და მეორე: თუ ის წარმოადგენს სწორ პოლიტიკურ სტრატეგიას და ქვეყნის განვითარების კონკრეტულ გეგმას, სადაც იქნება განსაზღვრული საქართველოს როლი და ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე როგორც რუსეთში, ასევე — დასავლეთში.

**— საქართველოს ესტუმრა საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი. მას ხელისუფლებამ საზეიმო დახვედრა მოუწყო. ნოემბერში საქართველოს ეწვევა ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენიც. წარმოადგენს თუ არა აღნიშნული ვიზიტები საქართველოსთვის ერთგვარ უსაფრთხოების გარანტიას?**

— ვიზიტები რომ უსაფრთხოების გარანტია იყოს, ამხელა ჯარის შენახვას სჯობს, პერიოდულად მაღალი რანგის თანამდებობის პირები და ქვეყნების მეთაურები დავპატიჟოთ ხოლმე. მე მიმაჩნია, რომ სარკოზი, ობამა, სააკაშვილი ახალი თაობის პრეზიდენტები არიან, რომლებიც თავიანთ პოლიტიკურ კარიერაში აქტიურად იყენებენ პიარ-ტექნოლოგიებს. სხვა ახსნა იმ შოუს, რომელიც თბილისში გაიმართა, არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი აჟიტირებული ხელისუფლება განცხადებას განცხადებაზე აკეთებს, თუ როგორი ბედნიერები ვართ საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტით, სარკოზის რეალურად არც არაფერი უთქვამს კონკრეტული და ღირებული და არც ჩვენ გაგვჩენია იმედი, რომ ქვეყანაში ამიერიდან რაიმე შეიცვლება.

და რაც საყურადღებოა: სარკოზის საქართველოში დემოკრატიის პრობლემებზე ხმაც არ ამოუღია. მე, ადამიანს, რომელიც შეწუხებულია არადემოკრატიული რეჟიმისა და ქვეყანაში პოტენციური დიქტატურის დამყარების გამო, დემოკრატი საფრანგეთის პრეზიდენტისგან კრიტიკა არ მომისმენია. მოვისმინეთ მხოლოდ ქება, რომ თურმე ქართული პოლიცია არის გამჭვირვალე. კარგად დავინახეთ 7 ნოემბერს, 26 მაისს როგორი პოლიციაც გვყავს. ეს ის პოლიცია არ არის და ის ვანო მერაბიშვილი, შტურმით რომ აიღეს ტელეკომპანია „იმედი"?



**— ქვეყნისთვის ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი ავღანეთში ნატოს სამხედრო ოპერაციებში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობაა. სექტემბერში კიდევ ერთი ქართველი ჯარისკაცის, რეზო ბერიძის დაღუპვის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. ამის მიუხედავად, რატომ ზრდის საქართველოს ხელისუფლება კონტინგენტს ავღანეთში?**

— ჩვენ გვაქვს საქმე ხელისუფლებასთან, რომელიც მხოლოდ ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებზეა ორიენტირებული. სააკაშვილი მხოლოდ ძალაუფლებაზე ფიქრობს და ავღანეთში ჯარისკაცების გადამეტებული რაოდენობის გაგზავნა საერთაშორისო საზოგადოების წინაშე მხოლოდ პოლიტიკური ქულების დაწერას ემსახურება.

**— ნატოს გაერთიანებული ჯარების სარდალმა ევროპაში, ადმირალმა ჯეიმს სტავრიდისმა ქართველი ჯარისკაცების მოქმედებას მაღალი შეფასება მისცა და განაცხადა, რომ ქართველი სამხედროები ყველაზე სახიფათო უბნებზეც კი მამაცურად იქცევიან. ამის მიუხედავად, საქართველოსთვის ნატოს კარი კვლავ დაკეტილია. ქების გარდა, ასეთი მსხვერპლის ფასად, რას იღებს საქართველო?**

— რაც არ უნდა სუპერ-შედეგები აჩვენონ ჩვენმა ჯარისკაცებმა, ეს არ იქნება საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანების ბილეთი. დიახ, ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში გარკვეულ გამოცდილებას იღებენ, ჩვენ გვჭირდება ნატოსთან ერთად სხვადასხვა საერთაშორისო მისიაში მონაწილეობა, მაგრამ ავღანეთში გაგზავნილი ჯარისკაცების რაოდენობა ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების, დემოგრაფიული ვითარებისა და საზოგადოების განწყობის ადეკვატური უნდა იყოს.

**— გარდაცვლილი ჯარისკაცის შესახებ საქართველოს სამხედრო უწყებამ კვლავ დაგვიანებით გაავრცელა ინფორმაცია. რის დამალვას ცდილობს ხელისუფლება?**

**— ხელისუფლება ცდილობს, ავღანეთის მისიის გამო საზოგადოების კრიტიკა არ დაიმსახუროს. ფართო საზოგადოებისთვის ეს ინფორმაცია არ არის ცნობილი. მსგავს ინფორმაციას იგებს ხალხის მცირე ნაწილი და ისიც მხოლოდ თბილისში. ხალხი საინფორმაციო იზოლაციაშია. გარდაცვლილი ჯარისკაცების ოჯახის წევრებს აშინებენ, ხმა რომ არ ამოიღონ. მაშინ, როდესაც ავღანეთში დაღუპულ ჯარისკაცებს სააკაშვილი გმირებს უწოდებს, გმირებისთვის ღირსეული პატივის მიგება, მათი სახელების ცოდნა, მგონი, აუცილებელია.**

**— რა ვითარებაა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ამ ეტაპზე? მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ სათავეში მოსვლისთანავე პრიორიტეტულად თავდაცვის სფეროს დაფინანსება გამოაცხადა, 2008 წელს საქართველო ომისთვის მაინც მოუმზადებელი აღმოჩნდა.**

— თქვენც ახსენეთ, რომ ნატოს მაღალჩინოსანმა ჩვენი ჯარისკაცების მოქმედება მაღალ დონეზე შეაფასაო, მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი მხოლოდ ჯარისკაცის სიმამაცე არ არის. ქვეყნის უსაფრთხოებას, პირველ რიგში, ადეკვატური საერთაშორისო პოლიტიკა, სწორად განსაზღვრული უსაფრთხოების სისტემა და სტრატეგიულ და ტაქტიკურ დონეზე კარგად ორგანიზებული შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფს.

ომის შემდეგ თავდაცვის სფერო პრიორიტეტული აღარ არის. ეს სფერო პოლიტიზებულია და იმის გამო, რომ კადრების დეფიციტი აქვს ხელისუფლებას, იქაც, ისევე, როგორც ყველა სახელმწიფო უწყებაში, არაპროფესიონალები მუშაობენ, რადგან **სააკაშვილს არ ჰყავს კადრი, რომელიც ერთდროულად მისი მონა-მორჩილიც იქნება და პროფესიონალიც. ის, ვინც პროფესიონალია, კარგად ხვდება ხელისუფლების არასწორ პოლიტიკას, აკრიტიკებს მას და ამის გამო „ჩასარეცხების" სიაში ხვდება. ხელისუფლებისთვის მთავარია, ჰყავდეს ბაჩო ახალაია, რომელიც შეიარაღებულ ძალებზე ვიწრო პოლიტიკურ კონტროლს განახორციელებს და სააკაშვილი მშვიდად დაიძინებს იმ იმედით, რომ ჯარი მის წინააღმდეგ ხმას არ ამოიღებს და არჩევნებზეც ხმების 95%-ს მიიღებს.**

**— სოხუმი და ცხინვალი კიდევ ერთმა ქვეყანამ — ტუვალუმ აღიარა. რაც არ უნდა უმნიშვნელო ქვეყნებად მივიჩნიოთ ისინი, რამდენად საფრთხის შემცველია, როცა გაეროს წევრი ქვეყნები აღიარებენ საქართველოს ტერიტორიების დამოუკიდებლობას?**

— სარკოზის ნათქვამს გავიხსენებ. მან განაცხადა, რომ საფრანგეთი და გერმანია, მიუხედავად იმისა, რომ იყო დრო, როდესაც ისინი ერთმანეთს ეომებოდნენ და ტერიტორიებს ართმევდნენ, შერიგდნენ და დღეს საუკეთესო მეგობრები არიანო. მაგრამ ორივე ქვეყნის სათავეში მოვიდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც არ ეომებოდა ერთმანეთს, რაც პირდაპირ მანიშნებელია იმისა, რომ, თუ ჩვენ რუსეთთან დიალოგი გვინდა, ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. ყველა კარგად ხვდება, რომ სააკაშვილი და პუტინი მოლაპარაკების მაგიდასთან ერთად არ დასხდებიან.

**— რამდენიმე დღის წინ სააკაშვილმა ხომ განაცხადა, რომ მზადაა, პუტინს დაელაპარაკოს?**

— მზად ვარო, თქვა, მაგრამ შემდეგ ისეთი ტექსტი გააგრძელა, რუსეთის პრემიერისთვის რომ შეეგინებინა, უფრო ადეკვატური იქნებოდა.

**— დასავლეთმა ირანი არაერთხელ გააფრთხილა შესაძლო დაბომბვის თაობაზე. თუ თეირანი ბირთვულ პროგრამას არ შეწყვეტს, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება საქართველო?**

— ასეთ შემთხვევაში საქართველო რომ სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, დარწმუნებული ვარ. **ჩვენმა ინტელექტუალმა პრეზიდენტმა ხომ მიიღო გადაწყვეტილება და ირანთან სავიზო რეჟიმი გააუქმა? წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ირანის წინააღმდეგ სამხედრო კამპანია დაიწყება. ირანიდან წამოსული ლტოლვილები მოაწყდებიან საქართველოს და ქვეყანას ასი ათასობით დევნილი შეემატება. სამაგიეროდ, ჩვენს პრეზიდენტს დასავლეთში მადლობას გადაუხდიან.**

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

ბიოგრაფია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„წესიერი, ზრდილი ახალგაზრდა იყო ბიძინა. მუდამ მოწესრიგებული იყო. სხვისი დახმარების სურვილი და შემწეობა ბავშვობიდანვე მოსდევდა. თითქმის ყველა კლასელთან მეგობრობდა, უკონფლიქტო ბიჭი იყო, ჩხუბი და აყალმაყალი არ უყვარდა, პირიქით, თუ ბიჭები წაიჩხუბებდნენ, ბიძინა მათ შერიგებას ცდილობდა. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ბიძინა საჩხერეზე გადაყოლილია და მასზე აუგს მთელ საჩხერეში ვერავის დააცდენინებთ. არა, რეალურად ასეთი ბიჭი იყო“.

# ბიძინა ივანიშვილის ყრმობის უცნობი დეტალები

**მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიტიკაში აპირებს დამკვიდრებას და მალე საჯარო პირიც გახდება, ინფორმაცია მისი ცხოვრების, გამორჩეულად წარსულის, ბავშვობისა და ახალგაზრდობის პერიოდის შესახებ, საზოგადოებისთვის უცნობია. დღემდე ჩვენი საზოგადოება მხოლოდ იმ ლეგენდამოსილი ამბებით იკვებება, რომლებიც ჟამი-ჟამ მედიით გავრცელდება ხოლმე დღემდე იდუმალებით მოსილი ბიზნესმენის შესახებ. „საქართველო და მსოფლიო“ შეეცდება ამ პატარა წერილით ზემოაღნიშნული საინფორმაციო ვაკუუმის შევსებას. მოგითხრობთ ბიძინა ივანიშვილის სიჭაბუკის — მოწაფეობის პერიოდზე და მისი პედაგოგები, მომავალი მილიარდერის ყმაწვილკაცობის დროინდელ საკმაოდ საინტერესო დეტალებსაც გაიხსენებენ.**


თამაზ ლაშხი

**«ისეთი მშობლები ჰყავდა, იმ ოჯახიდან უწესო კაცი არ გამოვიდოდა. ბიძინას 4 და-ძმა ჰყავს, 2 და და 2 ძმა. ერთმანეთზე წესიერი და განათლებული ხალხია. მამამისი — გრიშა ივანაშვილი პატიოსანი და მშრომელი კაცი იყო, დედა — ქალბატონი ციცინო, უზადო დიასახლისი, შვილების კარგად გამზრდელი»**

ამ რამდენიმე წლის წინათ ვეწვიე საჩხერეს, ბიძინა ივანიშვილის მშობლიურ რაიონს. უკვე ვიცოდი, რომ ივანიშვილმა ჯერ ჭორვილის 8-წლიანი სკოლა დაასრულა, ბოლო ორი წელი კი მეზობელი სოფლის, საირხეს საშუალო სკოლაში გაატარა და ატესტატიც იქ აიღო. ეს ორი წელი, კვირაში 6 დღე, ბიძინა ივანიშვილი ფეხით დადიოდა ჭორვილიდან საირხეში და მასწავლებლები ვერ იხსენებენ, ოდესმე სკოლაში დაეგვიანებინოს ან გაკვეთილი გაეცდინოს. ამას ივანიშვილის საქებრად არ ვწერ — მაქებარნი და მეხოტბენი უჩემოდაც არ აკლია. ამგვარი მუყაითობისა და სიბეჯითის გარეშე, ცხადია, მილიარდერები არ ხდებიან. ეს იმ ადამიანის სახასიათო შტრიხია, რომელმაც ქართველთაგან ყველაზე დიდი ფული იშოვნა. ჰო, წინ და უკან, ყოველდღე — პატარა ბიძინა 6 კილომეტრს კეცავდა — ჭორვილიდან საირხემდე 3 კილომეტრია.

**საირხის სკოლას რომ ვესტუმრე, თავდაპირველად ბიძინა ივანიშვილის მასწავლებლებმა არ ისურვეს ჩემთან საუბარი — აკრძალული არ გვაქვს, მაგრამ არ გვინდა, ბიძინას ვაწყენინოთ, ვიცით, ამ კაცს არ სიამოვნებს, როცა მასზე პრესაში იწერება, თუნდაც მისი სახოტბო წერილები იყოსო. ბოლოს, ბევრი იფიქრეს და მაინც დამყაბულდნენ, რაღაც-რაღაცები მოეთხროთ თავიანთი ყველაზე სახელოვანი მოსწავლის შესახებ — თბილისიდან საჩხერეში ჩამოსული კაცი როგორ გავაწბილოთ, ხელცარიელი როგორ გავუშვათ, იმერული სტუმართმოყვარეობა არ გვანებებსო.**

ვიდრე მასწავლებლები ბიძინა ივანიშვილის სიჭაბუკის პერიოდს გაიხსენებდნენ, მანამდე საირხის საშუალო სკოლის 1972-73 სასწავლო წლის გამოშვების მოსწავლეთა საშუალო განათლების ატესტატის ჩასაწერი წიგნი მაჩვენეს. ეს, პრაქტიკულად, ყველა მოსწავლის ატესტატის ასლია. **ბიძინა ივანიშვილის ატესტატის ნომერია 603973. კლასში 42 მოსწავლე ირიცხებოდა.**

ისევ ატესტატის ასლს დავუბრუნდეთ. ბიძინა ივანაშვილს 13 ოთხიანი და 5 ხუთიანი უწერია ატესტატში და არც ერთი — სამიანი. ხუთიანები ივანაშვილს დაუწერეს ფიზიკაში, ხაზვაში, ფიზკულტურასა და შრომით სწავლებაში. ხუთიანი გამოჰყვა ყოფაქცევაში.

საირხის სკოლის დირექტორი, **დოდო კობეშავიძე,** იმ დროს, როცა ბიძინა ივანიშვილი ამ სკოლაში სწავლობდა, სკოლის ე. წ. ორგანიზატორი იყო და ისტორიას ასწავლიდა მის კლასს. **„წესიერი, ზრდილი ახალგაზრდა იყო ბიძინა. მუდამ მოწესრიგებული იყო. სხვისი დახმარების სურვილი და შემწეობა ბავშვობიდანვე მოსდევდა. თითქმის ყველა კლასელთან მეგობრობდა, უკონფლიქტო ბიჭი იყო, ჩხუბი და აყალმაყალი არ უყვარდა, პირიქით, თუ ბიჭები წაიჩხუბებდნენ, ბიძინა მათ შერიგებას ცდილობდა. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ბიძინა საჩხერეზე გადაყოლილია და მასზე აუგს მთელ საჩხერეში ვერავის დააცდენინებთ. არა, რეალურად ასეთი ბიჭი იყო. ყველა საგანს სწავლობდა კარგად, მართალია, ყველაფერს ხუთიანებზე არ თუ ვერ სწავლობდა, მაგრამ, რომ იტყვიან, კაი, გამართული ოთხიანი ჰყავდა, რაშიც ჰყავდა. მეტიც შეეძლო, მაგრამ მარტო წიგნისთვის, სწავლისთვის არ ეცალა, სამწუხაროდ. მის ოჯახს დიდად არ ულხინდა და ბიძინაც ოჯახს გვერდით ედგა. შრომას ბავშვობიდან შეეჩვია. მახსოვს, გაკვეთილები დასრულდებოდა თუ არა, მაშინვე სახლში გარბოდა — დედას უნდა მივეხმაროოო. როგორია, სამი კილომეტრი დილით საირხემდე იარე, მერე 5-6 გაკვეთილს დაესწარი, მერე უკან — ჭორვილამდე ისევ ფეხით ჩადი და საქმეს მიეძალე? ისე, მარტო ბიძინა არ იყო ამ დღეში: ჭორვილიდან თუ ახლომახლო სოფლებიდან ბევრს უწევდა ფეხით წინ და უკან სიარული და, ამასთან, ოჯახური ჭაპანის წევა.“**

**თენგიზ სადუნიშვილი ბიძინა ივანიშვილს ფრანგულს ჭორვილის 8-წლიან სკოლაშიც ასწავლიდა და საირხის სკოლაშიც. მას კარგად ახსოვს ბიძინას ბავშვობა.**

— ძალიან მიხარია, რომ ბიძინამ ფრანგული ძალიან კარგად იცის. ვერ ვიტყვი, რომ მას განსაკუთრებით ვასწავლიდი ენას ან ბიძინა იყო გამორჩეული ფრანგულის სიყვარულით, მაგრამ ერთი კარგი ჩვევა ჰქონდა: რასაც სწავლობდა, ხარისხიანად, საფუძვლიანად. ოთხიანი გამოვაყოლე ბიძინას ფრანგულში, კარგ ოთხიანზე იცოდა, ისე, ცოტაც რომ მოენდომებინა, ხუთიანსაც მიიღებდა.

**— ახლა ხომ არ ნანობთ, რომ ხუთიანი არ გამოაყოლეთ? დიდი კაცია თქვენი მოსწავლე და...**

— არა, არაფერი მაქვს სანანებელი! რას მისცემდა ახლა ერთი ფრანგული ენის ხუთიანი ბიძინას? არც არაფერს. მთავარია, იმდენი ცოდნა მივეცი, რომ ფრანგულის სწავლა არ გასჭირვებია — საფუძველი ჰქონდა და ძალიან მიხარია, რომ ასე მოხდა. ახლა ჩინებულად და ჩემზე უკეთ რომ მეტყველებს ფრანგულად, ბევრი თუ არა, ამ საქმეში მისხალი მაინც ხომ არის ჩემი?

**— აქტიური ბავშვი იყო?**

— კი, ზომიერად აქტიური. რაც მთავარია, ძალიან ზრდილი და წესიერი ახალგაზრდა იყო. იცით, ძალიან მიჭირს ახლა ლაპარაკი — იტყვის ვინმე, ბიძინა თან გადაჰყვა თავის ყოფილ პედაგოგებს და, აბა, მასზე აუგს ვინ იტყვისო?! არა, გეფიცებით, გულწრფელად გეუბნებით: **მაგას ისეთი მშობლები ჰყავდა, იმ ოჯახიდან უწესო კაცი არ გამოვიდოდა. ბიძინას 4 და-ძმა ჰყავს, 2 და და 2 ძმა. ერთმანეთზე წესიერი და განათლებული ხალხია. მამამისი — გრიშა ივანაშვილი პატიოსანი და მშრომელი კაცი იყო, დედა — ქალბატონი ციცინო, უზადო დიასახლისი, შვილების კარგად გამზრდელი.** ყველაზე თვალში საცემი თვისება, რაც ბიძინა ივანაშვილს ბავშვობიდან მოსდევდა, ეს იყო პასუხისმგებლობის გამახვილებული გრძნობა.

**— ცელქობდა?**

— კი, ცელქი ბიჭი იყო. პატარა, გამხდარი და მოძრავი იყო და ერთ ადგილას არ ჩერდებოდა. ბავშვი ყველა ცელქია, მთავარია, უზრდელი და თავგასული არ იყოს. ექვი წელი ვასწავლიდი ბიძინას და მისგან უწმაწური სიტყვა არ გამიგონია.

**— მსმენია, რომ ბავშვობაში ბატონ ბიძინას ექსკურსიაზე წასასვლელი ფული არ ჰქონდა. ერთ-ერთმა მასწავლებელმა გადაუხადა საექსკურსიო თანხა. ეს სიკეთე არ დავიწყებია და ერთი ათასად გადაუხადა — ჭორვილაში პირველი სახლი მას აუშენა და სხვა ათასი სიკეთე გაუკეთა მის ოჯახსო.**

— კი, გცოდნიათ ეგ ამბავი, მაგრამ პატარას შეგისწორებთ, მით უმეტეს, რომ თავად გახლავართ ამ ფაქტის მომსწრე. ჭორვილის სკოლაში, 8 კლასი რომ დაამთავრეს, დირექციამ გადაწყვიტა, ბორჯომსა და ბაკურიანში გაეშვა ბავშვები ექსკურსიაზე, ეს გამოსაშვები კლასი იყო, სკოლა ხომ 8-წლიანი იყო და მერე ბევრმა აღარ გააგრძელა სწავლა. ჭორვილის სკოლის დირექტორმა თამაზ ქემერტელიძემ განუცხადა ბავშვებს, 10-10 მანეთი მოიტანეთ ექსკურსიისთვისო. 13-14 წლისანი იყვნენ მაშინ ბავშვები. ბიძინამ ეს რომ გაიგო, მოშორებით დადგა. დირექტორმა ეს შენიშნა და დაუძახა, რა მოხდა, ბიძინა, რაშია საქმეო? ბიძინამ უთხრა — მე ვერ წამოვალ, პატივცემულოო! მაშინ მიზეზზე არაფერი თქმულა. მერე გაირკვა, რომ 10 მანეთი არ ჰქონდა მის ოჯახს, რომ ბავშვი ექსკურსიაზე გაეშვა. მადლიანი კაცი იყო ცხონებული თამაზ ქემერტელიძე, თურმე მან დადო ბიძინას მაგიერ ეს ფული, თუმცა ეს არავინ იცოდა ბიძინას და თამაზის ▶



**ძეგლთმოძულე და მართლმადიდებლური რელიგიის მიმართ მტრულად განწყობილ სააკაშვილს კიევში ეკლესია ისევე არ აუშენებია, როგორც საქართველოში ასი ახალი საავადმყოფო და მით უფრო — მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი, ჰალიკარნასის მავზოლეუმი.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გარდა, საექსკურსიო ფულს ხომ თავად დირექტორი აგროვებდა. გული არ დაწყვიტა ბიჭს, რა მოხდა, ფული ხან აქვს ადამიანს, ხან — არა და ეს თუმანი ჩუმად დადო ბიძინას ნაცვლად, ისე, რომ არავის გაეგო და ბავშვს თავმოყვარეობა არ შელახვოდა. ბიძინა წამოვიდა ამ ექსკურსიაზე, მერე კი, მართალი ხართ, შვილო, ეს ამბავი მრავალჯერ გაუხსენა ბიძინამ თამაზსა და მის ოჯახს, უამრავი კეთილი საქმე გაუკეთა".

**ბატონმა თენგიზ სადუნიშვილმა მეტის მოყოლა არ ისურვა, ისედაც ბევრი გითხარითო. თამაზ ქემერტელიძეს კი, ჯერ მართლა აუშენა სახლი, მერე სოლიდური ყოველთვიური დახმარება დაუნიშნა, ჭორვილაში ევროსტანდარტების სკოლა რომ ააშენა, რაკილა ბატონი თამაზი აღარ იყო ცოცხალი, დირექტორად მისი ვაჟი დანიშნა — საჩხერლები ამბობენ, მინისტრის ხელფასს უხდიდაო. ჰო, როცა თამაზ ქემერტელიძე გარდაიცვალა, ოჯახს ერთი თეთრიც არ დაახარჯვინა და საყვარელი სკოლის დირექტორი დიდი პატივით დაკრძალა. ჭორვილაში დღემდე ლაპარაკობენ, რომ ბიძინამ თამაზ ქემერტელიძეს არანაკლები პატივი მიაგო უკანასკნელ გზაზე, ვიდრე მამამისს — გრიშა ივანაშვილსო.**

საჩხერეში ყოფნისას ორი ფოტოსურათიც მოვიპოვე, სადაც ბიძინა ივანიშვილიცაა აღბეჭდილი. ფოტო 1971 წელს საირხის სკოლის ეზოშია გადაღებული. საირხის სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები ფიზკულტურაში ნორმატივებს აბარებენ. თავად ბიძინას ეს ნორმატივები წინა დღეს ჰქონდა ჩაბარებული და იმ დღეს თანაკლასელთა საქომაგოდ იყო მისული. **ბიძინა ივანიშვილის სპორტულ გატაცებებზე მისი ფიზკულტურის მასწავლებელი, თამაზ ლაშხი გვიამბობს.**

**— ბატონო თამაზ, ეკუთვნოდა ის ხუთიანი ბიძინა ივანიშვილს, ფიზკულტურაში რომ დაუწერეთ? თუ ფიზკულტურაში ყველას ხუთიანებს უწერდით?**

— კი, კაცო, როგორ არ ეკუთვნოდა. ცოცხალი, ყოჩაღი ბიჭი იყო, ძალიან მოძრავი და სპორტის თითქმის ყველა სახეობას წარმატებით ითვისებდა, რასაც ვასწავლიდი. აი, ძალისმიერი სახეობები დიდად არ იტაცებდა — შტანგა, ჭიდაობა და სხვა ასეთები, რადგან ღონიერი ბიჭი არ იყო, თხელი ტანის გახლდათ, მოძრავი, სხარტი.

**— სპორტის რომელი სახეობა უყვარდა განსაკუთრებით?**

— კალათბურთი გამორჩეულად უყვარდა. ცაციაა ბიძინა და მარცხენა ხელით იცოდა მოჭრილი ბურთების სროლა კალათში, ფარქვეშ შევიდოდა და თავსზემოთ სტყორცნიდა ბურთს კალათში. „ლიფსოს" ვეძახდით მაშინ, ასეთ ტყორცნას, რაკი ვილნიუსის „ჟალგირისში" იმხანად თამაშობდა კალათბურთელი, გვარად ლიფსო. სწორედ მან შეასრულა პირველად ამგვარი მოჭრილი სროლა. ბიჭები ერთხანს „ლიფსოს" ეძახდნენ ბიძინას. როცა მის კლასს ორად გავყოფდი და კალათბურთს ვათამაშებდი, ბიძინა რომელ გუნდშიც იყო, ის გუნდი იგებდა ძირითადად, თუმცა, წაუგიათ კიდეც.

**— როგორ ეგუებოდა წაგებას ბიძინა ივანიშვილი?**

— ჩვეულებრივად, ცოტას ინერვიულებდა, მერე გაუვლიდა წყენა. ერთი კარგი ჩვევა ჰქონდა — თანაგუნდელებს არასდროს აბრალებდა წაგებას, მე ვითამაშე ცუდად, თორემ მოვიგებდითო, — იტყოდა ხოლმე. არა, კალათბურთს მართლა კარგად თამაშობდა."

**ბიძინა ივანიშვილმა თავისი კლასელები ჭორვილისა თუ საირხის სკოლებიდან — ზოგი დაასაქმა, ზოგს სახლი აუშენა, ზოგს მანქანა უყიდა ან სოლიდური თანხით დაეხმარა. ისეთებიც არიან, რაც ჩამოვთვალე, ყველაფერი ერთად გაუკეთა. ზოგიერთები დღეს, მის ბიზნესში საქმიანობენ. თავისი ბავშვობის ვალის გასასტუმრებლად კი ჭორვილაშიც და საირხეშიც თანამედროვე სკოლები ააშენა, ყველა სიკეთით აღჭურვილი.**

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე პირველად სწორედ ჭორვილაში ვნახე, ევროსტანდარტულსა და კომპიუტერიზებულს რომ ეძახიან, ისეთი სკოლა, რადგან სხვაგან ამგვარი სკოლა არსად იყო, მათ შორის, არც თბილისში. ჭორვილას სკოლას კი, სასწავლო შენობის გარდა, სპორტული კომპლექსი აუშენა. ეს არ არის ჩვეულებრივი სპორტული დარბაზი, ეს არის სუპერთანამედროვე კომპლექსი, რომელიც საქართველოში არც ერთ სკოლას არ აქვს და მეტიც, სპორტული პროფილის სკოლებსაც შეშურდება. ამ კომპლექსში არა მარტო ფიზკულტურის გაკვეთილს გაივლის ბავშვი, თუ სურვილი აქვს, სპორტის ნებისმიერ სახეობას დაეუფლება. აქ არის რამდენიმე დარბაზი, აუზი, ჩოგბურთის კორტები და, რაც მთავარია, კვალიფიციური მწვრთნელები. მწვრთნელებს ხელფასს ბიძინა ივანიშვილი უხდის, ინვენტარის შესაძენ, კომპლექსის მომსახურე პერსონალის ხელფასებსა და სხვა ხარჯებსაც თავად იხდის. ბავშვებს კი ისღა დარჩენიათ, იარონ სპორტზე, გაკაჟდნენ. დიდ სპორტსმენებად თუ ივარგებენ, ხომ კაი, არადა, ჯანმრელობა მაინც შერჩებათ. და არ აქვს მნიშვნელობა, ჭორვილელი ხარ თუ საჩხერის სხვა სოფლიდან — მიდი, ივარჯიშე, გადასახადს არავინ გთხოვს, ეგ კი არა, ჭიათურელი ბავშვებიც დადიან ჭორვილაში სავარჯიშოდ.

**...და ისევ კაცი, რომელიც ბავშვობას ვერ ივიწყებს — ახლადგახსნილ სპორტკომპლექსს ბიძინა ივანიშვილმა თავისი ფიზკულტურის მასწავლებელი, თამაზ ლაშხი ჩაუყენა სათავეში.**

**ლევან ჯავახიშვილი**

# მიშამ უკრაინის პატრიარქიც მოატყუა

**გასულ კვირას კიევის პროკურატურამ ქალაქის ცენტრში, კერძოდ პეჩორის ლავრასთან ახლოს მდებარე ქართული რესტორნის — „რიონის" დანგრევის გადაწყვეტილება მიიღო, იმ ადგილს კი, სადაც ახლა აღნიშნული რესტორანია წამოჭიმული, პირვანდელი იერ-სახე დაუბრუნონ.**



## საქართველოს პრეზიდენტმა კიევის პეჩორის ლავრასაც «სალივლივე» მიუშენა




ერთი შეხედვით, ამ ყველაფერში საინტერესო და მით უფრო საგანგაშო თითქოს არაფერია, რადგან თითქმის ოთხმილიონიან კიევში აქამდეც არაერთი რესტორანი დაუნგრევიათ და აუშენებიათ კიდეც, მაგრამ, მეორეს მხრივ, ფრიად საყურადღებო მოვლენასთან გვაქვს საქმე — **რესტორანი „რიონი", რომელიც 2007 წელს აშენდა, ჩვენი „ყოვლისშემძლე" პრეზიდენტის პირადი პროექტი იყო და შესაბამისად მისი არც ერთი ვიზიტი მეგობარ სახელმწიფოში, ფაქტობრივად, ისე არ სრულდებოდა, რომ „ბელადს" ერთხელ მაინც არ შეევლო თავის „საკუჭნაოში". ეს რესტორანი მიხეილ სააკაშვილის პირად „სალივლივეს" წარმოადგენდა და ამიტომ მისი დანგრევა, უბრალოდ, შენობის დემონტაჟს კი არ ნიშნავს, არამედ, უნდა ვიფიქროთ, რომ ამით რეალურად იანუკოვიჩის ხელისუფლებამ „ნაცმოძრაობის" ავტორიტარულ რეჟიმს უკრაინის ტერიტორიაზე წითელი აუნთო.**

გავიხსენოთ, რა პერიპეტიები უძღოდა წინ ამ რესტორნის მშენებლობას. ჯერ კიდევ 2006 წელს, ანუ სანამ „ბელადის სალივლივის" პირველი აგური დაიდებოდა, უკრაინის სამღვდელოებამ ერთხმად პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ რესტორანი პეჩორის ლავრის გვერდით შენდებოდა, რაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქალაქის იერსახესაც ამახინჯებდა და ამასთან, ლავრის მიწისქვეშა კომპლექსსაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. მშენებლობის წინააღმდეგი იყო ასევე ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც, ვინაიდან, რესტორნის აშენება იქ, სადაც ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილია, მთელი ერის შეურაცხყოფას ნიშნავდა, მაგრამ **იუშჩენკოს ანტიეროვნულმა ხელისუფლებამ საკუთარი ხალხის ინტერესებს სააკაშვილის მანიაკალური სურვილის აღსრულება ამჯობინა და საბოლოოდ „ბელადის სალივლივე" მაინც აშენდა.**

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროს, როცა კიევში საპროტესტო გამოსვლები არ წყდებოდა, სააკაშვილი უკრაინის პატრიარქს შეხვდა და დაჰპირდა, რომ ლავრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც რესტორანი შენდებოდა, ასევე ეკლესიასაც ააგებდა. ამით „ნაცმოძრაობის ბელადმა" იმას მიაღწია, რომ უკრაინის სამღვდელოებასთან დაწყებული დავა დროებით ჩაწყნარდა და, შესაბამისად, მშენებლობამაც ზედმეტი აყალმაყალის გარეშე ჩაიარა. დაპირება კი დაპირებად დარჩა, რადგან **ძეგლთმოძულე და მართლმადიდებლური რელიგიის მიმართ მტრულად განწყობილ სააკაშვილს კიევში ეკლესია ისევე არ აუშენებია, როგორც საქართველოში ასი ახალი საავადმყოფო და მით უფრო — მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი, ჰალიკარნასის მავზოლეუმი.**

ასე თუ ისე, სანამ უკრაინის სათავეში სააკაშვილივით ნატოზე გადარეული, ევროკავშირზე ჭკუადაკარგული და ეროვნულ ფასეულობებზე აცრილი ვიქტორ იუშჩენკო ზეობდა, „ბელადის სალივლივეს", როგორც იტყვიან, თავი ქუდში ჰქონდა; მაგრამ დასრულდა თუ არა „ნარინჯისფერთა" ორგია და პარპაში ქვეყანაში, ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა — ახალმა ხელისუფლებამ პრიორიტეტად ხალხის ინტერესები დაისახა, სააკაშვილის „სალივლივეს" კი, არც აცია, არც აცხელა, წყალი შეუყენა. ამით **იანუკოვიჩის ადმინისტრაციამ გასაგებად გვითხრა, — ხინკალიც კარგია, მწვადიც და ქაბაბიც, მაგრამ იქ, სადაც ჩვენი ისტორიული ადგილებია, ჰალსტუხცოხნია კურდღელსა და მით უფრო მის „სალივლივეს" არაფერი ესაქმებაო.**

მოკლედ, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, მიშას უკრაინიდან ღაჟღაჟა წითელი აუციმციმეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა „ყოვლისშემძლე პრეზიდენტმა" სერიოზული პოლიტიკური „პოუშამი" მიიღო და ამიერიდან კიევისკენ ძველებურად აღარ უნდა გაიხედოს.

სიმართლე გითხრათ, არ მინდოდა, წინამდებარე წერილში ამ თემას შევხებოდი, მაგრამ, რადგან რესტორან-სალივლივეების დანგრევაზე ვსაუბრობ, დასასრულს ორიოდე სიტყვას მცხეთის მოდერნიზაციის გეგმაზეც მოგახსენებთ. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ამ გეგმის ავტორი პირადად მიხეილ სააკაშვილია და საყოველთაოდ ცნობილია ისიც, თუ რას ითვალისწინებს აღნიშნული პროექტი. **საუბარია იმაზე, რომ ისტორიულ და წმინდა ადგილას, კერძოდ, სადაც არაგვი და მტკვარი ერთმანეთს უერთდება, საცურაო აუზი უნდა აშენდეს; ხოლო, თუ გავითვალისწინებთ სააკაშვილის ომახიან განცხადებასაც, მთავრობას უცხოელი სტუმრებისთვის თავის მოსაწონებლად სიღნაღში სირბილი არ უნდა უწევდესო, ძნელი მისახვედრი არც ისაა, თუ ვინ და რა ჯურის ხალხი წარმოუდგენია „მის აღმატებულებას" მცხეთის „სალივლივეში" ტურისტებად და დამსვენებლებად...**

ამის წარმოდგენაც კი შემზარავია, მაგრამ მიხეილ სააკაშვილი, ვისაც რამდენიმე დღის წინ კიევში გრანდიოზული „სალივლივე" თავზე დაამხეს, მომავალში მცხეთაში ახალ „სალივლივეს" გაგვიხსნის, იქაურობას უცხოელებით გაავსებს და გოგო-ბიჭებს ან სულაც მხოლოდ ბიჭებს თითს ბუჩქებისკენ გაუშვერს, თქვენ იცით და თქვენმა ჯანმაო. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ხმის ამოღებას ვერავინ გაბედავს, რამე სერიოზულ წინააღმდეგობაზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ამ ქვეყანაში უკვე, როგორც ჩანს, დიდი ხანია, სიტყვა პროტესტის მნიშვნელობა დავიწყებული აქვს საზოგადოებას.

**მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და, როცა გავიგე, რომ კიევში სააკაშვილის მიერ თავის დროზე უადგილო ადგილას წამოჭიმულ ქართულ რესტორანს ანგრევენ, სიმართლე გითხრათ, უკრაინელი ხალხის შემშურდა, შემშურდა, რადგან, როგორც იქნა, ეღირსათ ისეთი ხელისუფლება, რომელმაც წინამორბედის ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას საბოლოოდ ხაზი გადაუსვა, ჩვენ კი, ვშიშობ, ერთ „მშვენიერ" დღეს ან იმ ტყუილებისა და გარყვნილების ნიაღვარი დაგვახრჩობს, სახელისუფლო არხებიდან გეომეტრიული პროგრესიით რომ მოედინება, ან სულაც ის წყალი გაგვგუდავს, რომელიც, დიდი ხანია, ქართულ საზოგადოებას პირში აქვს დაგუბებული...**

**ჯაბა ქვანია**

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას პოტენციური დაკარგვის საფრთხე ემუქრება. თურქული პოლიტიკა, რომელიც ამ რეგიონში ხორციელდება საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მხარდაჭერით, წარმოადგენს ეკონომიკურ ექსპანსიას, რაც საშუალებას აძლევს თურქეთს, აჭარის რეგიონზე ნელ-ნელა დაამყაროს ტოტალური კონტროლი.**

**«აჭარაში თითქმის ყველაფერი თურქ ინვესტორებზე გაიყიდა და ეს ქართული რეგიონი თურქეთის მოქალაქეების კერძო საკუთრება ხდება»**

# ტურისტული ოაზისი თუ დასაკარგად განწირული ტერიტორია?!

**სააკაშვილის ხელისუფლება თურქული ფულის მეშვეობით აჭარაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებით თავს იწონებს და წარმოდგენა არ აქვს, რა მორიგ საფრთხეს უმზადებს ქვეყანას. მის მიერ გატარებულმა რეგიონულმა პოლიტიკამ, შესაძლოა, საქართველო რიგით მესამე ტერიტორიული ერთეულის გარეშე დატოვოს; კერძოდ, აჭარა დედასამშობლოს მოსწყვიტოს, რაც, შესაბამისად, მისი დაკარგვით დამთავრდება.**



სანამ უშუალოდ შევუდგებოდეთ აჭარის პრობლემატიკის განხილვას და თურქეთის რეგიონული პოლიტიკის ანალიზს კავკასიაში, აუცილებელია, მოკლედ მიმოვიხილოთ გლობალური პოლიტიკა, რადგან კავკასია წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის შემადგენელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სეგმენტს. **კავკასიაში მომხდარი ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენა, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მიმდინარე მოვლენებზე აისახება, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ რეგიონში თავის სამხედრო-პოლიტიკური ძალაუფლების გასაფართოებლად რამდენიმე დიდი სახელმწიფოა ჩართული ურთიერთდაპირისპირების კონტექსტში.**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მსოფლიოს ინაწილებდა ორი ზესახელმწიფო (ერთის მხრივ, საბჭოთა კავშირი და, მეორე მხრივ, აშშ), ამ ორ სუპერ ძალას შორის დაიწყო ბრძოლა სამყაროს სხვადასხვა წერტილში უპირატესობის მოსაპოვებლად. გამონაკლისი არც ხმელთაშუა ზღვისპირეთი იყო. თურქეთმა ამერიკის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში გადამწყვეტი სახელმწიფოს როლი მიიღო, როგორც პლაცდარმი და საბჭოთა კავშირის შემაკავებელი ფაქტორი ამ უკანასკნელის სამხრეთ საზღვრებთან.

თურქეთი, როგორც „ანაკონდის რკალის" (ამერიკული გეოპოლიტიკური სტრატეგია, რომელიც მიმართულია, რაც შეიძლება მეტი სანაპირო ტერიტორია გამოსტაცოს რუსეთს, რათა შეაკავოს მისი გეოპოლიტიკური ექსპანსია შემდგომში საკუთარი გავლენის გაფართოების მიზნით) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო, მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა ამერიკელებისთვის. **ამერიკელები მას იყენებდნენ როგორც დასაყრდენს, ამერიკული გავლენის გასაფართოებლად საბჭოთა კავშირის გარშემო ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით.** თურქეთის ტერიტორია, აგრეთვე, გამოიყენებოდა სხვადასხვა სამხედრო ოპერაციისათვის რეგიონში. იგი ჯერ გამოყენებულ იქნა ლიბანში 1958 წელს, 1991 წელს — სპარსეთის ყურეში ომის დროს. მოკლედ რომ ვთქვათ, **თურქეთი ნატოში გაწევრიანების შემდეგ, ამერიკის სრული გავლენის ქვეშ აღმოჩნდა, რასაც ამერიკა საკუთარი გეოსტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე იყენებდა.**

ვითარება შეიცვალა საბჭოთა კავშირის, ერთ-ერთი სუპერ ძალის, ლიკვიდაციის შემდეგ. ამერიკულ ინტელექტუალურ წრეებში არსებობდა მოლოდინი, რომ მსოფლიოში ცივი ომის დასრულებისა და კომუნისტურ საბჭოთა კავშირზე გამარჯვების მოპოვების შემდეგ, მსოფლიო ერთპოლუსიანი გახდებოდა და აშშ იქნებოდა მსოფლიო პოლიტიკის ერთადერთი ჰეგემონი. თუმცა **ერთპოლუსიანი მსოფლიო, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის დაშლის პირველ წლებში, გარდამავალი ფაზა აღმოჩნდა ორპოლუსიანობიდან მრავალპოლუსიანობისკენ. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ახალი რეგიონული ლიდერების გაჩენას, კავკასიაში კი თურქეთი ცდილობს, იტვირთოს ლიდერის ფუნქცია. მსოფლიო რომ მრავალპოლუსიანობისკენ მიექანება, აღიარებენ თვითონ აშშ-შიც.** ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს შარშან ბარაკ ობამას მიერ კონგრესისადმი გადაცემული ნაციონალური უსაფრთხოების ახალი სტრატეგია, სადაც იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ მსოფლიო ხდება მრავალპოლუსიანი.

**საბჭოთა კავშირის არსებობის დროს თურქეთი გეოპოლიტიკურად პასიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ნელ-ნელა აქტიურ მდგომარეობაში გადასვლა დაიწყო. თუ დავაკვირდებით კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს, ამ მხრივ, თურქეთის ამბიციური პოლიტიკა თვალშისაცემია. იგი ყველაფერს აკეთებს, რათა რეგიონში დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი როგორც ერთ-ერთმა რეგიონულმა პოლუსმა. ამას ხელი შეუწყო 2008 წლის ცხინვალის რეგიონში მომხდარმა კონფლიქტმა, რამაც კავკასიის რეგიონში ძალთა ბალანსი შეცვალა და დასაბამი მისცა ახალი რეგიონული გადანაწილების დასაწყისს, რამაც შესაბამისად თურქეთის გააქტიურებაც გამოიწვია.**

რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარებით, საქართველოდან გასვლა (თუ არ ჩავთვლით აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, რომელსაც უკვე რუსეთი აღარ თვლის საქართველოს ტერიტორიად) აღიარა როგორც იურიდიულად, ასევე ფაქტობრივად. თურქეთს ჩრდილოეთიდან უკვე საფრთხე არ ემუქრება, რადგან რუსეთმა მას შემდეგ, რაც კავკასიის ათვისება დაიწყო და რომელიც თურქეთის შემაკავებელ ფაქტორად ითვლებოდა რეგიონში, საკუთარი გავლენის სფერო შემოსაზღვრა და მის ფარგლებში ჩაიკეტა. რაც შეეხება აშშ-ს, იგი გეოგრაფიულად შორს არის, რაც ხელს უშლის მას, შეაჩეროს მისი მზარდი ამბიციები რეგიონში. თურქეთი, ფაქტობრივად, მარტო აღმოჩნდა და გაეხსნა სრული კარტბლანში, რათა საკუთარი თამაში ითამაშოს, ექსპანსიური სვლა დაიწყოს ჩრდილოეთისკენ და გააფართოოს საკუთარი გავლენის სფეროები.

**ასეთ ვითარებაში, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს აჭარის რეგიონი და მისით დაინტერესებული თურქეთი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას პოტენციური დაკარგვის საფრთხე ემუქრება. თურქული პოლიტიკა, რომელიც ამ რეგიონში ხორციელდება საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მხარდაჭერით, წარმოადგენს ეკონომიკურ ექსპანსიას, რაც საშუალებას აძლევს თურქეთს, აჭარის რეგიონზე ნელ-ნელა დაამყაროს ტოტალური კონტროლი.**

აჭარაში თითქმის ყველაფერი თურქ ინვესტორებზეა გაყიდული და ეს ქართული რეგიონი თურქეთის მოქალაქეების კერძო საკუთრება ხდება.

კავკასიაში არსებობს არამყარი სამხედრო პოლიტიკური ბალანსი, რაც ერთმა უმნიშვნელო კონფლიქტურმა სიტუაციამ შეიძლება შეცვალოს. კავკასიაში ერთი უმნიშვნელო კონფლიქტის გაღვივების შემთხვევაში, რაც, ალბათ, ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს და რამაც, არ არის გამორიცხული, რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვას, რასაც რეგიონში დაინტერესებული დიდი ქვეყნების ჩართვა მოჰყვება.Eეს ყველაფერი კი 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ შექმნილ ძალთა წონასწორობას ძირეულად შეცვლის და არ არის გამორიცხული, კავკასიაში არსებულ სახელმწიფოთა საზღვრებიც შეცვალოს.

**კავკასიაში დაკონსერვებული კონფლიქტებიდან რიგში დგას ყარაბახი. ყარაბახის კონფლიქტი მუდმივად დაკონსერვებულ მდგომარეობაში ვერ იქნება. დადგება დრო, როდესაც აზერბაიჯანელები შეეცდებიან საერთაშორისო სამართლით აღიარებული, საკუთარი ტერიტორიის დაბრუნებას. მშვიდობიანი გზით ამ კონფლიქტის მოგვარება წარმოუდგენელია, რჩება ერთადერთი სამხედრო გზა, რაზეც აზერბაიჯანის მმართველი კლასი ხშირად ამახვილებს ყურადღებას თავის საჯარო გამოსვლებში. „თუკი სომეხი ოკუპანტები ჩვენს მიწებს არ გაათავისუფლებენ, სამხრეთ-კავკასიაში დიდი ომის დაწყება გარდაუვალია"** (საფარ აბიევი, აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრი). ან კიდევ: აზერბაიჯანის პრეზიდენტის — ილჰამ ალიევის საჯარო განცხადება, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ყველაფერს გააკეთებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოსაგვარებლად, მაგრამ არც ძალისმიერი გზით კონფლიქტის მოგვარებაზე ამბობს უარს. **„ჩვენ მზად ვართ, რომ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაზე მოლაპარაკებები ვაწარმოოთ... მაგრამ, თუკი მოლაპარაკებების გზით დარეგულირება შეუძლებელი გახდება, ჩვენ გამოვალთ მოლაპარაკებათა პროცესიდან და კონფლიქტს სხვა გზით გადავწყვეტთ"** (ილჰამ ალიევი).

ომს სჭირდება დიდი ფინანსები, რაც აზერბაიჯანს აუცილებლად ექნება კასპიის აუზში არსებული ნავთობის ექსპლუატაციიდან. სანავთობო ბუმის შედეგად განხორციელებული ინვესტიციებითა და მიღებული მოგებით აზერბაიჯანი ეკონომიკური განვითარების დონით საგრძნობლად უსწრებს სომხეთს, რაც ამ ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტზეც აისახება. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რამაც აზერბაიჯანს შეიძლება ტერიტორიული მთლიანობის საკითხის სამხედრო გზით გადაწყვეტისკენ უბიძგოს. ეს შეიძლება იყოს შიდა და საგარეო ფაქტორი.

შიდა ფაქტორში იგულისხმება ეკონომიკური განვითარების დონე, რითაც ის საგრძნობლად უსწრებს სომხეთს, რაც აისახება სამხედრო ბიუჯეტზე და რაც პირდაპირპროპორციულად გავლენას ახდენს სამხედრო ძლიერებაზე. შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის რაოდენობით აზერბაიჯანს სომხეთზე უფრო მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს, 72 ათასი 43 ათასთან შეფარდებით.

რაც შეეხება საგარეო ფაქტორს, აზერბაიჯანი რეგიონში მზარდი ამბიციების მქონე თურქეთის სტრატეგიული მოკავშირეა, რომელიც ნელ-ნელა ზრდის საკუთარ გავლენას კავკასიაში. თურქეთში სერიოზულად მიდის მსჯელობა აზერბაიჯანთან სამხედრო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, რაზეც თურქეთის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული კვლევების ანალიტიკოსი, ანკარის უნივერსიტეტის პროფესორი არიფ კესკინი აცხადებს. მისი თქმით, **„სამხედრო შეთანხმების გაფორმებით, ანკარა ერთბაშად გადაჭრის რამდენიმე სტრატეგიულ ამოცანას: ჯერ ერთი, ის თავის დაცვის ქვეშ აიყვანს აზერბაიჯანს და მის ტერიტორიაზე გამავალ ენერგეტიკულ მილსადენებს, ამით იგი კვლავ გააკეთებს განაცხადს, რომ არის მძლავრი რეგიონული სახელმწიფო. და ბოლოს, ანკარასა და ბაქოს შეუძლიათ დამოუკიდებლად ააგონ კავკასიაში თავიანთი პოლიტიკა რაიმე შიშის გარეშე".** არ არის გამორიცხული, სწორედ ამ ფაქტორებმა კომპლექსში, უბიძგონ აზერბაიჯანს სომხეთთან ომისკენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ყარაბახის კონფლიქტის გაჩაღების შემთხვევაში, მას ჯაჭვური რეაქცია ექნება და, შესაძლოა, რეგიონში არსებული სახელმწიფოები ჩათრეულნი აღმოჩნდნენ ფართომასშტაბიან კავკასიურ ომში, რაც სხვა მოთამაშეებთან ერთად თურქეთის ჩართვასაც გამოიწვევს. მოვლენების ასეთმა განვითარებამ კავკასიაში, დიდი ალბათობით, შესაძლებელია თურქეთის სამხედრო ინტერვენცია გამოიწვიოს აჭარაში.** ნებისმიერი ქვეყნის ვალდებულებას წარმოადგენს საკუთარი მოქალაქეებისა და მათი კერძო საკუთრების დაცვა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თურქეთი კი აუცილებლად საკუთარი მოქალაქეებისა (როგორც მოგეხსენებათ, უკვე 18 ათას თურქეთის მოქალაქეს გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აჭარაში) და მათი კერძო საკუთრების დაცვის ეგიდით შემოიყვანს აჭარაში საკუთარ შეიარაღებულ ძალებს, რითაც საქართველო მესამე უმნიშვნელოვანეს რეგიონს დაკარგავს. იქნებ ვინმეს აქვს იმის ილუზია, რომ თურქულ ჯარს ქართული არმია, ჩვენი მთავარსარდლის მეთაურობით, განდევნის აჭარის ტერიტორიიდან? **ქართულმა საზოგადოებამ 2008 წლის აგვისტოში უკვე ნახა, თუ როგორ შეუძლია ქართულ არმიას საკუთარი ტერიტორიების დამოუკიდებლად დაცვა; ან იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ამერიკელები საქართველოს გულისთვის თურქეთს შეეწინააღმდეგებიან და უარს იტყვიან საკუთარ გეოპოლიტიკურ სტრატეგიაზე, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ვითარდებოდა?!**

როგორც უკვე აღინიშნა, თურქეთი მნიშვნე- ▶

მთავარია, ბიძინა ივანიშვილმა გაითვალისწინოს პატარკაციშვილის გამოცდილება, უფრო სწორად, არ უნდა დაუშვას ის შეცდომები, რაც ბადრიმ დაუშვა და მის მიერ ჩამოყალიბებულ ახალ პოლიტიკურ გუნდს არ გააკაროს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ჭარბად არსებული „ფულისმოყვარული“ პოლიტიკოსები...

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...ლოვან ფუნქციას ასრულებდა ამერიკელებისთვის მათი გეოპოლიტიკის მამამთავრის — ალფრედ მეჰენის მიერ შემუშავებულ „ანაკონდის რკალში“. ამერიკელები, ზემოთ ხსენებული გეოპოლიტიკური რკალი რომ არ დაირღვეს ევრაზიის კონტინენტის სამხრეთი ნაწილის გასაკონტროლებლად და, შესაბამისად, თურქეთმა შეინარჩუნოს პროდასავლური კურსი, თურქეთის ყველა მოთხოვნას შეეგუებიან და წინააღმდეგობას არ გაუწევენ. ამ არგუმენტის გასამყარებლად აუცილებელია, ისტორიულ წარსულში დავბრუნდეთ და გავიხსენოთ კვიპროსის მაგალითი, რომელიც თურქეთსა და საბერძნეთს შორის დაპირისპირების მთავარი მიზეზია.

**მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები მთლიანად აკონტროლებდნენ ორპოლუსიანი მსოფლიო სისტემის პირობებში ერთ-ერთ პოლუსს, მაშინაც კი იძულებული იყვნენ, თურქეთის ინტერესები უფრო მეტად გაეთვალისწინებინათ, ვიდრე ბერძნების. ბერძნებმა 1974 წელს, ამერიკელების უმოქმედობის გამო, უარიც კი თქვეს ნატოსთან თანამშრომლობაზე. ეს ხდებოდა ორპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის დროს, როცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთ პოლუსს სრულად აკონტროლებდა აშშ. დღეს კი, როდესაც მსოფლიო მრავალპოლუსიანობისკენ მიექანება, რასაც თვითონ ამერიკელებიც კი აღიარებენ, წარმოუდგენელია, ამერიკელებმა საქართველოს გულისთვის თურქეთი გაანაწყენონ.**

დავუშვათ, აშშ-მა რომ მოინდომოს თურქეთზე ზემოქმედების მოხდენა, იგი მას იძულებულს გახდის, საერთოდ ანტიამერიკული პოლიტიკა აწარმოოს რეგიონში, რაც თავისთავად გამოიწვევს ამერიკელებზე განაწყენებული ისლამური სამყაროს კონსოლიდაციას სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე ძლიერი მუსლიმანური სახელმწიფოს, თურქეთის გარშემო. ასეთი ტიპის პოლიტიკა ამ სამყაროში ამერიკულ გეოპოლიტიკურ ინტერესებს დიდ ზიანს მიაყენებს.

**თუ ეს პოლიტიკური ძალა კიდევ რამდენიმე წლით დარჩება ხელისუფლებაში, რომელიც მოსვლის დღიდან ბრიყვულ საგარეო პოლიტიკას ეწევა, არ არის გამორიცხული, საქართველომ გერმანიის ბედი გაიზიაროს. გერმანია, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, პირველ წლებში რამდენიმე საოკუპაციო ზონად დაიყო. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულმა ქვეყნებმა იგი ამერიკულ, ბრიტანულ, ფრანგულ და საბჭოთა ზონებად დაყვეს; საქართველო კი, შესაძლოა, სამ „საოკუპაციო“ ზონად დანაწევრდეს. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს რუსები უკვე დაეპატრონენ, აჭარას თურქები დაიქვემდებარებენ, ხოლო დარჩენილი ანკლავი, რომელსაც ამ ხელისუფლების წარმომადგენლები რატომღაც ქართულ სახელმწიფოს უწოდებენ, აშშ-ის ტოტალური კონტროლის ქვეშ აღმოჩნდება.**

**ირაკლი უბილავა**

# გარდაუვალი სააკაშვილი თუ გარდაუვალი გაპანღურება

**ფული... ბევრი ფული!!! აი, რა აშფოთებთ და აღაფრთოვანებთ ქართველ პოლიტიკოსებს! ნათქვამია, „ფულს სუნი არ აქვსო“, მაგრამ ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ ფულს ყოველთვის ასდის ძალაუფლებისა და ყოვლისშემძლეობის „სუნი“. ბიზნესი და პოლიტიკა გარკვეულწილად „თანამეცხედრეები“ არიან, ისევე, როგორც ფული და ძალაუფლება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა ბიზნესმენი პოლიტიკით არის დაინტერესებული.**

## უახლოეს მომავალში სააკაშვილს «მონოლითური პარტია» ხუხულასავით დაეშლება, რაც მისი პოლიტიკური მოღვაწეობის დასასრულის დასაწყისი გახდება

ასე ეგონა ყველას მანამ, სანამ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური პარტიის შექმნისა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში აბსოლუტური უმრავლესობით მოსვლის შესახებ განცხადებას გააკეთებდა: **„მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელისუფლების ტოტალურმა მონოპოლიზებამ და ჩატარებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა, რომელთა მიხედვითაც ნათლად ვლინდება სააკაშვილის სურვილი, ყველანაირი კონსტიტუციური ვადის ამოწურვის მიუხედავად, შეინარჩუნოს ძალაუფლება და დარჩეს ხელისუფლების სათავეში, მიმაღებინა გადაწყვეტილება, შევქმნა პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მივიღო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში“.**

მართალია, ივანიშვილის ბიზნესიდან პოლიტიკაში გადასვლას საზოგადოება არ ელოდა, მაგრამ ეს სულაც არ არის პირველი შემთხვევა, როცა მილიარდერი ბიზნესმენი პოლიტიკაში ერთვება. მსოფლიოში ასეთი უამრავი ფაქტი არსებობს. თუმცა ისეთი ადამიანისგან, რომელიც საჯაროობას გაურბის და ქველმოქმედებასაც ყოველგვარი პოპულიზმის გარეშე აკეთებს, ნამდვილად მოულოდნელი იყო.

**ბიძინა ივანიშვილის საკმაოდ მწვავე განცხადება, ეჭვგარეშეა, რომ არასასიამოვნო მოულოდნელობა იყო სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებისთვის და სასიხარულო — ოპოზიციის ნაწილისთვის.**

**ამ უკანასკნელთა სიხარულის მიზეზი გასაგებია: ივანიშვილთან შესაძლო პარტნიორობა და, რა თქმა უნდა, დამათრობელი ძალის მქონე მილიარდების სურნელი.**

მაგრამ სწორედ ამ მილიარდების სურნელი აშფოთებს და ზარავს სააკაშვილს, რადგან მას პოლიტიკურ „ტატამზე“ არა მარტო მძლავრი ფინანსური რესურსების მქონე პიროვნება დაუპირისპირდება, არამედ, შესაძლოა, პარტიაც დაეშალოს, ვინაიდან მილიარდების სურნელი მათთვისაც არანაკლებ მიმზიდველია.

თუკი პატარკაციშვილის შემთხვევაში უსახო თუ ბრტყელსახიანი „ნაციონალები“ ლამის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტად გალანძღავდა, ივანიშვილთან დაკავშირებით სიტუაცია კარდინალურად შეცვლილია, რადგან „ნაციონალები“, ორიოდე დეპუტატის გარდა, მისი განცხადების შეფასებისგან თავს იკავებენ, რაც მეტად უჩვეულოა „ნაციონალებისთვის“ და გარკვეულწილად მიანიშნებს იმაზე, რომ ივანიშვილის მილიარდების ძალას მმართველ პარტიაშიც აღიარებენ და არ სურთ, მასთან მისასვლელი გზა წარმავალი სააკაშვილის გამო მოიჭრან.

შექმნილი მდგომარეობა გარკვეულწილად გვაიძულებს, ვივარაუდოთ, რომ **უახლოეს მომავალში სააკაშვილს „მონოლითური პარტია“ ხუხულასავით დაეშლება, რაც მისი პოლიტიკური მოღვაწეობის დასასრულის დასაწყისი გახდება, ანუ ივანიშვილის პოლიტიკური გააქტიურება, შესაძლოა, სააკაშვილისთვის სასიკვდილო ინექცია აღმოჩნდეს და მიხეილის პოლიტიკური გეგმები თავდაყირა დააყენოს.** მითუმეტეს, როგორც ბატონი ბიძინა აცხადებს, ის არ დაუშვებს სააკაშვილის კვლავ ხელისუფლების სათავეში დარჩენას და გამოთქვამს მზადყოფნას: **„პრემიერის ან პარლამენტის თავმჯდომარის რანგში მონაწილეობა მივიღო ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაში და პასუხისმგებლობა ვიკისრო მის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, რათა ბოლომდე აღმოიფხვრას ისეთი მასშტაბის ელიტარული კორუფცია, რომელშიც სააკაშვილის ახლანდელი მთავრობის მაღალი ეშელონებია ჩაფლული“.**

შეიძლება ითქვას, ამ განცხადებით ივანიშვილმა მაღალ მიხეილს შოკისმომგვრელი ალიყური უთავაზა. მითუმეტეს განცხადების სრული ტექსტი საზოგადოებას 7 ოქტომბერს გააცნეს, სწორედ იმ დღეს, როცა ნიკოლა სარკოზი კავკასიური ტურნეს ფარგლებში საქართველოში იმყოფებოდა და რისი საკუთარი პიარისთვის გამოყენება ჰქონდა სააკაშვილს დაგეგმილი. ივანიშვილის განცხადებამ კი სარკოზი-სააკაშვილის ემოციურ-დიდაქტიკური გამოსვლა გარკვეულწილად დაჩრდილა.

მითუმეტეს სარკოზისთვის გრანდიოზული შეხვედრისა



და ოვაციების მოწყობა სააკაშვილის რეჟიმს სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ჰქონდა აყვანილი, რადგან 7 ოქტომბერს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ლამის სამოქალაქო მობილიზაცია გამოცხადდა და რეგიონებიდან თავისუფლების მოედნისკენ ხალხის უწყვეტი მასა მოემართებოდა. **ზოგადად, ძალიან კარგია, როცა ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფოს ლიდერი ჩამოდის, მაგრამ ის მასკარადი, რაც სააკაშვილმა თავისუფლების მოედანზე მოაწყო, სხვა არაფერი იყო, თუ არა არასრულფასოვნების კომპლექსით დაავადებული ხელისუფლების უსახური პროვინციალიზმი, რომელიც ერის ღირსებას ფეხქვეშ თელავს და საკუთარი ძალაუფლების მხარდაჭერის სანაცვლოდ მზად არის, აღიაროს, რომ მისი ქვეყანა ნებისმიერი დიდი სახელმწიფოს პროვინციაა, ხოლო თვითონ მზად არის, პროკონსულის როლი შეასრულოს.**

ივანიშვილი თავის განცხადებაში შეეხო ყველა იმ სიმახინჯეს, რომელიც საქართველოში არის გამეფებული და საზოგადოებას მოვლენების ობიექტურად აღქმაში ხელს უშლის: **„დამთრგუნველია ყველა იმ სიცრუის მოსმენა, რაც საინფორმაციო საშუალებებიდან მოედინება. ყოველდღიური ტრაბახი და ტყუილების კორიანტელი სააკაშვილის მიღწევების შესახებ უაღრესად შეურაცხმყოფელია. აღმაშფოთებელია, რომ სააკაშვილი საზოგადოებას ასეთი დონის ბრიყვად მიიჩნევს. ქვეყნის პრეზიდენტის მიერ შექმნილი სიცრუის მანქანა არათუ ჩვეულებრივ მოქალაქეს, პროფესიონალ ანალიტიკოსსაც კი უძნელებს თეთრის შავისგან გარჩევას. სიცრუის ქსელში ჩართულმა ფსევდოოპოზიციურმა პოლიტიკოსებმა, პარტიებმა და საინფორმაციო საშუალებებმა ისეთი გარემო შექმნეს, რომ საზოგადოების პოლიტიკურად ყველაზე აქტიურ ნაწილსაც კი პოლიტიკის მიმართ უნდობლობა გაუჩინეს და საბოლოოდ დააკარგვინეს არჩევნების გზით რაიმეს შეცვლის იმედი“.**

დღეს საქართველოს წინაშე დგას დაუძლეველი პრობლემა — პოლარიზაცია, რასაც უკურნებელი სენივით ღრმად აქვს ფესვები გადგმული საზოგადოებაში და ქვეყანას რეგრესისკენ მიაქანებს. მის გამოწვევაში, ხელისუფლებასთან ერთად, დიდი წვლილი ოპოზიციასაც მიუძღვის, ვინაიდან **ხელისუფლების მხრიდან საზოგადოების „ჩემიანებად“ და „მტრებად“ დაყოფამ, ოპოზიციის მხრიდან კი მუდმივმა დაქსაქსულობამ, დაპირისპირებამ, ვიწროპარტიულმა დამოკიდებულებამ საზოგადოებისადმი ამ უკანასკნელთა აპათიური მდგომარეობა გამოიწვია.** ივანიშვილის განცხადებამ საზოგადოებაში იმედის ნაპერწკალი გააღვივა. ტაკიმასხარა და უპრინციპო ოპოზიციის შემხედვარე ხალხს ხელისუფლების შეცვლისა და სახელმწიფოს განვითარების რწმენა ჰქონდა დაკარგული. ივანიშვილი კი, რომელიც ქართულ საზოგადოებას საქართველოს განვითარებას და გამთლიანებას ჰპირდება, შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ერისთვის ბოლო ნავსაყუდელია, რომელმაც შეიძლება შეუნარჩუნოს ღირსება და მეობა.

მაგრამ **ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვის პარალელურად სააკაშვილი შეეცდება, რამდენიმე „კონსტრუქციული“ ოპოზიციური პარტია, სავარაუდოდ, მილიონ დოლარად პრივატიზებული „ახალი მემარჯვენეები“ და „ქრისტიან-დემოკრატები“ გააქტიუროს და ივანიშვილის პარტიის დისკრედიტაციისთვის გამოიყენოს, რათა კიდევ ერთხელ გამოიწვიოს საზოგადოების დეზორიენტაცია; მითუმეტეს, რომ აღნიშნული პარტიის ლიდერებმა ივანიშვილის გადაწყვეტილებას მკვეთრად უარყოფითი შეფასება მისცეს და კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს.** გარდა ამისა, „ნაციონალური“ ტელეარხების მეშვეობით შეეცდება ივანიშვილის პერსონის დისკრედიტაციას, მისი, როგორც რუსი ოლიგარქის, იმიჯის შექმნით, რომელიც თითქოს რუსეთის პროექტია და მის გადაწყვეტილებას ქართულ, ეროვნულ ინტერესებთან საერთო არაფერი აქვს.

**სააკაშვილი და მისი პროპაგანდისტული მანქანა მომავალშიაც ეცდება ივანიშვილის ლანძღვას, თუმცა მთავარია, რომ ქართულმა საზოგადოებამ ამჯერად მაინც შეძლოს ამ რეჟიმის გაპანღურება, წინააღმდეგ შემთხვევაში არამარტო 2012 და 2013 წლებში, არამედ შესაძლოა 2023 წელსაც სააკაშვილის რეჟიმში მოგვიწიოს ყოფნა.**

დღეს ყველაზე მთავარია, ბიძინა ივანიშვილმა გაითვალისწინოს პატარკაციშვილის გამოცდილება, უფრო სწორად, არ უნდა დაუშვას ის შეცდომები, რომლებიც ბადრიმ დაუშვა და მის მიერ ჩამოყალიბებულ ახალ პოლიტიკურ გუნდს არ გააკაროს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ჭარბად არსებული „ფულისმოყვარული“ პოლიტიკოსები, რომლებმაც თავის დროზე პატარკაციშვილს ფულის სანაცვლოდ ჯერ ერთგულება აღუთქვეს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში სააკაშვილის ოცდაათ ვერცხლს დახარბდნენ და, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, ბრძოლის ველზე მარტო დატოვეს, უფრო მეტიც — დაუპირისპირდნენ კიდეც. ამ ღალატის მწარე შედეგი დღეს სახეზეა: პატარკაციშვილი საფლავში წევს, ხოლო პაატა დავითაია, გიორგი თარგამაძე და სხვა მოღალატეთა მთელი კოჰორტა ისევ პოლიტიკურ ავანსცენაზეა წამოჭიმული.

**ზურაბ ჯამბურია**

საქართველო და მსოფლიო
ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბრეტელებიან“ „მაიკებში“ პრეზიდენტის დაცვის უფროსი, დაცვის წევრები, თან პირსახოცით ხელში და ელვაგახსნილი შარვლებით პირველად ვნახე. „მაიკებიანი“ დაცვის ბიჭები ჰოლივუდურ ფილმებში მყავდა ნანახი, ისიც იმ დროს, როცა ფილმში პრეზიდენტს ტერაქტს უწყობენ ან უცხოპლანეტელებთან ომი იწყება. აი, მიშამ კი ეს ყველაფერი „ლაივში“ მანახა. მართლა მაგარია მიშა, აბა, რა არის?!“**

# პრეზიდენტი, დაცვის უფროსი «ბრეტელებიანი» «მაიკით» და სიყვარული «ინტურისტში»

**მიხეილ სააკაშვილის უაზრო ხუნტრუცობის, თავაშვებული ღრეობებისა და გიჟობანას შესახებ იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ ბევრი ისტორია ლეგენდად შემორჩება და შთამომავლობიდან შთამომავლობას გადაეცემა. მოკლედ, პერსონაჟი სახელად „პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი“ ქართულ ეპოსს უეჭველად შემორჩება ზღაპრებისა თუ თქმულებების სახით.**

საგულისხმოა, რომ ახლა „ნაციონალებიც“ კი აღარ მალავენ თავიანთი დიდბელადის უმსგავს, გაუწონასწორებელ და, არათუ პრეზიდენტისთვის, უბრალოდ, მოწიფული მამაკაცისთვის შეუფერებელ საქციელს. დიახ, ჯერჯერობით „ნაციონალური წვრილფეხობა“ უკვე ხმამაღლა ლაპარაკობს იმაზე, რაც საკუთარი თვალით უნახავს — პრეზიდენტის სამარცხვინო საქციელი. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება, რომელიც ამჟამადაც მამალ „ნაციონალად“ ითვლება, თავად დამიკავშირდა და მიშას მორიგი გიჟმაჟური თავგადასავალი მომითხრო.

**ეს ამბავი ბათუმში, სასტუმრო „ინტურისტში“ მოხდა ზუსტად იმ დღეს, როცა ინგლისში მოღვაწე ქართველი მომღერალი ქეთი მელუა ბათუმის ბულვარში კონცერტს მართავდა, ანუ 2009 წლის ივლისში.**

**„საქართველო და მსოფლიო“, მოგეხსენებათ, ინკოგნიტო რესპონდენტების მონათხრობს და, მით უმეტეს, ასეთ დელიკატურ თემაზე, არ აქვეყნებს ხოლმე. მაგრამ ამჯერად გადავწყვიტეთ, თქვენთვისაც გაგვეცნო ერთი „ნაცურ-ანცური“ ისტორია. ბუნებრივია, ყველა ინფორმაციას გადამოწმება სჭირდება, თუმცა, ვინ, რომელი ჩინოვნიკი თუ სასტუმროს თანამშრომელი დაგვიდასტურებდა? ამიტომაც გთავაზობთ უცვლელად და დასკვნები თქვენ თვითონ გამოიტანეთ, რამდენად შეესაბამება სიმართლეს, ანდა შეიძლებოდა თუ არა, მსგავსი რამ მომხდარიყო.**

მოკლედ, ქეთი მელუას კონცერტზე მთელი „ნაცელიტა“ გაემგზავრა. იმჟამად ჯერ დასრულებული არ იყო ბათუმის „რადისონი“, „მერიოტი“ და სხვა სასტუმროები, ყველაზე უკეთესი და პრესტიჟული ახლადგარემონტებულ-გადაკეთებული „ინტურისტი“ იყო, ამიტომაც მთელმა ნაცბომონდმა „ინტურისტში“ მოიყარა თავი. იქვე დაბინავდა მიხეილ სააკაშვილიც, რომელიც ცოლ-შვილის გარეშე იმყოფებოდა ბათუმში.

**ვიდრე ჩვენს რესპონდენტს მოვუსმენთ, მანამდე განვმარტავ, — ეს კაცი პრესით გამოჩენას ყველასთვის გასაგები მიზეზის გამო ერიდება — არ სურს, ჩვენმა ძალოვანებმა საკუთარი გვარ-სახელი დაავიწყონ, ოჯახი და სანათესაო აუწიოკონ და თავად ციხეში გამოამწყვდიონ, შესაძლოა, რეაქტიული ბომბდამშენის სახლის სარდაფში გადამალვის ბრალდებით. ახლა კი მოვუსმინოთ:**

— მე არანაირ ოფიციალურ დელეგაციაში არ შევდიოდი თავიდან, მაგრამ ძალიან მინდოდა ქეთი მელუას კონცერტზე დასწრება. ცოლი წავიყვანე და ჩავედი ბათუმში. ჩვენ სულ სხვა სასტუმროში დავბინავდით, თუმცა „ინტურისტში“ ცხოვრობდნენ ჩემი მეგობრები, თანამშრომლები და მათთან მივდიოდი, ერთად ვსვამდით, ვერთობოდით. კონცერტამდე ორი დღით ადრე ჩავედით ყველანი. გეხსომებათ, მელუას კონცერტი ბულვარში, ღია ცის ქვეშ გაიმართა. კონცერტის დაწყებამდე გაწვიმდა, ცელოფნები დაგვირიგეს, მაგრამ, ვისაც ქოლგა არ გვქონდა, ამან ვერ გვიშველა. მელუამ რეპერტუარი შეამოკლა, ნახევარი საათით ადრე დაამთავრა კონცერტი და მე და ჩემი მეუღლე მაშინვე სასტუმროში წავედით მანქანით. ჩვენი სასტუმროც იქვე იყო, „ინტურისტთან“ ახლოს. სველი ტანისამოსი გამოვიცვალეთ, წვიმამ გადაიღო და ფეხით წავედით „ინტურისტში“. იქ ცოტა დავლიეთ, კარგი დრო გავატარეთ.

შუა ქეიფში ვიყავით, ცოტა თავი ამტკივდა და რესტორნიდან სუფთა ჰაერზე გამოვედი, 10 წუთი სასტუმროს ეზოში ვიდექი, მერე ჰოლში შევედი, სავარძელში ჩავჯექი, 10 წუთიც აქ ვიჯდები და მერე შევბრუნდები რესტორანში-მეთქი. ამ დროს შემოიშხუილა სააკაშვილმა, უკან დაცვა მოჰყვება, სულ უკან — ალანა გაგლოევა. კი, „ნაციონალი“ ვარ, სახელმწიფო სამსახურში ვმუშაობ, მაგრამ, „ცოცხალი პრეზიდენტის“ ნახვა იშვიათად მიწევს. გავაყოლე თვალი. მიშა და ალანა ცალკე ლიფტით ავიდნენ — ჯერ მიშა შევიდა ლიფტში, მერე — ალანა. დაცვის 4 წევრი აჰყვა მათ მეორე ლიფტით.

დაცვის ბიჭებს რა სიფათები



ჰქონდათ, იცი? გასაცოდავებული, გადაღლილები — უკვე, სადღაც, ღამის 12 საათია, შეიძლება, — მეტიც, და მთელი დღე მიშას დევნაში, აბა, რა მოუვიდოდათ? დაცვამ იფიქრა, ახლა კი გვეშველა ყველასო, თურმე ისინიც შევიდნენ ნომრებში, შხაპს მივიღებთ, ცოტას ამოვისუნთქებთო. ზოგი მისავათებული წამოწვა დასასვენებლად. ეს მერე გავიგე, რომ ასე იყო, თუმცა, რასაც ახლა გეტყვი, იქიდან ყველა ამავე დასკვნას გააკეთებს.

**20 წუთია, ალბათ, გასული, რაც „დელეგაცია“ მაღლა ავიდა. მე სიგარეტს ვეწევი და წუთი-წუთზე უნდა შევბრუნდე რესტორანში. ამ დროს იღება ლიფტის კარი, მიშა გამოდის, ჩამიქროლა გვერდით, თან სპორტულ მაისურს იცვამს და ისწორებს. რესტორნის შესასვლელთან ვიჯექი. გაიღო მეორე ლიფტის კარი და მორბის დაცვის ორი წევრი, ერთი შარვლის ღილებს იკრავს, მეორე პერანგისას და თან შარვალში იტანიებს ამ პერანგს, ეგ რა არის. ამათ ლიფტით მოასწრეს ჩამოსვლა. ეს ორი მოწესრიგდა, შედიან რესტორანში და თან რაციაზე რაღაცას ლაპარაკობენ. კიბეზე ჩამოირბინა დაცვის მესამე წევრმა (გინდ დამიჯერე, გინდ — არა), პერანგი უკუღმა ეცვა, კიბე ჩამოათავა, გაიხადა, შეატრიალა, წაღმა ჩაიცვა, ჩაიკეცა შარვალში, ქამარი შეიკრა და შევარდა ისიც რესტორანში. ისეთ დღეში ვარ, არ ვიცი, გავიცინო თუ არა. მაგრამ მეოთხე უნდა გენახა. ჩამოირბინა იმანაც კიბეზე, „ბრეტელებიანი“ თეთრი მაისურით, ხელში უჭირავს პერანგი, ქამარი — კაბურით და შიგ იარაღით, რაცია და მხარზე ჰკიდია თეთრი პირსახოცი ოქროსფერი წარწერით „intourist“. ეტყობა, შხაპი მიიღო, როცა რაციით უთხრეს, სააკაშვილი დაბლა ჩადისო, რისი ჩაცმაც მოასწრო, მოასწრო, რისიც ვერა და, კი გითხარი, ხელში ეჭირა. თმა სველი ჰქონდა, ეტყობა, პირსახოცით იმშრალებდა გზა და გზა — კიბეზე. მეხუთე სართულზეა „ინტურისტში“ საპრეზიდენტო ნომერი და ხუთი სართული იმშრალებდა.** ამანაც ჩაიცვა პერანგი, ქამარი შემოირტყა, პირსახოცი ურნაში ჩააგდო და შევარდა რესტორანში. გაოგნებული ვიყავი. ათიოდე წუთი გავიდა და ალანა გაგლოევა ჩამოვიდა ლიფტით, გავიდა რესტორნიდან, იქ მანქანა ელოდებოდა, ჩაჯდა და სადღაც წავიდა.

**— რატომ დაემართათ ასეთი ელეთ-მელეთი მიშას და მის დაცვას?**

— ეგ რესტორანში შესვლის მერე გავარკვიე ნაწილობრივ, სრულიად კი, — შემდეგ დღეებში. შევედი რესტორანში...

**— ვიდრე რესტორანში შეხვალ, ის მითხარი, შენ გარდა, ამ სეირს სხვაც ხომ არ უცქერდა?**

— კი, სასტუმროს რეგისტრატორი გოგონები, მგონი, სამნი იყვნენ, მე რეგისტრატურის წინ ვიჯექი და მათ გაოცებულ სიფათებსაც მოვკარი თვალი. იქვეა რომელიღაც ბანკის წარმომადგენლობა. ერთი გოგონაც იქ იჯდა. მინიმუმ ხუთმა კაცმა ვნახეთ ეს უფასო სანახაობა.

**— ახლა რესტორანში რა მოხდა, ის მითხარი.**

— შევედი რესტორანში, ჩემს მაგიდასთან ვიდრე მივიდოდი, დავინახე, ერთ მაგიდას უსხედან სააკაშვილი, ლევან ვარშალომიძე, მათ შუაში — ვიღაც ულვაშებიანი ტიპი, ზურგით კი ორნი სხედან. ორი მაგიდა, მათ გვერდით და წინ, დაცვას უკავია. ახლა უკვე 6 კაცი იყო დაცვა. დავჯექი ჩემს ადგილას. მე არ ვყვები არაფერს, ისე ვიკითხე, ეს ვარშალომიძე აქ საიდან გაჩნდა-მეთქი. ცოტა ხნის წინ შემოვიდა, იმ 3 კაცს თურქულად ელაპარაკებოდა.

**თურმე რაში ყოფილა საქმე: ის ულვაშა, მიშას და ლევანის შუაში რომ უჯდა, თურქი ბიზნესმენი ყოფილა, ორნი — მისი თანხმლებები. სააკაშვილს ამ ბიზნესმენთან „ინტურისტში“ შეხვედრა ჰქონია დანიშნული. ეს სწორედ ის თურქია, „შერატონი“ რომ ააშენა მისმა კომპანიამ. ცხადია, მაგიდაც შეკვეთილი ჰქონდათ. მოვიდნენ ვარშალომიძე და ეს თურქი ბიზნესმენი, დასხდნენ, ელოდებიან მიშას, მიშა კი არ მოდის... ვარშალომიძემ დაურეკა მიშას, მოვიყვანე ეს კაცი და გელოდებითო. მიშას დავიწყებია ეს შეხვედრა, გართობა მოუნდა საპრეზიდენტო ნომერში, ეტყობა. სასწრაფოდ ჩაიცვა...**

**— გახდილი იყო ნომერში?**

— აბა, რა იყო?! მთელი სასტუმრო და მთელი ბათუმი ლაპარაკობდა მეორე დღეს... მიშამ ლამის თურქი ბიზნესმენი გადააგდოო. მე აქამდე ეს ამბავი არავისთვის მომიყოლია, ეტყობა, სასტუმროს თანამშრომლებმა გაახმაურეს. ხომ გითხარი, ჩემ გარდა, მინიმუმ, ოთხმა კაცმა ნახა ეს „კონცერტი“. ახლა, დაცვის იმ ორ ბიჭს ვინ შეეჩეხა კიბეზე — სასტუმროს თანამშრომელი ან სტუმარი, ვინ იცის? ან იმ მეხუთე სართულზე იქნებ ვინმემ კიდევ ნახა ამათი გიჟობანა? სასტუმროს მომსახურე პერსონალი ხომ იქნებოდა უეჭველი იქ, პრეზიდენტის ნომერში, ეგებ რამე დასჭირდეს? თან პირადი დაცვის 4 წევრიც ნომრებშია.

ახლა ისევ საპრეზიდენტო ნომერს დავუბრუნდეთ. ვარშალომიძემ მიშას დაურეკა, — გელოდებითო. მიშა სასწრაფოდ გამოვიდა ნომრიდან. ამ დროს დაცვის უფროსი მოპირდაპირე ნომერშია, კარი ღია აქვს, ფეხზე და ტანთ გახდილი აქვს და ისვენებს.

**— ეგ საიდან იცი?**

— ვიცი, ბევრი რამე ვიცი. **დაცვის უფროსმა რაციაში ჩასძახა — „ობიექტი №1 დაიძრა“! აი, ამის მერე ატყდა ის ალიაქოთი. ლიფტიდან ორი კაცი რომ გამოვარდა გიჟივით, ერთი მათგანი პირადი დაცვის უფროსია. ისიც გავიგე, რომ კიბეზე რომ მორბოდა დაცვის ორი წევრი, ერთს ფეხი გადაბრუნებია, კინაღამ მოუტეხია. მეორე დღეს, კოჭგასიებული თბილისში გამოისტუმრეს და სხვამ ჩაანაცვლა.**

**— ბოლოს და ბოლოს, შედგა მოლაპარაკება სააკაშვილსა და იმ თურქ ბიზნესმენს შორის?**

— კი, ალბათ, მოილაპარაკეს, ფაქტია, სასტუმრო იმ კაცმა ააშენა.

ერთსაც გეტყვი და დავამთავრებ. რესტორანში ვართ ერთად და უკრაინელი ჟურნალისტები შემოვიდნენ, პრესის ჟურნალისტები. ჩემ გვერდით მაგიდასთან დასხდნენ. სააკაშვილი დაინახეს და თვალებს არ უჯერებდნენ — ეს მიშაა თუ არაო. მიშაა-მეთქი, — ვუთხარი. ნახე, რა უშუალო ადამიანია, ჩვეულებრივ სასტუმროში, რესტორანში ზის, ჩვეულებრივად ჭამს, სვამსო. მერე იკითხეს, რომ ვთხოვოთ, სურათს გადაიღებს ჩვენთანო? კი, მიდით, გადაიღებს-მეთქი. სამი გოგო და ერთი ბიჭი იყვნენ — შორტებში, ბოტასებში, მაისურებში... მივიდნენ. მიშამ მართლა გადაიღო მათთან სურათები. ვარშალომიძე უღებდა იმათი აპარატურით. დაბრუნდნენ ეს ჟურნალისტები უკან, დასხდნენ თავიანთ მაგიდასთან და აჭყლოპინებულები არიან, — რა მაგარი პრეზიდენტი გყავთ, იუშჩენკოს ჯერ ხომ ვერსად წააწყდები და, შორტებსა და ბოტასებში რომ იყო და სურათის გადაღება სთხოვო, ხომ გაგიხეთქა თავი მისმა დაცვამო. გულში ვიფიქრე, იუშჩენკო სერიოზული კაცია, მიშა ტინგიცაა, თქვენ ის გენახათ, რაც მე ვნახე ფოიეში, სხვანაირად იჭიკჭიკებდით-მეთქი.

მერე, სხვათა შორის, ვინც დარბაზში იყო, ყველამ გადაიღო მიშასთან სურათები. არა, უშუალო არის, მაგრამ რა ხეირი?

**— აქამდე რატომ არ მოუყევი ჟურნალისტებს ეს ამბავი?**

— მეშინოდა, რადგან ვიცი, რომ ყველა სასტუმროში უამრავი ვიდეოთვალია დამონტაჟებული და ამ ჩანაწერებს გარკვეული პერიოდის მანძილზე ინახავენ. **ახლა, თუ ყვები, რეალურად უნდა მოყვე — სად, როდის მოხდა ყველაფერი, არა? ზღაპრებს ხომ არ მოვყვებოდი? სიმართლე მეთქვა და ამოქექავდნენ იმ დღის ჩანაწერს, რა ძნელი მისაგნებია — ქეთი მელუას კონცერტი როდის იყო, რა უნდა მაგის გაგებას? დაატრიალებდნენ იმ ჩანაწერს, ის ხომ იქნება დაფიქსირებული, პრეზიდენტი როდის შევიდა და გამოვიდა სასტუმროდან და მორჩა, იოლად ნახავდნენ იმასაც, ვინც იჯდა ჰოლში, ვინ აბოლებდა სიგარეტს და ვინ ნახა ეს ყველაფერი. ახლა, უკვე იმდენი ხანი გავიდა, დარწმუნებული ვარ, რომ იმ დღის ჩანაწერი აღარ ექნებათ.**

**— სხვა საინტერესო დეტალებსაც ხომ არ გაიხსენებთ იმ სკანდალური საღამოდან?**

— რაც ვნახე, ყველაფერი მოგიყევი, მეტი აღარაფერი მახსენდება. **ისე, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა მიშას და მისი კამპანიის ტუტუცობებს შევესწარი, სხვა დროსაც მინახავს უცნაური, პრეზიდენტისთვის, მინისტრისთვის, დეპუტატისთვის თუ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნისთვის შეუფერებელიო საქციელი.** მაგრამ „ბრეტელებიან“ „მაიკებში“ პრეზიდენტის დაცვის უფროსი, დაცვის წევრები, თან პირსახოცით ხელში და ელვაგახსნილი შარვლებით პირველად ვნახე. „მაიკებიანი“ დაცვის ბიჭები ჰოლივუდურ ფილმებში მყავდა ნანახი, ისიც იმ დროს, როცა ფილმში პრეზიდენტს ტერაქტს უწყობენ ან უცხოპლანეტელებთან ომი იწყება. აი, მიშამ კი ეს ყველაფერი „ლაივში“ მანახა. მართლა მაგარია მიშა, აბა, რა არის?!

**ჯაბა ლეონიძე**

„ხელისუფლებასაც აქვს პლუსი – ამ დროს შენი იდეების რეალიზების საშუალება გეძლევა, მაგრამ, როცა რეალობა და სურვილები ერთმანეთს ვერ ემთხვევა, ზოგჯერ, რეალობიდან გამომდინარე, შედეგის მისაღწევად გიწევს ისეთ ნაბიჯზე წასვლა, რომელიც შინაგანად შეიძლება არც მოგწონდეს“.

## არა არის დაფარული

## «კაკო ბობოხიძეს არც იმნაიშვილის ცემა უნდოდა და არც მამრაძისა, — «ნაციონალია» და «მოუწია»

# პოლიტიკოსთა სევდა და ყვარყვარე ბობოხიძის სალტო-მორტალე

**ქართველ პოლიტიკოსებს ყველაზე მეტად თავის ქება რომ უყვართ, ეს არავისთვის არის ახალი. არ აქვს მნიშვნელობა, აქვთ თუ არა ქების საფუძველი, მთავარია, ამომრჩეველს მუდმივად ჩააგონონ, რომ მათზე უკეთესი არ არის და არც იქნება. „მმართველი ძალა არის რეალურად ერთადერთი და ყველაზე უფრო ეფექტური ხელისუფლება, რომელიც კი შეიძლება ამ სპექტრიდან აირჩეს,“ — ეს ტირადა, რომელიც სხვადასხვა ვარიაციებით ხელისუფლების ყველა „სახისგან“ მოგვისმენია, ამ რედაქციით კაკო ბობოხიძეს ეკუთვნის. იმ ბობოხიძეს, რომელმაც მუშტი-კრივშიც გვანახა თავი და საღორიის ტყეშიც.**



კაცმა რომ თქვას, მის სიტყვას ფასი უნდა ჰქონდეს; არაფრით გამორჩეულ ამ პოლიტიკოსს იმდენი სკამი აქვს გამოცვლილი ბოლო ოცი წლის განმავლობაში, რომ ნამდვილად აქვს უფლება, „სრულიად საქართველოს პოლიტიკური სპექტრი“ შეაფასოს: **„იმ პოლიტიკური ოპოზიციური სპექტრიდან, რომელიც დღეს საქართველოშია, აბსოლუტურად ყველას ვიცნობ და არა — ერთი და ორი წელი. პრაქტიკულად ყველა მათგანია ერთხელ მაინც ხელისუფლებაში ნამყოფი და მიმაჩნია, რომ ყველაა ჩაჭრილი იმ გამოცდაში, რომელიც, როგორც ხელისუფალს, მათ ცხოვრებამ დაუყენა“.**

თუმცა ამ „ყველაში“ იგი არ გულისხმობს სააკაშვილს, რომელიც შევარდნაძის ხელისუფლებაშიც იყო და ახლაც იქვეა. ბობოხიძისთვის იგი ისეთივე „ჩაუჭრელია“, როგორც თვითონ: **„არაბუნებრივი იქნება, რომ სააკაშვილი პოლიტიკაში არ იყოს. კატეგორიულად მინდა, რომ პოლიტიკაში იყოს“.** თავად მან მოახერხა, რომ 1990 წლიდან დღემდე პოლიტიკაში ითვლება. მართალია, არავის ახსოვს, კონკრეტულად რა გაუკეთებია კაკო ბობოხიძეს ამდენი ხნის პოლიტიკოსობის განმავლობაში, მაგრამ თვითონ ერთ-ერთ მთავარ დამსახურებად იმას მიიჩნევს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელი აქვს მოწერილი. მერე რა, რომ ამ დოკუმენტზე სხვა არაერთ პირსაც აქვს ხელი მოწერილი, ბობოხიძე ამ არგუმენტით ამყარებს საკუთარ დასკვნას: **„ასე რომ, ცოცხალ პოლიტიკოსთა შორის თავს ქართული პოლიტიკის ვეტერანად მივიჩნევ“.**

ამ „ვეტერანს“ 1989 წლის 9 აპრილის აქციაში მონაწილეობა იმიტომ ვერ მიუღია, რომ 8 აპრილს ქუთაისში დაუკავებიათ, თურმე იქ აპირებდა აქციის მოწყობას. ცხადია, 10 აპრილს გამოუშვეს და ისიც თავით გადაეშვა პოლიტიკის მორევში, რომელშიც „ვეტერანის“ სტილით დღემდე დაცურავს. 1990 წელს იგი უზენაესი საბჭოს წევრი ხდება. ჭომის მათემატიკურ ინტერნატში ნასწავლ და 1990 წლამდე ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის უფროს ლაბორანტს, 26 წლის ახალგაზრდას შესაშური ალღო აღმოაჩნდა, რომელსაც არც მას შემდეგ უღალატნია მისთვის.

თუმცა „ვეტერანი“ მხოლოდ ბობოხიძე არ არის. ეროვნული მოძრაობის სხვა ვეტერანების მოგონებებში იგი არცთუ სახარბიელოდ გამოიყურება: **„ეროვნული დროშა ვიღაცამ ჯერ კიდევ 1988 წლის ნოემბრის შიმშილობის დროს დაამაგრა უმაღლესი საბჭოს სახურავზე, მაგრამ მაშინვე ჩამოვახსნევინეთ. ბოლოს უზენაესი საბჭოს არჩევნები ზვიად გამსახურდიამ მოიგო და ეროვნული დროშის უზენაესი საბჭოს თავზე გამოკიდებაც ზვიად გამსახურდიას სახელს დაუკავშირდა. აკაკი ბობოხიძეს ვუთხარით, — თუკი თქვენ უარყოფთ 1921 წლის კონსტიტუციას და აღიარებთ საქართველოს სსრ კონსტიტუციას, მაშინ რატომ ისევ იმ ნამგალუროიან დროშას არ დაიტოვებთ და რა უფლებით იყენებთ შინდისფერ დროშას, რომელიც 1921 წლის კონსტიტუციის სიმბოლოა? ბობოხიძემ მაშინ ასე გვიპასუხა: მაგ დროშას პატრონი აღარ ჰყავდა და ჩვენც იგი არჩევნების მოსაგებად გამოვიყენეთო“.**

„უპატრონო დროშის“ მოტივი ბობოხიძის პოლიტიკურ ბიოგრაფიას დღემდე მოჰყვება. მერე რა, რომ დღეს იგი გულში მჯიღს იცემს და კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს იმ ინტელიგენციას, რომელთან ერთადაც „საშინელ“ გამსახურდიას ებრძოდა, — ახლა ასეა საჭირო. მაშინ კი, 1990 წელს, ეს ხონელი ბიჭი (ინტერნეტში მას ხშირად ახსენებენ, რომ ყვარყვარე თუთაბერიც ხონელი კაცის დაწერილია, მაგრამ აღარავინ განმარტავს, რომ პოლიკარპე კაკაბაძე, კაკო ბობოხიძისგან განსხვავებით, გენიოსი იყო) დიდ პოლიტიკაში დგამს ნაბიჯს.

**თავდაპირველად იგი რესპუბლიკურ პარტიაში ყოფილა, შემდეგ — ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში. შემდეგ კი უზენაესი საბჭოს წევრი გამხდარა. ზოგადად, ეს რესპუბლიკელებისთვის დამახასიათებელი ფანდია: სიტუაციის მიხედვით, ხან რომელ ერთობაში ამოყოფენ თავს, ხან — რომელში. ხან „მრგვალდებიან“, ხან „ნაციონალდებიან“, ხანაც ამტკიცებენ, რომ საქართველოს უძველეს პარტიას წარმოადგენენ. ასე იყო თუ ისე, ბობოხიძემ უზენაეს საბჭოში ბევრით ვერაფრით გაითქვა სახელი, მაგრამ, როგორც კი ვითარება დაიძაბა, მომლაპარაკებელთა შორის აღმოჩნდა.**

1991 წლის 28 ნოემბერს თბილისის ზღვაზე გაჭრილ თენგიზ კიტოვანთან მოსალაპარაკებლად „მრგვალი მაგიდიდან“ ზაურ ქობალია, ტარიელ ფუტკარაძე და ჯემალ გოლეთიანი, ხოლო „დემოკრატიული ცენტრიდან“ აკაკი ბობოხიძე, ნოდარ ნათაძე და პაატა კოლუაშვილი მივიდნენ. საუბარი ეროვნული გვარდიის სტატუსს ეხებოდა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ იგი სპეცდანიშნულების პოლკად გადაკეთდებოდა და უზენაეს საბჭოს დაექვემდებარებოდა. ზვიად გამსახურდიამ ამ შეთანხმებაზე უარი თქვა.

**ეროვნული გვარდიის საკითხზე დავა გკჰპ-ს გამოცხადებისთანავე დაიწყო. ერთადერთი მართებული გადაწყვეტილება, რომელიც მაშინ გვარდიასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა გამსახურდიამ მიიღო, მაშინვე მის წინააღმდეგ გამოიყენეს ჯერ თენგიზ კიტოვანმა და შემდეგ დეპუტატებმა. 3 ოქტომბერს გამოქვეყნდა 36 დეპუტატის განცხადება იმის შესახებ, რომ გვარდია უზენაესი საბჭოს დადგენილებით იყო შექმნილი და მისი დაშლის ან რეორგანიზაციის უფლება პრეზიდენტს არ ჰქონდა. ამ ხელმომწერთა შორის ბობოხიძეც იყო.**

ეროვნული გვარდიის მიმართ ინტერესი კაკო ბობოხიძეს არც შემდეგ განელებია და ბედმა იმასაც მოასწრო, რომ კანონიერებაზე გადაგებული ეს სამოქალაქო პირი მთელი ცხრა თვე (2006 წელს) ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას იკავებდა, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო საქმისა არაფერი გაეგებოდა. მაგრამ ეს უკვე მეორე „რევოლუციის“ შემდეგ იყო, — სააკაშვილის ხელდასხმით; ხოლო 1991 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით, უზენაესმა საბჭომ 38 დეპუტატს შეუჩერა უფლებამოსილება, მათ შორის — კაკო ბობოხიძეს. 1992 წელს იგი, როგორც მოსალოდნელი იყო, უკვე სახელმწიფო საბჭოს მრჩეველი ხდება.

**1992 წელს კაკო პარლამენტის წევრი ხდება. იმ პარლამენტს ჯანსუღ ჩარკვიანმა „გახავთასირებული“ უწოდა, რადგან იმდენ უხამსობას, რამდენსაც დეპუტატი გია ხავთასი ამბობდა, ვერც ერთ პარლამენტში ვერ მოისმენდა კაცი. ამ საქმეში მეორე ადგილზე კაკო ბობოხიძე იყო. უზრდელობა და თავხედობა იყო ის თვისებები, რომლითაც მან საზოგადოებას დაამახსოვრა თავი. შესაძლოა, ამიტომ 1995 წლიდან იგი პოლიტიკაში აღარ ჩანს, თუმცა ბობოხიძემ მაინც იყოჩაღა და 1998 წელს სახალხო დამცველის აპარატში მოეწყო სამუშაოდ. იქაც არაფრით გამოუჩენია თავი, ძირითადად, თავის ბიზნესს უვლიდა, მაგრამ 1999 წელს პარლამენტის მორიგი არჩევნები გაიმართა და მანაც კენჭი იყარა.**

არ გაუმართლა ბობოხიძეს და ხონის №55 ოლქიდან მაჟორიტარი დეპუტატი ჯემალ მებუკე გახდა. იმ მიზეზით, რომ ორ უბანზე არჩევნების შედეგები ბათილად იყო ცნობილი, ხოლო „მოქალაქეთა კავშირის“ მონდომებით (ახლა პარლამენტში გვერდით რომ უსხედან ბობოხიძეს!), იქ ხელახალი კენჭისყრა არ დაინიშნა. აქ ბობოხიძემ იყოჩაღა და რესპუბლიკელი იურისტებიც დაიხმარა და საკუთარი სამსახურიც: **სახალხო დამცველის სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლომ რიგგარეშედ განიხილა და გადაწყვიტა, რომ ხონის არჩევნები არაკონსტიტუციური იყო. შეგახსენებთ, საკონსტიტუციო სასამართლო მმართველი პარტიის დეპუტატის წინააღმდეგ იღებს გადაწყვეტილებას კაკო ბობოხიძის სასარგებლოდ. ეს ის დროა, რომელსაც დღეს ბობოხიძე ბნელსა და უკუნს უწოდებს!**

თუმცა ერთია სასამართლოს გადაწყვეტილება და მეორე – მისი აღსრულება. თითქმის ორი წლის განმავლობაში ზურაბ ჟვანიას პარლამენტი ჯიუტად არ ასრულებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელსაც სავალდებულო ძალა აქვს, კაკო ბობოხიძე კი სახელისუფლო კულუარებში დადის და იხვეწება, პარლამენტში შეუშვან. თანაც ცდილობს, შევარდნაძეს ხმა მიაწვდინოს: — მე ის კაკო აღარა ვარ! ეს იმიტომ, რომ 1992 წლის პარლამენტში შევარდნაძისთვისაც ჰქონდა შეურაცხყოფა მიყენებული. ასე იყო თუ ისე, მისი უფლებამოსილება ორი წლის დაგვიანებით — 2001 წლის დეკემბერში ცნო პარლამენტმა.

იმავე წელს ადგილობრივი არჩევნებიც ჩატარდა, მაგრამ შედეგების ცნობა გაჭიანურდა. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევისას კენჭისყრაში პარლამენტის 5 მოქმედმა წევრმა მიიღო მონაწილეობა, მათგან ერთი კი — მიხეილ სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარე გახდა. პარლამენტში ამ საკითხზე ძლივს გადეპუტატებული ბობოხიძე იყო მომხსენებელი და შეურიგებელი პოზიცია დაიკავა. **„5 დეპუტატის საკითხის გადაწყვეტა მმართველ პარტიას შეეშინდა. მე ვპირდები მათ, რომ ყოველ ასეთ შემთხვევას გამოვააშკარავებ“.** მართალია, რევოლუციის შემდეგ ასეთი შემთხვევა მრავლად იყო, მაგრამ დეპუტატთა შეუთავსებლობაზე ბობოხიძეს ხმა აღარ ამოუღია.

**სააკაშვილს რომ მის წინააღმდეგ მოსაუბრენი არასოდეს ყვარებია, ცნობილია, მაგრამ ბობოხიძემ აქაც შეძლო შეცდომის გამოსწორება და 2002 წლის ბოლოს, როცა სააკაშვილი საკრებულოში გადავიდა, ხოლო მისი ფრაქცია დაშლის საშიშროების წინაშე დადგა, 9-კაციან ფრაქციას კაკომ შესწირა თავი და სააკაშვილის ადგილი დაიკავა: „ბუნებრივია, ამ დღიდან ჩემი პოლიტიკური საქმიანობა „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუკავშირდა“.**

მას შემდეგ კაკო ბობოხიძე სამჯერ იყო პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის მხარეში, ერთხელ – ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსი, სამჯერ – დეპუტატი. მის პოლიტიკურ საქმიანობაში ყველაზე თვალსაჩინო ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილისა და დეპუტატ მამრაძის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება რჩება, მაგრამ იგი დაუსჯელია, რადგან კალინინივით, ვისაც სტალინმა ცოლი დაუჭირა, მაინც ბელადს ასხამს ხოტბას. სულ ახლახან მისი ნათესავები და თანამოაზრეები – სულ 11 კაცი დააპატიმრა კუდ-მა ხონში, მაგრამ ბობოხიძემ ზუსტად იცის, რომ ახლა ხმის ამოღების დრო არ არის. უკანონობას მხოლოდ 26 მაისის აქციაზე გასული ხალხი და რობერტ სტურუა სჩადიან. თუმცა ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ბობოხიძის ივნისში მოცემული დაპირება – თვე-ნახევარში ხორცი გაიაფდებაო!

**თამარ დავითულიანი**

**P.S.** კაკო ბობოხიძის კრედო ერთ მის განცხადებაშია: „გამიკვირდება, რომ გავიგო ვინმეზე, რომ პოლიტიკაშია და თურმე მას პოლიტიკაში ყოფნის სურვილი არ აქვს“. თუმცა მას სხვა გამონათქვამიც აქვს, რომელშიც „ვეტერანის“ პოლიტიკური სევდა გამოსჭვივის: „ხელისუფლებასაც აქვს პლუსი – ამ დროს შენი იდეების რეალიზების საშუალება გეძლევა, მაგრამ, როცა რეალობა და სურვილები ერთმანეთს ვერ ემთხვევა, ზოგჯერ, რეალობიდან გამომდინარე, შედეგის მისაღწევად გიწევს ისეთ ნაბიჯზე წასვლა, რომელიც შინაგანად შეიძლება არც მოგწონდეს“.

როგორც ჩანს, მას არც იმნაიშვილის ცემა უნდოდა და არც მამრაძისა, — „ნაციონალია“ და „მოუწია“.

დემოგრაფია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ქვეყანაში, სადაც იხურება დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, სადაც უარს ამბობენ სპეციალისტებზე და, ფაქტობრივად, არ არსებობს არანაირი სახელმწიფო პროგრამა დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად, არავინ მითხრას, რომ იქ ვინმეს შობადობის ზრდა პრიორიტეტად აქვს დასახული. ეს აბსურდია.“

**საქართველოში არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობასა და პრობლემებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ავთანდილ სულაბერიძე.**



## «მალე ჩვენს ქვეყანაში ჩვენვე აღმოვჩნდებით ეთნიკურ უმცირესობაში... ეს საფრთხე რეალურია»

**ავთანდილ სულაბერიძე:**

# ქართველი ხალხის ტოტალურ გენოციდს ხელისუფლება უდგას სათავეში

## «სანამ მათ რამე საქვეყნო საქმე აბარიათ, საქართველოს არაფერი ეშველება»

**— ბატონო ავთანდილ, 3 ოქტომბერს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც საქართველოს ადამიანის დაბადებამდე სქესის შერჩევისა და ამის საფუძველზე ლეგალური აბორტის აკრძალვისკენ მოუწოდებს. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ამ რეზოლუციის მიღება?**

— ვიდრე რეზოლუციაზე ვისაუბრებთ, მოკლედ გაგაცნობთ იმ დემოგრაფიულ სტატისტიკას, რომელიც ბოლო წლების მანძილზე დაფიქსირდა ჩვენს ქვეყანაში. დავიწყოთ იმით, რომ ნორმაა, როცა ას გოგოზე იბადება ას ოთხიდან ას შვიდამდე ბიჭი. ეს არის კანონზომიერი პროცესი, რომელიც ნაკლებად ირღვევა ხოლმე და, თუ ირღვევა, ომის ან რამე სხვა სახის სოციალური კატაკლიზმების შედეგად.

ჯერ კიდევ 2010 წელს, როცა ფრანგი მეცნიერი ჟან ვალენი ჩამოვიდა თბილისში, მან თქვა, რომ საქართველოში ხდება სქესობრივი დისკრიმინაცია შობადობაში, ჩვენ კი მაშინვე ვუთხარით, რომ სინამდვილეში აქ სულ სხვა მდგომარეობაა და ის მონაცემი, რომელზე დაყრდნობითაც ვალენი საუბრობდა, იყო არასწორი. არასწორი იყო იმდენად, რამდენადაც თვითონ აღრიცხვა ხდებოდა არასწორად და, სხვათა შორის, ამის შესახებ მე რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე ევროპის ასოციაციის ვენის კონფერენციაზეც განვაცხადე. იქვე იყო პროფესორი გია წულაძეც და სხვებიც, რომლებმაც ასევე ანალოგიურად ისაუბრეს ამ პრობლემაზე.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ რეალურად არავითარი დისკრიმინაცია საქართველოში არ ხდებოდა, პირიქით, სქესთა შორის ბალანსი ნორმაში იყო და ამას მოწმობს ელემენტარული სტატისტიკაც. მაგალითად, **1993 წელს დაფიქსირდა ას შვიდი ბიჭი ას გოგოზე, 1995 წელს კი ამ მაჩვენებელმა ას ცხრა ბიჭამდე მიაღწია და ამით მოხდა ერთგვარი კომპენსირება სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში, რაც თავის დროზე აღინიშნა საფრანგეთში. შემდეგ წლებში უკვე ფიქსირდება ას თერთმეტი ბიჭი ას გოგოზე და სტაბილიზაცია იყო სწორედ ამ ას თერთმეტის ფარგლებში, ანუ, როგორც გითხარით, სინამდვილეში არავითარ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია და იმავე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაც, რომლის რეზოლუციაშიც წერია, რომ თურმე ამ მხრივ საქართველოში არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა, არის შეცდომაში შეყვანილი, რაც, ჩემი აზრით, კონკრეტული ადამიანების მხრიდან შეგნებულად და მიზანმიმართულად კეთდება.**

**— ვის გულისხმობთ?**

— როგორც გითხარით, 1995 წლიდან სქესთა შორის ბალანსი შობადობაში იყო ას თერთმეტი ბიჭი ას გოგოზე, რაც, შეიძლება, ნორმაზე ოდნავ მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ არა — საგანგაშო და შემაშფოთებელი; 2010 წელს კი, როცა ჟან ვალენი ჩამოვიდა, ეს მონაცემი უცებ შეიცვალა და ას თერთმეტიდან პირდაპირ ას ოცდაშვიდზე გადახტა, რაც პირადად ჩემთვის, უბრალოდ, წარმოუდგენელი ციფრია. ამიტომ მიმაჩნია და ხმამაღლა ვამბობ, რომ მოხდა მონაცემების შეგნებულად დამახინჯება, რათა ვიღაც-ვიღაცებს გრანტი მიეღოთ და მილიონები ჩაეჯიბათ. ის კი არა, თვითონ მსოფლიო ბანკის წარმომადგენელიც გაოცებული იყო, კაცი იძახდა, ვერაფერი გამიგია თქვენი მონაცემებისო.

**— დაგვიკონკრეტეთ, ვინ დაამახინჯა ეს მონაცემები?**

— სახელებსა და გვარებს ნამდვილად ვერ ჩამოგითვლით, მაგრამ ზოგადად ამ ყველაფრის უკან დგანან ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ გარკვეული კავშირები მთელ რიგ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სწორედ ამ ორგანიზაციების მეშვეობით, მათი კვლევების საშუალებით ახერხებენ იმას, რომ თვით ევროსაბჭოს ასამბლეაც კი შეცდომაში შეიყვანონ. სხვათა შორის, ამასწინათ ევროკომისიის წარმომადგენელი, ქალბატონი სტამპი იყო ჩამოსული და ცოცხალი თავით არ გვანახეს, შეახვედრეს მხოლოდ ისინი, ვინც თვითონ აწყობდათ. თუნდაც ეს ფაქტი არ მოწმობს, რომ ესენი რეალურ მონაცემებს ამახინჯებენ და რაღაც-რაღაცებს მალავენ?! **ყველა „სიკეთესთან“ ერთად ეს ადამიანები იმასაც აკეთებენ, რომ ქართველი ხალხი და საქართველო, ევროპელების თვალში გამოჩნდეს განუვითარებელ, ჩამორჩენილ, ბარბაროსების ქვეყნად.**

**— ანუ თქვენ მოითხოვეთ სტამპთან შეხვედრა და უარი გითხრეს?**

— არა, ჩვენ არც ვიცოდით, რომ სტამპი საქართველოში იყო, ვინაიდან ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, დამალა ეს ამბავი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის არავის უცნობებია, რომ ის თბილისში იმყოფებოდა, შეხვედრის შემოთავაზებაზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტია.

**— სააკაშვილი ხშირად ამბობს ხოლმე თავის გამოსვლებში, რომ შობადობის ზრდა მისი პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია და ყველაფერს გააკეთებენ, რათა რეალურად ეს მოხდეს. თქვენი აზრით, ესეც ჩვეულებრივი ფარსია?**

— ერთია, როცა ვიღაც რაღაც განცხადებებს აკეთებს და მაღალფარდოვან სიტყვებს ამბობს, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტია შედეგი. **ქვეყანაში, სადაც იხურება დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, სადაც უარს ამბობენ სპეციალისტებზე და, ფაქტობრივად, არ არსებობს არანაირი სახელმწიფო პროგრამა დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად, არავინ მითხრას, რომ იქ ვინმეს შობადობის ზრდა პრიორიტეტად აქვს დასახული. ეს აბსურდია.** ასე რომ, რასაკვირველია, ხელისუფლება ყოველთვის შეეცდება, ხალხს თავი მოაჩვენოს ვითომდა რაღაც მზრუნველ ძალად, მაგრამ, მეორეს მხრივ, რეალობა გვიჩვენებს, რომ დემოგრაფია ამათთვის არ არის მნიშვნელოვანი სფერო და მეტიც — მათ საერთოდ არ სჭირდებათ ეს მიმართულება. ამიტომაც შეუწყვიტეს დაფინანსება თავის დროზე სოციოლოგიის ინსტიტუტს, რაც, ფაქტობრივად, მის გაუქმებას ნიშნავდა და, სამწუხაროდ, ამ ყველაფრის უმძიმეს შედეგებს მალე მოიმკის საქართველო, როცა მომავალში კიდევ უფრო დიდი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით, დემოგრაფიული თვალსაზრით, ვიდრე დღეს გვაქვს.

**— როცა დემოგრაფიის ინსტიტუტი გაუქმდა, რა დასახელდა ამის მიზეზად, რამ გვაიძულაო ამ გადაწყვეტილების მიღება, არ განუმარტავთ?**

— არავითარი განმარტება არ ყოფილა, უბრალოდ, შეგვიწყვიტეს დაფინანსება და მორჩა. ეს იყო განათლების სამინისტროს დადგენილება, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ დემოგრაფია არ არის პრიორიტეტული მიმართულება.

იმავე დადგენილების თანახმად, ასევე **დაფინანსება შეუწყვიტეს ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, პოლიტოლოგიისა და მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი დარგების კვლევით ინსტიტუტებს; ფაქტობრივად, არსებობა შეწყვიტა უზნაძის სკოლამ, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირში იყო ერთ-ერთი უძლიერესი და ეს ყველაფერი მოხდა მაშინ, როცა, მაპატიეთ და, მილიონები იხარჯება ათასგვარ სულელურ კონცერტებზე, ღრიანცელზე და დროსტარებაზე...** არ მინდოდა, მეთქვა, მაგრამ ვინც ამ დადგენილებას ხელი მოაწერა, იმ ადამიანმა, ფაქტობრივად, ხელი მოაწერა ქართული მეცნიერების მოშლასა და მკვლელობას. მხედველობაში მყავს განათლების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე, რომელსაც, ამ ანტიეროვნული საქციელის გამო, დარწმუნებული ვარ, მომავალში დაწყევლის და შეაჩვენებს შთამომავლობა.

ასევე მინდა, ვთქვა ბურჯანაძეზეც, რომელმაც, მახსოვს, 2005 წლის დეკემბერში განაცხადა, — ძალიან ცუდი დემოგრაფია გვაქვს და ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სასწრაფოდ რამე ზომები უნდა მივიღოთო. მაგ დალოცვილს ხუთი წერილი გავუგზავნეთ ინსტიტუტიდან თავის დროზე, როცა პარლამენტის თავმჯდომარე იყო და შევთავაზეთ თანამშრომლობა ამ საკითხში, მაგრამ, არათუ უარიც არ გვაღირსა, პასუხიც კი არ გაგვცა; არ გაგვცა იმიტომ, რომ რეალურად მას არ აინტერესებდა, რა მდგომარეობა იყო ქვეყანაში დემოგრაფიული თვალსაზრისით და რა გზით შეიძლებოდა ამ პრობლემების გადაჭრა. სამაგიეროდ აინტერესებდა ბიზნესი, ფული და წყნეთის ვილა, ერთ ლარად ნაყიდი, რომელსაც მერეც არ თმობდა, სანამ ძალით არ წაგლიჯეს.

**— მოდით, ასე შევხედოთ საკითხს, დაიხურა დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. რა დააკლდა ამით რეალურად ქვეყანას და როგორ აისახება ეს ყველაფერი ჩვენს ყოველდღიურობაში?**

— როგორ აისახება და უკვე დაწყებულია ქართული ოჯახის დაშლა-დანგრევის პროცესი და ამას მოწმობს ის სტატისტიკა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ბოლო წლებში განსაკუთრებით მოიმატა განქორწინებათა რაოდენობამ. შედეგად სახეზე გვაქვს ასეთი რეალობა, რომ მოსახლეობის თოთხმეტ პროცენტზე მეტი არის სამოცდახუთ წელს გადაცილებული. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ დაბერებული ერი და ქვეყანა, რაც თავისთავად უკიდურესად საგანგაშო და დამაფიქრებელია.

**— მთავარი უბედურება, ალბათ, მაინც ისაა, რომ ეს ყველაფერი ხდება ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად.**

— რასაკვირველია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დღეს საქართველოდან გაცილებით მეტი ქართველი გადის, ვიდრე შემოდის, ანუ უკან აღარ ბრუნდებიან. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მიგრაციის კანონია — გასულის ადგილს შემოსული იკავებს, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ, თუ ეს პროცესები არ შეჩერდება, **მალე ჩვენს ქვეყანაში ჩვენვე აღმოვჩნდებით ეთნიკურ უმცირესობაში. ვიღაცას ამაზე შეიძლება გაეცინოს და იფიქროს, რომ ვაჭარბებ, მაგრამ ეს საფრთხე რეალურია და ამას ძალიან კარგად აცნობიერებენ ხელისუფლებაშიც. უბედურებაც ეგაა სწორედ, — ყველაფერი იციან, ყველაფერს ხედავენ და ყურსაც არავინ იბერტყავს. ერი კი ნელ-ნელა დაღუპვის გზაზე დგება, რადგან გამოსავალი ამ ვითარებაში რეალურად არ არსებობს და არც არავინ ცდილობს, რამენაირად გადაიჭრას ეს პრობლემები.**

**— თქვენ მაინც რაში ხედავთ ამ გამოსავალს, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საერთო დემოგრაფიული სურათი რადიკალურად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უკეთესობით შეიცვალოს?**

— ამაზე ნაწილობრივ უკვე ვისაუბრე. პირველ რიგში, უნდა შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა, უნდა ამოქმედდეს შესაბამისი კვლევითი ორგანიზაციები, რომლებიც დაადგენენ და გაანალიზებენ ყველა იმ მიზეზს (დიდწილად ეს უკვე შესწავლილია კიდეც), რომელიც მოცემულ პერიოდში აფერხებს კონკრეტული დემოგრაფიული პროცესების პოზიტიურად წარმართვას და უნდა შეიქმნას გარკვეული სტრატეგია ამ მიზეზებისა და დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად. ეს ყველაფერი, ერთი შეხედვით, თითქოსდა მარტივია, მაგრამ რეალურად ამას თან სდევს უამრავი სირთულე, ამიტომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ხელისუფლების კეთილი ნებისა და სერიოზული ჩარევის გარეშე, ამის მიღწევა შეუძლებელია, თუმცა დღევანდელ ხელისუფლებას ნამდვილად არ ეტყობა, რომ ამ საკითხზე ფიქრობს და საერთოდ, პრობლემების ჭრილში განიხილავდეს ამ მართლაც საგანგაშო პრობლემას; პირიქით, **დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ეწყობა ქართველი ხალხის ტოტალური გენოციდი, რომლის სათავეშიც დგანან ისეთი ადამიანები, როგორიცაა, მაგალითად, ნოდარ სურგულაძე. მერწმუნეთ, ასეთი ადამიანები კიდევ არაერთი და ორია საქართველოში და, სანამ ისინი ხელისუფლებაში არიან, სანამ მათ რამე საქვეყნო საქმე აბარიათ და სერიოზულ თანამდებობებზე ხელი მიუწვდებათ, საქართველოს და ქართველ ხალხს არაფერი ეშველებათ.** ასე რომ, გამოსავალზე რადგან მეკითხებით, თეორიულად ეს გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რაც მოგახსენეთ, რეალურად კი ამ ყველაფრის განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ოდესმე ეყოლება საქართველოს ნორმალური, გონიერი და, რაც მთავარია, ხალხის ინტერესებით მოქმედი, კეთილსინდისიერი ხელისუფლება.

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

**„როდესაც ზოგიერთები გამოდიან და ლანძღავენ 12-პუნქტიან შეთანხმებას, რომლის ათი პუნქტიც იმ დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც ცოტა ხნის წინათ „რვიანმა“ წარადგინა, ჩვენი ძველი პარტნიორების კრიტიკა გაუგებარია.“**

ინტერვიუ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მოლაპარაკების გარდა, სხვა ალტერნატივა, უბრალოდ, არ გვაქვს»



**„ახალმა მემარჯვენეებმა“ პარტიაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ოფიციალურად განაცხადეს. როგორ აისახება ფერის, ლოგოსა და გარეგნული დიზაინის ცვლილება პარტიის საქმიანობაზე, რა გზა განვლეს და როგორია მათი სამომავლო გეგმები, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე.**

## მამუკა კაციტაძე: ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის შანსი ხვალვე რომ მოგვეცეს, ჩვენ, «ახალი მემარჯვენეები», ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ პროცესს წინ აღვუდგეთ

**— ათი წელია, რაც „ახალი მემარჯვენეები“ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა. კმაყოფილი ხართ ათი წლის მანძილზე მიღწეული წარმატებებით?**

— იყო როგორც წარმატება, ასევე წარუმატებლობა, ამიტომ, ერთმნიშვნელოვანი შეფასება გამიჭირდება. როგორც წესი, პიროვნებისა თუ ორგანიზაციის შეფასებას ისტორია ახდენს და მაშინ, როდესაც ორგანიზაცია აქტიურად აგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას, რაიმე ვერდიქტის გამოტანა რთული იქნება.

დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, გავაანალიზეთ რა განვლილი გზა, ქართული პოლიტიკა, გადავწყვიტეთ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება ქართული პოლიტიკისთვის, დამოუკიდებლად მივიღოთ მონაწილეობა.

**— თქვენი პარტიის რეიტინგი, რომელიც ბოლო წლებში საკმაოდ დაბალია, გაძლევთ იმის საშუალებას, რომ წარმატებას დამოუკიდებლად მიაღწიოთ?**

— რეიტინგი მხოლოდ ბოლო წლების შედეგებით არ იზომება. თუ რეიტინგზე ვსაუბრობთ, მაშინ წინა წლების რეიტინგიც უნდა გავიხსენოთ. „ახალმა მემარჯვენეებმა“ 2002 წლის არჩევნებში საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენა. ასეა თუ ისე, ის კარგი რეიტინგიც ჩვენი დამსახურება იყო და ის უარყოფითიც ჩვენი რეალობა გახლავთ.

**— მაგრამ მთავარი ხომ ისაა, რა რეიტინგი გაქვთ დღეს, ამ ეტაპისთვის, როდესაც სერიოზულ წამოწყებებს გეგმავთ?**

— არა, მთავარი ის კი არაა, რა რეიტინგი გვაქვს, მთავარია, რა პოტენციალია დღეს ჩვენში. თუ „ახალმა მემარჯვენეებმა“ 8-9 წლის წინათ, მართალია, განსხვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში, მაგრამ მაინც შევძელით, მაღალი რეიტინგი გვქონოდა, რატომ არ შეიძლება ანალოგიური შევძლოთ დღესაც? მესმის, რომ ეს რისკიანი გადაწყვეტილებაა, მაგრამ პოლიტიკა რისკის გარეშე არ არსებობს.

**— რატომ ვერ გამართლდა ცნობილი სლოგანი „ექიმი, მეწარმე, ლიდერი“... რატომ ვერ იქცა „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე ოპოზიციის ლიდერად?**

— ერთიანი ოპოზიციის ლიდერობა ჰქონდა მიზნად დასახული დავით გამყრელიძესთქო, რომ გითხრათ, ტყუილი იქნება. „ახალ მემარჯვენეებს“ სურდათ სერიოზული გავლენის მოპოვება, რათა ეს გამარჯვება საკუთარი ხედვის განსახორციელებლად გამოეყენებინათ.

**— თქვენ უარი უთხარით რადიკალიზმს, მაგრამ თუნდაც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას მოლაპარაკებების გზით როგორ შეძლებთ, ხელისუფლებამ ხომ ბევრჯერ მოგატყუათ; რატომ ფიქრობთ, რომ შედეგს ამჯერად აუცილებლად მიაღწევთ?**

— კი, იყო შემთხვევები, როდესაც ხელისუფლებამ მოგვატყუა, თუმცა იყო შემთხვევებიც, როდესაც თავი მოვიტყუეთ ან შეგვეშალა, მაგრამ, მოლაპარაკების გარდა, სხვა ალტერნატივა, უბრალოდ, არ გვაქვს.

**რადიკალიზმი, აგრესიულობა, პრინციპი — ან ყველაფერი ან არაფერი, ხისტნარევი პოლიტიკა აზიანებს როგორც პარტიას, ისე პოლიტიკურ პროცესებსაც. საზოგადოებაში არ არის მოთხოვნა რადიკალიზმზე და საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულებაც უკომპრომისო პოლიტიკის მიმართ ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია.**

**— უარის თქმა რადიკალიზმზე ხომ არ ნიშნავს, რომ ამიერიდან არც ერთ დაგეგმილ საპროტესტო აქციაში არ მიიღებთ მონაწილეობას?**

— „ახალმა მემარჯვენეებმა“ კიდევ ერთი გამოცდილება შევიძინეთ — უკვე დაგეგმილი და დაანონსებული ღონისძიებების მექანიკური შემადგენელი ნაწილი აღარ უნდა გავხდეთ. სხვადასხვა სახის მოქმედება, ბუნებრივია, ჩვენთვის მისაღები იქნება, მაგრამ ამ გადაწყვეტილებებს მხოლოდ ჩვენ მივიღებთ.

**— ხომ არ გამომდინარეობს დამოუკიდებლად მოქმედების სურვილი და სხვის დაგეგმილ აქციებში მონაწილეობაზე უარის თქმა „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერობის ამბიციიდან?**

— შეიძლება ამბიციურობა დავარქვათ, შეიძლება — პირიქით, სწორი, გამოცდილებით ნაკარნახევ გადაწყვეტილებად შევაფასოთ. ეს ამომრჩევლის შესაფასებელია.

12 ოქტომბერს გაიმართება ჩვენი პროგრამის — „ახალი მემარჯვენეები“ მცირე ბიზნესისთვის“ — პრეზენტაცია. ეს საკითხი, მოგეხსენებათ, ჩვენთვის უცხო არ არის და თავიდანვე ბიზნესმენების პარტიას გვეძახდნენ. დღეს ბიზნესში ბევრი პრობლემაა — კონკურენციის, საკუთრების დაცვის, მონოპოლიების. აუცილებელია საგადასახადო კოდექსის ლიბერალზიაცია და ბიზნესის დეკრიმინალიზაცია. საჭიროა, მცირე მეწარმეებს მივაქციოთ ყურადღება.

**— გგონიათ, რომ მიაღწევთ შედეგს?**

— ოპოზიციაში მყოფი პარტიისთვის ამ ყველაფრის განხორციელება, რა თქმა უნდა, იოლი არ იქნება, მაგრამ მთავარია, ჩვენმა ამომრჩეველმა დაგვიჯეროს.

**— თქვენი საუბრიდან მრჩება შთაბეჭდილება, თითქოს ნანობთ ოპოზიციასთან ერთად მიღებულ რადიკალურ გადაწყვეტილებებს?**

**— როდესაც შენი ქმედებით კონკრეტულ შედეგს ვერ აღწევ, როგორც მინიმუმ, უნდა ინანო მაინც და შენს შეცდომას მიხვდე, თუმცა ჩვენ უარს არ ვამბობთ ჩვენს წილ პასუხისმგებლობაზე.**

**— ბევრი შეცდომა ხომ არ დაგიგროვდათ ქართველ პოლიტიკოსებს?**

— თუ მიხვდები და აღიარებ შეცდომებს, ნაკლებია ალბათობა, კვლავ იგივე გაიმეორო. ჩვენ შეცდომებზე ვისაუბრეთ, მაგრამ წარმატებული ნაბიჯები რომ ჩამოვთვალოთ, ეგეც არ იქნება ცოტა. ის, რომ მონსტრი „მოქალაქეთა კავშირი“ დაიშალა, ჩვენი დამსახურებაა და ეს მაშინ, როცა დღევანდელი ხელისუფლება ჯერ კიდევ გამყარებული იყო შევარდნაძის ნანრევების ნარჩენებში.

2003 წელს, როცა ქვეყანაში რევოლუციური აღტყინება სუფევდა, ჩვენ გამოვედით და ვთქვით, რომ ნეობოლშევიზმი მოდიოდა. როდესაც ალიანსი დაიშალა და თითქოს უიმედობამ დაისადგურა, ჩვენ დავიწყეთ ახალი პროცესი, რასაც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება ჰქვია.

**— თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციებმა „საარჩევნო კოდექსის“ პროექტი გააკრიტიკეს და განაცხადეს, რომ ის საარჩევნო გარემოს ვერ გააუმჯობესებს, რადგან არ შეიცავს არსებით ცვლილებებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით და პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში, კოდექსის მუხლები კიდევ უფრო აუარესებს და ბუნდოვანს ხდის ვითარებას.**

— არასამთავრობო ორგანიზაციების ვალია, ნაწილობრივ შედეგს არ დათანხმდნენ და, პარტიების ქების მაგივრად, მაინც ახალ შედეგზე იფიქრონ. ეს არის მათი დანიშნულება. შეიძლება ეს შეთანხმება არ არის იდეალური, მაგრამ დღეს არსებულ საარჩევნო კოდექსთან შედარებით უცილობლად პროგრესულია.

**— საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტმა, რომელიც ვენეციის კომისიაში გაიგზავნა, ოპოზიციური პარტიების უკმაყოფილება გამოიწვია, ვინაიდან აღმოჩნდა პუნქტები, რომლებიც ოპოზიციასთან შეთანხმებული არ ყოფილა. გამოდის, რომ ხელისუფლება ამჯერადაც ეცადა თქვენს მოტყუებას?**

— ხელისუფლებამ ჩვენი 12-პუნქტიანი შეთანხმება ასახა პროექტში, მაგრამ ამას დაამატა სამჯერ თორმეტი პუნქტი, რომლებიც ჩვენთან არ შეუთანხმებია და სურდა, ეს ერთიანი ცვლილებები გაესაღებინა როგორც შეთანხმების შემადგენელი ნაწილი, რაზეც ჩვენ უარი განვაცხადეთ.

როცა დასრულდება ეს პროცესი, ეს პუნქტები აისახება კანონმდებლობაში, მერე ვისაუბროთ შედეგებზე; ჯერ, ვფიქრობ, შეფასება ნაადრევია. მაგრამ, როდესაც ზოგიერთები გამოდიან და ლანძღავენ 12-პუნქტიან შეთანხმებას, რომლის ათი პუნქტიც იმ დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც ცოტა ხნის წინათ „რვიანმა“ წარადგინა, ჩვენი ძველი პარტნიორების კრიტიკა გაუგებარია. ხოლო, მხოლოდ იმიტომ, რომ გააკრიტიკო შეთანხმება, რომ შენს ყოფილ პოლიტიკურ პარტნიორს დადებით ქმედებაში არ ჩაეთვალოს, ეს უფრო პოლიტიკურ პოზას ჰგავს.

**— ბატონო მამუკა, თქვენი ნაბიჯის შემდეგ ლამის მთელმა პოლიტიკურმა სპექტრმა, მათ შორის ყოფილმა პარტნიორებმა, მოღალატეებად შეგრაცხეს.**

— ესეც გაუგებარია ჩვენთვის. „რვიანს“ სურდა, პარტიას, რომელიც საარჩევნო ბარიერს გადალახავდა, 2 მილიონი დოლარი მიეღო, მაგრამ ხელისუფლება არ დათანხმდა ამ შეთავაზებას. ყველამ უნდა გაიგოს, რომ 1 მილიონით დაფინანსება არ არის ოპოზიციისთვის ჯილდო.

აქ ორი მომენტია. „რვიანი“ შეიქმნა მხოლოდ საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად, სხვა ტიპის გაერთიანებაზე საუბარი არ ყოფილა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ პარტიას უფრო შორსმიმავალი გეგმები ჰქონდა და პოლიტიკური ბლოკის შექმნაც კი სურდათ.

**— რამდენიმე დღის წინ „ექვსიანიც“ დაიშალა, რაც „ეროვნულ ფორუმს“ და „თავისუფალ დემოკრატებს“ ბრალდებათ. თქვენ რას ფიქრობთ?**

— ამაზე კომენტარს არ ვაკეთებთ. ყველა პოლიტიკურ პარტიას თავისი არჩევანი აქვს და ჩვენი მხრიდან შეფასების საჭიროებას ვერ ვხედავთ. თუ ისინი მეტის გაკეთებას შეძლებენ, თუნდაც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით.

**ხელისუფლება არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს, სხვა ალტერნატივა არ არსებობს. სხვა გზა, უბრალოდ, დამღუპველი იქნება სახელმწიფოსთვის. ყველა ხელისუფლება, რომელიც ძალადობრივი გზით მოდის, შემდგომშიც ასე აგრძელებს. ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის შანსი ხვალვე რომ მოგვეცეს, ჩვენ, „ახალი მემარჯვენეები“, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ პროცესს წინ აღვუდგეთ. ჯერ კიდევ 2003 წელს, პარლამენტში მისვლით, ჩვენ ამ პროცესს წინ აღვუდექით.**

**— მაგრამ ამის გამო კრიტიკაც დაიმსახურეთ.**

— მაშინ კი დავიმსახურეთ, მაგრამ „ვარდების რევოლუციიდან“ რამდენიმე თვის მერე უკვე ბევრმა ინანა რევოლუციაში მონაწილეობა და ჩვენ მართლები აღმოვჩნდით. თან ნატოსა და ევროკავშირში შესვლა გინდოდეს და თან ძალადობრივი გზით ხელისუფლება ცვალო, არ გამოდის.

**— გავრცელდა ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის თაობაზე, როგორია თქვენი დამოკიდებულება: თუ აპირებთ მასთან თანამშრომლობას მომავალში?**

— საქართველოს კონსტიტუციით, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, შექმნას პარტია. ერთი კი უნდა ითქვას, **წარმატებული ბიზნესმენი არ ნიშნავს წარმატებულ პოლიტიკოსს და პირიქით. ფულის ფაქტორი გასაგებია, მაგრამ პიროვნების გაფეტიშება ფულის გამო, ვფიქრობ, გადაჭარბებულია.** ამას გარდა, მნიშვნელოვანია, რა იქნება პარტიის წევრებისა თუ ლიდერის ფასეულობები, საგარეო ორიენტირები, რადგან ეს კითხვა საზოგადოებაში ამ დღეებში აბსოლუტურად ლოგიკურად გაჩნდა. ერთს **ვიმედოვნებ, რომ ბატონი ბიძინას გადაწყვეტილება მისი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაა და არ უკავშირდება იმ სახელმწიფოს პოლიტიკური ელიტის დაკვეთას, სადაც ის საქმიანობს.**

**— საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტს როგორ შეაფასებთ? ხელისუფლება ნიკოლა სარკოზის საკმაოდ პომპეზურად დახვდა, მეტიც, 7 ოქტომბერი დასვენების დღედ გამოაცხადა.**

— რა თქმა უნდა, საფრანგეთის პრეზიდენტის საქართველოში ჩამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია, მით უფრო 2008 წლის ომის მერე, მაგრამ, რომ გითხრათ, დიდ ცვლილებებს უნდა ველოდოთ და ხვალ ახალ საქართველოში გავიღვიძებთ-თქო, ტყუილი იქნება. რამდენი ქვეყნის ლიდერი ჩამოვა, ყველაფერი უნდა გაჩერდეს და კოლექტიურ ყურძნის წურვაზე გადავიდეთ? ვფიქრობ, ყველაფერთან ერთად, ეს ხელისუფლების პროვინციული პოლიტიკის გამოხატულებაცაა, მაგრამ, სანამ სააკაშვილი ხელისუფლებაში იქნება, მოსახლეობა უნდა შეეგუოს, რომ ტაშ-ფანდური, ჭრელა-ჭრულა ინსცენირებები ჩვენი მუდმივი თანამგზავრი იქნება.

ესაუბრა
**შორენა ციქარაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაფრის გადალახვა შეიძლება, თუ ორმხრივი ნება და მიტევების სურვილი არსებობს. თუ ქართულ-აფხაზურ ომში დაზარალებული ორშვილშეწირული მშობლები ერთმანეთთან შესახვედრად გზებს ეძებენ, რათა ერთმანეთს ხვედრი შეუმსუბუქონ, ჩვენ რატომ არ უნდა გავმართოთ დიალოგი იმ აფხაზებთან, რომელთაც დასაკარგად არ ვემეტებით?**

## როლანდ ჯალაღანია:

# ერთმანეთისკენ სწრაფვა სეპარატიზმი არაა...



**როგორც „საქართველო და მსოფლიოს" წინა ნომერში ვიუწყებოდით, 2011 წლის 28 სექტემბერს ენგურის ხიდზე შედგა მნიშვნელოვანი შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა საქართველოსა და აფხაზეთის მეგრულენოვანი მოსახლეობის კულტურისა და მეგრული ენის განვითარებაზე მომუშავე კულტურული თანასაზოგადოების შექმნის საკითხებს. შეხვედრაზე გადაწყდა ქართულ-აფხაზური ერთობლივი საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის საკითხი, რომელიც იმუშავებს კოლხურ კულტურასა და მეგრულ ენასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფერენციის მოწყობის საკითხებზე.**
**ქართულ დელეგაციას აფხაზეთში მასპინძლობდნენ გაზეთ „გალის" მთავარი რედაქტორი ნუგზარ სალაყაია, გაზეთის რედაქციის თანამშრომლები მაყვალა ჩხოლარია, ნარგიზა ბასარია, სლავიკ ცაავა, პოეტები თენგიზ ფეტელავა, ნუგზარ შამუგია და სხვები.**
**„საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება გაზეთ „ილორის" მთავარი რედაქტორი როლანდ ჯალაღანია.**

**— ბატონო როლანდ, რა იყო აფხაზ კოლეგებთან თქვენი შეხვედრის მთავარი მიზანი და რა კონკრეტულ შედეგებს ელოდებით მათთან ინტენსიური კონტაქტების გაღრმავებისგან?**

— ამ შეხვედრის მთავარი მიზანი ჩვენ უკვე გავაჟღერეთ. გარდა იმისა, რომ არ უნდა დაიკარგოს თუნდაც პირადი კონტაქტები იმ აფხაზებთან, რომლებიც ჯერ შევარდნაძის ძალისხმევით ჩამოგვაშორეს, ახლა კი სააკაშვილის ძალისხმევით ცდილობენ, რომ საერთოდ დაგვავიწყონ. მე უამრავი მეგობარი მყავს აფხაზეთში, რომლებიც შეძლებისდაგვარად მეხმაურებიან. ნუთუ ეს არ იყო საკმარისი, რომ სიამოვნებით წავსულიყავი აფხაზების ინიციატივით გამართულ ღონისძიებაზე?

რაც შეეხება მოსალოდნელ შედეგებს, ის, რომ **შეიქმნება საქართველოსა და აფხაზეთის მეგრულენოვანი მოსახლეობის კულტურისა და მეგრული ენის განვითარებაზე მომუშავე კულტურული თანასაზოგადოება, უკვე თავისთავად არის იმის იმედისმომცემი შედეგი, რომ აფხაზეთი და აფხაზები საბოლოოდ არ არიან ჩვენთვის დაკარგულები!** იყო კიდევ ერთი კონკრეტული შედეგი — გაზეთ „ილორის" რედკოლეგიის წევრად ავირჩიეთ გაზეთ „გალის" მთავარი რედაქტორი, ეროვნებით აფხაზი ნუგზარ სალაყაია, ხოლო თქვენი მონა-მორჩილი გახდა „გალის" რედკოლეგიის წევრი. დამისახელეთ მსგავსი რამ მას შემდეგ, რაც აფხაზეთთან ომი დამთავრდა. ვერ დამისახელებთ...

ასევე, ვაპირებთ, რომ შევქმნათ ქართულ-აფხაზური ერთობლივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც რეგისტრაციას გაივლის აფხაზეთსა და სამეგრელოში და იმუშავებს საქართველოსა და აფხაზეთის მეგრულენოვანი მოსახლეობის კულტურისა და მეგრული ენის განვითარებაზე. ან იქნებ ამის ანალოგიური რომელიმე ღონისძიება დამისახელოთ? ასეთი რამ დღემდე არ არსებობდა, რადგან საქართველოს ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს, გაწყვიტოს ურთიერთობები, რათა არც სტრუქტურებს შორის აღსდგეს რაიმე კავშირები და არც ხალხებს შორის.

მე უკვე დავიმკვიდრე არმენოფობის სახელი ჩემი მკვეთრი საგაზეთო ინტერვიუების გამო, თუმცა არავის წამოუყენებია ბრალდება, რომ ტყუილი ვთქვი. ახლაც იგივე უნდა ვთქვა — აფხაზეთის დაკარგვაში ბინძური სომხური ხელი ურევია, რადგან მათი რაოდენობა აფხაზეთში ომამდე 16 ათასი თუ იქნებოდა, ახლა კი 80 ათასია.

**სწორედ სომხური ფული ტრიალებს მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების მიზნით. უტყუარი წყარო არსებობს, რომ საამისოდ სომხებს 90 მილიონი დოლარი აქვთ შეგროვებული. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საქართველოს სომხური ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს, ჩაჭრას ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, რათა დევნილების დაბრუნებით იქ შეთესლილ სომხებს დისკომფორტი არ შეუქმნან.** თანაც, დევნილთა საკითხის მოგვარებით ისინი ველარ მიიღებენ მათ დასახმარებლად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილ მილიონებს, რომელთა დიდი წილი ჩინოვნიკთა ჯიბეებში ილექება.

ახლა, როგორ ფიქრობთ, მათ გულზე ეხატებათ აფხაზებთან სიტუაციის დარეგულირება?

**— აფხაზებთან ძალიან ბევრი რამ გვაქვს დაგროვილი — ტკივილიც, სითბოც, ნოსტალგიაც, პრეტენზიებიც. თქვენ, ცოტა არ იყოს, უცნაური რაკურსი შეარჩიეთ მათთან დიალოგისთვის.**

— დიალოგი დიალოგია. მთავარია, შეხვედრის მიზეზი წარმოიქმნას და ორმხრივი სურვილი გაჩნდეს, თორემ საკითხს მნიშვნელობა არ აქვს, თუ, რა თქმა უნდა, შეხვედრის მიზანი კონკრეტულად არ ეწინააღმდეგება რომელიმე მხარის ინტერესებს. **ყველაფრის გადალახვა შეიძლება, თუ ორმხრივი ნება და მიტევების სურვილი არსებობს. თუ ქართულ-აფხაზურ ომში დაზარალებული ორშვილშეწირული მშობლები ერთმანეთთან შესახვედრად გზებს ეძებენ, რათა ერთმანეთს ხვედრი შეუმსუბუქონ, ჩვენ რატომ არ უნდა გავმართოთ დიალოგი იმ აფხაზებთან, რომელთაც დასაკარგად არ ვემეტებით?** მართლაც, აფხაზებისა და ქართველების დაუძინებელი მტერი უნდა იყო, რომ ამგვარ შეხვედრებს ხელი შეუშალო, რაც მასობრივი შერიგების წინაპირობად შეიძლება იქცეს!

**— ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ, რას გაუსვამდით ხაზს, როგორც თქვენი შეხვედრის უმთავრეს და ხელშესახებ შედეგს?**

— დამამახსოვრდა ის სითბო, რაც აფხაზმა მასპინძლებმა გამოიჩინეს ჩვენ მიმართ. **ყოველნაირად იგრძნობოდა, რომ ისინი მონატრებული იყვნენ ჩვენთან ურთიერთობას... ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, ყველამ აღნიშნა, რომ სამეგრელო არის არა მხოლოდ საქართველოს ხერხემალი, არამედ ის ძალაც, რომელსაც ძალუძს, შეინარჩუნოს ქართულ-აფხაზური ისტორიული მეგობრულ-ნათესაური ურთიერთობები.** განა ტყუილია ის, რომ სიტყვა „აფხაზი" საქართველოში ყოველთვის ასოცირდებოდა ვაჟკაცობასთან, პრინციპულობასთან, ზრდილობასთან, სტუმართმოყვარეობასა და უტყუარ თანადგომასთან. არ არსებობს ქართველ შემოქმედთა მიერ შექმნილი ნაწარმოები, სადაც აფხაზი ადამიანი უარყოფით^ გმირად იქნება წარმოდგენილი. მართლაც, დიდი იყო შთაგონების ძალა! და ეს შთაგონება არ უნდა წაიშალოს, ჩვენი მომავალი თაობები კარგად უნდა იცნობდნენ ჩვენს ტკივილიან წარსულს, რათა კვლავ იმეგობრონ სასიკეთოდ მოსულ ხალხთან და კვლავ ერთად შეეგებონ მომხდურ მტერს! სწორედ ამის შემეცნება იყო ჩვენი შეხვედრის ძირითადი მიზანი!

**«სამეგრელო არის არა მხოლოდ საქართველოს ხერხემალი, არამედ ის ძალაც, რომელსაც ძალუძს, შეინარჩუნოს ქართულ-აფხაზური ისტორიული მეგობრულ-ნათესაური ურთიერთობები»**

**— თუ გეგმავთ და რა ფორმით ამ ურთიერთობების გაღრმავებას და, თქვენი აზრით, მეგრულ ენაზე, კოლხურ კულტურაზე აქცენტირება ხომ არ გამოიწვევს საზოგადოების იმ ნაწილის „შეშფოთებას", ვისაც დღედაღამ ყველაფერში სეპარატიზმი „ელანდება"?!**

— დიახ, გადავწყვიტეთ, რომ ახლო მომავალში კონფერენცია ჩავატაროთ გალში, რომელიც მიეძღვნება საქართველოსა და აფხაზეთის მეგრულენოვანი მოსახლეობის კულტურისა და მეგრული ენის განვითარების საკითხებს და აქვე შევქმნით ორმხრივ არასამთავრობო ორგანიზაციას.

რაც შეეხება ჩვენი შეხვედრის მიზანს და შედეგებს და „სეპარატიზმისადმი" კრთომას, ამაზე შესანიშნავად გასცა პასუხი შეხვედრის მონაწილემ, ბატონმა ლადო ქირიამ: **„...შეიძლება მავანმა ამ შემოთავაზებაში მზაკვრული სულისკვეთება დაინახოს — თუ როგორ უნდათ რუსებსა და აფხაზებს მეგრული ჩამოაცილონ ქართულს, გათიშონ ყოველივე მეგრული საერთო ქართული ცნობიერებიდან და ა.შ. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა: ასეთი რამის დაშვება მიუღებელია. ჩვენ აფხაზურ მხარეს განვუმარტეთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ბრძოლა მეგრული ენის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის მოხდება მხოლოდ და მხოლოდ ერთიან ქართულ სივრცეში, ხოლო რაც შეეხება აფხაზებს, თუ რატომ ამახვილებენ განსაკუთრებულ ყურადღებას მხოლოდ მეგრულზე და არა ქართულზე, ეს მათი სურვილია და ვერ შევედავებით. ჩვენ კი მათი ეს შემოთავაზება ხელიდან არ უნდა გავუშვათ, რადგან აფხაზეთში თანდათანობით იკარგება ყოველივე ქართული — მეგრული კულტურის, ფოლკლორის შენარჩუნება და განვითარება იგივეა, რაც ქართული კულტურის, ფოლკლორისა და ენის შენარჩუნება და განვითარება...".**

ასე რომ, ადამიანების ერთმანეთისკენ სწრაფვა სეპარატიზმი არაა და, რაც უნდა ეცადოს ჩვენი მტერი, ქართველები და აფხაზები დასავიწყებლად ერთმანეთს ვერასოდეს გავიმეტებთ...

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

# ქართველები და აფხაზები მოვალენი ვართ...

**გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში ამ რამდენიმე დღის წინ შემდგარი ქართულ-აფხაზური შეხვედრის შესახებ თავის მოსაზრებას გვიზიარებს ამ შეხვედრის მონაწილე, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია.**

— მიხედავად აფხაზურ-ქართულ ურთიერთობაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენებისა, ამ ორი მოძმე ხალხის შვილები მაინც ცდილობენ ერთმანეთისკენ რაღაც ნაბიჯების გადადგმას, ურთიერთობის ხელახლა, თანდათანობით აწყობას. სასიკეთო ტენდენციები ამ მიმართულებით უკვე შესამჩნევია და ეს ნამდვილად მისასალმებელია. ასე რომ, უმსგავსი ინსინუაციები აქ კატეგორიულად მიუღებელია. არის რაღაც საკითხები, რაშიც ქართულ-აფხაზური ინტერესები ამ ეტაპზეც კი შესაძლებელია თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან და ჩვენი ამასწინანდელი შეხვედრაც უდავოდ ამ კონტექსტში უნდა იყოს განხილული და შეფასებული.

**— ბატონო ზურაბ, რომელ ინტერესთა თანხვედრაზეა საუბარი?**

— მხედველობაში მაქვს თუნდაც მეგრული ენის ამჟამინდელი ფაქტობრივი მდგომარეობის საკითხი. ფაქტობრივი მდგომარეობა კი, ენგურს გაღმა და გამოღმაც, რბილად რომ ვთქვა, სავალალოა. ჩვენი მტკიცე სურვილია, რომ ეს ვითარება იყოს ბევრად უკეთესი. საბედნიეროდ, **შეხვედრის მონაწილეებს შორის გამოიკვეთა აზრი, რომ ქართველები და აფხაზები მოვალენი ვართ, ავიღოთ პასუხისმგებლობა მეგრული კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარებაზე და ამ შემთხვევაში რაღაც მესამე თუ მეოთხე ძალის ინტერესებზე საუბარი ზედმეტია.**

**— თუ არსებობს რაღაც სხვა ინტერესები?**

— რა თქმა უნდა, ყველას თავისი ინტერესები აქვს, მაგრამ აქ მთავარია, რა გვინდა ჩვენ, ქართველებს და აფხაზებს. ამ კონკრეტულ შეხვედრაზე, ფაქტია, რომ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ მეგრული ენის პრობლემატიკას, მაგრამ მომავალში სხვა პრობლემებზეც აუცილებლად ვისაუბრებთ. ერთი რამ მკაფიოდ მინდა განვაცხადო, რომ არსებობს მეგრული კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, როგორც შემადგენელი ნაწილი ზოგადქართულისა და ჩვენი სახალხო მოძრაობა „სამეგრელო", რომელიც იყო, არის და მომავალშიც იქნება ქართული ეროვნული მოძრაობის ავანგარდი, აუცილებლად შეეცდება ამ მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარებას გამთლიანებულ საქართველოში. დიახ, ჩვენი უდიდესი სურვილია, არსებული პრობლემები ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში მოგვარდეს და ეს პოზიცია ამ შეხვედრაზეც ცალსახად დაფიქსირდა.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

„ჯერჯერობით ყველა, ვისაც ქართულ ოპოზიციაში ვხედავთ, არიან ადამიანები, რომელთაც ვერ მოუნახავთ საერთო ენა და ერთობლივი მოქმედებისთვის თავი არ დაუდგამთ, საკმაოდ უცნაურნი და ხშირად უაღრესად კომპრომენტირებულები არიან. შეიძლება ქართულ ოპოზიციაში ბევრია კარგი და შესანიშნავი ადამიანი, მაგრამ მე საგანგებოდ არ შემისწავლია ქართული შიდა ოპოზიცია. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა: თუ ქალბატონი ბურჯანაძე ხელისუფლებაში მოვა, ეს რუსეთისთვის სააკაშვილზე გაცილებით უარესი იქნება, რადგან პოლიტიკა არანაკლებ ანტირუსული იქნება“.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### მიხეილ დელიაგინი:

# ბიძინა ივანიშვილი ის ფიგურაა, რომელიც უდიდეს პატივისცემას იმსახურებს



**ადამიანები, რომლებსაც ქართულ ოპოზიციაში ვხედავთ, ერთობლივ ღონისძიებებს არ განახორციელებენ, საკმაოდ უცნაური და ხშირად უკიდურესად კომპრომენტირებულნი არიან. მიხეილ დელიაგინი რუსი ეკონომისტი, პუბლიცისტი და პოლიტიკოსია, რომელიც გლობალიზაციის პრობლემების ინსტიტუტს უდგას სათავეში. „საქართველო და მსოფლიომ“ ბატონ დელიაგინს ქართულ-რუსული ურთიერთობის მიმდინარე პროცესების კომენტირება სთხოვა.**

**— ბატონო მიხეილ, რა შეიცვლება რუსეთში ვლადიმერ პუტინის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ? როგორ აისახება შესაძლო ცვლილებები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე და როგორ გესახებათ ეს ურთიერთობა იმ პირობებში, როცა მიხეილ სააკაშვილი რუსეთის ხელისუფალთათვის „პოლიტიკური გვამი“ და პიროვნებაა, ვისაც „ხელი არ ჩამოერთმევა“?**

— ვფიქრობ, რომ საერთო ჯამში არაფერი შეიცვლება და რუსულ-ქართულ ურთიერთობაზე არ აისახება. თუმცა სოჭის ოლიმპიადის თარიღის მოახლოება უეჭველად გაუფართოებს ბატონ სააკაშვილს ამ ოლიმპიადის წინააღმდეგ ახალი პროვოკაციების მოწყობის შესაძლებლობას. რაც შეეხება ურთიერთობას, ვერ ვხედავ რაიმე აუცილებლობას მასთან ურთიერთობის დასამყარებლად, ვის რად სჭირდება?

**— როგორი პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს რუსეთის პრემიერის ინიციატივას — პოსტსაბჭოთა სივრცეში ევრაზიის კავშირის შექმნის შესახებ (სხვათა შორის დასავლეთის მასმედიამ მოასწრო ამ ინიციატივის სსრ კავშირის აღდგენის ინიციატივად მონათვლა)?**

— არიან ადამიანები, თითს აჩვენებ და ისტერიკულ სიცილს იწყებენ. დასავლეთში ბევრნი არიან ისეთები, ვისაც თითს აჩვენებ და დაუფიქრებლად აყვირდებიან საბჭოთა სამხედრო ყაიდის ადამიანების შესახებ. მესმის, რომ გული სწყდებათ, ევრაზიის კავშირში რომ არ მიიწვიეს, მაგრამ, სამწუხაროდ, არის ზოგიერთი გეოგრაფიული პრობლემა, რისიც არა გაეგებათ რა. ეტყობა, დიდი ხანია, რუკისთვის არ დაუხედავთ.

**— ერთის მხრივ, სოხუმისა და ცხინვალის აღიარება, მეორე მხრივ, — საქართველო, რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც პარტნიორი და არა როგორც ნეოკონის საყვირი და იარაღი ამერიკის ხელში... თითქოს ჩიხია: იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მომავალი მთავრობა მოისურვებს, მოაწესრიგოს ურთიერთობა რუსეთთან, ფაქტია, რომ სოხუმისა და ცხინვალის აღიარება გადაულახავ წინაღობად დარჩება, ფორსმაჟორად. ამ სიტუაციიდან რა გამოსავალს ხედავთ?**

— რუსეთისთვის ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ, ეს საქართველოს პრობლემებია. თუ გჭირდებათ ურთიერთობის მოწესრიგება, მოაწესრიგეთ. თუ გსურთ ომების გაჩაღება და მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდის მოწყობა, შეგიძლიათ ერთხელ კიდევ სცადოთ. შექმნილი სიტუაცია რუსეთს არავითარ უხერხულობას არ უქმნის, არც იმ ქართველებს შეექმნებათ რაიმე უხერხულობა, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ, ისინი კი საქართველოს მოსახლეობის 20 პროცენტს შეადგენენ. თუ მარგინალთა ჯგუფი, რომელიც თქვენს ქვეყანას მართავს, რაიმე უხერხულობას გრძნობს, მათ შეუძლიათ შეცვალონ ვითარება. მათი ნებაა! რუსეთში კი ყველაფერი რიგზეა.

**— საქართველოში არის ასეთი სამწუხარო ტენდენცია — უახლესი ისტორიის „გადაწერის“ მცდელობა: თხზავენ „ახალ ფაქტებს“, კონსპიროლოგიურ ვერსიებს თუნდაც იმაზე, რომ დიდი სამამულო ომი სამარცხვინო ისტორიული ეპიზოდი იყო, რომ ფაშისტური გერმანია და საბჭოთა კავშირი ტოლფასი ბოროტება იყო, რომ ამ ომში დიადი გამარჯვება კი არ მოვიპოვეთ, არამედ სისხლიანი რეჟიმის თანამონაწილენი ვიყავით და ა.შ. თქვენი აზრით, ვის და რატომ აძლევს ხელს ისტორიის ფალსიფიცირება?**

— ისტორიის პოლიტიზირება არის პოსტსაბჭოთა სივრცეში ხალხთა ერთობის მოსპობის მცდელობა. უნდა გადაიწეროს მათი ისტორია და დაარწმუნონ ისინი, რომ ყველაფერი იყო ისე, როგორადაც დღეს ჩასჩიჩინებენ. თუ ადამიანები მეორე მსოფლიო ომს ისტორიის სამარცხვინო ეპიზოდად მიიჩნევენ, ლოგიკურად ჩნდება კითხვა: ვისთან ასოცირდებიან? თუ ფაშისტურ გერმანიასთან ასოცირდებიან, უეჭველად სამარცხვინო ეპიზოდია, მაგრამ, თუ ფაშისტურ გერმანიასთან არ აიგივებენ საკუთარ თავს, მაშინ შერცხვენის რაიმე მიზეზი არ შეიძლება არსებობდეს. ის, რომ ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ დიდი სამამულო ომი იყო სამარცხვინო მოვლენა, გულწრფელად დგანან ჰიტლერის პოზიციაზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ შეუძლიათ ამის აღიარება.

**— თქვენ საინტერესო მოსაზრებები გაქვთ ჩრდილოვანი მონოპოლისტური კლანებისა და მათი გავლენის შესახებ გლობალურ პროცესებზე, ასევე, „ახალ მომთაბარეთა“ გლობალურ მმართველ კლასზე. რას ეტყვით ამის თაობაზე ჩვენს მკითხველს?**

— გლობალური სტრუქტურები მართლაც არსებობს, ისინი ეყრდნობა გლობალურ მონოპოლიებს, ემიჯნება აშშ-ს, თავისუფლდება ამ ქვეყანასთან ყოველგვარი კავშირებისგან. სამწუხაროდ, მათზე უკიდურესად ცოტა რამაა ცნობილი, თუ არ ჩავთვლით შიზოფრენულ ბოდვას „მსოფლიო მთავრობის“ შესახებ, მსოფლიოს კულისებს მიღმა მოვლენებს და ა.შ. საქართველოზე ეს არ აისახება, რადგან ქვეყნის მასშტაბით სრულიად საკმარისია ის ხელფასი, რომელსაც ქართველ პოლიტიკოსებს უხდიან საყოველთაოდ ცნობილი და პატივცემული დასავლური ინსტიტუტები.

**— იცნობთ თუ არა ქართული ოპოზიციის სპექტრს და რას ფიქრობთ იმის შესახებ, რომ ცნობილი ბიზნესმენი და მეცენატი ბიძინა ივანიშვილი აპირებს საქართველოში პარტიის შექმნას?**

— თუ მხედველობაში გყავთ ბორის გრიგორის ძე ივანიშვილი, რომელიც ერთ დროს რუსულ საბანკო ბიზნესში მუშაობდა, მაშინ გეტყვით, რომ ეს არის ფიგურა, რომელიც იმსახურებს უდიდეს პატივისცემას. მე არაფერი ვიცი მისი პოლიტიკური შეხედულებების შესახებ, რომლებიც შეიძლება ფრიად ეგზოტიკურიც კი იყოს, მაგრამ იგი რუსეთში დღემდე ერთ-ერთ პატივსაცემ ადამიანად არის მიჩნეული. ჯერჯერობით ყველა, ვისაც ქართულ ოპოზიციაში ვხედავთ, არიან ადამიანები, რომელთაც ვერ მოუნახავთ საერთო ენა და ერთობლივი მოქმედებისთვის თავი არ დაუდგამთ, საკმაოდ უცნაურნი და ხშირად უაღრესად კომპრომენტირებულები არიან. შეიძლება ქართულ ოპოზიციაში ბევრია კარგი და შესანიშნავი ადამიანი, მაგრამ მე საგანგებოდ არ შემისწავლია ქართული შიდა ოპოზიცია. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა: თუ ქალბატონი ბურჯანაძე ხელისუფლებაში მოვა, ეს რუსეთისთვის სააკაშვილზე გაცილებით უარესი იქნება, რადგან პოლიტიკა არანაკლებ ანტირუსული იქნება.

ესაუბრა
**ქეთა სოხაძე**

# ოლონდ რუსულად ილაპარაკეთ!

**ვიდრე სააკაშვილი პირველკლასელებს აბრიყვებდა და ინგლისური ენის საყოველთაობაზე უყვებოდა ზღაპრებს, ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსურმა სააგენტო NASA-მ ასტრონავტებისთვის რუსული ენის სავალდებულო ცოდნის მოთხოვნა წამოაყენა; ღია კოსმოსში გასვლის, რობოტიზებულ ტექნიკასთან ურთიერთობის და პილოტირების უნარ-ჩვევების გარდა, NASA მოითხოვს, რომ მომავალმა ასტრონავტებმა რუსულად ლაპარაკი და წერა-კითხვა იცოდნენ. თუ რუსული ენის გამოცდას ვერ ჩააბარებს, ასტრონავტი კოსმოსში გაფრენაზე ოცნებას უნდა დაემშვიდობოს.**



ეს არც არის გასაკვირი; NASA-ს ასტრონავტები რუსულ ენას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან სწავლობდნენ, როდესაც ერთობლივ პროექტებს ახორციელებდნენ კოსმოსურ სადგურ „მირზე“. როცა ორიოდე წლის წინათ ამერიკელებმა თავიანთი „შატლები“ „პენსიაზე გაუშვეს“, რუსული რაკეტები „სოიუზი“ საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე ასტრონავტებისა და კოსმონავტების ტრანსპორტირების ერთადერთ საშუალებად იქცა.

**NASA-ს რომ თავი დავანებოთ, რუსული ენის საჭიროება, პირველ რიგში, თურქებმა იგრძნეს. გორბაჩოვის წყალობით გახსნილ საზღვარს დეფიციტით გაბეზრებული საბჭოელები მიაწყდნენ და ყველაზე მადლიერი მყიდველის ენა თურქებმა სწრაფად აითვისეს. იმავე მიზეზით რუსულენოვანი აბრები და წარწერები გაჩნდა საბერძნეთში, აღმოსავლეთ ევროპაში, დასავლეთში და შეერთებულ შტატებში. ჩინეთს კი რუსული ენა არც დავიწყებია და არც მომავალში აპირებს.**

**რუსული არხები, რომელთა მაუწყებლობა საქართველოში აიკრძალა, მსოფლიოს ყველა ქვეყნის სასტუმროებში მომსახურების პაკეტშია შეტანილი. რუსული ისწავლა ყველამ, ვისაც ტურისტთან და მყიდველთან აქვს საქმე. საქართველო აქაც პოლიტიკურ მიდგომას იჩენს: რუსეთიდან ჩამოსულ მილიონობით ტურისტს, ვინც ყველაზე ხელგაშლილია, „ვიზიტორების“ ვირტუალური რაოდენობა ურჩევნია.**

თბილისში გავლით მყოფმა ნიკოლა სარკოზიმ ინგლისურისკენ სააკაშვილის სწრაფვას ფრანგული ენის უპირატესობაზე ნათქვამი სიტყვები შეაგება და რაიონებიდან ჩამოყვანილი ქართველები დაარიგა, ფრანგული ენა შეისწავლონ. სააკაშვილსა და სანდრა რულოვსს ფრანგულის ცოდნა შეუქო და ბრძანა: **„ეს არის მაგალითი იმისა, რომ ფრანგული ენა საუკეთესო პასპორტია მაღალი თანამდებობის დასაკავებლად“.**

საფრანგეთი საკუთარ ენობრივ სივრცეს შეუპოვრად იცავს. ამისთვის სახსრებს და ენერგიას არ იშურებს. ჩვენი ხელისუფლების წყალობით კი, ქართველმა ყმაწვილებმა რუსული აღარ იციან, ინგლისური კი ისე ისწავლეს, რომ გაქცეული ამერიკელის მობრუნება თუ შეუძლიათ. ასეა თუ ისე, ათასობით ფლეტჩერის შემდეგ ახლა ფრანკოფონურ დესანტს უნდა ველოდოთ.

რაც მთავარია, ჩვენ კიდევ უფრო ამბიციური პროექტები გვაქვს გასახორციელებელი: შევასწავლოთ ინგლისური (ახლა უკვე ფრანგულიც!) ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას. ქართული მათ არ იციან (არც არავინ იკლავს თავს, რომ შეასწავლოს), რუსულ ენას ქართველებს მეთოდურად ავიწყებენ და რაღა დაგვრჩენია? მარნეულელ „ბაჯის“ მწვანილზე ინგლისურად ვევაჭროთ, კარტოფილის ფასზე კი ფრანგულად ვედავოთ ახალქალაქელ „ახპერს“!

**1916 წელს დაწერილ ლექსში „საღამო“ გალაკტიონი პერსონაჟს ათქმევინებს: „ილაპარაკეთ, გევედრებით... ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ“! ახლა, როგორც ირკვევა, ამერიკელი ასტრონავტებიც კი რუსულ ენას დაეწაფნენ და თუ ჩვენი „ყველაზე მფრინავი პრეზიდენტი“ ბიუჯეტის ხარჯზე კოსმოსში გასეირნებას მოისურვებს, პილოტები ეტყვიან, — „ოღონდ რუსულად ილაპარაკეთო“! ქართველმა ბავშვებმა იდარდონ, თორემ სააკაშვილმა ინგლისურთან და ფრანგულთან ერთად, რუსულიც იცის და მის დავიწყებას არ აპირებს. რა იცი, როდის გამოადგება!**

**ნანა დევდარიანი**



## ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა 2018 წელს ამოქმედდება

**ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა სრულად 2018 წლისათვის ამოქმედდება. წყაროს ცნობით, ეს განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა გააკეთა.** მისი თქმით, დღევანდელი პროგნოზით, აღნიშნული სისტემა ოპერაციულ სისტემად სწორედ ამ დროისთვის გარდაიქმნება. როგორც ცნობილია, ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაში მონაწილეობის მზადყოფნა ამასწინათ ესპანეთმა ოფიციალურად გამოთქვა. შესაბამისი განცხადება ქვეყნის მთავრობის მეთაურმა ხოსე ლუის საპატერომ გააკეთა, რითაც ანონიმური წყაროების ინფორმაცია დაადასტურა.

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გარეგნული სანახაობებით, ყურადღების მოდუნებას ახდენს, ბოროტი და მთავარი მიზნის განხორციელებას ცდილობს — „გათიშე და იბატონე“. ააშენებს ეკლესიას, ოღონდ შიგნით მლოცველს არ შეუშვებს, დაგაპურებს, ოღონდ ქვირს გადაგახდევინებს, შეგპირდება, მაგრამ მოგატყუებს. საკუთარ ვინაობას დაგავიწყებს და მანქურთად გაქცევს.**



# მაჰმადიანების მამა და ქრისტიანთა მამინაცვალი

**„უფლის მორჩილის, მოსეს სიკვდილის შემდეგ უთხრა უფალმა იესო ნავეს ძეს, მოსეს მსახურს: მოკვდა ჩემი მორჩილი მოსე, ახლა ადექი და გადალახე ეს იორდანე მთელი ერითურთ და შედი იმ ქვეყანაში, რომელიც მოგეცათ თქვენ, ისრაელიანებს. ყოველი ადგილი, სადაც კი თქვენი ფეხის ტერფი დაიდგმება, თქვენთვის მომიცია, როგორც ვუთხარი მოსეს უდაბნოდან და იმ ლიბანიდან დიდ მდინარემდე, ევფრატის მდინარემდე ხეთელთა მთელი ქვეყანა. დიდ ზღვამდე და მზის დასავლამდე გექნებათ საზღვრები. ვერვინ დაგიდგება წინ; მთელი შენი სიცოცხლე, როგორც მოსესთან ვიყავი, ასევე შენთან ვიქნები, არ გამოგეცლები და არ მიგატოვებ. გამაგრდი და მტკიცედ დექ, რადგან შენ უნდა დაუმკვიდრო ამ ხალხს ის ქვეყანა, რომლის მოცემასაც შევპირდი მათ მამა-პაპას. ოღონდ გამაგრდი და მტკიცედ დექ მთელი რჯულის აღსრულებაში, რაც გიანდერძა მოსემ, ჩემმა მორჩილმა. არ გადაუხვიო მისგან არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, რომ ყველგან წარმატებით იარო“.**

ძველი აღთქმის ამ წიგნში უფლის რჩეული ერი არა მხოლოდ რჩეულობით გადარჩება, არამედ რჯულის ჭეშმარიტად აღსრულების პირობით. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება შენი სიტყვით მზეც კი შეაჩერო გამარჯვებამდე და ღირსეულად დაამარცხო მოწინააღმდეგე. ერის წინამძღვრობა თუ გერგო, ისეთივე ძლიერი უნდა იყო, როგორიც ებრაელების გამომხსნელი ეგვიპტის ტყვეობიდან, როგორიც დავით მეფსალმუნე, როგორიც ბრძენი სოლომონი. **შენზეა დამოკიდებული, ისტორია რა სახელს დაგარქმევს, გმირი იქნები თუ მოღალატე, წმინდანი თუ ისკარიოტელი. ერს საკუთარი შვილისთვის საკადრისი ადგილი არ დაენანება, მაგრამ, თუ ცოდვამ მადლი გადაწონა, ძნელია, მისი სახე შენი ქვეყნის ბნელ ხვეულებში ჩამალო.**

მატიანემ ღალატიც იცის და თავდადებაც, დაცემაც და გამარჯვებაც, ბრძოლაც და ბრძოლის ველიდან გაქცევაც, მაგრამ ყველაფერს საკუთარ სახელს არქმევს. მითუმეტეს, ისეთ უკიდურეს ერში, როგორიც ჩვენ ვართ, ან იქნებ ვიყავით. თუ ვინმე ხმალს აღმართავდა, ყველა ბრძოლის გამარჯვებას მას მივაწერდით, ან კიდევ თუ ვინმეს „უკანონოდ“ შეუყვარდებოდა, მოვიკვეთავდით და არც ალაპი უშველიდა. დღეს კი „შურმან შეიპყრო ერი უსწავლელი“. **ჩვენი უბედურება ამჟამად ეგაა: „ჩვენში მოღალატენი სჭარბობენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავის ხალხის მოღალატენი, კარგად ვიცი, თვით ჩემს მსტოვარებში ნახევარი ბიზანტიელებსა ჰყავდათ შესყიდული, ნახევარი — სარკინოზებს. როცა ხალხს ამდენი მორალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას. თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის, რადგან ჯერ არსად გაუმარჯვნიათ მშიშრებსა და მსტოვარებს. მუდამ ბიზანტიელებს ეგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები და ღორმუცელა ეპისკოპოსები, მეფეები მწვანე ეტლებს მიეტრფოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებს. ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი. ხალხიც აზნაურებს ბაძავდა, ამიტომაც მშვენიერს „უცხოს“ უწოდებდნენ, კარგ ქართულ თხილს „ბერძნულს“, ხოლო საუკეთესო ცერცვსაც „ბერძნულს“. ოდითგან ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.**

მერე კი ცრუ გმირების გამოგონებას ვცდილობთ, შედეგიც არ აყოვნებს და „ფრანკენშტაინის“ მსხვერპლი ვხდებით. ადამიანთა შეფასების ფორმებიც ცვლილებებს განიცდის და ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება წმინდანადაც მოგვევლინოს და პირიქით... გააჩნია ვისი გადასახედიდან. სწორად კი მხოლოდ უფალი აფასებს: **„ღმერთისთვის არაფერია სიყვარულზე სასურველი. არაფერი ისე არ ესათნოება უფალს, როგორც ადამიანის გული, რომელშიც მისდამი სიყვარული გიზგიზებს. სიყვარულის გარეშე ადამიანის ყველა ქმედება, რაც არ უნდა კეთილად გამოიყურებოდეს იგი გარეგნულად და თუნდაც დიდებულიც კი გვეჩვენებოდეს, არაფერს ნიშნავს უფლის თვალისთვის და ღმერთს სძულს იგი“.**

თუ გმირი ხარ, წმინდანიც უნდა იყო. წმინდანის გზა გულისხმობს სულიერის სფეროში ამაღლებას, იგი ფიზიკური თავგანწირვით, ზნეობრივი გმირობით ახდენს უდიდეს ზეგავლენას ერზე და ხელს უწყობს მის მობილიზებას. ამ თვალსაზრისით მისი ზემოქმედების ძალა უნივერსალურია, მართლაც, უზადო არსია. ზემოქმედების წნევა ერთობ მაღალია, თითქოს შადრევანი აიჭრება ცაშიეროვნული სიწმინდისა და მისი კაშკაშით განათებული წყვდიადი შეძრწუნებული იხევს უკან. წმინდანის გზა სწორხაზობრივია — ქვეყნისა და რწმენისათვის მისი სამსახურის თვისებაა ეს სწორხაზოვნება. იგი მხოლოდ ალტერნატივის წინაშე დგას — უღალატებს, შეჩვენება ელის, არ უღალატებს? სიკვდილი და წმინდანად შერაცხვა. **არჩევანი კატასტროფულად საშინელი ბუნებისაა, ყოყმანის დრო არ რჩება. სიტუაციების შერჩევისა და მოვლენების წარმართვის ტექნოლოგია მასზე არ არის დამოკიდებული. კითხვა დაუსვეს და უმოკლეს დროში უნდა გასცეს პასუხი. ქვეყნისა და ხალხის სამსახურისთვის მას ერთადერთი იარაღი გააჩნია — რწმენა. სხვა ძალას მტერს ვერ დაუპირისპირებს, ამიტომ ან სანთელივით წმინდა რჩება, ან — სულწაწყმედილ მონად.** წმინდანის არსში ამიტომაც არაფერია საჭოჭმანო, იგი ყოველი მხრიდან განათებულია, სულისკვეთება გაშიშვლებულია და იმთავითვე ცხადი. მთავარია, ტანჯვის, მოკვდინების საშინელებას გაუძლოს. კი არ გაუძლოს, ღირსეულად შეეგებოს... **„ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა“.** თუმცა ტანჯვის გაძლებაც მისი რწმენის ხარისხზეა დამოკიდებული, წმინდა გიორგისთან ერთად მაცხოვარი ეწამებოდა, ამიტომაც ჩაესმოდა დიდმოწამეს უფლის სანუგეშო სიტყვები: **„ნუ გეშინია, გიორგი, მე შენთან ვარ“.** ვინც მოწამეობისთვის ემზადება, მისთვის უფლისთვის ტანჯვა მეტად ასატანი ხდება, ვიდრე ცხოვრება ქრისტეს გარეშე. ქეთევან დედოფალმა საზეიმოდ წარმოთქვა: **„სამშობლო — ქრისტე“,** რაც ბიძინა ჩოლოყაშვილის სისხლიდან მოედინებოდა — **„არა რაი არს უტკბილეს ქრისტესთვის სიკვდილისა“.**

პოლიტიკური მოღვაწისათვის ფეოდალურ სახელმწიფოში არ არსებობს სწორხაზობრივი გზა. იგი მიდის ცრემლით, სისხლით, ღალატით, დაუნდობლობით, გაუტანლობით და ათასი სხვა საშინელი თვისებით დახლართულ ლაბირინთში, რათა ქვეყნის სამსახურში ჩააყენოს თავისი ფიზიკური და სულიერი ენერგია. თუ მეფეა, კიდე არაუშავს, მასზეა დამოკიდებული სწორი ორიენტაციის არჩევა, თუმცა ხშირად მეფეთა ორიენტაციაც დაფანტულია, რადგანაც იგი საერთაშორისო პოლიტიკის მიმართულებასა და არსებით ტენდენციებზეა დამოკიდებული. მით უფრო, ისეთ ეპოქაში, როცა ყიზილბაშობა უკურნებელი სენივით მოედო ქართულ სულს და მის მიერ ვერაგულად მოქსოვილ ბადეში აბამდა სულიერად მერყევ ადამიანს, მეფე იქნება თუ ერთი უბრალო მეციხოვნე. ასეთ შემთხვევაში, ძნელია, მას მოსთხოვო, იყოს წმინდანი, მაგრამ არც მოღალატეობა ეპატიება.

**ყველა ეპოქას თავისი სირთულეები ახლავს, მაგრამ უფრო მეტად პიროვნების სირთულით მძიმდება ეპოქა, გაორებულად ვეგებებით ვიდრე მამლის ხმობამდე გათენებას და არც პეტრეს სინანული გაგვაჩნია „მესთან“ შესარიგებლად, რომ უფალს, შენდობა ვთხოვოთ და ავიცდინოთ საბედისწერო სასჯელი. ხელს ვიშვერთ, მაგრამ არა ქრისტესკენ, ხან აღმოსავლეთს და ხან დასავლეთს ვეპოტინებით, რომ გადავრჩეთ, არადა, ბრძოლის ველი ჩვენს გულზე გადის, მაგრამ ამ გულს მამონა მართავს და მის კვარცხლბეკთან მთელი არსებობის ისტორია მიგვაქვს მსხვერპლად. და ასე, გზასაცდენილები, ამაოების ბაზარზე ვიყიდებით ოცდაათ ვერცხლად.** „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“, რომელიც მივივიწყეთ და საკუთარი ქვეყნიდან გაქცეულებმა მტრის ბანაკს მივაშურეთ, რომ პირველი ისარი სამშობლოსთვის გვესროლა. დოლბანდშემოხვეულები ვერ ვქართველობდით, რადგან „სულში ისლამს გვარჭობდნენ“. რაც უფრო მეტად ვაწიოკებდით „საზეპურო ერს“, მით მეტი ჯილდო გვერგებოდა. და მაინც, ხშირად ვკითხულობთ, რატომ ვართ ამ დღეში, არც ის გვჯერა, რომ „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“. გაყიდული ხვიჩათი ხშირად გადარჩენილა ეგვიპტე, მაშინ, როცა ამასიის ზავის თანახმად, საქართველო ირანმა და ოსმალეთმა გაინაწილეს. ნაყიდი ტყვეებით გაივსო სტამბულის ბაზარი, დედას შვილის დაბადება აშინებდა, რადგან ისევ მოადგებოდა გემი ანაკლიას და...

ჯალალ ედ დინის შემოსევებით დაფიქრებული ჟამთააღმწერელი „საქართველოს მოოხრების“ მიზეზების გამორკ-

**«როსტომ ხანმა სამღვდელოებას ჯამაგირი დაუნიშნა, ტკბილად ექცეოდა, ეკლესიებსაც აშენებდა, მაგრამ სწორედ მისი მეფობის დროს «იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება, გამრავლდა სიძვა და არაწმიდება, ცოდვა იგი სოდომგომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა... შემოვიდა ზოგ-ზოგად ტყვის სყიდვა თავადებისაგან», აღზევდნენ «მეძავნი და ბილწების მოქმედნი». მეფის ფუფუნებისა და ცოდვის მოყვარეობა თანდათან გადაედო ერს».**

მოკლედ

## მშვიდობის დარგში ნობელის პრემია სამმა ქალმა მიიღო

**მშვიდობის დარგში 2011 წლის ნობელის პრემია ერთდროულად სამმა ქალმა — ლიბერიის პრეზიდენტმა ელენ ჯონსონ-სერლიფმა, ლიბერიელმა უფლებათა დამცველმა ლეიმა გბოვიმ და იემენელმა აქტივისტმა ტავაკულ კარმანმა მიიღეს.**

ლეიმა გბოვემ 2008 წელს დააარსა მოძრაობა, რომელიც სამოქალაქო ომში მშვიდობის დამყარებისთვის იბრძვის. ტავაკულ კარმანი კი საკუთარ სამშობლოში ანტისახელისუფლო აქციების ორგანიზატორი და დემოკრატიული ღირებულებების დამცველია. 72 წლის ელენ ჯონსონ-სერლიფი კი პირველი ქალი პრეზიდენტი და დემოკრატიულად არჩეული მმართველია აფრიკის კონტინენტზე.

## თურქეთი სირიასთან ომს აპირებს

**თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — ახმედ დავუთოღლუს განცხადებით, სირიის საკითხთან დაკავშირებით, თურქეთი ნებისმიერი სცენარის განვითარებისთვის მზადაა და, საჭიროების შემთხვევაში, ამ ქვეყანასთან არც ომის დაწყებას გამორიცხავს.** „ხშირად ვრცელდება პროვოკაციული განცხადებები, რომ თურქეთი, როგორც ნატოს წევრი, სირიასთან ომს დაიწყებს. მაგრამ ჩვენ გადაწყვეტილებებს სხვების რჩევების გარეშე ვიღებთ. ჩვენთვის სირიასთან მიმართებაში მთავარი პრობლემა უსაფრთხოებაა და ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი სცენარისთვის, მათ შორის ომისთვის,“ — განაცხადა მან.

**როსტომ ხანი და მისი თანამოაზრენი პირდაპირ ვერ ბედავდნენ, დაპირისპირებოდნენ უდრეკი კათოლიკოსის ავტორიტეტს, ისინი აშკარა კონფლიქტს ერიდებოდნენ და ფარულად ამჯობინებდნენ მოქმედებას, როსტომი შესაფერის მომენტს ეძებდა, რათა ეკლესიის მწყემსმთავარი გზიდან ჩამოეშორებინა.**

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ხელს ვიშვერთ, მაგრამ არა ქრისტესკენ, ხან აღმოსავლეთს და ხან დასავლეთს ვეპოტინებით, რომ გადავრჩეთ, არადა, ბრძოლის ველი ჩვენს გულზე გადის, მაგრამ ამ გულს მამონა მართავს და მის კვარცხლბეკთან მთელი არსებობის ისტორია მიგვაქვს მსხვერპლად. და ასე, გზასაცდენილები, ამაოების ბაზარზე ვიყიდებით ოცდაათ ვერცხლად»

ვევას სამართლიანად წარსულში ეძებს: ლაშა-გიორგის ლაღობამ, ქეიფმა და უდარდელმა ცხოვრებამ ქართველთა მოწინავე წრეები დარდიმანდობას, უსაქმობასა და უზრუნველობას მიაჩვია. ისტორიკოსს აღნიშნული აქვს: **„მშვიდობა იყო სამეფოსა მისსა და შექცეულ იყო სმასა და ჭამასაო“. „დასწერენ მამანი: სამნი არიან მიზეზნი ვნებათანი, რომელთაგან იშვებიან ყოველნი ბოროტნი, გემოთმოყვარება, ვერცხლისმოყვარება და დიდებისმოყვარება, მათნი პირმშონი ნაშობნი არიან: სიძვა, რისხვა, ამპარტავნება“...** მეფის ხასიათის ამგვარმა ნაკლულევანებამ, გადამეტებულმა „გემოთმოყვარეობამ“ და „ნებისმოდგომილობამ“ საქართველოს სამეფოს უმაღლეს წრეებში წესიერება შეარყია და გახრწნა. **„ვითარცა წინასწარმეტყველიცა იტყვის; განძლა, განისვენა იაკობ და განუდგა მაცხოვარსა, ეგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველთასა, რამეთუ განძღეს და იშვებდეს და უწესოებად მიდრკეს სიძვათა და მთვრალობათა“-ო** (როგორც ჩანს, ისტორია მართლაც მეორდება).

ამ უწესოების სასჯელად, ჟამთააღმწერლის აზრით, ქართველობას მონღოლთა ბატონობა მოევლინა. **„აქა იქმნა მოწევნა სრულიადისა ღვთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა სიმრავლისათვის უსჯულოებათა ჩვენთათვის და იქმნა უკუქცევა სვე-სვიანისა ბედისა მაღლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯვებულისა, რამეთუ, ვინათგან მიეცა ღვთისა დიდ სვესა და დიდბედსა დავითს გამარჯვება, აქა ჟამამდე სვიანი იყო ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი, ხოლო აქა ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა, ვიდრე ჟამამდე ჩვენთა,“** — ამბობს შეძრწუნებული მემატიანე.

ბოროტება შელამაზებული სახითაც შეიძლება მოგვიახლოვდეს, ჩვენ წინ „თავი მოიდრიკოს“, „ადამიანებთან მეგობრული დამოკიდებულებით“ დაგვატყვევოს, დანგრეული ტაძრები აღადგინოს, ჯვრები აღმართოს. ეს ყველაფერი როდია, ამ ნიშნებით გამოირჩევა ანტიქრისტეს წინა პერიოდი, მაგრამ **„ნეტარ არიან, რომლებიც რეცხავენ თავიანთ სამოსელს, რომ ჰქონდეთ უფლება სიცოცხლის ხეზე და კარიბჭეთი შევიდნენ ქალაქში. მის მიღმა არიან ძაღლები და გრძნეულები, მეძავნი და კაცისმკვლელები, კერპთაყვანისმცემლები და ყოველი მოყვარული და ჩამდენი სიცრულისა“.** გარეგნული სანახაობებით, ყურადღების მოდუნებას ახდენს ბოროტი და მთავარი მიზნის განხორციელებას ცდილობს — „გათიშე და იბატონე“. ააშენებს ეკლესიას, ოღონდ შიგნით მლოცველს არ შეუშვებს, დაგაპურებს, ოღონდ ძვირს გადაგახდევინებს, შეგპირდება, მაგრამ მოგატყუებს. საკუთარ ვინაობას დაგავიწყებს და მანქურთად გაქცევს. **„მე კი, ქრისტეს მოყვარე და სისრულით შემკული ძმებო, თავზარი მეცემა გველის ხსენებაზეც კი, ვფიქრობ რა იმ მწუხარებაზე, ადამიანებზე ბოლო ჟამს რომ მოიწევა, ვფიქრობ, როგორი დაუნდობელი და ბოროტი აღმოჩნდება საძაგელი გველი კაცთა მოდგმის მიმართ; რა სასტიკად დასჯის წმინდანებს, რომლებიც მის მოჩვენებით სასწაულებს არ ირწმუნებენ! ბევრი ღვთის სათნომყოფელი ადამიანი აღმოჩნდება იმ ხანებში მოუკლებელი ლოცვითა და გაუსაძლისი გლოვით აღჭურვილნი, ისინი მთებსა და უდაბნო ადგილებს შეაფარებენ თავს და გადარჩებიან... იმ ხანებში, როცა ვეშაპი აღზევდება, დედამიწაზე სიმშვიდე გაქრება, დიდი მჭმუნვარება, ვალალება, გოდება, სიკვდილი და შიმშილი დაისადგურებს ყოველ კუთხეში. თვით უფალმა თქვა თავისი საღმრთო ბაგეებით, რომ ასეთი ჭირი „არა სადა იქმნდა დასაბამითგან“.**

ყველა დროში შეინიშნება ბოროტის აჩრდილი, რომელსაც ბევრი მიყვება, თუმცა ქრისტეს ერთგულებიც ეყოლება, რომელთა ცხოვრების რჩეულები გადარჩებიან, ის ერები იხილავენ ღრუბლებზე დიდებით მომავალ იესოს, ვინც სარწმუნოება სისხლით დაამოწმა. ვიცით, რომ ისტორია მეორდება, მაგრამ რამდენჯერ? ან რატომ მხოლოდ გაუკუღმართებული? როგორც აღვნიშნეთ, გაყიდული ქართველები მოწინააღმდეგის მხარეს უფრო მორგებულად იქნევდნენ ხმალს და ყიდვას, ბუნებრივია, ვერ პატიობდნენ, მშობელ ხალხს, ისე კი, მართალი იოსების ცხოვრება როგორ ძირეულად შეცვლიდა ჩვენს როლს ხალხთა შორის პოლიტიკაში, მაგრამ როსტომ ხანობა უფრო გამოგვივიდა.

**ჰო, მართლა, რომელ პერიოდს და, XVII საუკუნეს ჰგავს ჩვენი ეპოქა... სანამ მეფე გახდებოდა, როსტომს ხოსრო მირზას სახელით იცნობდნენ, იგი იყო სიმონ პირველის ძმის, დავითის უკანონო შვილი, „ნაშობი ხარჭისაგან“, აღიზარდა ირანში, თავიდანვე მუსლიმანი იყო და შეიძლება ითქვას, გასპარსებულიც. მიუხედავად ამისა, ქართული ენა კარგად იცოდა, საქართველოს საქმეებსაც კარგად იცნობდა. ხოსრო მირზამ შაჰის კარზე თავი გამოიჩინა თავისი გონიერებითა და სიმამაცით და მის სამსახურში დაწინაურდა, იგი მალე შაჰის გვარდიის ყულის ჯარის სარდალი გახდა. როცა შაჰ აბასი გარდაიცვალა, ირანის საქმეებს როსტომს ეკითხებოდნენ. როსტომი ქართლში გამეფებისას 67 წლის ყოფილა, მისი საქმიანობა გამოირჩეოდა დიდი ენერგიულობით, გონიერებითა და ტაქტით, ამასთანავე საკმაოდ ეშმაკი და ცბიერიც ყოფილა.**

ქართულ საბუთებში როსტომი თავის თავს „მეფეთა მეფესა და პატრონს უწოდებს, ირანის შაჰის ოფიციალურ საბუთებში კი როსტომი ასეა მოხსენიებული: **„ჩემი ძმა ქართლის ვალი, როსტომ ხანი“.** ქართლში მოსვლისთანავე როსტომმა, თავისი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, ქართლის ციხეების გამაგრებას მიაქცია ყურადღება (თანამედროვე გაგებით — პოლიციის გამჭვირვალე შენობები). ეს იყო მოსახლეობის მორჩილებაში მოყვანის საშუალება. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, **„გორის ნაციხვარი ზომით ლაშქართ დაუყვეს და ოცს დღეზედ ააშენეს“** (საინტერესოა, თანამედროვე შემინული გალავნები რამდენ ხანს შენდება?!). ქართლის მთავარ ციხეებში ჯარის ჩაყენებით როსტომის მდგომარეობა განმტკიცდა და, როგორც ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს, **„ქართველთა თავადნი და აზნაურნი სრულ მიუვიდნეს და როსტომ მეფეს ფეხს აკოცეს“...** (ასე დეტალურად ისტორია თუ მეორდებოდა, მართლა არ ვიცოდი, ან იქნებ ჩვენ ვართ განსაკუთრებულად ნიჭიერები, რომ ზედმიწევნით ვიმეორებთ ყველაფერს). ივანე ჯავახიშვილის თქმით, **„როსტომ მეფე თავისი აღზრდითა და ზნე-ჩვეულებით უფრო სპარსელი იყო, ვიდრე ქართველი, პოლიტიკურადაც სპარსეთის ყმა და მისი პოლიტიკის ერთგული განმახორციელებელი ყმა იყო“...**

ქვეყანაში სიმშვიდე ჩამოვარდა, „დაიწყეს აშენება, ხვნა-თესვა“ (დაუჯერებელი სიზუსტით მივყვებით როსტომის მიერ გაკვალულ ბილიკებს, რამდენი რამ ავაშენეთ, დავამშვენეთ, ვხარობთ, ვთესავთ, ვიმკით, ოღონდ ჯერ არ ვიცით – რას). როსტომმა შემდეგ სამოხელეო აპარატი განამტკიცა, თეიმურაზის მიერ დანიშნული მოხელეები გადააყენა და თავისი ერთგულები დანიშნა, ამას გარდა, „თანმოყოლილ თავადთა აზნაურთა თავიანთ მამული უბოძა“ (თან გულუხვად, რაც გადარჩათ, ჩინელებსაც გაუნაწილეს, როგორც ამბობენ, შატილიც უნდა აათვისებინონ). როსტომი, რომელიც უმთავრესად ყიზილბაშთა ძალას ეყრდნობოდა, დიდი მონდომებით ცდილობდა ურჩ თავადთა უფლებების შეზღუდვასა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას, ცდებმა მალე ფეოდალთა უკმაყოფილება გამოიწვია. პირველი აჯანყდა არაგვის ერისთავი დათუნა, რომელიც საქორწილოდ მიმავალ მეფეს „სურამით დაუბრუნდა“, ერისთავი არაგვის ხეობაში შევიდა და გამაგრდა, რამდენიმე ხნის შემდეგ როსტომმა, შერიგების საბაბით, იგი მუხრანს მიიწვია და ღალატით მოაკვლევინა (არ მინდა, ამდენ მსგავსებაზე ვიფიქრო, მეშინია).

**1642 წელს დიდი შეთქმულება მოეწყო როსტომის წინააღმდეგ, მონაწილეობდნენ: ზაალ ერისთავი, იოთამ ამილახორი, ნოდარ ციციშვილი, კათოლიკოსი ევდემონ დიასამიძე და სხვები. გადამწყვეტ მომენტში შეთქმულება გასცა სომხითის მელიქმა. როსტომი გორის ციხეში გამაგრდა, მერე კი შეთქმულებს სასტიკად გაუსწორდა: კათოლიკოსი ჯერ თბილისის ციხეში დაატყვევეს, მერე „დაახრჩვეს და ციხიდამ გადმოაგდეს“.** წარმოშობით წმინდა ევდემოზი მესხეთის ერთ-ერთ წარჩინებულ დიასამიძეთა გვარს ეკუთვნოდა, წმინდა პატრიარქის შესახებ, საკმაოდ მწირი ცნობები მოგვეპოვება, ვიცით მხოლოდ, რომ მის ძმას ლევანი ერქვა, რომლის ასული ელენე დავითის, თეიმურაზ პირველის ძმის, მეუღლე იყო.

**როსტომმა სამღვდელოებას ჯამაგირი დაუნიშნა, ტკბილად ექცეოდა, ეკლესიებსაც აშენებდა, მაგრამ სწორედ მისი მეფობის დროს „იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება, გამრავლდა სიძვა და არაწმიდება, ცოდვა იგი სოდომგომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა... შემოვიდა ზოგ-ზოგად ტყვის სყიდვა თავადებისაგან“, აღზევდნენ „მეძავნი და ბილწების მოქმედნი“** (ამ შემთხვევაში ისტორია კი არ განმეორდა, ჩვენ დავბრუნდით წარსულში). მეფის ფუფუნებისა და ცოდვის მოყვარეობა თანდათან გადაედო ერს. **„თვით სამღვდელონიცა და მღვდელმთავარნიცა მიდრკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა... მოუძლურდა რჯული და განირყუნა წესი ეკლესიისა, რამეთუ არღარა ეძიებდნენ სულიერსა საქმესა, არამედ ხორცთათვის ზრუნვიდნენ ყოველნივე“.**

გაუჭირდა ერის სულიერ მამას, მას არ შეეძლო მშვიდად ეცქირა ქართველთა დაცემისათვის, მან რამდენიმეჯერ შეკრიბა ქართლის წარჩინებული ვაჟკაცები სპარსელებთან საბრძოლველად, ევდემოზი არც მეფის პირისპირ ხილვას ერიდებოდა, სადაც კი შეხვდებოდა როსტომ ხანს, ყველგან ეუბნებოდა: **„მაჰმადიანების მამა ხარ და ქრისტიანთა მამინაცვალიო“**. როსტომ ხანი კარგად ხედავდა, კათოლიკოსის ორიენტაციას და ავტორიტეტს, ევდემოზი ყველგან ქადაგებდა და კონკრეტულ გეგმებსაც ადგენდა, ქართლის ტახტზე ქრისტიანი მეფის — თეიმურაზის დასაბრუნებლად. **როსტომ ხანი და მისი თანამოაზრენი პირდაპირ ვერ ბედავდნენ, დაპირისპირებოდნენ უდრეკი კათოლიკოსის ავტორიტეტს, ისინი აშკარა კონფლიქტს ერიდებოდნენ და ფარულად ამჯობინებდნენ მოქმედებას, როსტომი შესაფერის მომენტს ეძებდა, რათა ეკლესიის მწყემსმთავარი გზიდან ჩამოეშორებინა.**

შეთქმულების გაცემის შემდეგ, წმინდა ევდემოზი რამდენიმე თვე იყო საკანში, სადაც მხურვალედ ლოცულობდა და მკაცრი ასკეტური წესით ცხოვრობდა. გაბოროტებულმა, ერისა და ეკლესიის მოღალატე როსტომ ხანმა „მწყემსი კეთილი“ ციხეში მალულად მოაკვლევინა. მისი დასჯის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: **„შეიპყრა როსტომ მეფემან კათოლიკოს ევდემოს და პატიმარ ჰყო ტფილისს ციხესა, შინაშ მდგომად გარდამოაგდო განჯის ციხის კოშკიდამ“.** „ქართლის ცხოვრება“ კი გვიამბობს: **„შეიპყრა კათოლიკოსი ევდემოზ... და წარავლინა ქალაქის ციხეშია და ტყუე ყო და ხანსა რაოდენამე უკანა, მუნვე ციხეში მოაშთობინა“.**

**როგორც ეტყობა, როსტომ ხანს ირანის სამეფო კარზე დამკვიდრებული ტრადიციული დასჯის ხერხი გამოუყენებია — მშვილდის ლარით და საბლით დაუხრჩვიათ კათოლიკოსი და შემდეგ ცხედარი კოშკიდან გადმოუგდიათ აბანოების მხარეს. ეს იმ როსტომმა გააკეთა, ტაძრებისა და სამრეკლოების აშენებით რომ იწონებდა თავს, ხოლო ანჩისხატის ტაძარში წმინდა ევდემოზის ძვალშესალაგი ქართლის მეფის გაუკუღმართებული ცხოვრების უტყვი მემატიანეა.**

წმინდანი ქვეყნისა და სარწმუნოების გადარჩენისთვის ეწამა და ყველა მორწმუნის გულში დაიმკვიდრა საუკუნო განსასვენებელი. ცოდვის ტყვეობაში მყოფი მეფე კი, საკუთარი თავის განდიდების გამო, აშენებდა ქარვასლებსა და ხიდებს, მაგრამ ამით ვერ ამაღლდა.

ძველი აღთქმა ისევ გვმოძღვრავს: **„თუ გაიგონებ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას, დაიცავ და შეასრულებ ყველა ანდერძს, რომელსაც დღეს გიცხადებ, ქვეყნიერების ყველა ხალხზე მაღლა დაგსვამს უფალი, უფალი შენი ღმერთი. გადმოვა შენზე ყველა ეს კურთხევა და გეწევა, როცა გაიგონებ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას. კურთხეულიმც ხარ ქალაქად და კურთხეულიმც ხარ ველად! კურთხეულიმც არის შენი მუცლის ნაყოფი, შენი მიწის ნაყოფი და შენი საქონლის ნაყოფი, შენი ნახირის მონაშენი და ფარის ნამატი! კურთხეული არის შენი კალათი და შენი ვარცლი! არ გადაუხვიო არც ერთ სიტყვას, რომელსაც გიცხადებ დღეს, არც მარჯვნივ და არც მარცხნივ, არ იარო უცხო ღმერთების კვალზე და არ ემსახურო მათ“...**

**მამა პეტრე (კვარაცხელია)**

## სარა პეილინმა პრეზიდენტობა გადაიფიქრა



**აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტობის ექს-კანდიდატმა, რესპუბლიკელმა სარა პეილინმა გამოაცხადა: „ოჯახი ჩემთვის ყველაფერზე მაღლა დგას“ და 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა.** „საათობით ლოცვისა და სერიოზული განსჯის შემდეგ გადავწყვიტე, აშშ-ის 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა აღარ წამოვაყენო, მსახურება ღვთისთვის, ოჯახისა და ქვეყნისთვის საკუთარი თავის მიძღვნას გულისხმობს“. სარა პეილინს ხუთი შვილი ჰყავს. წინასწარი გამოკითხვების შედეგებით, პეილინს რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მიეღო მონაწილეობა, რესპუბლიკელ კანდიდატებს შორის ლიდერთა სიაში აღმოჩნდებოდა.

## შაკირა ბარაკ ობამას მრჩეველი გახდა

**კოლუმბიელი პოპ-ვარსკვლავი შაკირა აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას მრჩეველი გახდა.** ბარაკ ობამამ ის თავად დაასახელა სახელმწიფო კომისიის წევრად, რომელიც თეთრ სახლში აშშ-ის ესპანურენოვანი მოსახლეობის განათლების საკითხებზე იმუშავებს. პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, 34 წლის შაკირა იზაბელ მებარაკ რიპოლი ესპანელების განათლების დონის ამაღლებაზე იზრუნებს. ამ თანამდებობის გარდა, შაკირა საქველმოქმედო ფონდ „ფეხშიშველებს“ ხელმძღვანელობს და ბავშვთა დაცვის ორგანიზაცია „უნისეფის“ კეთილი ნების ელჩია.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საერთოდ ვერ ეწყობა მულტიკულტურიზმის პრინციპებს დროდადრო ეთნიკური ნიშნით განხორციელებული გასახლებები. თანაც საუბარია არა მხოლოდ ბოშების გასახლებაზე საფრანგეთიდან, სადაც მულტიკულტურიზმის დეკლარირება არასდროს მოუხდენიათ, არამედ ბრიტანეთიდან ირლანდიელების გასახლებაზეც.**



# ევროპა — მულტიკულტურიზმის წინააღმდეგ

**ევროპულ მულტიკულტურიზმთან დაკავშირებით უფრო ადრეც შეიძლებოდა პირობითობის მაღალ დონეზე საუბარი. ამ კონცეფციას ყველა შანსი ჰქონდა საიმისოდ, რომ ევროინტეგრაციული პროცესის ერთ-ერთ პოლიტიკურ ჩარჩოდ ქცეულიყო, თუმცა დემოკრატიის ბოროტად გამოყენებამ და ადამიანის უფლებათა დამახინჯებულმა ინტერპრეტირებამ მთელი რიგი მსხვილი ევროპული ქვეყნების მოქალაქეებს არ მისცა საშუალება, „თავისუფალი მსოფლიოთი“ დამტკბარიყო. ევროპული პირობითი მულტიკულტურიზმი ლოგიკურ პირობით კრახამდე მივიდა პირობითად შემწყნარებლურ ევროპულ საზოგადოებაში.**

## ფარანჯის აკრძალვის ინიციატივით საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ყველას მიახვედრა, რომ ისლამის მხრიდან ფრანგული კულტურისთვის საფრთხეს ხედავს

ფრანგულმა სასამართლომ ორი ქალი ნიკაბის ტარებისათვის დააჯარიმა. ეს მუსლიმანების საწინააღმეგო პირველი სანქციაა მას შემდეგ, რაც აპრილში ძალაში შევიდა ფარანჯის ტარების ამკრძალავი კანონი.

32 წლის ხინდ ახმასი 120 ევროთი დააჯარიმეს, 36 წლის ნაიათ ალი კი — 80 ევროთი. დაჯარიმებულებმა განაცხადეს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას ყველა ინსტანციაში გაასაჩივრებენ, მათ შორის — ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოშიც. მათი ლოგიკის გაგება შესაძლებელია: თავისუფლად ატაროს ესა თუ ის სამოსი, დემოკრატიის სწორედ ის მიღწევაა, რომლითაც ასე ამაყობენ დასავლური ცივილიზაციები. თავისუფლება, „liberty“, არა მხოლოდ შეზღუდვების გადალახვა, არამედ საკუთარი თავისთვის ამა თუ იმ შეზღუდვების დაწესების უფლებაცაა. ამ ყველაფრის ფონზე იმ მუსლიმანი მამაკაცების პოვნა, რომლებიც თავიანთ ქალებს აიძულებენ, ნიკაბი ან სხვა მუსლიმანური „დისკრიმინირებადი“ სამოსი ატარონ, არასერიოზულად გამოიყურება.

**2008 წელს ნიდერლანდებში სკოლის მოწაფეებს ჩადრისა და ფარანჯის ტარება აუკრძალეს; წლეულს საფრანგეთმა და ბელგიამ მიიღო კანონები, რომლებიც მსგავსი თავსაბურავების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ტარებას კრძალავს. იტალიის საკონსტიტუციო საკითხთა საპარლამენტო კომისიამ აგვისტოში მოიწონა კანონპროექტი, რომელიც საზოგადოებრივ ადგილებში ფარანჯის ტარებას კრძალავს. დამრღვევები „ისლამოდანაშაულთა“ შორის ყველაზე დიდ ჯარიმას — 150-დან 300 ევრომდე გადაიხდიან და საზოგადოებრივ შრომებზე გამწესდებიან. ამგვარი ქალების ქმრები, შესაძლოა, 30 ათასი ევროთი დაჯარიმდნენ ან სულაც ერთ წლამდე ვადით ამოყონ ციხეში თავი. მიმდინარე წლის 27 სექტემბერს 101 ხმით 77-ის წინააღმდეგ შვეიცარიის ნაციონალურმა საბჭომ მიიღო „მემარჯვენე“ პარტიის დეპუტატის — ოსკარ ფრაიზინგერის ანალოგიური წინადადება, რომელსაც თავად ავტორმა პროვოკაციულად უწოდა „მოიშორეთ ნიღბები“.**

ამგვარი ინიციატივები განმარტა ამერიკულმა კვლევითმა ცენტრმა „პიუმ“ 2010 წელს ჩატარებული მოსახლეობის აზრის კვლევის საფუძველზე და დაასკვნა, რომ ევროპელებს ფარანჯა არ უყვართ. ცენტრმა დააკონკრეტა, რომ კანონმდებლები ევროპული ელექტორატის სურვილებს ითვალისწინებენ, მაგრამ მიზეზი გაცილებით ღრმაა. უფლებადამცველები და ანალიტიკოსები თვლიან, რომ **ფარანჯის აკრძალვის ინიციატივით საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ყველას მიახვედრა, რომ ისლამის მხრიდან ფრანგული კულტურისთვის საფრთხეს ხედავს.**

ნიკაბებთან, ფარანჯებთან და ხიჯაბებთან ისტორიულ ბრძოლას მართლაც აქვს 70-80%-იანი მხარდაჭერა საზოგადოებაში და ამყარებს მემარჯვენე პარტიების პოზიციას მაშინ, როდესაც „თავისუფალი მსოფლიოს“ ლიდერები ერთი მეორის მიყოლებით ეცემიან მულტიკულტურიზმის კრახის წინაშე. მაგრამ არსებობდა კი საერთოდ მულტიკულტურიზმი, რომლის კრახიც ანგელა მერკელის, ნიკოლა სარკოზის, დევიდ კემერონისა და სხვა ქრისტიან-დემოკრატების ლოკალური ლიდერების განცხადებით უკვე დადგა? სხვათა ჩაცმულობის სტილთან ბრძოლა ვერაფრით ჯდება სხვათა ცხოვრების წესის „მიღებისა და მოწონების“ ჩარჩოებში, რაც წარმოადგენს კიდეც მულტიკულტურიზმს.

ცხადია, პრობლემა უფრო რთულდება, რადგან ევროპაში ამა თუ იმ ინტეგრაციული პროცესების მონაწილეები იყენებენ სამართლებრივ და პოლიტიკურ რეჟიმს, რათა პოლიტიკური ქულები და სოციალური ბონუსები მოიპოვონ.

**მულტიკულტურიზმი არის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ცალკეულ ქვეყანაში და მთელს მსოფლიოში კულტურულ სხვადასხვაობათა განვითარებასა და შენარჩუნებისკენ. მულტიკულტურიზმის ფარგლებში ცალკეული კულტურული ჯგუფები, რომლებიც ეთნიკურებად და რელიგიურებად იყოფიან, ფლობენ კოლექტიურ უფლებებს და შეუძლიათ გამოვიდნენ ერთიანი სუბიექტის სახით როგორც პოლიტიკის, ასევე კულტურისა და განათლების სფეროებში. მაგრამ მულტიკულტურულობის მდგომარეობის შესანარჩუნებლად სხვადასხვა ჯგუფი უნდა ფლობდეს არა მხოლოდ საკუთარ იდენტურობას, არამედ მისი კვლავწარმოების შესაძლებლობაც უნდა ჰქონდეს.**

მულტიკულტურიზმის ალტერნატივა არის ასიმილაცია, ნებაყოფლობითი, უფრო ხშირად კი იძულებითი უარის თქმა ეთნიკურ თავისებურებებზე და მიმღები საზოგადოების შტრიხების შეთვისება. **კომპრომისულ ვარიანტად ასახელებენ ხოლმე აკულტურაციას, როდესაც ცალკეული ეთნიკური ჯგუფები ახლოვდებიან ქცევის ნორმებში, ისტორიის გადმოცემაში, მაგრამ ინარჩუნებენ საკუთარ ეთნიკურ საზღვრებს და ერთ საზოგადოებად არ ირწყმებიან.**

და მიუხედავად იმისა, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაცია თავისუფლების, ნაციონალური და კულტურული თვითიდენტიფიკაციის, ნაციონალობის და ურთიერთობის ენის, აღმსარებლობის არჩევის უფლებებს ითვალისწინებს, ფაქტობრივად, ყველა ეს უფლება დადის სიტყვიერ დეკლარირებამდე ყოველდღიურ პრაქტიკაში გამყარების გარეშე. ევროპის ქვეყნები კი საერთოდაც გვერდს უვლიან ადამიანთა უფლებებს და წინა პლანზე აყენებენ ასიმილაციურ პროექტებს.

მაგალითად, მულტიკულტურიზმის თეორიის ფარგლებში აღმსარებლობის თავისუფლების უფლება ნიშნავს არა მხოლოდ საკუთარი რწმენის დეკლარირებას სხვადასხვა ტიპის ანკეტაში, არამედ რელიგიური იდენტობის, თვითშეგნებისა და მსოფლმხედველობის კვლავწარმოების ორგანიზაციების შექმნასაც. ამ თავისუფლების აღიარებას კი ვერაფრით ეწყობა ჯვარცმის ტარების აკრძალვა იტალიის სკოლებში და მინარეთების აშენების აკრძალვა შვეიცარიაში.

**საერთოდ ვერ ეწყობა მულტიკულტურიზმის პრინციპებს დროდადრო ეთნიკური ნიშნით განხორციელებული გასახლებები. თანაც საუბარია არა მხოლოდ ბოშების გასახლებაზე საფრანგეთიდან, სადაც მულტიკულტურიზმის დეკლარირება არასდროს მოუხდენიათ, არამედ ბრიტანეთიდან ირლანდიელების გასახლებაზეც.**

ამ თვალსაზრისით რელიგიური ნაგებობების მშენებლობის, გარკვეული სამოსის ტარებისა და რელიგიური სიმბოლოების აკრძალვა სწორედ ასიმილაციური პოლიტიკის ნიშნებია. ამ პოლიტიკის მიზანი ნამდვილად არ არის თავისუფლებისა და უფლებების დაცვა, მისი მიზანი ასიმილაცია და ქვეყანაში ჩასული შრომითი მიგრანტებისა თუ დევნილების მიმღები საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ცხოვრების წესზე მორგებაა.

**„მულტიკულტურიზმის კრიზისი“ სახალხო პრობლემად მას შემდეგ იქცა, რაც ევროსკეპტიციზმმა და ნაციონალურმა ეგოიზმმა იმატა.** მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს ჰქონდა პერსპექტივები, ევოლუცია ევროფედერაციის მიმართულებითაც განეცადა და ევროიმპერიის მიმართულებითაც, პროექტის კრიზისის კვალდაკვალ იმ ძალებმა დაიწყეს გაძლიერება, რომლებიც ასიმილაციას მოითხოვდნენ. **ზოგიერთ ქვეყანაში მათ პარლამენტებში თავიანთი, ლამის რასისტული პოზიციის მქონე და ნაციონალურ საფუძვლებზე აგებული პარტიები გაიყვანეს.**

ამ ყველაფერთან ერთად, მულტიკულტურიზმი რომ სინამდვილეში არსებობდეს ევროპაში, სახელმწიფოს ცხოვრებაში იმიგრანტებისა და დევნილებისთვის მონაწილეობის დიდ შესაძლებლობებს შექმნიდა.

საბოლოო ჯამში მულტიკულტურიზმი გულისხმობს არა მხოლოდ მშვიდ დამოკიდებულებას ამა თუ იმ კულტურულ არტეფაქტებთან, არამედ საკუთარი პოლიტიკური კულტურის რეალიზაციას, ანუ პოლიტიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ისეთი ფორმების შექმნას, რომლებიც იმიგრანტების ტრადიციებს პასუხობს. ეს უკვე ეწინააღმდეგება ნაციონალურ ფორმატს და შესაძლებელია მხოლოდ ჰიპოთეტიკური ევროპული იმპერიის ჩარჩოებში.

**მულტიკულტურიზმი არა მხოლოდ იმის შესაძლებლობას გულისხმობს, რომ თავისუფლად განაცხადო საკუთარი რელიგიური აღმსარებლობის შესახებ, არამედ იმასაც, რომ აირჩიო ცხოვრების წესი საკუთარი რელიგიური მრწამსის შესაბამისად, ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, ევროპის შემთხვევაში, აირჩიო ეროვნულ კანონმდებლობასა და შარიათს შორის. ამგვარი მოდელები რეალიზებულია მთელ რიგ აღმოსავლურ ქვეყნებში, მაგალითად — მაროკოში, სადაც რეალური მულტიკულტურიზმი მოქმედებს. ოღონდ ევროპული სამართლით გასამართლების შესაძლებლობა უფრო ეთნოკრატიის ნიშანია, ვიდრე მულტიკულტურიზმისა და ნამდვილად ასიმილაციის სასარგებლოდ მუშაობს.**

მულტიკულტურულ სახელმწიფოებში არსებობს რელიგიური პარტიები, რომელთაც აქვთ საშუალება, მოხვდნენ პარლამენტში. ევროპაში კი მუდმივად ღებულობენ ზომებს მკვეთრად გამოხატული რელიგიური ნიშნის პარტიების კუპირებისთვის. ერთადერთი გამონაკლისი ქრისტიან-დემოკრატები არიან, რომლებიც ქრისტიანობაზე აპელირებას უფრო ღირებულებების დონეზე ახდენენ, ვიდრე დოქტრინალურზე.

მუჰამედის კარიკატურებთან დაკავშირებული სკანდალისა და ადგილობრივი მასშტაბის იურიდიული ბრძოლების შემდეგ „ახალი ალიანსის“ სახელით გაჩენილი რაღაც პარტიის ლიდერებმა დანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცეს 21,5 ათასი დანიელის ხელმოწერა, რაც პარტიის რეგისტრაციისთვის იყო საჭირო. ამიერიდან მას საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს. ისლამური პარტიები არსებობენ საფრანგეთსა და ბელგიაშიც, მაგრამ ისინი ჯერ მცირერიცხოვანნი არიან და პარლამენტებში არ ჩანან. გარდა ამისა, ისინი იურიდიულ ზეწოლას განიცდიან და იძულებულნი არიან, სეკულარული სამოქალაქო გაერთიანების სახით წარმოაჩინონ თავი.

**ამრიგად, ევროპული მულტიკულტურიზმი ძალზე პირობითი მცნებაა და ის უკვე მივიდა თავის ლოგიკურ პირობით აღსასრულამდე ევროპის პირობითად შემწყნარებლურ საზოგადოებაში.**

win.ru



**შეთქმულების თეორია ადამიანებს უმცირებს განგაშის შეგრძნებას იმის გამო, რომ მათსავე ცნობიერებაში არ არსებობს საკუთარი არსებობის კონტროლი. ამ შემთხვევაში ლოგიკური დასკვნები უძლურია.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მასონები და შეთქმულების თეორია

**შეთქმულების თეორია რთული მოვლენების ახსნის მარტივი მეთოდია, გარშემომყოფებზე ინტელექტუალური უპირატესობის შეგრძნების და ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე ყოველგვარი პასუხისმგებლობის მოხსნის საშუალება. შეთქმულები ხომ ყოველთვის უფრო ძლიერები არიან. უკანასკნელი კვლევების თანახმად, შეთქმულების თეორიის მონაწილენი ყველაზე ხშირად ის ადამიანები ხდებიან, რომელთაც სიკვდილისა ეშინიათ.**



**«მასონური ლოჟის წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო ნებისმიერი ტრადიციული რელიგიის — ქრისტიანობის, ისლამის ან იუდაიზმის მიმდევარი»**

რა არის შეთქმულების თეორია? ჰიპოთეზა, რომელიც განიხილავს რაღაც გლობალურ ან ისტორიულად მნიშვნელოვან მოვლენებს როგორც იმ ადამიანთა ჯგუფის მოლაპარაკებას, რომლებმაც ესა თუ ის პროცესი საკუთარ, როგორც წესი, ბოროტ ნებას დაუმორჩილეს საკუთარივე ანგარებიანი მოსაზრებების საფუძველზე. შეთქმულების თეორიათა უმეტესობა მოასწავებს რაღაც კარგად გასაიდუმლოებული საზოგადოების ან ჯგუფის არსებობას, რომელიც მანიპულაციების, ინტრიგებისა და პოლიტიკური გავლენის წყალობით აკონტროლებს გლობალურ პროცესებს და ნელ-ნელა ახერხებს მსოფლიოზე ბატონობის ხელში ჩაგდებას.

**ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ამ დრომდე პოპულარული შეთქმულების თეორია „ჟიდომასონურია" და გულისხმობს მსოფლიო მმართველობის ხელში ჩაგდებისათვის მებრძოლი მასონებისა და იუდეველების კოალიციის არსებობას.**

მასონების ეთიკური მოძრაობა XVIII საუკუნეში გაჩნდა. თავისი აგებულებით მასონობა წარმოადგენს დახურულ, საიდუმლო ორგანიზაციას, სადაც ახალი წევრების მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ რეკომენდაციითა და სხვა პრინციპებით, რაც მის სექტასთან მსგავსებას განაპირობებდა. თავის ფილოსოფიურ და ეთიკურ პრინციპებში მასონები ეყრდნობოდნენ მონოთეისტური რელიგიის იდეალებს: თვითშეცნობას, საკუთარ თავსა და ნაკლოვანებებზე მუშაობას, შემწყნარებლობას, ოჯახურ ფასეულობებს და თემისადმი კუთვნილებას.

**მასონური ლოჟის წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო ნებისმიერი ტრადიციული რელიგიის — ქრისტიანობის, ისლამის ან იუდაიზმის მიმდევარი.**

მასონობის პოპულარობამ XIX საუკუნის შუა პერიოდისა და დასასრულისთვის იმატა. ამასთან, დახურულობამ და გასაიდუმლოებამ მასონური საძმოს ირგვლივ უამრავი ჭორი წარმოშვა, მის მიმართ უნდობლობა და ამავე დროს ინტერესი გააღვივა. მთელ რიგ ევროპელ, ამერიკელ, მოგვიანებით კი რუს პოლიტიკოსებსაც მასონთა ლოჟის წევრობას მიაწერდნენ.

ამ ყველაფრის პარალელურად შეიმჩნეოდა მთელი რიგი ებრაელი ბანკირებისა და სამრეწველო მოღვაწეების კაპიტალის ზრდა და ინტერნაციონალიზაცია. საფრანგეთში პოლიტიკური ბრძოლა გაჩაღდა დრეიფუსის საქმის ირგვლივ. ის გახლდათ ევროპული წარმომავლობის ფრანგი ოფიცერი, რომელსაც გერმანიის იმპერიის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ედებოდა ბრალი. მოგვიანებით ოფიცრის რეაბილიტაცია მოხდა, მისი საქმის პროტოკოლში კი უამრავი ყალბი დოკუმენტი და ცრუ მოწმე აღმოაჩინეს.

ევროპაში კი ანტისემიტიზმი გავრცელებას განაგრძობდა და მასონებისადმი უნდობლობასთან შერწყმით მშვენიერ საფუძვლად იქცა „ჟიდომასონური შეთქმულების" თეორიის აღმოცენებისთვის. სახეზე იყო ყველა აუცილებელი კომპონენტი: ადამიანთა ჯგუფისადმი (ამ შემთხვევაში იუდეველებისა და მასონებისადმი) შური და სიძულვილი, სწორი ინფორმაციის არარსებობა და შიში.

**ამ შეთქმულების თეორიის მომხრეების პირველ „ოფიციალურ დოკუმენტად" იქცა კრებული სახელწოდებით „სიონელ ბრძენთა ოქმები", რომელიც თითქოსდა 1897 წელს ბაზელში ჩატარებული სიონისტების კონგრესის ჩანაწერებისგან შედგებოდა. ტექსტებში მოცემული იყო ებრაელების მიერ მსოფლიო ბატონობის მოპოვების გეგმები, არაებრაელთა კონტროლის ქვეშ მოქცევა და სხვა რელიგიების დევნა. ის, რომ ოქმები ნამდვილად დედანია, ზოგიერთმა მკვლევარმა უმალ აღიარა, 1921 წელს კი ეს ფაქტი საბოლოოდ დადასტურდა.**

**ფალსიფიკაცია დადასტურდა ნაპოვნი პირველწყაროს წყალობით. „ოქმები" თავის დროზე ნაპოლეონ III-ს წინააღმდეგ მიმართული XIX საუკუნის ნაკლებადცნობილი პამფლეტის პლაგიატი აღმოჩნდა. ამ მტკიცებულებამ სპეციალისტები კი დაარწმუნა, მაგრამ შეთქმულების თეორიის მომხრეები — ვერა.**

არცაა გასაკვირი: ლოგიკური დასკვნები და გლობალური შეთქმულების თეორია ერთმანეთთან არათავსებადია. საქმე ისაა, რომ თავად „მორწმუნეთათვის" ეს ფილოსოფია არის რთული, მრავალშრიანი პროცესების ყველაზე მარტივად ახსნის საშუალება. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობა მარტივი საკითხი არაა, მასში გასარკვევად სხვადასხვა სფეროს კარგად ცოდნა, კრიტიკული აზროვნება, ფაქტების ხანგრძლივი ანალიზი, სხვადასხვა წყაროების მონაცემთა შედარებაა საჭირო. მაგრამ ეს ყველაფერიც არ იძლევა გარანტიას, რომ ადამიანი გაიგებს, საიდან ჩნდება ეკონომიკური კრიზისები, ომები და გლობალური სოციალური ცვლილებები.

**სოციალური წყობის სირთულე და ინფორმაციის სიჭარბე ადამიანის ფსიქიკის საბაზო თვისებებთან წინააღმდეგობაში მოდის — ადამიანს სურს, ესმოდეს მსოფლიო, რომელშიც ვცხოვრობთ. შეთქმულების თეორია კი პირველყოფილი ადამიანების რწმენასავითაა, რომელიც წვიმას, ელვას ან გვალვას ყოვლისშემძლე ღმერთების რისხვად ან წყალობად ხსნიდა.**

**პრიმიტიულ რწმენებთან მსგავსების გარდა, შეთქმულების თეორიას სხვა მრავალი ფსიქოლოგიურად ახსნადი მახასიათებლები აქვს. ჯერ ერთი, ის უნივერსალურია: ნებისმიერი პროცესი, ომიდან კლიმატის ცვლილებამდე, შეიძლება შეთქმულთა ქმედებებით ან ამ ქმედებების შედეგებით აიხსნას.**

**როგორც წესი, შეთქმულებს ნეგატიურ თვისებებს მიაწერენ ხოლმე — სიხარბეს, აგრესიას, არაჯანსაღ ამბიციებს, ნებისმიერ ფასად ხელისუფლებისკენ სწრაფვას, ადამიანთა გარკვეული ჯგუფისა და მთელი კაცობრიობის განადგურების სურვილს. მაგრამ მათ ასევე გონიერებითა და მოხერხებულობით, მანიპულაციების უნარით აჯილდოებენ, თუმცა ყველა ეს ღირსება მიმართულია ადამიანთა სწორედ იმ ფენისკენ, რომელსაც ამ ქმედებების სჯერა. არადა, მსოფლიო ბატონობის მსურველებს უფრო მნიშვნელოვანი საქმეებიც უნდა ჰქონდეთ.**

და ეს შეთქმულების თეორიის კიდევ ერთ მახასიათებელს ავლენს: ის საშუალებას იძლევა, სრულად მოიხსნა პასუხისმგებლობა. ყველას არ შეუძლია აღიაროს, რომ ზოგიერთი მოვლენა, რომლებიც მის ცხოვრებაზე მოქმედებენ, მის კონტროლს არ ექვემდებარება. კიდევ უფრო ძნელია იმის აღიარება, რომ ზოგიერთ მოვლენაზე ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ ვახდენთ ზეგავლენას. მაგალითად, ყველა, ვინც გარემოზე ზრუნავს, ცდილობს, პლანეტაზე ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს, ოღონდ შვიდი მემილიარდედი ნაწილი ახერხებს ამას. ამის გაცნობიერება ძნელი და არც თუ სასიამოვნოა. აქ ადამიანის ფსიქოლოგია მუშაობს პრინციპით „ან ყველაფერი, ან არაფერი" — ან ვაკონტროლებ პროცესს, ან — ვერა. დასახმარებლად კვლავ შეთქმულების თეორია მოდის: პროცესს ვიღაც ყოვლისშემძლეები აკონტროლებენ. შეიძლება იჯდე და არაფერზე გაისარჯო, შენზე უკვე არაფერია დამოკიდებული.

**იელის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ახლახან საინტერესო ფაქტი აღმოაჩინეს. მათ გამოკითხეს ასორმოცდაათამდე სტუდენტი, რომლებიც დენ ბრაუნის „და ვინჩის კოდს" კითხულობდნენ. რომანში თითქოსდა წარმოდგენილია იმის მტკიცებულებები, რომ კათოლიკური ეკლესია საუკუნეობით მალავდა სიმართლეს იესოსა და მარია მაგდალინელის საერთო შვილების თაობაზე. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ შეთქმულების თეორიის სჯერათ აგნოსტიკებსა და ნიუ-ეიჯ რელიგიის მიმდევრებს, რომელთაც სხვებზე მეტად ეშინიათ სიკვდილის.**

კვლევის ავტორი ანა-კაისა ნიუჰაიზერი განმარტავს, რომ შეთქმულების თეორია ადამიანებს უმცირებს განგაშის შეგრძნებას იმის გამო, რომ მათსავე ცნობიერებაში არ არსებობს საკუთარი არსებობის კონტროლი. მან ასევე დაადასტურა, რომ ამ შემთხვევაში ლოგიკური დასკვნები უძლურია. საუბარია სწორედ რწმენაზე, რომელიც პასუხობს ამ ადამიანების საბაზო ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებს. ამ მოთხოვნილებების ფესვები გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე გონებრივი დასკვნები. ასე რომ, თუ ოდესმე შეთქმულების თეორიის მომხრესთან კამათი მოგიწევთ, ნუ შეეცდებით, რამეში გადაარწმუნოთ, უმჯობესია, შეეცადოთ მის დამშვიდებას.

pravda.ru

**მასონად კურთხევის რიტუალი**



დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როგორც არასამთავრობო ორგანიზაციას, NED-ს შეუძლია უზრუნველყოს დემოკრატიული ძალების დახმარება საჩოთირო პოლიტიკურ სიტუაციებში, სადაც აშშ-ის ხელისუფლების მხარდაჭერა დიპლომატიურად და პოლიტიკურად შეუძლებელი იქნებოდა“.**



# გრანტიჭამიობის უკრაინული თავისებურებანი

**ახლა უკრაინაში ნამდვილად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა. „ნარინჯისფერი“ ხელისუფლების უნიჭო მმართველობის შემდეგ ქვეყანა ღრმა ეკონომიკურ კრიზისშია და მორიგი პროტესტიც მწიფდება, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ პროტესტს ასაზრდოებენ და ხალხის მასებს ხელოვნურად აქეზებენ ისინი, ვინც თავად მიიყვანა ხალხი სილატაკემდე. პოლიტიკის წარუმატებელ ყოფილ მაღალჩინოსნებს არ გააჩნიათ გარკვეული საცხოვრებელი, მუდმივი სამუშაო და მტკიცე პოლიტიკური შეხედულებები. ისინი პოლიტიკური ბომჟები არიან. სწორედ ისინი იყიდებიან ყოველთვის და სწორედ ისინი ასრულებენ დამკვეთის სასურველ ცეკვებს. ერთის მხრივ, ბომჟები არიან გუშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებმაც უკვე გაუსინჯეს გემო დაუსჯელ ქურდობასა და ყველაფრის ნებადართულობას. ახლა მათ სიძულვილი და სიბრაზე ახრჩობთ და როგორც ნარკომანებს, ისე სწყურიათ ძალაუფლების ახალ-ახალი დოზები. მათ სურვილსა და ქმედებებში პრაგმატიზმიც არის — ძალაუფლება სასწრაფოდ უნდა ჩაიგდონ ხელში, რათა კონკურენტებმა ციხეებსა და ბანაკებში არ გაამწესონ.**

## «ჩვენ, ამერიკელები, განსაკუთრებული, რჩეული ხალხი ვართ, ჩვენ ვართ ჩვენი დროის ისრაელი...»

იმისათვის, რომ პოლიტბომჟებმა გამარჯვებას მიაღწიონ, საჭიროა დიდი ფული, ანუ ეგრეთ წოდებული გრანტები. და ეს გრანტებიც, ჯერჯერობით, იშოვება. მთავარი გრანტისმიმცემები აშშ-ის, ევროპის სხვადასხვა ფონდები, ებრაელი ლობისტები და სოროსის ფონდის მსგავსი კერძო ფონდები არიან. გარდა ამისა, მსოფლიოში არსებობს ათასგვარი ორგანიზაცია, რომელთა ფუნქციაა, დანერგონ დემოკრატია, მათი აზრით, ჩამორჩენილ ქვეყნებში.

**მიზანი ყველას ერთი აქვს: დაისაკუთროს უკრაინა და ამით მიიღოს მადლიანი მიწის საკუთარი ბაზარი, იაფი მუშახელი, ბუნებრივი სიმდიდრეები, საზარბაზნე ხორცი თავიანთი ტერორისტული ომებისთვის მთელ მსოფლიოში, გასასვლელი შავ ზღვაზე რუსეთთან საზღვარზე. ესაა ყველა მეგრანტის ოცნება. მაგრამ ყველაფერი დასაკუთრებულია და ყველაფრისთვის გადახდილია. მაგრამ ამ ყველაფრის მიღება კიდევ შეიძლება, თუ ჯიბეზე ხელს გაიკრავ და რევანშისტების, იმავე პოლიტბომჟების დასტას იყიდი. მსურველი ბევრია. მათ შორის ერთ-ერთი კი „საქველმოქმედო“ ფონდი National Endowment for Democracy-ია (NED), რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს უკრაინელ უფლებადამცველთა შორის.**

ეს ფონდი ერთდროულად კერძოცაა და სახელმწიფოც, რადგან ფორმალურად არ შედის ამერიკის სახელმწიფო სტრუქტურებში, მაგრამ, ამავე დროს, შექმნა სახელმწიფო ინსტიტუტმა — აშშ-ის კონგრესმა, დაამტკიცა აშშ-ის პრეზიდენტმა. ფონდის ბიუჯეტი აშშ-ის კონგრესის მიერ განისაზღვრება და დიდწილად მისი დოტაციისგან შედგება. ფონდის მოღვაწეობის ანგარიშს იბარებს და სხდომებზე განიხილავს აშშ-ის კონგრესი. ფორმალური დამოუკიდებლობა ფონდს საშუალებას აძლევს, მიიღოს შემოწირულობები კერძო პირებისა და კორპორაციებისგან, ლეგალურად გავიდეს საერთაშორისო არენაზე, როგორც კერძო ამერიკული ფონდი.

**1983 წელს, როლანდ რეიგანის პრეზიდენტობისას, მისი და კონგრესის ძალისხმევით ფონდი შეიქმნა მთელს მსოფლიოში დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარების მიზნით. კონგრესის მიერ გამოყოფილი თანხით ის ყოველწლიურად ასობით გრანტს გასცემს მთელს მსოფლიოში პროდემოკრატიული ჯგუფებისთვის.**

**ფონდის დირექტორთა საბჭო არასამთავრობო, არაპარტიული ორგანოა, რომლის 25-ვე წევრს კონგრესი ნიშნავს. საბჭოს ხელმძღვანელია ყოფილი კონგრესმენი ვინ ვებერი. დაარსების დღიდან დღემდე ფონდის უცვლელი პრეზიდენტია გაეროში აშშ-ის წარმომადგენლის ყოფილი თანაშემწე კარლ გერშმანი. დირექტორთა საბჭოში შედიან სამი დემოკრატი და სამი რესპუბლიკელი კონგრესმენი, სამი სენატორი და წარმომადგენლობითი პალატის სამი წევრი, ყოფილი კონგრესმენები, ცნობილი დიპლომატები, გადამდგარი გენერლები, მსხვილი ბიზნესმენები, ცნობილი პოლიტოლოგები.**

ფონდის ფილოსოფიაა, რომ ამერიკის დახმარება საზღვარგარეთ დემოკრატიის დაცვის საქმეში სასარგებლოა ამერიკისთვის და მათთვის, ვინც მთელს მსოფლიოში იბრძვის თავისუფლებისთვის. ამ განცხადებაში კი იოლად იკითხება **ამერიკის საგარეო პოლიტიკის ორი მთავარი პრინციპი: აშშ არის თავისუფლების, დემოკრატიისა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების გარანტი და ის, რაც კარგი და სასარგებლოა ამერიკისთვის, კარგი და სასარგებლოა მთელი დანარჩენი მსოფლიოსთვისაც.**

ფონდი გრანტებს იძლევა მხოლოდ იმ პროექტებისთვის, რომლებიც, ამერიკული გაგებით, ხელს უწყობს დემოკრატიისა და თავისუფლების განვითარებას; ასევე, იმ ხალხთა თვითგამორკვევისათვის, რომლებიც, „ამერიკის სარგებლის“ თვალსაზრისით, ჯერაც ვერ გამოერკვნენ, ისევე, როგორც რუსეთში — ჩეჩნები ან სერბეთში — ალბანელები.

**ფონდის მოღვაწეობას ექვსი მიზანი აქვს:**

**კერძო ინიციატივების, მათ შორის ინდივიდუალური უფლებების, ხელისშემწყობი ქმედებების წახალისების გზით მთელს მსოფლიოში თავისუფალი და დემოკრატიული ინსტიტუტების წახალისება;**

**საზღვარგარეთის დემოკრატიულ ჯგუფებსა და ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კონტაქტების ხელშეწყობა;**

**ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საზღვარგარეთ დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობასა და დემოკრატიის სწავლების საქმეში დახმარების გაწევა;**

**საზღვარგარეთ არჩევნების დემოკრატიული სისტემის გაუმჯობესება ჭეშმარიტად დემოკრატიულ ძალებთან კოოპერაციით, დროული აქციების საშუალებით;**

**ამერიკის მთავარი პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირების, ბიზნესისა და სხვა სექტორისათვის უცხოეთის იმ ძალებსა და ჯგუფებთან ურთიერთობაში ხელშეწყობა, რომლებიც დემოკრატიული პლურალიზმის კულტურული ფასეულობების, ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ერთგულნი არიან;**

**დემოკრატიის ფორმირება და განვითარება იმგვარი მიმართულებით, რომ ის შეესაბამებოდეს აშშ-ის ნაციონალურ ინტერესებს და ფონდის მიერ დაფინანსებული სხვა ქვეყნების დემოკრატიული ჯგუფების სპეციფიკურ მოთხოვნებს.**

ამით შეიძლებოდა დასრულება, რადგან ყველაფერი ნათლად და გარკვევითაა ნათქვამი, NED-ი არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც აშშ-ის, უფრო სწორად, ამერიკის მმართველი ელიტის ინტერესების გასატარებლად აფინანსებს „დემოკრატიულ“ ჯგუფებს. რაც შეეხება ადამიანთა უფლებებს, ის ფონდის მიზნებში მხოლოდ ერთხელაა მოხსენიებული და ისიც დემოკრატიული ინსტიტუტების წახალისების რუბრიკაში.

ეს კიდევ არაფერი, ამ მიზნების კონკრეტიზაცია NED-ს ნამდვილად უნიკალურ „არასამთავრობო“ ორგანიზაციად აქცევს. დირექტორთა საბჭო ურჩევს ფონდს, იმუშაოს მთელი სიმძლავრით და გამოიყენოს სხვა ორგანიზცაციებისგან განმასხვავებელი თავისებურებები: არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსი, მოღვაწეობის მრავალსექტორული სფერო და ორგანიზაციის სპეციფიკა, რომლის ერთადერთი მისია დემოკრატიის ხელშეწყობაა.

ამის შემდეგ კი მოდის ფრაზა: **„როგორც არასამთავრობო ორგანიზაციას, NED-ს შეუძლია უზრუნველყოს დემოკრატიული ძალების დახმარება საჩოთირო პოლიტიკურ სიტუაციებში, სადაც აშშ-ის ხელისუფლების მხარდაჭერა დიპლომატიურად და პოლიტიკურად შეუძლებელი იქნებოდა“.** აი, სწორედ ამაშია NED-ის არსებობის აზრიც. გაირკვა, რომ **ფონდის ერთადერთი მისია „დემოკრატიის ხელშეწყობაა“ და არა „ადამიანის უფლებათა დაცვა“ ან ქველმოქმედება, რომ ეს არის „დემოკრატიული ძალებისათვის“ პოლიტიკური მხარდაჭერა და დახმარება საჩოთირო პოლიტიკურ სიტუაციებში.** ამრიგად, NED-ის მიერ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურებში შედის, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც აშშ-ის ხელისუფლების ღია ჩარევა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში.

მუშაობის მეთოდები შემდეგნაირია: **„ფონდი გასცემს გრანტებს, ისევე, როგორც NED-მა შეძლო, გაეწია კრიტიკული მხარდაჭერა აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის დისიდენტებისთვის კომუნიზმის დანგრევის პერიოდში, ახლაც ასევე შეგვიძლია დავეხმაროთ დემოკრატიულ მოძრაობებს ბირმაში, ჩინეთში, კუბაში, ბალკანეთში, ახლო აღმოსავლეთსა და მცირე აზიაში“,** ანუ ფონდი აღიარებს, რომ დისიდენტების დახმარებით ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის დაშლას, ახლა კი იმავე საქმითაა დაკავებული სხვა ქვეყნებში, მაგალითად სერბეთში, ირანში, საქართველოში, რუსეთში, ბელარუსსა და უკრაინაში.

აშშ-ის აზრით, დღევანდელ უკრაინაში საჭიროა „დემოკრატიულ ძალთა კონსოლიდაცია“, რითაც არის კიდეც დაკავებული NED-ი სხვა ამერიკულ ფონდებთან ერთად. ფაქტობრივად, ხორციელდება მსოფლიოს მთავარი ჟანდარმის — აშშ-ის მორიგი ჩარევა დამოუკიდებელი უკრაინის შიდა საქმეებში. იმაში, რომ დემოკრატიის განვითარების ამერიკის ნაციონალური ფონდის მიზნები წმინდად პოლიტიკური ხასიათისაა, ეჭვი არავის ეპარება.



ზემოხსენებული ფაქტებიდან გამომდინარეობს აბსოლუტურად ნათელი დასკვნა: **ამ ფონდის ფულით უკრაინის უფლებადამცველი და სხვა „არასამთავრობო“ ორგანიზაციები ეწევიან „მოქნილ და ეფექტურ“ პოლიტიკურ მოღვაწეობას — ახორციელებენ პროპაგანდას მიწების დენაციონალიზაციის სასარგებლოდ, ეწევიან აგიტაციას საყოველთაო სამხედრო გაწვევის „დაქირავებული ჯარით“ ჩასანაცვლებლად, მორალურად, პოლიტიკურად და ინფორმაციულად უჭერენ მხარს ნაციონალისტებს, ქმნიან ლიბერალურ პროდასავლურ გაზეთებს, ჟურნალებსა და ვებ-გვერდებს, ამერიკული მეთოდებითა და პროგრამებით ამზადებენ პოლიტიკურ მოღვაწეთა, იურისტების, სოციალური ინსტრუქტოორების, სახელმწიფო ადმინისტრაციის თანამშრომლების, უფლებადამცველებისა და ჟურნალისტების კადრებს. ამ ყველაფერს კი ვერაფრით უწოდებ არაპოლიტიკურ და მით უფრო, უფლებების დამცველ მოღვაწეობას.** ეს არცაა გასაკვირი, ამ ფონდის ერთადერთი მისია ხომ ადამიანის უფლებათა დაცვა კი არა, სულ სხვა რამაა. უკრაინის „არასამთავრობო“ ორგანიზაციების მიერ უფლებების დაცვის ფასადს უკან ამერიკული ფულით ხორციელდება აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა, რომელიც ხშირად ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული ხასიათისაა. საუბარია ხალხის სუვერენიტეტის ხელყოფაზე. ახლა უკრაინაში იგივე ხდება, რაც თავის დროზე იუგოსლავიაში ან საქართველოში ხდებოდა. სწორედ ამის გამო იძლევა ამერიკის ფონდები ამდენ ფულს უკრაინის პროვინციებში „სასწავლო ცენტრებისა“ და „დემოკრატიული ტრენინგების ცენტრების“ შესაქმნელად, „დემოკრატიული“ გაზეთების დასაარსებლად, სემინარების ჩასატარებლად.

**ნარინჯისფერი გადატრიალებისას ამერიკამ ბომჟების რევოლუციას 65 მილიონი დოლარი დაახარჯა. დღეს გრანტიჭამიების ჯოგს, პოლიტბომჟებს უკრაინაში პირადად ბატონი სოროსი კვებავს. უკანასკნელი წლების მანძილზე მისმა ფონდმა 75 მილიონი აშშ დოლარის გრანტები გამოყო. სწორედ ესაა საზღაური „დემოკრატიისთვის ნებისმიერი გზით“...**

ახლა, იმედია, ყველასათვის გასაგებია, თუ ვინ იხდის ფულს გრანტიჭამიების, უფრო მარტივად კი, პოლიტბომჟების რევანშისტული ჯოგის სარჩენად.

telegrafua.com

2009 წლის დეკემბერში სეიმის მიერ გამოქვეყნებული საპარლამენტო გამოძიების შედეგების მიხედვით, ლიტვა არის პირველი ევროპის ქვეყნებს შორის, რომელმაც თავის ტერიტორიაზე ორი საიდუმლო ციხის არსებობა და თავისი თანამდებობის პირების ამერიკის სადაზვერვო სამსახურებთან თანამშრომლობა აღიარა.



www.geworld.net

# ვაშინგტონმა მოკავშირეებს «გაუჩალიჩა»...

## ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისრის — თომას ჰამერბერგის თქმით, ცსს-მ საზღვარგარეთ, კერძოდ კი ევროპაში, შექმნა საიდუმლო ციხეების ქსელი, სადაც დაკავებულებს აწამებდნენ

**ვაშინგტონის მოკავშირეებისთვის გადაჭარბებული მოკავშირეობა, შესაძლოა, სასამართლო პროცესით დასრულდეს. ასეთი სევდიანი დასასრული ელის აშშ-ის მოკავშირე იმ ევროპულ ქვეყნებს, რომლებიც მთელ მსოფლიოში ცსს-ს საიდუმლო ციხეების ქსელის ფუნქციონირებაში მონაწილეობდნენ. ამ ციხეებში ამერიკელებს გამომწყვდეული ჰყავდათ „ტერორისტები“ და აწამებდნენ. ახლა ამ წამებათა მსხვერპლნი სტრასბურგის სასამართლოში აპირებენ სარჩელის შეტანას და აშშ-ის სატელიტებს სწორედ ამ სასამართლოს განაჩენი ელით.**


აბუ-გრეიბის ციხეში

თავად აშშ ამ წყლიდანაც მშრალი გამოვა, რადგან ამერიკა არ შედის ევროპული სასამართლოს იურისდიქციაში. ამერიკა მშვენივრად მოეწყო — ევროპაში თავის ინტერესებს ძალზე მკაცრად ატარებს, მაგრამ ამავე ევროპაში მას პასუხისგებაში ვერ მისცემენ.

**გადამეტებული მოკავშირეობის პირველი მსხვერპლის პერსპექტივა ლიტვას აქვს. რამდენიმე დღის წინ ვილნიუსის ცენტრში საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ AMNESTY INTERNATIONAL-მა ჩაატარა აქცია სახელწოდებით „ჭეშმარიტებამ უნდა იზეიმოს: მოითხოვეთ ლიტვისგან საიდუმლო ციხეების საქმის გამოძიება“.**

ლიტვის მთავრობის სასახლის წინ დაიდგა რკინის გალია, რომელშიც რამდენიმე ადამიანი იჯდა და პატიმრებს განასახიერებდა. მათგან ზოგიერთს თვალები ჰქონდა ახვეული. აქვე შეიძლებოდა მთელი ინფორმაციის მიღება ლიტვაში ცსს-ს საიდუმლო ციხეებთან დაკავშირებული სკანდალის ირგვლივ. აქციის შემდეგ ორგანიზებულ პრესკონფერენციაზე კი Amnesty International-მა ლიტვის ტერიტორიაზე მდებარე ცსს-ს საიდუმლო ციხეების შესახებ ახალი ფაქტები გამოაქვეყნა და გამოძიების დაუყოვნებლივ განახლება მოითხოვა.

2009 წლის 21 აგვისტოს ლიტვაში წარმოიშვა სკანდალი ამერიკულ მასმედიაში გავრცელებული იმ ინფორმაციის გამო, რომლის თანახმადაც 2005 წელს ვილნიუსის მახლობლად ცსს-ს საიდუმლო ციხე ფუნქციონირებდა და მასში ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ რვა ბოევიკი იყო გამომწყვდეული. ამერიკული მასმედია ინფორმაციას ცსს-ს ყოფილი თანამშრომლის ანონიმურ განცხადებაზე და ცსს-ს თვითმფრინავების ლიტვაში ფრენაზე დაყრდნობით ავრცელებდა. მაშინ **ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამგვარი ციხის არსებობა უარყო, მაგრამ მოგვიანებით ლიტვის პარლამენტში ამ საქმის გამოძიების კომისია შეიქმნა, რომელმაც დაადასტურა, რომ ქვეყანაში არსებობდა ორი საიდუმლო ცენტრი, რომელთა არსებობის შესახებაც მხოლოდ ლიტვის სახელმწიფო უშიშროების რამდენიმე მაღალჩინოსანმა იცოდა.** ცენტრებში ტერორისტები ჰყავდათ თუ არა, ვერ გაირკვა, მაგრამ ცსს-ს ლიტვაში მოღვაწეობის დადასტურებამ საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია, რასაც მთელი რიგი გადადგომები მოჰყვა.

**2010 წლის იანვრის დასასრულს საქართველოში მუშაობა შეწყვიტა ლიტვის ელჩმა მეჩის ლაურინკუსმა, რომელიც 2009 წელს სათავეში ედგა ლიტვის სახელმწიფო უშიშროებას; ნებაყოფლობით დატოვა თანამდებობა სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის უკანასკნელმა ხელმძღვანელმა პოვილას მალაკაუსკასმა. ლიტვის იმჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ვიგაუდას უშაცკასი მას შემდეგ გადადგა, რაც სახალხოდ დაეჭვდა პრეზიდენტ დალია გრიბაუსკაიტეს გამონათქვამებში. პრეზიდენტი დაჟინებით მოითხოვდა ამ ისტორიის გამოძიებას.**

ლიტვის ამჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი აუდრინიუს აჟუბალისი დანიშვნამდე ორი თვით ადრე ასევე აკრიტიკებდა პრეზიდენტს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ლიტვის ტერიტორიაზე ცსს-ს საიდუმლო ციხის არსებობას არ გამორიცხავდა და გუანტანამოს ციხიდან ამერიკის პატიმრების გადმოყვანაზე უარი განაცხადა. 2009-ში კი, საერთაშორისო საქმეთა პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეობისას, აჟუბალისი ცსს-ს ციხეებთან დაკავშირებულ საკითხებს აშშ-ის ელჩთან — ენ-ელისაბედ დერსისთან განიხილავდა. ამ შეხვედრის თაობაზე დერსის ანგარიში, რომელიც მან სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა, ცოტა ხნის წინ საიტმა „ვიკილიკსმა“ გამოაქვეყნა.

**„ა. აჟუბალისმა თქვა, რომ საგარეო საქმეთა კომიტეტმა პირველად ეს საკითხი ჩუმად განიხილა 2006 წელს,“** — წერს ანგარიშში დერსი. **„გაუაზრებელმა განცხადებებმა, შესაძლოა, ზიანი მოიტანოს,“** — ამბობდა აჟუბალისი დოკუმენტის თანახმად. საუბრის შესახებ ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ აჟუბალისი ბოდიშსაც კი იხდიდა ამერიკელი ელჩის წინაშე იმის გამო, რომ ლიტვამ უარი განაცხადა გუანტანამოს ციხიდან პატიმრების მიღებაზე.

**და აი, ახლა Amnesty International-მა აღმოაჩინა 2002-2006 წლებში ცსს-ს საიდუმლო ციხეების ფუნქციონირებაში ლიტვის მონაწილეობის ახალი გარემოებები და ლიტვის ხელისუფლებისგან ამ საქმის გამოძიების გაგრძელება მოითხოვა.**

Amnesty International-ის მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში საუბარია ლიტვის მონაწილეობაზე დაკავებულთა გადაგზავნის საქმეში და მოცემულია ახალი უმნიშვნელოვანესი მიმართულებები გამოძიებისთვის, რომლებიც, ორგანიზაციის აზრით, აუცილებლად უნდა დამუშავდეს. კერძოდ, გამოძიებულ უნდა იქნეს გუანტანამოს ყოფილი პატიმრის — აბუ ზუბაიდუს მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ერთი პერიოდი ამერიკელები მას ლიტვის ტერიტორიაზე მდებარე ცსს-ს ციხეში ამყოფებდნენ. **AMNESTY INTERNATIONAL-ი ასევე მოუწოდებს ლიტვის ხელისუფლებას, გამოიძიოს პოლონეთსა და რუმინეთთან კავშირები, სადაც, როგორც ირწმუნებიან, ასევე ფუნქციონირებს ცსს-ს საიდუმლო ციხეები.**

ლიტვის გენერალურმა პროკურორმა ლიტვის ტერიტორიაზე ცსს-ს საიდუმლო ციხეების შესახებ საქმე 2011 წლის იანვარში დახურა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის აუცილებლობის მოტივით. გამოძიების მიერ მოგროვილი ფაქტები არ გამოქვეყნებულა.

**„ლიტვის ხელისუფლებას უფლება არ აქვს, „სახელმწიფო საიდუმლოების“ უკან დაიმალოს“ და ადამიანთა გაუჩინარებისა და წამების თაობაზე ხელი შეუშალოს გამოძიებას. ამ დრომდე სისხლის სამართლის პასუხისგებაში არავინ მიუციათ აშშ-ისთვის საიდუმლო ციხეების შენების ხელშეწყობის გამო და იმ დარღვევათა გამო, რაც ამ ციხეებში ხდებოდა,“** — განაცხადა ჯულია ჰოლმა, Amnesty International-ის ექსპერტმა ადამიანის უფლებათა საქმეში. **„ლიტვის ხელისუფლებამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება უნდა განაახლოს და უნდა გამოიძიოს აშშ-ის თანამდებობის პირთა ქმედებები და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს დამნაშავეები,“** — მიიჩნევს იგი.

2009 წლის დეკემბერში სეიმის მიერ გამოქვეყნებული საპარლამენტო გამოძიების შედეგების მიხედვით, ლიტვა არის პირველი ევროპის ქვეყნებს შორის, რომელმაც თავის ტერიტორიაზე ორი საიდუმლო ციხის არსებობა და თავისი თანამდებობის პირების ამერიკის სადაზვერვო სამსახურებთან თანამშრომლობა აღიარა. **2001-2006 წლებში მოქმედი ამერიკული პროგრამის ფარგლებში დაკავებული და მესამე დონის ქვეყნების ციხეებში გადაგზავნილი იქნა მრავალი ეჭვმიტანილი. საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თქმით, იქ ამ ადამიანებს სცემდნენ და აწამებდნენ.**

**„ხელისუფლება იგნორირებას უკეთებდა საკუთარ თავზე აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, თანამდებობის პირები არღვევდნენ კანონს. შედეგად დაზარალდნენ ადამიანები: ეჭვმიტანილებს მშობლიური ქალაქების ქუჩებიდან აგზავნიდნენ ციხეებში, აწამებდნენ და ამ დროს მათმა ნათესავებმა არც კი იცოდნენ, რა ბედი ეწიათ მათ,“** — ამბობს ჯულია ჰოლი.

**„მიუხედავად იმისა, რომ ლიტვა არის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც აღიარა საკუთარ ტერიტორიაზე ცსს-ს ციხეების მოწყობა, ის ევროპის იმ ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც უარს აცხადებენ გამოძიების ჩატარებასა და თანამდებობის პირთა დასჯაზე,“** — დასძინა მან.

Amnesty International-მა ლიტვის ხელისუფლებას მოუწოდა, განსაკუთრებით გამოიძიოს მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ აბუ ზუბაიდუ დატყვევებული ჰყავდათ ლიტვაში, 2005 წლის თებერვალში მისი მაროკოდან ვილნიუსში გადაყვანის გარემოებების გათვალისწინებით; გამოიძიოს 2004 და 2005 წლებში ლიტვაში იმ საჰაერო ხომალდების დაშვება, რომლებიც, როგორც ჩანს, გამოიყენებოდა საიდუმლო ციხეების ამერიკულ პროგრამაში; ასევე — ლიტვასა და მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში საჰაერო ხომალდების დაშვებათა შორის კავშირები. თავად აბუ ზაბაიდუ ლიტვის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში აპირებს სარჩელის შეტანას.

**ამ საქმის განხილვის მსხვერპლი, შესაძლოა, მხოლოდ ლიტვა არ იყოს. სექტემბრის დასაწყისში ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარმა თომას ჰამერბერგმა ლიტვას, პოლონეთსა და რუმინეთს მოუწოდა, გამოიძიონ მათი ქვეყნების მონაწილეობა აშშ-ის ცსს-ს საიდუმლო პროგრამაში ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დაკავების, გადაგზავნისა და დაკითხვის პროგრამაში. ჰამერბერგის თქმით, ცსს-მ საზღვარგარეთ, კერძოდ კი ევროპაში, შექმნა საიდუმლო ციხეების ქსელი, სადაც დაკავებულებს აწამებდნენ. პოლონეთის, რუმინეთისა და ლიტვის ხელისუფლებები კი შეეცადნენ, საზოგადოებისგან დაემალათ ყველაზე დისკრედიტირებადი ფაქტები.**

**როგორც კომისარმა აღნიშნა, აშშ-ის მაშინდელი ადმინისტრაციის მიერ სანქცირებული დაკითხვის მეთოდები შემთხვევათა უმრავლესობისას წარმოადგენდა წამებას და ეს განსაკუთრებით წყლით წამებას, ანუ დახრჩობის იმიტაციას ეხება.**

პოლონეთმა უკვე განაცხადა, რომ დაიწყო აღნიშნულ ბრალდებათა გამოძიება. რუმინეთსა და ლიტვას კი ჰამერბერგის განცხადებებზე კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებიათ. ცხადია, დუმს აშშ-ც, რომელსაც ეს საქმე საერთოდ „არ ეხება“.

**km.ru**

ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თანდათან იწყეს გადატანა საქართველოდან კარგი ჯიშის ვაზებისა, რქებისა და მით გაუმჯობესება თავიანთი ვენახებისა რამდენ ნაირი ჯიშის ვაზიც არის ევროპაში, ისინი სულ საქართველოდამ არის გადატანილი, ხოლო იქაურის განსხვავებულის ადგილის მდებარეობით და ჰავით გადაგვარებულ არის თვისება ვაზებისა და ყურძნისა. ამ ახალ დროებაში საქართველოდან გადაიტანეს საფერავის ვაზი, მაგრამ მაინც კიდევ გადაგვარდა და იქაური თვისება მიიღო, სადაცა არა აქვს ის სალებავი და არც ღვინოსა ღებამს წითლათ ისე როგორც საქართველოში და იქაური საფერავის ყურძენი მხოლოთ ნარინჯ ფერს აძლევს ღვინოსა“.**

# მევენახეობა და ღვინის დაყენება ძველ საქართველოში

**პირველი ქართული წიგნი – „მევენახეობა“, „ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესება, ხელმძღვანელობისათვის კახური ღვინის მავნებლებისა“ შეადგინა თავადმა ლევან ჯორჯაძემ 134 წლის წინათ. უნიკალური სახელმძღვანელო მევენახეობა-მეღვინეობით დაინტერესებულთათვის 1876 წელს თბილისში გამოიცა. 336-გვერდიანი წიგნის სარჩევი შედგება 106 სათაურისგან, რომელთა დანიშნულება დღესაც აქტუალურია ქართველ მეურნეთათვის. გთავაზობთ ამონარიდებს ზემოაღნიშნული წიგნიდან.**





„თელავის უეზდში სოფ. ზემო ხოდაშენში არის იმენია ყმა და მამული საბერძნეთის ათონის ღვთისმშობლის მონასტრისა ლევან მეფისაგან შეწირული. ამ იმენიასა გამგებლობენ იმ მონასტრის ბერები, რომლებიც იცვლებიან ათს წელიწადში ერთხელ. ამ იმენიის ვენახის ღვინო იყიდებოდა წინათ 200-დამ ვიდრე 300 მანეთამდის ერთი ურემი. ამ უკანასკნელ დროში მოვიდა ათონის მონასტრიდამ ერთი ბერი ამ იმენიის გამგებლათა და ამ ბერმა იქამდის გააუმჯობესა იმ იმენიის ვენახის ღვინო, რომ ყოველწლივს ჰყიდდა ერთს ურემსა 800, 900, ვიდრე 1000 მანეთამდისა, ამაზედ ნაკლებ ფასად, იმას არაოდეს არ გაუყიდნია და არც მისცემდა უკეთუ ნაკლებ ფასს შეაძლევდნენ და შეინახამდა მეორე წლისათვისა. ღვინის წახდენისა არც ეშინოდა და არც უხდებოდა და უფრო კეთდებოდა ძველი ღვინო ორისა და სამი წლისა, **მაშასადამე კახური ღვინის შენახვა ქვევრშია და გაუმჯობესება მისი, ადვილათ შეიძლება, ვინც კი შეუდგება ამ საქმეთა გულმოდგინეთ, რომელიც გვიჩვენა ნათლათა ერთმა უცხო ქვეყნისა ბერმა.** ეს იმენია პირველი იანვრიდან 1874 წელსა გადავიდა საზოგადო სახელმწიფო ინტერესშია, რომლისა გამო ჩააბარეს ადგილობრივ პოლიციის მთავრობასა, ეხლა არ არის ეჭვი, რომ იმ იმენიის ღვინო გაიყიდება კიდევ ძველ წესზედ ურემი 200 ვიდრე 300 მანეთათა. ბერძნის ღვინო იყო ნამდვილი კახური უფაბრიკაციო, ხოლო მარანი ისე ჰქონდა მოწყობილი, რომ შესანიშნავი იყო შესანახათ ღვინისა“.

„მოკლე ისტორიულ ცნობაში ყურძნის ღვინოზედ“ ჯორჯაძე ყვება „ვაზის გაჩენაზედ და ღვინის მოგონილობაზედ“: „ნოემ იწყო მუშაკობა ვაზისა გამოსვლის უმალ მისისა კიდობნიდამ, აქედამ მტკიცდება, რომ ყურძენი ყოფილა ცნობაში აზიაში, საქვეყნოდ წარღვნის მოსვლამდე. ღვინის მოგონილობა შემდეგ წარღვნისა არ იყო დავიწყებაში, იგი მალე გაჩნდა თითქმის ყველგან და ძველი ხალხნი რაცხდნენ მათ ღმერთებათ, რომელთაც შემოიღეს ღვინო: სატურნი მომგონი ღვინისა კუნძულ კრიტზედ, ბახუზ — ინდოეთში, ოზირისტი — ეგვიპტოში, მეფე გერითნი მომგონი ღვინისა ისპაანში ითვლებოდა, მხოლოთ ნახევარ ღმერთად.

ფინიკიანელებთ, რომლებიც სახლდებოდნენ სამხრეთ-დასავლეთის მხრის პირზედ საშუალ მიწის ზღვისა, შემოიღეს ვაზის მუშაკობა და ღვინის კეთება და მათგან მიიღეს გალლიის ხალხთა. ამგვარის მოგონილობისათვის ერთი ირლანდელი მქადაგებელი მტკიცედ მდგომარე ზომიერებასა და წესდებულებაზედა, აძლევდა წყევაში ფინიკიანელთ გავრცელებისათვის (გალლის ხალხში უზომოთ ღვინის სმისა. გალლებს უწოდებდნენ უწინ, ახლანდელ საფრანგეთის ხალხსა). ღვინოსა, რომელსაც არა უსაფუძვლოთ, ამტყუნებენ ხალხის მრავალ გვარ უწესობაზედ, რომ იგი არა ყოფილიყოს თანამონაწილე ანუ მიზეზი იმ ურიგობისა და უწესობისა, რომლებიც იყო დასჯილი წარღვნისაგან.

**ვინც ბევრს ღვინოს იხმარებდა მიცვალებულზედ ანუ დღესასწაულ დღეებში, ნუმა მიაწერდა მას განბნევლობას და ბედოვლათობას და გაკიცხამდა მათ ხალხთა. მაგრამ, რომ ღვინოს ჰქონდა მეტი ღირსება ნუმამ უბრძანა ხალხსა: „რომ შესაწირავად იხმარონ ღვინო, მხოლოდ გასხლული ანუ ნამყენი ვაზის ყურძნისა“.** მას შემდეგ ვაზის **გასხვლა ითვლებოდა აუცილებელ საჭიროებათა კარგი ღვინის მისაღებათ,** მაგრამ მაინც გასხლული ვაზის ღვინო იყო იშვიათად. ერთი ტომის სარდალი მიდიოდა საომრათა სამნი ტიანელების ლაშქრითა, მან აღუთქვა, რომ უკეთუ მოიგებს საქმეთა და დაამარცხებს, მტერსა, შესწირამს და მიართმევს იუპიტერს ერთს სავსე სტაქან წმინდა ღვინოსა, გასხლული ვაზისასა“. შენიშვნა. ვაზს გასხვლა რომ ესაჭიროებოდა, ხალხებს დაეხმარნენ თხები. შემოღობილ ზვარში მცველს კარების დაკეტვა დავიწყებოდა, შეპარულიყო თხები. ტკბილი ლერწები სულ გადაეჭამათ. იმ წელს, მანამდე არნახული ყურძნის მოსავალი მიეღოთ. ამ ამბის შემდეგ, გასხვლა დაეწყოთ. ჩვენი წინაპრები ვაზის გასხვლას რომ მისდევდნენ, ამას ადასტურებს გონიოს წმინდა მიწაზე, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი, ბრინჯაოს ხანის ვაზის გასასხლავი იარაღი. უძველეს ხალხთა — ასირიელების დიდი დღესასწაული, ახალი წელი — 13 მარტს მოდის, ბევრმა არ იცის, რომ თარიღის სპეციალური დამთხვევა, იმის მაუწყებელია, რომ გაღვიძებული დედამიწა მცენარეულობათა სასიცოცხლოთ ნიადაგის მეშვეობით, საკვები წყლის მიწოდებას იწყებს. მუყაითმა გლეხმა ვახის გასხვლა 13-მეტ მარტამდე უნდა დაამთავროს, თორემ ვაზი ტირილს დაიწყებს, გამოხრავს წვენს. იმ წელს მოსავალს კარგს არ მიიღებს, რადგან ვაზს ენერგიის აღდგენისათვის დიდი დრო ესაჭიროება.

**„ბევრი უწესობა იყო წარმომდგარი ხალხში, მომეტებული ღვინის სმისაგან. დაშთენილი იყო აკრძალვად, რომ დედაკაცებს ღვინო არ დაელიათ და კაცებსაც ეხმარად ფრიად ცოტა.** მეცეთელმა მოკლა თავის ცოლი, მოესწრო ცოლისათვისა, რომელიც ბოჩკიდამ მალულად ღვინოსა სომდა და ესე ვითარი დანაშაულობა ცოლის სიკვდილისა ეპატივებინა მეცეთელისათვის რომულს. ერთს რომის ქალსა ჰქონდა მიცემული სასჯელათ თავის მშობლებისაგან შიმშილით სიკვდილი, მისთვის რომ მას გაეღო ჩანგლით ყუთი სადაცა იყო შენახული ღვინის პოგრების გასაღებები. სასამართლომ მისცა განჩინება სიკვდილისა ერთ დედაკაცს, მომეტებულის ღვინის დალევისათვის და მით გაუპატიოსნებისათვის და სახელ გატეხილობისათვის ქრმისა მისისა. შემდეგ ამგვარმა კანონებმა თანდათან იკლო, მაგრამ კატონი ამბობს, რომ დასაცველად ძველის წესისა დაშთა ხალხში ჩვეულებათაო, რომ ვინც შეეხებოდა თავის ნათესავს ქალსა, უთუოდ უნდა ტუჩებში ეკოცნა მისთვის, რომ შეეტყო მით სუნზედ, რომ იმ ქალსა ღვინო დაულევია თუ არა?

**შემდეგ დაარსებისა რომისა, მხოლოდ მეშვიდე საუკუნეში შემოიღეს ბევრი ღვინის ხმარება. კატონი ლაპარაკობს ვაზის მუშაკობაზედ, მაგრამ საკვირველია, რომ რომის დაწინაურებული მიწის მუშაკობაში ვაზის გაჩენასა და ყურძნის გაუმჯობესებას მოუნდნენ ექვსი საუკუნე,** რომლის გამო იგინი ყიდულობდნენ საბერძნეთის ღვინოს ძვირ ფასად, მაშინ როდესაც მათ ადვილად შეეძლოთ მიეღოთ საბერძნეთიდან მუშაკობა ვაზისა და გაუმჯობესება ღვინისა, სადაცა ფრიად დიდი ხნის წინად იყო დაწინაურებული ღვინის კეთება. პლინის სიტყვებიდან სჩანს, რომ ვაზის მუშაკობა და ღვინის ხმარება შემოიღეს იტალიაში დამდეგ მეექვსე საუკუნეში. ვაზის მუშაკობა იყო შემოღებული იქა ხეებზედ აშვებით და ფრიად მაღალ ადგილებში.

**თანდათან იწყეს გადატანა საქართველოდან კარგი ჯიშის ვაზებისა, რქებისა და მით გაუმჯობესება თავიანთი ვენახებისა რამდენ ნაირი ჯიშის ვაზიც არის ევროპაში, ისინი სულ საქართველოდამ არის გადატანილი, ხოლო იქაურის განსხვავებულის ადგილის მდებარეობით და ჰავით გადაგვარებულ არის თვისება ვაზებისა და ყურძნისა. ამ ახალ დროებაში საქართველოდან გადაიტანეს საფერავის ვაზი, მაგრამ მაინც კიდევ გადაგვარდა და იქაური თვისება მიიღო, სადაცა არა აქვს ის სალებავი და არც ღვინოსა ღებამს წითლათ ისე როგორც საქართველოში და იქაური საფერავის ყურძენი მხოლოთ ნარინჯ ფერს აძლევს ღვინოსა.**

ძველადგან საქართველოს მეფეების დროს უპირველესად ითვლებოდა ღვინოები: გორის უეზდში კასპისა და შემდეგ ატენისა; თელავის უეზდში: ახმეტისა, წინანდლისა, მუკუზანისა, კონდოლისა, შემდეგ ყვარლისა; უმთავრესი თვისების ღვინო ამ სოფლებისა იყო იმის მიხედულობისა გამო მისისა, რომ ზაგრანიცაში კარგი თვისების ღვინოები დგებოდა და ძვირფასად იყიდებოდა. ამისათვის **1848 წელს, კავკასიის ნამესტნიკის შემწეობით ზოგიერთმა საქართველოს მებატონეთაგან გამოიწერეს ევროპიდან და ზაგრანიციდან სხვადასხვა ჯიშის ვაზები და გააჩინეს კახეთის ვენახებში იმ ფიქრით, რომ გააუმჯობესონ თავიანთი ღვინოები და ის კი აღარ წარმოიდგინეს, რომ ზაგრანიცა არ იყო მშობელი მამული ვაზისა და იქ იყო გადატანილი და მთლად დიდის შრომით გაჩენილი ვაზი საქართველოდან, მაშასადამე ის ვაზები ისევ აქაურს თვისებას მიიღებდნენ და გადაგვარდებოდნენ და არ დარჩებოდნენ ზაგრანიცის ბუნებაზედ.** ამ გვარის მოქმედებით, კახეთის, საუბედუროთ, მოხდა ის შემთხვევა, რომ იმ დროს ზაგრანიცაში იყო გაჩენილი ვაზის სნეულება დანაცვრითა, რომელიც გადმოჰყვა იქიდან მოტანილ ვაზებსა და გაჩნდა საქართველოში“.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ჯორჯაძეს მოჰყავს სია გამოყენებული ლიტერატურისა სხვადასხ- ▶





**ვაზის კულტთან არის დაკავშირებული ქრისტიანობის გავრცელებაც საქართველოში. როცა წმინდა ნინომ საკუთარი თმით ვაზისგან შეკრა ჯვარი და იმით უქადაგა ქართლოსის ნათესავთ ქრისტეს რჯული. საფიქრებელია, რომ ვაზის ჯვარი წარმართულ საქართველოშიც ღვთაებრივ სიმბოლოდ, საიდუმლოს ზიარად ითვლებოდა, რისი ჯვარად ქცევაც ერის სულიერების უმაღლეს ცოდნასთან ზიარების ნიშანი იყო. ალსანიშნავია, რომ საქართველოს გარდა, არც ერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არსებობს „ვაზის ჯვრის კულტი“.**

ისტორია
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვა ქვეყნის ავტორების მიერ გამოქვეყნებული სხვადასხვა წლებში. ნუსხა უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ სპეციალური ლიტერატურა მეღვინეობა-მევენახეობის შესახებ ხელთ გვაქვს. დაინტერესებულ სპეციალისტს, თუ დილეტანტს შეუძლია ეროვნული ბიბლიოთეკის ილია ჭავჭავაძის ნაქონი, პირადი წიგნი წაიკითხოს, რომელსაც ილია იყენებდა „ქართული წესით ღვინის დაყენებისას“ წერის დროს, რომ შეედარებინა ჩვენი წესი, უცხოელისას ღვინის კეთებაში და სხვ.

## მარნის აშენება

ახალ დროებაში კერძო საკუთრების დამკვიდრებამ ეზო-კარ-მიდამოს მარნით დამშვენების მოთხოვნა გააჩინა. მათთვის, ვისაც ამის სურვილი აქვს, დავიწყებულმა პრაქტიკამ გვაფიქრებინა აზრის გაზიარება, რის გამოც ლევან ჯორჯაძეს დავესესხეთ:

**სამარნე ადგილის შერჩევა და მარნის აშენება:** „ქვევრების ჩასაყრელი ადგილი მიწა უნდა იყოს შავი ქვიშიანი. თუ ქვევრები იქნება ჩაყრილი ჭაობ ადგილას, ღვინოს სიმაგრე და ძალა დაეკარგება და სიდამპლის გემოს მისცემს ქვევრი. ფიცხი წითელი თიხა მიწა ან მოთეთრო კირის მსგავსი მიწა ღვინოს დასწომს, გაამწარებს ან დააჭანკებს. წმინდა ალიზის მიწა, ე. ი. მოყვითალო ფერის თიხამიწა ღვინოს მიწის სუნს მისცემს. რაც უნდა რომ კარგი ქვევრი იყოს, მიწის ძალა მაინც შეუვა შიგ ქვევრში, რომლის გამო, თუ შეგიმჩნევიათ, ზოგიერთ კახურ ღვინოს აქვს ხოლმე განსხვავებული — მიწის ან ალიზის — სუნი, რომელიც არის წარმომდგარი ალიზიანი მიწის მარნისაგან.

**თუ სამარნე ადგილი არ შეგხვდებათ შავი ქვიშიანი, მაშინ ადგილი უნდა მოთხაროთ ღრმათ, რომელსაც ჯერ ძირში უნდა ჩაუყაროთ ქვიშა, შემდეგ ქვევრები ჩადგათ და ისე ამოავსოთ ქვიშით. ქვიშა კარგია ხევის, გარეცხილი წყლისაგან, უნდა იყოს შავი ქვიშა, იმისათვის, რომ მოთეთრო ქვიშა არის კირის თვისების და ჯიშის, მოყვითალო ქვიშა ალიზის თვისების, სხვა გვარი ქვიშები ღვინოს არ შეინახავს ქვევრში კარგათ. ტალა ქვიშაც კარგია მარნისათვის.**

**მარანი უნდა აშენდეს იმგვარად, რომ არ იყოს მარანში მომეტებული ნოტიო,** ყოველთვის სიგრილე უნდა იყოს შიგნით. არ უნდა იყოს ზამთარში სიცივე, ან ყინვა და თუ ზამთარ-ზაფხულ ერთნაირი ჰაერი და ჰავა იქნება მარანში, რაც კარგია ღვინისათვის, ამისათვის **ზაფხულში უნდა გრილათა გქონდეთ მარანი, რომ ზამთრის ჰავას უთანასწორდებოდეს. მარანში მზე არ უნდა შედიოდეს, შიგნით ყოველთვის ერთნაირი ტემპერატურის ჰაერი უნდა ტრიალებდეს.**

**მარნის კარები უნდა იყოს გაკეთებული ჩრდილოეთის მხარეს.** ამავე მხარეს უნდა ჰქონდეს პატარა ფანჯრები, რომლების კედლები შიგნიდან უნდა იყოს განივრათ ნახევარ არშინამდის და გარეთა კედლების პირიდან ისე ვიწრო, როგორც თოფის სასროლი ფანჯრებია, იმისათვის, რომ მარანი არ იყოს ძალიან განათებული და ამასთან ჩრდილოეთის მხრიდან მზე ვერ შეხედავს მარანს კარ-ფანჯრიდან.

**მარანში სინათლე საჭირო არის იმისათვის, რომ წმინდა ჰაერი შევიდეს ხოლმე და რომ ქვევრების რეცხვაში და გაბზარული ქვევრის გახიზვაში უსანთლოთ ხედავდეს კაცი შიგნით ქვევრის კედლებს, რომ კარგათ გარეცხოს და სიბნელისაგან არ დარჩეს ქვევრში სადმე გაუხიზავი ადგილი.** გარეცხვისა და გახიზვის დროს ქვევრის სანთელს ხმარობენ, ეწვალებიან, იმისათვის რომ რეცხვაში ნოტიოსაგან და წყლის ნამისაგან და აგრეთვე ნიავისაგან, რომელიც დაჰბერავს ქვევრის ზევიდან სანთელი მალე უქრებათ და ვერც კარგათ ხედავენ ყველგან ქვევრის კედლებს, ამასთან ბნელმა მარანმა ღვინის დაჭანკება იცის.

**ცხელ ადგილებში მარანი კეთდება დახურული კრამიტით.** საჭიროა, რომ მარანს სახურავის გარდა, აგრეთვე, ჰქონდეს ფიცრის სხვენი, იმისათვის რომ სიცხე კრამიტს ძალიან გაახურებს, რომლის სიცხელე ჩავა დაბლა მარანში და მიწას გაახურებს როცა სხვენი არ ექნება.

თუ მარანი მაჭრის დუღილის დროს ყრუდ იქნება დაკეტილი, ისე რომ ჰაერი არსაიდან შედიოდეს და იმ დროს თუ კაცი შევიდა შიგ უეჭველი წააქცევს კაცსა და დაახრჩობს, რადგან ძლიერი სუნი იქნება დატრიალებული მაჭრის დუღილისას, ნახშირორჟანგის გაზი წარმოიქმნება. ამისათვის მაჭრის დუღილის დროს ყოველთვის სიფრთხილე უნდა იქონიოს კაცმა. არ უნდა შეუშვან შიგ შინაური ფრინველი, თორემ იმათ უფრო მალე დაახრჩობს.





**მარანს ახლო არ უნდა იყოს: გომური, ზანული ან სხვა ამგვარი უწმინდურობა. მარანში არ უნდა იყოს შენახული ძმარი, რისამე წნილი, კომბოსტო, რისამე ტყავები, ყველი, ერბო, ქონი, თევზი, ზეთი და სხვა ამგვარები, ვიჩინა ან ძეხვები, თორემ სუნი დატრიალდება მარანში და უთუოდ ღვინოს წაახდენს.**

**მცირედი რამ ცუდი სუნი რომ შეიტანოს მარანში ჰაერმა ღვინოს უთუოდ ავნებს,** მარანმა ჩაისავით მალე იცის ცუდი სუნის მიზიდვა, ამისათვის ყოველთვის დიდი სისუფთავე უნდა იქონიოთ მარანში.

ღვინო იქამდის ნაზი არის, რომ თუ ღვინის ქვევრს სარქველის მოხდაში ელვამ დახედა, მაშინვე ღვინო შეიცვლება. თუ ქვევრი ღრმათ არ ზის მიწაში და ბევრი მიწა არ აყრია გარშემო, თუ ქუხილის ხმა ესმა ღვინოს ქვევრში, წახდება ღვინო. ეს მიზეზები ბევრჯერ არის გამოცდილი.

მარანი ისე უნდა ააშენოთ, რომ მზის შუქი ან სიცხე, ან ცუდი რამ სუნი რისამე არ შედიოდეს შიგ და ამასთან ქვევრს ელვა არ უნდა უდგებოდეს და ქუხილის ხმა არ ესმოდეს. მაშასადამე არ უნდა ახადოთ ქვევრი ელვიანსა და ქუხილიანს ამინდში, ან ღამეში ამოსაღებათ ღვინისა.

ქართული ვაზი ისტორიით ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. დღეისთვის ნაპოვნი ყველაზე ადრეული ნიშნები მევენახეობისა და ღვინის წარმოებაზე მიუთითებს საქართველოში ღვინის კულტურის არსებობაზე დაახ. 7000 წლის წინ, რაც საქართველოს ღვინის სამშობლოს სტატუსს ანიჭებს.

ყველაზე განთქმული მევენახეობით საქართველოს რეგიონებს შორის არის კახეთი (რომელიც იყოფა თელავისა და ყვარელის მიკრორეგიონებად), მას მოჰყვება ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ასევე აფხაზეთი.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა **ყურძნის წიპწები**, რომელიც ძვ.წ. 7-6-ე ათასწლეულებს განეკუთვნება და ენეოლითური პერიოდით თარიღდება. 6-5-ე ათასწლეულებით ჩვენს ერამდე დათარიღდა ანაკლიის დიხა-გუძუბაში აღმოჩენილი წიპწები, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ ჯერ კიდევ ნეოლითის დროს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში იცნობდნენ ვაზის კულტურას და ის საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში. ასევე ნაპოვნია კულტურული ვაზის უშუალო წინაპარი— გარეული ვაზი-კრიკინა (უზურვაზი), რომელიც დღეს წითელ წიგნშიც არის შეტანილი. ეს კი იმის მაჩვენებელიც არის, რომ გარდა ვაზის კულტურისა, მევენახეობის კულტურამ აქ ყველა მისთვის დამახასიათებელი საფეხური გაიარა.

გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია **ენეოლითის დროინდელი ძველისძველი მარანი**, აქ ღვინის შესანახად გამოიყენებოდა უზარმაზარი, მიწით დაფარული თიხის ქვევრები. აგრეთვე აღმოჩენილია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ფიალები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალაზნის ველის სამაროვნები (ძვ.წ. III-II ათას.). ამ მხრივ ძალიან მდიდარია მტკვარ-არაქსის კულტურის ქართული კერები. გათხრების შედეგად აღმოჩენილია მცხეთის რაიონის მახლობლად (ბაგინეთში) სხვადასხვა კერამიკული ჭურჭელი, რომელიც თარიღდება ძვ.წ. IV-III ათასწლეულებით. ბორჯომში ნაპოვნია 11, ვარძიაში კი — 100-მდე ქვევრი, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ორმაგკედლიანი, თერმოსის მსგავსი, რაც თავისთავად უნიკალური მოვლენაა და მეტყველებს იმაზე, რომ მისი ავტორები კარგად იცნობდნენ ქიმიას, ფიზიკას და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს.

**ჩვენი მატერიალური მემკვიდრეობა აგრეთვე იცნობს: ყურძნის სასხლავ სპეციალურ დანებს, ღვინის დასაწურ მოწყობილობებს, თიხის და ლითონის ჭურჭელს, სხვადასხვა ფორმისა და სახის სასმისებს, ღვინის დასაყენებელ და შესანახ ქვევრებს და სხვა.** ეს კულტურული კერები მდებარეობენ, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტიაზე. კერძოდ: შულავერი, მცხეთა, თრიალეთი, ბიჭვინთა, ალაზნის ველი, მესხეთი და სხვა. მეღვინეობის ამსახველი სხვადასხვა ორნამენტებიან ჭურჭელი აღმოჩენილია სამთავისში, იყალთოში, ზარზმაში, გელათში, ნიკორწმინდაში, ვარძიასა და საქართველოს სხვა რეგიონებში.

**განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თრიალეთის კულტურა (ძვ.წ. III-II ათასწ.), სადაც უნიკალური ღვინის თასები, ბარძიმები, დოქები და სხვა სახის ჭურჭელია აღმოჩენილი. მათ შორის გამორჩეულია ვერცხლის ცნობილი თასი, რომელზეც გამოსახულია რელიგიური რიტუალი, რაც ღვინის თანხლებით სრულდებოდა და საკმაოდ მასშტაბური უნდა ყოფილიყო ორნამენტული კომპოზიციის მიხედვით.** აგრეთვე აღსანიშნავია, ოქროს თასი, რომელიც მოპირკეთებულია სხვადასხვა სახის პატიოსანი თვლებით. ასეთი ბარძიმები უმთავრესად მათრობელი სითხის — ღვინის დასალევად გამოიყენებოდა. ამაზე მიუთითებს მათ ზედაპირზე დალექილი ნარჩენებიც.

ვაზის კულტთან არის დაკავშირებული ქრისტიანობის გავრცელებაც საქართველოში. როცა წმინდა ნინომ საკუთარი თმით ვაზისგან შეკრა ჯვარი და იმით უქადაგა ქართლოსის ნათესავთ ქრისტეს რჯული. საფიქრებელია, რომ ვაზის ჯვარი წარმართულ საქართველოშიც ღვთაებრივ სიმბოლოდ, საიდუმლოს ზიარად ითვლებოდა, რისი ჯვარად ქცევაც ერის სულიერების უმაღლეს ცოდნასთან ზიარების ნიშანი იყო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარდა, არც ერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არსებობს „ვაზის ჯვრის კულტი“.

მოამზადა
**ᲓᲔᲐ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ**
ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“




**ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ**

**«ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ»**

**ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ**

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია ᲗᲔᲛᲣᲠ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ.



ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲛ — „ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ" — ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲡᲔᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ XVII-XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ. ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲘᲖᲜᲣᲚᲘᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲬᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲛᲔᲗᲣ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲘᲣᲜᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲧᲠᲓᲜᲝᲑᲘᲗ ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲡ. ᲗᲣᲙᲘ ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲜᲘᲞᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲖᲐᲠᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲘᲨ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐᲡ, ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲓᲠᲝᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘᲐ. ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ. ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ: 34-32-95.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჰაროლ შიპმანი

**1998 წელს ბრიტანელმა ექიმმა ჰაროლ შიპმანმა კეტლინ გრანდი საიქიოს გაისტუმრა, ანდერძი გააყალბა და მემკვიდრეობით 386 000 გირვანქა სტერლინგი მიითვისა, მაგრამ ვერ განსაზღვრა, რომ მემკვიდრეთა შორის ძლიერი იურისტებიც იყვნენ.** გამოძიებამ დაადგინა, რომ ექიმმა პრეპარატების სასიკვდილო დოზა, მინიმუმ, 15 ადამიანს მისცა და მათ ქონებას დაეპატრონა. ჰაროლდ შიპმანი დიდ ბრიტენეთში პირველი ექიმი იყო, რომელიც წინასწარ განზრახული მკვლელობის ბრალდებით გასამართლდა. 2000 წელს მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, სულ მალე კი პატიმარმა საკანში თავი ჩამოიხრჩო. ასე დასრულდა დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი უკანასკნელი მკვლელი ექიმის სიცოცხლე, რომელმაც პაციენტის ქონების მითვისება მოინდომა.



# სასიკვდილო მკურნალობა

**გასული საუკუნის დასაწყისში, იმის გამო, რომ მედიცინა არცთუ განვითარებული დარგი იყო (ანტიბიოტიკები და დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები ჯერ კიდევ არ არსებობდა), ექიმი ვალდებული იყო, ავადმყოფზე ნებისმიერ სიტუაციაში ეზრუნა, გვერდიდან არ მოშორებოდა და მისთვის ტკივილი შეემსუბუქებინა. მართალია, ბევრი იყო ისეთი ექიმიც, რომელიც მოვალეობას არ ასრულებდა, მაგრამ იმას მაინც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ექიმს პაციენტის განზრახ მოკვლა შეეძლო. არადა, ასეთებიც იყვნენ...**



## ლინდა ჰაზარდი

**100 წლის წინათ პაციენტების მკვლელი ექიმი ქალის – ლინდა ჰაზარდის საქმემ მსოფლიო საზოგადოება სულით ხორცამდე შეძრა.**

1911 წელს ინგლისელი დები, 37 წლის დორა და 33 წლის კლარა უილიამსონები კანადაში ჩავიდნენ. ბაბუამ შინაბერებს კანადასა და ავსტრალიაში მემკვიდრეობით მდიდრული სასახლეები და მამულები დაუტოვა. დები მოწყენილობითა და იპოქონდრიით იტანჯებოდნენ, გამუდმებით ჯანმრთელობას უჩიოდნენ, სამედიცინო ლიტერატურას ჩაჰკირკიტებდნენ და გასაკაჟებლად სასწაულმოქმედ საშუალებას ეძებდნენ. პანაცეის ძიებაში მსოფლიო შემოიარეს, მრავალ სპეციალისტს მიმართეს, მაგრამ ამაოდ – „დაავადებები“, რომლებიც, ფაქტობრივად, არც არსებობდა და მხოლოდ დების აკვიატება იყო, უკან არ იხევდა.

**იმედის უკანასკნელი ნაპერწკალი მაშინ გაღვივდა, როცა ექიმ ლინდა ჰაზარდის წიგნი „შიმშილი განკურნებისთვის“ ჩაუვარდათ ხელში. წიგნში ნათქვამი იყო, რომ ყველა დაავადება არასწორი კვების შედეგია და ავადმყოფის განკურნების ერთადერთი გზა დაგროვილი წიდებისგან ორგანიზმის გაწმენდაა, რისთვისაც შიმშილია საჭირო. ავტორი გამოთქვამდა აზრს, რომ შიმშილით ნებისმიერი დაავადების, მათ შორის, კიბოს განკურნებაც კი შეიძლებოდა. დები აღფრთოვანებული იყვნენ — როგორც იქნა, აღმოაჩინეს იოლად გასაგები სამედიცინო თეორია, განკურნების სწრაფ და უეჭველ გზას მიაგნეს. დორამ და კლარამ გაიგეს, რომ ექიმ ჰაზარდს კანადის საზღვართან, ვაშინგტონის შტატში ჰქონდა სანატორიუმი.**

კლარამ და დორამ სასწაულმოქმედ ექიმთან შეხვედრა გადაწყვიტეს და ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაშურეს. დები დაბინავდნენ ქალაქ ოლალას ახლოს მშვიდ, განმარტოებულ, შუაგულ ტყეში მდებარე სანატორიუმ „ველურ ბორცვებში“, რომელიც გარე სამყაროს მოწყვეტილი იყო.

ლინდა ჰაზარდი 1867 წელს მინესოტაში დაიბადა, 18 წლისა გათხოვდა და 2 შვილი გააჩინა, მაგრამ ოჯახური ცხოვრება არ აინტერესებდა, იგი ექიმობაზე ოცნებობდა. მიზანს მიაღწია და სამედიცინო განათლება მიიღო. იმ დროს დიპლომიანი ექიმი ქალი იშვიათობა გახლდათ, ამიტომ პროგრესულად მოაზროვნე თანამედროვეებს მიაჩნდათ, რომ ჰაზარდმა დროს გაუსწრო. როდესაც კარიერასა და ოჯახს შორის არჩევანზე მიდგა საქმე, ლინდამ უყოყმანოდ მიატოვა ქმარ-შვილი.

**1902 წელს „სამკურნალი შიმშილის“ მეთოდი პაციენტზე პირველად გამოსცადა — მამაკაცი გარდაიცვალა, მისი ძვირფასი ბეჭდები კი უკვალოდ გაქრა. პათოლოგანატომმა სიკვდილის მიზეზად შიმშილი დაასახელა. არასწორი მკურნალობის გამო ჰაზარდი, შესაძლოა, კანონით დაესაჯათ, მაგრამ მას მკურნალობის ლიცენზია არ ჰქონდა და ამან გადაარჩინა — ავადმყოფმა შიმშილით თავი თვითონ მოიკლაო.**

ამის შემდეგ ექიმი ახალ ქმართან — სემუელთან ერთად, რომელიც აშშ-ის არმიიდან სახაზინო ფულის მოპარვის გამო დაითხოვეს, სიეტლში გადასახლდა. წყვილმა ახალი ცხოვრების ახალ ადგილზე დაწყება გადაწყვიტა და 1908 წელს ოჯახური საქმე წამოიწყო. ავადმყოფებს სანატორიუმ „ველურ ბორცვებში“ შიმშილით თერაპიის რევოლუციური მეთოდის წყალობით სასწაულებრივი განკურნება ელოდათ.

პირველი მსხვერპლი დეიზი ჰალგუნდი იყო, რომელიც სატაცურისა და პომიდვრის დიეტის დაწყებიდან 50-ე დღეს გარდაიცვალა. გარდაცვლილთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. გვამებს ლინდა ჰაზარდი კვეთდა. მისი ვერსიით, პაციენტები არა შიმშილით, არამედ ღვიძლის ციროზით, გულის უკმარისობითა და სხვა დაავადებებით იხოცებოდნენ.

დები უილიამსონები განმარტოებით ფლიგელში განათავსეს და მომვლელად მედდა მიუჩინეს. თავდაპირველად დები ექიმს ენდობოდნენ, როდესაც ეჭვი გაუჩნდათ, უკვე გვიან იყო — ბოსტნეულის ნახარშის დიეტისგან ისე დასუსტდნენ, საწოლიდან ველარ დგებოდნენ.

ლინდა ჰაზარდი დროს უქმად არ კარგავდა — დები დაარწმუნა, რომ უსაფრთხოების მიზნით, ფასიანი ქაღალდები, ძვირფასეულობა და საქმიანი დოკუმენტაცია, მათ შორის, უძრავი ქონების საბუთები, შესანახავად მისთვის გადაეცათ; დორას კი, რადგან მდგომარეობა სწრაფად მძიმდებოდა, აიძულა, დაეწერა ანდერძი, რომლის თანახმად, ექიმს სიცოცხლის ბოლომდე მცირე პენსია უნდა მიეღო.

კლარამ საიდუმლოდ დეპეშის გაგზავნა მოახერხა. უილიამსონების ნათესავები დიდი ბრიტანეთის კონსულს დაუკავშირდნენ. იმ დღიდან საქმე საერთაშორისო დონეზე გახმაურდა და ლინდა ჰაზარდის „დაცემა“ გარდაუვალი გახდა, მაგრამ სასამართლომდე მან კიდევ 2 პაციენტის მოკვლა მოასწრო.

**სასამართლოზე ბრალდების მთავარ მოწმედ დორა უილიამსონი გამოდიოდა. ბრალდებული, როგორც ყოველთვის, შეუვალი და ოპტიმისტურად განწყობილი იყო და აცხადებდა: ვერ ჩამომახრჩობენ, ძალიან ძლიერი კისერი მაქვსო და მართალიც აღმოჩნდა. ლინდა ჰაზარდი, მიუხედავად იმისა, რომ ოც პაციენტზე მეტი იმსხვერპლა, მხოლოდ კლარა უილიამსონის მკვლელობისთვის გაასამართლეს. სასამართლომ მკვლელ ექიმს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.**

ყველას გასაოცრად, 1915 წელს ვაშინგტონის შტატის გუბერნატორმა, ქვეყნის დატოვების პირობით, ჰაზარდი შეიწყალა. ლინდა ქმართან ერთად დასახლდა ახალ ზელანდიაში, სადაც თავი დიეტოლოგად გამოაცხადა და კვლავ ავადმყოფების მკურნალობა დაიწყო. ის, რაც შემდგომ მოხდა, საშინელებათა ფილმების სცენარს უფრო წააგავს, სადაც დამარცხებული ბოროტება მოულოდნელად მკვდრეთით აღდგება.

## ჯონ ბოდკინი

**XX საუკუნის 50-იან წლებში ბრიტანეთის უმდიდრეს ექიმად აღიარებულმა ჯონ ბოდკინ ადამსმა გარდაცვალების შემდეგ 403 000 გირვანქა სტერლინგი დატოვა. 1956 წელს მისი რეპუტაცია ძალზე შეილახა. ბრიტანელთა უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ ადამსი პაციენტს თავის სასარგებლოდ ანდერძის დაწერას აიძულებდა და შემდეგ კლავდა. არავინ იცის, სინამდვილეში რამდენი მსგავსი ამბავი მოხდა....**



ექიმ ჯონ ბოდკინის წინააღმდეგ გამართული სასამართლო საუკუნის პროცესად შერაცხეს, რადგან მას 163 ადამიანის მკვლელობაში ედებოდა ბრალი.... ჯონ ადამსი 1899 წელს ირლანდიის პოპულარულ და შეძლებულ „პლიმუტის ძმების“ მოძღვრის ოჯახში დაიბადა. სამედიცინო განათლება მიიღო, მაგრამ სწავლითა და ნიჭით არ გამოირჩეოდა. „პლიმუტის ძმების“ სექტის წევრმა, ცნობილმა ექიმმა სამუშაოდ კლინიკაში მოაწყო, მაგრამ ჯონ ადამსის მონაცემები მის თანამდებობას არ შეეფერებოდა. ამიტომ, როდესაც 1922 წელს ლა-მანშის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ისტბორნში ოჯახის ექიმის ვაკანსია გამონდა, ჯონ ადამსმა შანსი ხელიდან არ გაუშვა, ისტბორნში დასახლდა და კარიერული აღმასვლა დაიწყო.

იმ პერიოდში ისტბორნი იყო პრესტიჟული კურორტი, სადაც ბევრი მდიდარი მოხუცი ცხოვრობდა. ადამსმა კარგად უწყოდა, როგორ უნდა მოეგო მათი გულები. პაციენტები გულუხვად აჯილდოებდნენ ექიმს, რომელიც მათ ლაყბობას თავაზიანად ისმენდა. ზოგიერთმა მისი სახელი ანდერძშიც კი მოიხსენია. მოხუცები იხოცებოდნენ, ჯონ ადამსის ქონება კი სწრაფად იზრდებოდა. ასე მაგალითად, 1935 წელს ვინმე მატილდა უიტონმა 7385 გირვანქა სტერლინგი დაუტოვა. ქალაქში ექიმი ადამსი ბევრს არ მოსწონდა — მიაჩნდათ, რომ თავხედურად ითხოვდა საჩუქრებს და ნებისმიერ, იაფფასიან ნივთსაც კი ხარბად ეუფლებოდა. 1956 წლისთვის ჯონ ადამსი დიდი ბრიტანეთის უმდიდრესი ექიმი იყო. იმ პერიოდში მისი სახელი 132 ანდერძში იყო შეტანილი.

**ასე კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, საქმეში რომ არ ჩარეულიყო მსახიობი ლესლი ჰენსონი, რომელმაც თავისი მეგობრისა და ადამსის პაციენტის, 50 წლის ჰერტრუდა ჰიულეტის გარდაცვალების ამბავი შეიტყო. ჰენსონმა იცოდა, რომ მისის ჰიულეტის 4 თვის წინ გარდაცვლილი მეუღლეც ადამსის პაციენტი იყო. მას ბევრი რამ სმენოდა ისტბორნელი ექიმის შესახებ, რომელიც გარდაცვლილი პაციენტების რაოდენობის ზრდის პროპორციულად მდიდრდებოდა და პოლიციას მიმართა.**

**საქმეში „სკოტლანდ იარდი“ ჩაერთო. პოლიციამ ადამსის ყველა გარდაცვლილი პაციენტის საქმე შეისწავლა და დაასკვნა, რომ გარდაცვალების 163 ფაქტი საეჭვო ვითარებაში მოხდა. ზოგ შემთხვევაში, ექიმს მაროდიორობაში ედებოდა ბრალი, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში საქმე მეტად სერიოზული ჩანდა. მაგალითად, როდესაც 1950 წელს 76 წლის ემი ვარი კვდებოდა, ჯონ ადამსმა ნათესავებს მისი ნახვის ნება არ დართო, გარდაცვალების შემდეგ კი ცხედარს სასწრაფოდ კრემაცია გაუკეთა.**

1956 წლის 19 დეკემბერს, როდესაც პოლიცია მის დასაპატიმრებლად მივიდა, ადამსმა ჩაილაპარაკა: „მკვლელობა, მკვლელობა... არა მგონია, რომ მკვლელობა დამიმტკიცოთ, ის ისედაც მოკვდებოდა“. 50-ზე მეტი საეჭვო სიკვდილიდან პროკურატურამ 4 ყველაზე უცნაური ეპიზოდი შეარჩია, ბრალდება კი ორ მათგანზე წაუყენა. ექიმი ადამსი ჰერტრუდა ჰიულეტისა და 1950 წელს გარდაცვლილი 81 წლის მდიდარი ქალის – ედიტ მორელის მკვლელობაში დაადანაშაულეს.

**ჰერტრუდა ჰიულეტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ქმრის გარდაცვალების შემდეგ ქალბატონი ღრმა დეპრესიაში ჩავარდა, ექიმმა კი ბარბიტურატებით მკურნალობა დაიწყო და მანამდე უმკურნალა, ვიდრე ჰიულეტი კომაში არ ჩავარდა და არ გარდაიცვალა. გაკვეთამ აჩვენა, რომ ორგანიზმში ბარბიტალნატრიუმის შემცველობა სასიკვდილო დოზას ორჯერ აღემატებოდა.**

თავდაპირველად ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ჯონ ადამსის საქმე წასული იყო — ყველას ეგონა, მკვლელი ექიმი სიცოცხლეს სახრჩობელაზე დაასრულებდა. ერთნი 200 მსხვერპლს ასახელებდნენ, მეორენი 400 მოკლულის შესახებ ლაპარაკობდნენ, მაგრამ მოულოდნელად, ბრალდება სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: სამხილებს შორის მედდების დღიურებიც იყო, სადაც ექთანებს პაციენტებისთვის გაკეთებული ყველა ინიექციის შესახებ მონაცემები შეჰქონდათ. პროცესის დასაწყისში დღიურები მანამდე გაქრა, ვიდრე ბრალდება ჩანაწერების გაცნობას შეძლებდა, შემდეგ კი უკვე დაცვის ხელთ აღმოჩნდა. ადვოკატებმა მედდებს თავგზა აუბნიეს, მათ მოგონებებს ჩანაწერებს ადარებდნენ და დღიურის მეშვეობით უზუსტობას ამხელდნენ. აღმოჩნდა, რომ ექთანების ჩვენებები, სადაც ისინი ამტკიცებდნენ, რომ პრეპარატების დოზა თანდათან იზრდებოდა, სანდო არ იყო.

**დაცვის მხარე ირწმუნებოდა, რომ ჯონ ადამსის წინააღმდეგ ისტბორნის მოსახლეობის მიერ მიცემული ჩვენებები პრესაში გაჩაღებული ისტერიის შედეგი იყო. ამასთან, ბრალდების უმნიშვნელოვანეს დოკუმენტთა ასლები ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციის ხელში აღმოჩნდა, რომელთაც ასოციაციის მნიშვნელოვანი წევრის გასამართლება არ სურდათ, რადგან მათი რეპუტაცია ილახებოდა, ამიტომ მასალა ადვოკატებს გადასცეს, რამაც დაცვის პოზიცია გააძლიერა. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ გენერალურმა პროკურორმა მენინგემ-ბულერმა ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქცია.**

დაცვამ ედიტ მორელის მკვლელობის საქმის ჩაგდება მოახერხა, გენერალურმა პროკურორმა კი ჰერტრუდა ჰიულეტის ეპიზოდის გამო საქმის აღძვრაზე უარი თქვა, რადგან ბრიტანეთის სასამართლო პრაქტიკა ერთ-ერთი ბრალდების გამორიცხვის საშუალებას იძლევა. ასე მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევიან, როდესაც ბრალდებული მძიმე ავადმყოფია. ექიმი ჯონ ადამსი ხარივით ჯანმრთელი იყო, მაგრამ პროკურორმა მის მიმართ უცნაური შემწყნარებლობა გამოიჩინა...

**საბოლოოდ ჯონ ადამსს მკვლელობის ყველა ბრალდება მოეხსნა და მხოლოდ წვრილმან თაღლითობაში დაადანაშაულეს, ლიცენზია ჩამოართვეს და 2400 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს. ყველაფერი ამით დასრულდა. ყოფილი ექიმი ისტბორნში დაბრუნდა, სახლი ნამდვილ ციხესიმაგრედ გადააქცია.** ფანჯრები ჩარაზა და ყველა ოთახში ცეცხლჩამქრობს ინახავდა, რადგან ეშინოდა, რომ მოსახლეობა ცეცხლს წაუკიდებდა და ეს შიში უსაფუძვლო არ იყო. 1961 წელს ადამსს ლიცენზია დაუბრუნეს, მაგრამ მასთან მკურნალობის მსურველი არავინ აღმოჩნდა. **ერთი წლის შემდეგ, ამერიკაში ემიგრირება გადაწყვიტა, თუმცა აშშ-ის მთავრობამ, გასაგები მიზეზის გამო, ქვეყანაში შესასვლელ ვიზაზე უარი უთხრა. ადამსის კარიერა განადგურდა, სამაგიეროდ, სიცოცხლე აღმოჩნდა ხანგრძლივი — იგი 1983 წელს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.**



**ფრანკო-პრუსიის ომის დროს** საფრანგეთის არმიის შეიარაღებაში ტყვიამფრქვევებიც იყო, მაგრამ ამ მძლავრი იარაღით არავის უსარგებლია, რადგან, საიდუმლოს დაცვის მიზნით, კონსტრუქტორებს ჯარებში ტყვიამფრქვევების გამოყენების ინსტრუქცია არ გაუგზავნიათ.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე საინტერესო ფაქტები

**პირველი ავღანურ-ბრიტანული ომის დროს**, ბრიტანული საექსპედიციო ძალების სარდლად დანიშნეს ასთმითა და რევმატიზმით დაავადებული, ცალხელფეხგაუქმებული, 60 წლის გენერალ-მაიორი უილიამ ელფისტოუნი.

ბუნებრივია, მას არც ცხენზე ჯდომა შეეძლო. გენერალ-მაიორი საკაცით დაჰყავდათ. შედეგად, საექსპედიციო ძალების 16 000 კაციდან გადარჩა მხოლოდ ერთი ევროპელი და რამდენიმე ინდუსი.



**დანიის მეფე ნილსს, რომელიც 1104-1134 წლებში მეფობდა, ჰყავდა მსოფლიოში ყველაზე პატარა არმია,** რომელიც მისი უახლოესი გარემოცვისგან შედგებოდა და 7 კაცს ითვლიდა. ამ „არმიით“ მართავდა მეფე ნილსი დანიას 30 წლის განმავლობაში, თანაც იმ დროს დანიის შემადგენლობაში შედიოდა შვედეთისა და ნორვეგიის დიდი ნაწილი და ჩრდილოეთ გერმანიის მონაკვეთი.

**ბრაზილიაში ორმა დიდმოხელემ ვერ გაიყო კონტრაბანდული კუბური სიგარები.** შედეგად, გაჩაღდა სამოქალაქო ომი, რომელიც სამ-ნახევარ წელიწადს გაგრძელდა.



**ამერიკელთა მონაცემებით, ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის“ შემდგომი დაანგარიშებით, მოწინააღმდეგის ერთ მოკლულ ჯარისკაცზე 50 000 ტყვია დაიხარჯა.**

**ვიეტნამის ომში** ერთ-ერთმა ამერიკულმა თვითმფრინავმა ისეთი რთული მანევრი შეასრულა, რომ თავისივე გაშვებული რაკეტის მსხვერპლი გახდა.

**მეორე მსოფლიო ომის დროს** რიგითის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 2 თვეს შეადგენდა.

**ბრიტანეთში მხოლოდ 1947 წელს გააუქმეს თანამდებობა, რომელზე დანიშნული პირის მოვალეობა ზღვიდან, ნაპოლეონის შემოტევის შემთხვევაში, ქვემეხის გასროლით განგაშის ატეხვა იყო.**



**შვეიცარიაში სამხედრო სამტრედო ფოსტა მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ გაუქმდა.**

# უხუცესები



## უხუცესი ექიმი

**ამ კაცმა თავისი პრაქტიკის განმავლობაში 18 000 პატარა მოავლინა ამ ქვეყნად.** ახლა, 100 წლის ასაკში, იგი კვლავ ექიმთა რიგებშია და აშშ-ში, ჯორჯიის ერთ-ერთ საავადმყოფოში მუშაობს. ვალტერ ვოტსონს დამსახურებული ზედმეტსახელი „Father Doc“ შეარქვეს. მის პაციენტებს მთელი თაობები შეადგენენ – ბებიებიდან შვილიშვილებამდე. მაგალითად, 77 წლის სარა ალენი ამბობს, რომ ამ ექიმის დახმარებით მას 17 შთამომავალი შეეძინა – 5 შვილი და 12 შვილიშვილი.



## უხუცესი არტისტი

**იგი ყოველთვის შავი ლიმუზინით დადის, აცვია შავი სმოკინგი, გვერდზე მოჰყვება ლამაზი ქალბატონი და ჰყავს უამრავი თაყვანისმცემელი.** 84 წლის კენეტ სმიტი Chester High School-ში საკმაოდ გვიან ჩაირიცხა. ამ დაგვიანებას იმით ხსნის, რომ 1943 წელს სამხედრო სამსახურის გამო სწავლის მიტოვება მოუხდა. შემდეგ კი მეგობარმა ურჩია სწავლის გაგრძელება. ახლა კენეტი ყველაზე მაღალანაზღაურებადი და საკმაოდ ცნობილი არტისტია.

## უხუცესი მეძავი



**მეძავეობა ერთ-ერთი უძველესი პროფესიაა. ტაიპეის პოლიციას კი ყველაზე მოხუცი მსუბუქი ყოფაქცევის ქალის, ზედმეტსახელად „ბებოს“ დოსიე აქვს.** 82 წლის ქალბატონს 40 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება აქვს. ამ საქმიანობით მას შემდეგ დაკავდა, რაც მეუღლე გარდაეცვალა. რა თქმა უნდა, ახლა იმაზე ნაკლებს უხდიან, ვიდრე ახალგაზრდობაში, მაგრამ, როგორც ჩანს, „ბებოზე“ მოთხოვნა არ წყდება.

## მაკდონალდსის უხუცესი თანამშრომელი



**ბილ დუდლი მაკდონალდსის ქსელის ყველაზე მოხუცი თანამშრომელია.**

ის 85 წლისაა და მაკდონალდსური კარიერის დაწყებამდე ტაქსის მძღოლად მუშაობდა. მაკდონალდსის პერსონალს თავის ოჯახად თვლის.

ძალიან უყვარს ადამიანებთან ურთიერთობა, მათი პრობლემების მოსმენა და რჩევების მიცემა.

## უხუცესი პინგ-პონგის მოთამაშე



**დოროთი დე ლოუ ოქტომბერში 100 წლის გახდება. იგი დასავლეთ ავსტრალიაში ცხოვრობს.**

ასაკის მიუხედავად, ქალბატონმა 2010 წელს ვეტერან პინგ-პონგელთა შორის გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო და ჟიურის მოწონებაც დაიმსახურა. უნდა აღინიშნოს, რომ ბებია ბევრ ახალგაზრდაზე უკეთ თამაშობს.



## უხუცესი პარაშუტისტი

2009 წელს 3000 მეტრი სიმაღლიდან 97 წლის ჯორჯ მოიზი და მისი 43 წლის შვილიშვილი გადმოხტნენ. საბედნიეროდ, ბაბუა მშვიდობიანად დაეშვა სამხრეთ ინგლისის მიწაზე.



## მსოფლიოს უხუცესი მოსწავლე

**იგი 102 წლის მა კსიუკსიანია. მან თავისი მაგალითით მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ სწავლა გვიანი არასდროსაა და Weshan Road Elementary School-ის პირველ კლასში შევიდა.** 13 წლიდან გოგონა ბამბის გადამმუშავებელ ქარხანაში მუშაობდა, რის გამოც საშუალო სკოლის დამთავრება ვერ მოახერხა, ამიტომ, დიდი ასაკის მიუხედავად, მან სწავლის ხელახლა დაწყება გადაწყვიტა და სკოლამაც დიდი პატივით მიიღო პირველკლასელი ბებო.



## უხუცესი ქალწული

**ერთმა მოხუცმა ბებომ აღიარა, რომ მას ცხოვრებაში სექსი არასდროს ჰქონია.** კლარა მიდმორი 105 წლისაა და ყვება, რომ საქმით იმდენად იყო დაკავებული, ინტიმური ცხოვრებისთვის დრო აღარ რჩებოდა. მას ხელი არაერთხელ სთხოვეს, მაგრამ უმშვენიერესი ქალი ყველას უარს ეუბნებოდა.

# მტკვრის ნაპირზე გაზრდილი ბიჭის ისტორია

**კაცმა თავისი ცხოვრების ისტორია დაწერა და წიგნად გამოსცა. ჩვენს დროში ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჩვეულებრივია ისიც, რომ ასეთ ბეჭდურ პროდუქციას არავინ კითხულობს. რადგან მაკულატურაა.**




ვლადიმერ გოიაშვილის წიგნი „კუპალნიიდან“ „ლაგუნა ვერემდე“ რადიკალურად განსხვავდება ასეთი „ოჯახური ალბომებისგან“, რომლებსაც, იყო დრო, სტუმრებს მიართმევდნენ დასათვალიერებლად და სუფრის გაშლამდე დროის მოსაკლავად.

ან ნარდის თამაშით ართობდნენ.

ეს წიგნი განსხვავებულია იმით, რომ არის საინტერესო მონათხრობი იმ თაობის ადამიანებზე, რომლებსაც დიდი ომის პერიოდის ბავშვებად მოიხსენიებენ ხოლმე.

იმ ბიჭებზე, რომლებიც მტკვრის ნაპირზე გაიზარდნენ — სატივეზე, ორთაჭალაში, პესკებზე. რომლებსაც ქუჩაც ზრდიდა, სკოლაც და თბილისური ოჯახების მაღალი ზნეობის ტრადიციებიც.

ყველა და ყველაფერი ერთად.

თავად მშივრებს ომიანობის ჟამს ლუკმის გაყოფაც შეეძლოთ უფრო გაჭირვებული მეზობლისთვის და რაინდული ურთიერთობაც თანატოლ გოგონებთან.

„შორით დაგვა“.

იწრთობოდა თაობა სულიერად და ფიზიკურად და ყალიბდებოდნენ გამოჩენილ მეცნიერებად, კულტურის მოღვაწეებად, სპორტსმენებად.

ვლადიმერ გოიაშვილის წიგნი ამაზეა და, ამასთან ერთად, საქართველოში საწყლოსნო სპორტის სახეობათა განვითარებაზეც მოგვითხრობს, მიმზიდველად საინტერესოდ. შიგნიდან დანახულია, განცდილია და, გადაუჭარბებლად შეიძლება თქმა იმისა, რომ ავტორის უშუალო მონაწილეობით არის თავის დროზე შექმნილი და ორგანიზებული ამ განვითარების ყველა ეტაპი, რომლებიც საფეხურებად ლაგდებოდა გამარჯვებათა პიედესტალისკენ მიმავალ გზაზე.

**წყალბურთი — ვაჟთა და გოგონათა, ცურვა, სინქრონული ცურვა, წყალში ხტომა — ყველაფრისთვის იცლიდა ვლადიმერ გოიაშვილი — როგორც სპორტსმენი, მწვრთნელი, ორგანიზატორი, ანუ როგორც ახლა ამბობენ, მენეჯერი განუმეორებელი.**

მის დამსახურებაზე, მრავალ კეთილ საქმეზე, მეგობრობაზე, კაცურ კაცობაზე ლაპარაკობენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, სპორტსმენები, სახელმწიფო მოღვაწენი ამ წიგნში გამოქვეყნებულ, გოიაშვილისადმი მიძღვნილ წერილებში.

ხოლო ის ამბავი, თუ როგორ მოახერხა ამ პატრიოტმა, თბილისსა და თბილისელებზე გადაგებულმა კაცმა დარბევისა და გაჩანაგების წლებში ხელუხლებლად გამოეტარებინა, შეენარჩუნებინა უნიკალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსი „ლაგუნა ვერე“ თაობიდან თაობას ლეგენდად გადაეცემა.

მაგრამ არ იქნებოდა ეს ლეგენდა, ერთი, მამულიშვილურად მოაზროვნე ქველმოქმედი ადამიანი რომ არ გამოჩენილიყო თავის დროზე და საჭირო ადგილზე. ეს პიროვნება ბიძინა ივანიშვილი გახლდათ, რომელმაც ისე, რომ მისთვის არავის უთხოვია, გადადგა „ლაგუნა ვერეს“ ხსნისა და გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყო — შეისყიდა კომპლექსი. გოიაშვილი აღნიშნავს:

**„ლაგუნა ვერე“ დღეს ბიძინა ივანიშვილის კერძო საკუთრებაა და ემსახურება თბილისს, მთელ საქართველოს. ასეთია მისი სტილი ჭეშმარიტი მეცენატის — გასცემს ხალხისთვის, სხვათა სასიკეთოდ და სწორედ ამიტომაა, რომ ქვაზე დადებული მადლი წინ ხვდება ადამიანების მადლიერების სახით“.**

აქვე ვთქვათ, რომ ამ წიგნის პათოსი ისეთია, რომელიც ჩვენს დღეებს მიესადაგება უდავოდ: მებრძოლურია, შეურიგებელია ნეგატივისადმი, თამამად და, რაც მთავარია, პროფესიულად არის განხილული სპორტული პრობლემები, უკომპრომისოა, მოკლედ ისეთია, როგორიც თავად ვლადიმერ გოიაშვილია — ნაღდი თბილისელი.

„ძალიან ჯიგარია, ქალაქელია, ერთ უბანში ვართ გაზრდილები. აუზზე საცურაოდ რომ მივდივარ, ისეთი გრძნობა მიჩნდება, რომ მე და ვოვა ერთად ვთამაშობდით წყალბურთს,“ — წერს საქართველოს სახალხო არტისტი კახი კავსაძე და, შეიძლება ითქვას, ამ პიროვნების შესახებ თბილისელთა საერთო აზრს გადმოგვცემს.

რადგან მართლაც ასეთია ვლადიმერ გოიაშვილისადმი ჩვენი დამოკიდებულება.

**P.S. ვლადიმერ გოიაშვილის მონათხრობი ჩაიწერა ჟურნალისტმა არმაზ სანებლიძემ.**

# ბუნებრივი რესურსების სააგენტო — მოსახლეობის დასჯის ახალი სტრუქტურა

**საქართველოში საკუთარი მოსახლეობის სადამსჯელო სტრუქტურებს ამ ნახევარი წლის წინათ ახალი სამსახური შეემატა. ესაა ბუნებრივი რესურსების სააგენტო, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია ხეტყის სფეროში მონიტორინგის ჩატარებაა. ამ სააგენტოს სამეგრელო-ზემო სავანეთის სამსახურის არაკეთილსინდისიერი ქმედება ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს ისედაც გამოუვალ ვითარებაში მყოფ მოსახლეობას.**

ხეტყის, შეშის დამზადების მხრივ ზუგდიდიში სრული ქაოსი და განუკითხაობაა, ამის გამო შარშანდელი ზამთარი ზუგდიდელებმა სიცივეში გაატარეს, რადგან ზუგდიდის სატყეო მეურნეობას შეუჩერეს იმ დოკუმეტის გაცემა, რომლის მეშვეობითაც მოსახლეობა ადგილობრივი ტყის ფონდიდან შეშას ამზადებდა. 1 წელზე მეტია, ზუგდიდის სატყეო მეურნეობა ელოდება ნებართვის მიღებას. აღნიშნული ორგანიზაციის პარალელურად ჩამოყალიბდა ბუნებრივი რესურსების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახური, რომელიც არ ცნობს ზუგდიდის სატყეო მეურნეობას და მის დაქვემდებარებაში არსებულ ტყის ფონდს თავისად მიიჩნევს. ამ ორ სტრუქტურას შორის არსებული დაპირისპირებისა და გაურკვევლობის გამო, მოსახლოებამ არ იცის, ვის მიმართოს.

ამ გაურკვევლობას შეეწირა ზუგდიდელი ბონდო დიხამინჯია, როცა მან ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი ბუნებრივი რესურსების სააგენტოს სამეგრელო ზემო-სვანეთის სამსახურიდან, გადაწყვიტა, არ დალოდებოდა სიტუაციის გარკვევას და საკუთარ მამაპაპისეულ ეზოში მოჭრილი სამი კუბური მეტრი შეშა მანქანით წაიღო ზუგდიდში, თავის საცხოვრებელ სახლში. გზაზე გააჩერეს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურის თანამშრომლებმა. ბონდო დიხამინჯიას, თითქოს როგორც საშიშ დამნაშავეს, უმალვე სვავებივით თავს დაესხნენ ამ სამსახურის თანამშრომლები, მათი უფროსის — გოგი დათუნაშვილის ხელმძღვანელობით. არ მოისმინეს მისი განმარტებები და გადაწყვიტეს ბონდო დიხამინჯიას ბოლომდე მკაცრად დასჯა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ამ სამსახურის განყოფილებების უფროსები შორენა ანთელავა და თემურ ღურწკაია. ამ უკანასკნელის დავალებით, დიხამინჯიას შეუდგინეს ორი ოქმი და გადასცეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს.

**სასამართლო პროცესი ორ დღეს მიმდინარეობდა და მოსამართლეებმაც ბრწყინვალედ შეასრულეს სააგენტოს თანამშრომლების მოთხოვნები — ბონდო დიხამინჯია საკუთარ ეზოში დამზადებული სამი კუბური მეტრი შეშის გამო 2500 ლარითა და შეშის კონფისკაციით დააჯარიმეს. ასე ზრუნავენ სახელისუფლო სტუქტურები ადამიანის კეთილდღეობაზე. ეს არის ნამდვილი ტერორი საკუთარი მოსახლეობის მიმართ. ოღონდ ვინმე გამოიჭირონ, ოღონდ ვინმე დასაჯონ, ეს მათ სიამოვნებას გვრის. ჯიბეში უძვრებიან, უკანასკნელ ლუკმას ართმევენ და ცხოვრების საშუალებას არ აძლევენ ადამიანებს.**

მოგვიანებით გაირკვა, რომ სააგენტოს თანამშრომლებმა წინასწარ იცოდნენ ბონდო დიხამინჯიას მიერ შეშის ტრანსპორტირების შესახებ, რადგან საქართველოში ჩაშვების ინსტიტუტი აქტიურად მოქმედებს და გადაგვარებული არაკაცები, რაღაც გასამრჯელოს ფასად, არ ინდობენ არავის — მეზობელი იქნება თუ ნათესავი.

**ხეტყისა და შეშის დამზადების საქმეში არსებული ქაოსისა და გაურკვევლობის გამო კიდევ ბევრი ადამიანი ჩავარდება ბონდო დიხამინჯიას მდგომარეობაში, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტია შესავსები მოსახლეობის გატყავების ხარჯზე.**

რაც უნდა იმეოროს ხელისუფლებამ, კორუფცია დავამარცხეთო, ის მაინც არსებობს. ამ ნახევარი წლის წინათ წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე ხრამში გადავარდა ავტომანქანა, რომელშიც სამეგრელო-ზემო სვანეთის ოთხი ძალოვანი იმყოფებოდა, სამი მათგანი გარდაიცვალა. როგორც ამბობენ, მანქანაში მსხდომნი სვანეთიდან ჩამოტანილი ხეტყისა და წილების გაყოფაზე დავობდნენ. მაშინ ხელისუფლებამ ინფორმაცია დაბლოკა, მაგრამ ეს ამბავი მაინც გახმაურდა. ასე რომ, ხეტყე იყო და რჩება გემრიელ, მსუყე ლუკმად, რომლის დათმობაც ხელისუფლებას არამც და არამც არ სურს.

**ლადო ქირია**
ზუგდიდი


თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

ვარსკვლავები გიწვევენ!

## ელისო ბოლქვაძისა და ფილიპ მანის კონცერტი

15 ოქტომბერს 20 საათზე რუსთაველის თეატრში სიმფონიური მუსიკის კონცერტი გაიმართება ვარსკვლავების მონაწილეობით. თქვენს წინაშე წარსდგებიან მსოფლიო დონის მუსიკოსები — ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე და ამერიკელი დირიჟორი ფილიპ მანი, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრს წარუძღვება. მსმენელები ვარსკვლავური შესრულებით მოისმენენ კამილ სენსანსის მეორე საფორტეპიანო კონცერტს, ჟორჟ ბიზეს სიუიტას ოპერიდან "კარმენი" და ლეონარდ ბერნსტაინის "სიმფონიურ ცეკვებს" მიუზიკლიდან "ვესტ საიდის ისტორია".

ორიგინალური პროგრამა და კონცერტში მონაწილე მუსიკოსების უმაღლესი საშემსრულებლო დონე ნამდვილად შექმნის 15 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში შეკრებილი მსმენელებისთვის დაუვიწყარი სიამოვნების მინიჭების საფუძველს.

მოისმინეთ და ისიამოვნეთ!




pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net